# კვირის პალიტრა

36 გვ

№ 20 (380) ◆ 20 – 26 მაისი. 2002 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.

## ვფიქრობ, არავის არანაირი შფურში არ დასჭირდება ჩემი თანამდებობის დასაკავებლად...

გვ.3

### საქართველოზე გადის „წითელი ხაზი“



...თუ დაპირისპირება ამ ფორმით გაგრძელდა, არჩევნები მშვიდად ვერ ჩაივლის.

...საქართველოს პარლამენტს არ სჭირდება 235 დეპუტატი, მით უმეტეს, 7 ვიცე-სპიკერი. თუ 50-მილიონიანი უკრაინის პარლამენტში 435 დეპუტატს ორი ვიცე-სპიკერი ართმევს თავს, რა აუცილებელია 7 ვიცე-სპიკერი გვყავდეს?

...შეიძლება დადო ფიცი, რომ არასოდეს აფხაზეთს არ დავკარგავთ, რომ აუცილებლად დავიბრუნებთ, მაგრამ ფიცი დადო, რომ 1 აგვისტოს შემდეგ რაღაც მოქმედებებს დავიწყებო, კატეგორიულად მიუღებელია. იმედი მაქვს, რომ გონს მოვლენ ის ადამიანები, რომლებიც მსგავს განცხადებებს აკეთებენ.

## ფოთის ნავსადგურის მუშები კი ვიწამლებით, მაგრამ შიმშილით სიკვდილს ისევ ეს გვირჩევნია

### პარადოქსი – საპორტო ქალაქში ჰიდრომეტეოროლოგიური სადგური გაუქმებულია(!)

გვ.6,13



„ეს ნივთიერება, რომელსაც ზესტაფონის ფეროშენადნობი ქარხნის მიმდებარე ტერიტორიაზე მოიპოვებენ და შემდეგ ფოთის ნავსადგურიდან აგზავნიან, ბევრად, დაახლოებით 10-ჯერ მაინც საშიშია, ვიდრე გლინოზიუმის ჰაერში გაფრქვევა და მისით დაბინძურებული ჰაერის სუნთქვა. ჩვენ საგანგებოდ წამოვიღეთ სილიკო-მანგანუმის სინჯები, იგი ლაბორატორიულად შევამოწმეთ და მასში რადიაციის დონე სახიფათოზე მეტი აღმოვაჩინეთ“.

„თქვენ არ იცით, თუ რა დაავადება შეიძლება გამოიწვიოს მანგანუმის მტვერმა – იგი პარკინსონის დაავადების გამომწვევია და ჰაერში მისი ოდნავ მომატებაც გამოუსწორებელ შედეგამდე მიგვიყვანს“...

## ჩვენი სარეკლამო კლიპი 3 ლარი დაჯდა...



...სანამ შევარდნაძეა ხელისუფლებაში, მანამდე იქნება მამალაძეც. მისნაირი კაცისთვის, ძნელია განათლებაზე ლაპარაკი.

გვ.5

...შაშიაშვილი ძალზე კომიკური ფიგურაა. როგორ შეიძლება იყო შევარდნაძის გუბერნატორი და ოპოზიციონერობანას თამაშობდე.

**...ზურაბ ჟვანია და მიშა სააკაშვილი ერთ-ერთ ელიტარულ ბარში წაკამათებულან.**

## შვიდი წელი ხომ ბოდიში და ჭამეს, კანფეტის დაყოლებაც უნდათ...



გაიხსენეთ ვინ იყვნენ ჟვანია, სააკაშვილი, მამალაძე და რა ვიცი, რომელი ერთი ჩამოვთვალო, რვა-ცხრა წლის წინ?! ჩემს დროს ვინ მისცემდა მინისტრს იმის უფლებას, რომ 72 ათასი დოლარი მანქანაში მიეცა, მე გამეგო და ისე გამეშვა ეს ამბავი?!

გვ.11

**ახლა სხვა დაიწყებს ჭამას და ახლა ის გაძღება...**

## „შევარდნაძეც რომ მოვიდეს, გზას მაინც არ გავხსნით!..“



*...ყოველდღე ველოდებით უბედურებას, ძილის წინ ამ დახეთქილ კედლებს რომ ვუყურებთ, ღმერთს ვევედრებით, მშვიდობიანი დილა გაგვითენოს... როდემდე უნდა ვიყოთ ასე?*

...ქუჩებიდან ველარ ხერხდება ნაგვის გატანა, რაც იქაური მობინადრეების ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნის – ანტისანიტარიულმა კერებმა დათბობასთან ერთად შესაძლოა ეპიდემიური პრობლემები წარმოშვას. მოსახლეობა მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდება რომელიმე ქუჩაზე ხანძრის გაჩენის შემთხვევაშიც.

გვ.4,11

## ჩანართი

სასამართლო

17-20 გვერდი

## *სამხედრო თემაზე:* გეოფიზიკური იარაღი, ანუ რას არ იგონებს ადამიანი დედამიწის გასანადგურებლად



...მიმდინარეობს გასაიდუმლოებული კვლევითი სამუშაოები ე.წ. „გენური იარაღის“ შესაქმნელად.

...„გენური იარაღი“ მხოლოდ კონკრეტულ პიროვნებებს გაანადგურებს. მაგალითად, მხოლოდ შავტუხებს ან ცისფერთვალიანებს. მისი საშუალებით რომელიმე გარკვეული ეროვნების ადამიანთა დიდი ჯგუფის მოსპობა გახდება შესაძლებელი...

გვ.9


## საარჩევნო პლაკატები

ნებისმიერი ფორმატი ტირაჟი

- გაზეთები, ბუკლეტები და სხვა;
- კომპიუტერული დიზაინი;
- ფერადუღა ფირებზე;
- ბეჭდვა



გამომცემლობა „კოლორი“

ტელ: 999882; 707645; 708256; 899 507821


## ზურმუხტისთვლიანი ბეჭდის ინიციალებმა მკვლელი ამხილა...

ვერსია

ძვირფასეულობით დამძიმებული გასაბერი ნავის ფსკერი ისე ჩაიზნიქა, ეგონა ჩაიძირებაო...

ჩანთა ოქროთი და ბრილიანტით ისე აავსო, თავი ძლივს მოუკრა. მასპინძლის მოკვლას არ აპირებდა, ბოლო მომენტში იფიქრა, – ვაითუ, ჩემი სახე დაიმახსოვროსო და მასაც მკერდში ჩასცა დანა.

გვ.10



არადა არ დაადგა საშველი ვენაამბროლაურის საავიაციო რეისის გახსნას, რომ ავსტრიიდან პირდაპირ მშობლიურ რაჭაში ჩაფრინდეს...

გვ.22

## ქართველ ავტოდიზაინერთან ინტერვიუს ქართული ავტომობილის იდეა მოჰყვა



ფაქტობრივად, 90% მზად არის, მაგრამ წინასწარ ლაპარაკი მაინც ძნელია. მიუხედავად იმისა, რომ გამოცდების მიხედვით ყველაფერი რიგზეა, როგორც მეცნიერს, რეალური ძრავის ამუშავების შემდეგ მირჩევნია ვიმსჯელო.

საერთაშორისო ავტოსალონზე ჩვენს სიტყვას ვიტყვით...

გვ.27,33

## თქვენ გემოვნებიანი მკითხველი ბრძანდებით!

ყვითელი ლურჯი შავი წითელი

## ევროსაბჭოს მწვავე განცხადება

ევროპის საბჭოს რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ მომუშავე კომისიამ უკიდურესად მწვავე მოხსენება გაავრცელა საქართველოს შესახებ, რომელშიც სასტიკად არის გაკრიტიკებული საქართველოს ხელისუფლება. მასში, კერძოდ, ნათქვამია: „საქართველოში იჩაგრება არაქართული მოსახლეობა და ამაზე რეაგირებას არც ქვეყნის მთავრობა და არც ძალოვანი უწყებები არ ახდენენ. საქართველოში ჩაგრავენ და სცემენ უცხოეთის მოქალაქეებსაც. ანუ საქართველოში არსებობს რასიზმის, შეუწყნარებლობის და პირდაპირი თუ არაპირდაპირი დისკრიმინაციის პრობლემა, რაც იწვევს რელიგიური და ეროვნული უმცირესობების შეშფოთებას. რეკომენდაცია: საქართველოს ხელისუფლებამ უფრო ეფექტური რეაგირება უნდა მოახდინოს შეუწყნარებლობის ფაქტებზე...“(!). კომისიის წევრები შარშან იმყოფებოდნენ საქართველოში და ხელისუფლების ყველა შტოს წარმომადგენლებს და არასამთავრობო სექტორს შეხვდნენ, ხოლო შთაბეჭდილება, რომ საქართველო რასისტული ქვეყანაა, სადაც რელიგიური და ეროვნული უმცირესობები გამუდმებით იჩაგრებიან, მათ მიღებული ინფორმაციებისაგან შეექმნათ! ევროსაბჭოს ამ კომისიის მოხსენებას ეთანხმება პარლამენტარი ელენე თევდორაძეც... საქართველოს სახელისუფლებო კულუარებში კი აცხადებენ, რომ საქართველოს შესახებ მსგავს ინფორმაციებს, ძირითადად, არასამთავრობო ორგანიზაციები ავრცელებენ! მიმდინარე კვირას გამოქვეყნდება პრეზიდენტ შევარდნაძის საგანგებო ბრძანებულება, რომელშიც იგი ევროსაბჭოს ამ მოხსენებაში დაფიქსირებულ ყველა მუხლზე სასწრაფო რეაგირებას მოითხოვს სამართალდამცველთა მხრიდან. ცნობილი გახდა ისიც, რომ შევარდნაძემ მსგავსი შინაარსის საპროტესტო წერილი აშშ-ის სენატისაგანაც მიიღო, რომელსაც 15 სენატორი, მათ შორის, ჰილარი კლინტონიც აწერს ხელს. წერილი ბასილ მკალავიშვილის ანტიიეღოვურ ქმედებებს ეხება და მკალავიშვილის დასამორჩილებლად საქართველოს ხელისუფლებას ზომების მიღებას სთხოვენ.

## საპარლამენტო რევოლუცია დასრულდა

დიდი ხავერდოვანი საპარლამენტო რევოლუცია დასრულდა. ერთ დროს მონოლითური „მოქკავშირისა“ და მაშინდელი უმრავლესობის მიერ დაკომპლექტებული კომიტეტების თავმჯდომარეთა პოსტები ფრაქციებმა გადაინაწილეს — რეკორდულად მცირე დროში — 15 წუთში, თუმცა ამ თხუთმეტ წუთს წინ უძღოდა ხანგრძლივი მოლაპარაკება-გარიგებები პრეზიდენტის მხარდამჭერ ახალ საპარლამენტო ძალებს შორის, რომლებიც თავს უმრავლესობას უწოდებენ. ამ ვაჭრობაში მონაწილეობა არ მიუღიათ ჟვანიას გუნდს, ტრადიციონალისტებს და „ნაციონალურ მოძრაობას“. შესაბამისად, მათ არაფერი ერგოთ. (ვრცლად იხ. გვ. 7).

## დასასრულის დასაწყისი

13 მაისს წინასაარჩევნო კამპანია მუშტი-კრივით დაიწყო! ქართული ფეხბურთისა და საზოგადოდ, საქართველოსთვის ამ ღირსსახსოვარ დღეს თბილისში, რუსთაველის პროსპექტზე დილის 12 საათზე კინაღამ ტყვია გავარდა. იმ დღეს ცესკოს უნდა დაემტკიცებინა საუბნო საარჩევნო კომისიების შემადგენლობა და საბოლოოდ გაერკვია, „მოქალაქეთა კავშირის“ რომელი ფრთა (ჟვანიასეული თუ მამალაძისეული) მიიღებდა ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობას. მაგრამ სხდომაზე დასასწრებად მისულ ჟვანიას ხალხს, გია ბარამიძესა და დავით ტყეშელაშვილს ცესკოს შენობის შესასვლელში მამალაძის მხარდამჭერებისგან შემდგარი მეგაფონიან-ტრანსპარანტებიანი პიკეტი დაუხვდათ. მათ დეპუტატები შენობაში არ შეუშვეს. ბარამიძე კარგა ხანს ცდილობდა აეხსნა, რომ მათი ქმედება უკანონო იყო, მაგრამ ამაოდ. როცა ბარამიძემ სადახლოელებს მოუწოდა წასულიყვნენ სადახლოში და საქონლისთვის (ამ სიტყვის და ცნების ფართო სავაჭრო გაგებით) მიეხედათ და ბაზრობაზე წესრიგი დაემყარებინათ, მის გვერდით მდგომ ტყეშელაშვილს და ჟვანიას ხალხს მამალაძის ხალხმა მუშტები დაუშინა. საპასუხო მუშტების მიღების შემდეგ, მამალაძის ხალხმა საქმეში ტრანსპარანტების ჯოხები ჩართო... საბედნიეროდ, ბარამიძემ და ტყეშელაშვილმა თავი შეიკავეს და მამალაძის „მებრძოლებს“ მოშორდნენ. გია ბარამიძემ „კვირის პალიტრასთან“ საუბარში განაცხადა, რომ ეს არის ამ ხელისუფლების დასასრულის დასაწყისი და რომ თავად ოლიგარქ მამალაძეს ხელისუფლების ხელში ჩაგდების მსურველი ოლიგარქია მართავსო!

## ვისი ინფორმაციაა სარწმუნო?

დაზვერვის დეპარტამენტის თავმჯდომარემ ავთანდილ იოსელიანმა საგანგებო პრესკონფერენციაზე შემაშფოთებელი ინფორმაცია გაავრცელა. მისი თქმით, აფხაზები და რუსები მართლაც გეგმავენ კოდორის ხეობის აღებას და საამისოდ შესაბამისი სამხედრო ძალებიც ჰყავთ მობილიზებული, ისინი ოპერაციის განხორციელებას 16-20 მაისს აპირებენო. იოსელიანის მტკიცებითვე, რუსულ-აფხაზურ ძალებთან ერთად ჩრდილოკავკასიელი, კრასნოდარელი და სტავროპოლელი ბოევიკებიც არიან. ამ ძალების საერთო რიცხვი 4 ათასს აღწევს(!). დაზვერვის დეპარტამენტმა ეს ინფორმაცია რუს კოლეგებსაც მიაწოდა და ზომების მიღება სთხოვა დაძაბულობის ესკალაციის თავიდან ასაცილებლად. იმავდროულად, დავით თევზაძემაც გააკეთა განცხადება, სადაც იოსელიანის ინფორმაცია არ დაადასტურა და ბრძანა, კოდორის ხეობაში განსაკუთრებული არაფერი ხდება და არც რუსულ-აფხაზური ძალების კონცენტრაცია შეინიშნებაო(!). მისი თქმით, აფხაზებმა მხოლოდ წვრთნა ჩაატარეს, რომელიც შეწყდა!

## წინასაარჩევნოდ გაზი გათიშეს...

„იტერას“ შვილობილმა კომპანია „საქგაზმა“ კიდევ ერთხელ უცერემონიოდ შეუწყვიტა გაზის მიწოდება თბილისს დავალიანების გადაუხდელობის გამო. „საქგაზის“ შეფმა ლეონიდ დეიკალომ ქართულ მასმედიას კომენტარზე უარი განუცხადა და ჟურნალისტები დეზინფორმაციის გავრცელებაში დაადანაშაულა. დეიკალომ პირდაპირ ეთერში მოითხოვა განცხადება-განმარტების გაკეთება...

საქართველოს სახელისუფლებო სტრუქტურებმა ტრადიციისამებრ თანხის გადაუხდელობაში ერთმანეთის დადანაშაულებას მიჰყვეს ხელი, პოლიტიკოსებმა კი გაზის შეწყვეტაში 2 ივნისის არჩევნების ჩაშლის მცდელობა დაინახეს. უბედურება კი ის არის, რომ ფინანსთა სამინისტრო უარს ამბობს „საქგაზისადმი“ დაგროვილი 5,5 მილიონი ლარის გადახდაზე და აცხადებს, რომ ეს ქალაქის მერის გადასახდელიაო. ვანო ზოდელავა კი ხელს ფინანსთა სამინისტროსკენ იშვერს და აცხადებს, რომ თბილისის მერიამ სოლიდური კრედიტები აიღო და წინა თვეების დავალიანება გადაიხადა. ახლა კი 900 ათასი ლარი ფინანსთა სამინისტრომ უნდა გადაიხადოსო. ფინანსთა ახალი მინისტრის, მირიან გოგიაშვილის თქმით, ის არ აპირებს თბილისის მერიის საკუთრებაში მყოფი „თბილგაზის“ ვალების გაუთავებელ დაფარვას, მით უმეტეს, ცენტრალური ბიუჯეტიდან აღებული სესხის დაფარვა ზოდელავას ჯერ არ დაუწყიაო. სახელმწიფო მინისტრის მოადგილე გიორგი ისაკაძე დაემუქრა ქალაქის მერიის ზოგიერთ ჩინოვნიკს, რომლებმაც „იტერასთან“ დადებული პირობა არ შეასრულეს, მათი პასუხისმგებლობის საკითხის დასმით.

## სრული ქაოსი...

ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრებს უკვე საჯაროდ ადანაშაულებენ კორუფციასა და სხვადასხვა პარტიის ლობირებაში. „მოქალაქეთა კავშირის“ დაუძინებელი ოპონენტების ძალისხმევით თბილისის ოლქის საუბნო-საარჩევნო კომისიებში წარდგენილ წევრებს შორის (მათი რაოდენობა 2400 კაცია) ვერ ხვდება ხათუნა გოგორიშვილისა და მისი კოლეგების მიერ წარდგენილი ვერც ერთი წევრი(!). საუბნო კომისიები „ახალი მემარჯვენეების“, სოციალისტებისა და „აღორძინების“ ხალხით კომპლექტდება. გოგორიშვილმა ცესკოს თავმჯდომარის მოადგილე ზესაშვილი და ცესკოს წევრი გეგენავა დაადანაშაულა იმაში, რომ ისინი გამუდმებით იცავენ და ლობირებენ „ახალი მემარჯვენეების“ ინტერესებს. იგივე ბრალდება გაისმა ცესკოს მისამართით პარლამენტიდანაც და ამ ბაქანალიის ფონზე ცესკო მოულოდნელად ალაპარაკდა არჩევნების გადადების შესახებ(!). ცესკოს თავმჯდომარემ ჯუმბერ ლომინაძემ სხდომაზე ქაოსტური ვითარების გამო პარასკევს პროტესტის ნიშნად მიატოვა სხდომა. ბოლო სკანდალის მიზეზი კი გახდა ილია გეგენავას ინიციატივა საოლქო კომისიებში საგანგებო მაკონტროლებელი ჯგუფების შექმნის შესახებ. ჟვანიას მხარდამჭერები ამ ინიციატივას აგრესიულად შეხვდნენ და შეხლა-შემოხლაც დაიწყო. მანამდე კი ცესკომ დააკომპლექტა თბილისის საუბნო-საარჩევნო კომისიები. „მოქალაქეთა კავშირის“ მიერ წარდგენილი ვერც ერთი კანდიდატი ამ კომისიებში ვერ მოხვდა(!)

## პრეზიდენტი მასმედიით უკმაყოფილოა

მთავრობის სხდომაზე პრეზიდენტმა შევარდნაძემ თავისუფალი მედიის მისამართით გაილაშქრა და ტელეკომპანიები დაადანაშაულა წინასაარჩევნო ბატალიებისა და დაპირისპირებების გადაჭარბებულ გაშუქებაში! შევარდნაძის თქმით, ტელეკომპანიები 10-ჯერ მეტ საეთერო დროს უთმობენ გია ბარამიძის მონაწილეობით ცესკოს შენობასთან მომხდარი ჩხუბის ასახვას, ისე, რომ მათ შემყურეს თავი შეგძულდებაო(!). პრეზიდენტმა დაიჩივლა, რომ მისი გასვლების დროს პირდაპირი სატელევიზიო ჩართვები დიდ პრობლემას წარმოადგენს, ხოლო თუ თბილისის ქუჩებში 10-20 კაცი გამოვა ლოზუნგით — „გადადგეს უკანონო მთავრობა“, უმალ პირდაპირ ეთერში უჩვენებენო! შევარდნაძის ამ განცხადებას დაუყოვნებლივ გამოეხმაურნენ თბილისში აკრედიტებული უცხოელი ჟურნალისტები, რომლებმაც შეახსენეს დემოკრატ პრეზიდენტს, რომ თავისუფალი მედია ხელისუფლების ლაქია არ არის და ის მუდამ სიმართლის ასახვას ემსახურება. ამერიკული ტელეკომპანია „სი-ბი-ეს“-ის წარმომადგენელმა კი ბრძანა: „თავისუფალი პრესა არის საზოგადოების ინტერესების სამსახურში მყოფი გაწვრთნილი ძაღლი და არა პრეზიდენტ შევარდნაძის ან მთავრობის ლაქია ლეკვი!“

## ეპიცენტრი კვლავ ნაძალადევში იყო

16 მაისს, 16 საათსა და 30 წუთზე თბილისში კიდევ ერთი, ამჯერად ორბალიანი მიწისძვრა მოხდა, რომლის ეპიცენტრი კვლავ ნაძალადევის რაიონი იყო. ექსპერტთა თქმით, ეს ჩვეულებრივი თანმხლები მოვლენაა ისეთი მიწისძვრების დროს, როგორიც 25 აპრილს იყო და რაიმე საშიშროება მოსალოდნელი არ არის. მხოლოდ დაზიანებულ სახლებზე შეიძლება აისახოს ეს მიწისძვრა და ისინი კიდევ უფრო ავარიულნი გახდნენ.

## „ძლიერი პიროვნება“ „კბილებით“ დაიცვეს

2002 წლის იანვარში სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცებისას ავთანდილ ჯორბენაძის პირობა, რომ 4 თვის შემდეგ სახელმწიფო მინისტრი მთელ მთავრობასთან ერთად აგებდა პასუხს ბიუჯეტის შესრულება-არშესრულებაზე, შეიძლება ითქვას, არ შესრულდა. მხოლოდ ფინანსთა და შემოსავლების მინისტრებს დაატოვებინეს თანამდებობები, სხვა ყველანი სახელმწიფო მინისტრითურთ 40-მილიონიანი საბიუჯეტო გარღვევის მიუხედავად, კვლავ „მწყობრში რჩებიან“. ავთანდილ ჯორბენაძე კი, ყოველი შემთხვევისთვის, მაინც წარდგა „ანგარიშით“... ნახევრად ცარიელი პარლამენტის წინაშე. ჯორბენაძეს რიგმა დეპუტატებმა, უწინარესად კი გია ბარამიძემ პასუხი მოსთხოვეს კვარტალის ბიუჯეტის გარღვევისა და იმის გამოც, რომ ჯორბენაძე ინტენსიურად ერევა წინასაარჩევნო პოლიტიკურ პროცესებში და არცთუ უკანასკნელი როლი მიუძღვის ჟვანიას გუნდის დევნა-ჩაძირვაში. გაისმა ხმები ჯორბენაძის გადადგომის მოთხოვნით, მაგრამ ამის მსურველნი უკიდურეს უმცირესობაში აღმოჩნდნენ.

ფრაქციათა უმრავლესობამ კბილებით დაიცვა სახელმწიფო მინისტრი (განსაკუთრებით იაქტიურეს ამ მხრივ „ახალმა მემარჯვენეებმა“ და მისი მუშაობა დამაკმაყოფილებლად შეაფასეს. ფიქრია ჩიხრაძემ კი სახელმწიფო მინისტრს „ძლიერი პიროვნებაც“ უწოდა(!). იმავე სხდომაზე მოისმინეს 2001 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში და პარლამენტმა კანონის შესაბამისად დაამტკიცა გასული წლის სეკვესტრირებული ბიუჯეტის ანგარიში, თუმცა მთელი მთავრობის მუშაობა არადამაკმაყოფილებლად შეაფასა...

## „კადილაკი“ კონფლიქტის ზონაში იპოვეს

გორის საკრებულოს დეპუტატის თემურ ხაჩიურის ორი ვაჟი — გიორგი და ალექსანდრე გვიან ღამით უცნობმა პირებმა გაიტაცეს. ისინი სატელეფონო ზარის შემდეგ გავიდნენ სახლიდან და დაიკარგნენ. მათი კუთვნილი ავტომანქანა „კადილაკი“ მოგვიანებით ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში აღმოაჩინეს, რომლის სავარძელზეც სისხლის ლაქაა. თემურ ხაჩიური გორის სატყეო მეურნეობის უფროსი და ერთ-ერთი წარმატებული ბიზნესმენია. სწორედ ამ გარემოებას უკავშირებენ მისი ვაჟების გატაცებას, თუმცა სამართალდამცველები კომენტარს არ აკეთებენ, ისევე როგორც ხაჩიურის ოჯახი. გატაცებულთა ძებნაში ჩართულნი არიან ცხინვალის პოლიცია და რუსეთის სამშვიდობო ძალები. კვირის ბოლოს გაირკვა, რომ ძმებ ხაჩიურებთან ერთად გატაცებულია მათი ახლობელი, ასევე გორელი გოჩა დავითაშვილი. სავარაუდოდ, ყაჩაღებს მძევლები ფულის გამოძალვის მიზნით ჰყავთ გატაცებული.

## პროექტი „დასახვეწი“ ყოფილა

ლიკანში გაიმართა ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგების ოთხმხრივი შერეული საკონტროლო კომისიის თანათავმჯდომარეთა შეკრება, სადაც განიხილეს ქართული მხარის მიერ შემუშავებული პროექტი, რომელიც კონფლიქტის ზონაში დევნილთა დაბრუნებას ითვალისწინებს. ოსური და რუსული მხარეები პროექტის ცალკეულ პუნქტებს არ დაეთანხმნენ და განაცხადეს, რომ პროექტი „დასახვეწია“, ქართული მხარე კი პროექტში რაიმე სერიოზული ცვლილების შეტანას გამორიცხავს. ქართული მხარე ცალსახად აფიქსირებს, რომ ყველა დევნილის უსაფრთხო დაბრუნება გარანტირებული უნდა იყოს და ამასთან, უნდა აღდგეს ამ ადამიანთა ქონებრივი უფლებები პირვანდელ საცხოვრებელ ადგილებში...

## ამერიკას სიტყვა კი არა, საქმე სჭირდება

აშშ-ის თავდაცვის მინისტრის მრჩეველმა, პოლკოვნიკმა ოთარ შალიკაშვილმა გააფრთხილა საქართველოს ხელისუფლება, რომ თუ მთავრობა არ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებას და ნორმალური ხელფასებით არ უზრუნველყოფს იმ ქართველ სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებიც ამერიკელ ინსტრუქტორთა ხელმძღვანელობით მიმდინარე კონტრტერორისტულ პროგრამაში მონაწილეობენ, წვრთნისა და აღჭურვის ეს პროგრამა ავტომატურად შეწყდება! როგორც ცნობილია, კონტრტერორისტული ქართული ბატალიონების მომზადება-აღჭურვისთვის ვაშინგტონმა 64 მილიონი დოლარი გამოყო, საქართველოს მთავრობამ კი იკისრა ამ ბატალიონების ჯარისკაცებისა და ოფიცრებისთვის ხელფასების საგრძნობი გაზრდა, მაგრამ ამ საკითხის გადაწყვეტა რამდენიმე თვეა ვერ თუ არ ხერხდება.

სახელმწიფო მინისტრს ამ ვალდებულებების შესრულება ქვეყნის ღირსების საქმედ მიაჩნია და აცხადებს, რომ შესაბამისი თანხები აღნიშნული სამხედრო კონტინგენტის ხელფასების გასაზრდელად გამოძებნილია და საამისოდ წლეულს დაიხარჯება 2,5 მილიონი ლარი. მაგრამ შალიკაშვილს, ანუ ამერიკულ მხარეს სჭირდება კონკრეტული საქმე და არა სიტყვები. ამერიკელ რეინჯერთა ძირითადი ჯგუფის ჩამოსვლაც საქართველოში მხოლოდ მას შემდეგ მოხდება, როდესაც ვაშინგტონში დაბრუნებული ოთარ შალიკაშვილი დონალდ რამსფელდს მოახსენებს კონტრტერორისტული პროგრამის მთავარი ეტაპის დასაწყებად ქართული მხარის მზადყოფნის შესახებ. 27 მაისს ქართველმა ოფიცრებმა უნდა დაიწყონ კონტრტერორისტული ოპერაციის მომზადების პირველი ეტაპი. 27 მაისამდე კი მთავრობამ უნდა მოაგვაროს 5,5 მილიონი ლარის გამოყოფის საკითხი, რომელიც პროგრამის 21-თვიანი პერიოდის მანძილზე მიეცემა ხელფასის სახით ქართველ სამხედროებს!

## ზვიადისტებმა არ დააყოვნეს...

ცესკოსთან მომხდარ ზედახორას უმალ გამოეხმაურნენ ზვიადისტები, რომლებმაც საპროტესტო აქცია დაიწყეს შენობასთან მოთხოვნით — გადადგეს ცესკო სრული შემადგენლობით და გადადგეს შევარდნაძის ხუნტა!

საბოლოოდ, ცესკომ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც „მოქალაქეთა კავშირის“ ორივე, ჟვანიასეული და მამალაძისეული ფრთების საარჩევნო სიები რეგისტრაციაში არ გაატარა და „ურჩია“ მათ სამართალი სასამართლოში ეძებნათ! ისინიც კვლავ საოლქო სასამართლოს მიადგნენ.

## აფეთქებას მსხვერპლი მოჰყვა

ოთხი კაცი დაშავდა და ერთი გარდაიცვალა ჭიათურის მაღაროში მომხდარი აფეთქების შედეგად. ტრაგედია ბურღვისას მოხდა. აფეთქების მიზეზად ასახელებენ მაღაროში დარჩენილ ასაფეთქებელ ნივთიერებას, რომელიც სწორედ ბურღვის დროს აფეთქდა.

## წმინდა პანტელეიმონის სახელობის ეკლესია 10 წლისაა

ისტორიულად ცნობილია, რომ პირველი სამკურნალო-გამაჯანსაღებელი კერები, ე.წ. „ქსენონები“, ქრისტიანულ სახელმწიფოში ეკლესიებთან იქმნებოდა. მკურნალობის პირველ სავანეებს მონასტრები წარმოადგენდა. თავდაპირველად ღვთისმსახურები, შემდგომში კი მათთან ერთად ექიმები იღვწოდნენ მძიმე ავადმყოფთა სულიერი და ფიზიკური ტკივილების შესამსუბუქებლად, ჰპატრონობდნენ დავრდომილებსა და მარტოხელებს. „ნუ დააყოვნებ სნეულის მონახულებას, რომ შეგიყვარონ ამგვარი საქციელისთვის!..“ — მართლმადიდებელი ღვთისმსახურები ასეთი სულისკვეთებით ედგნენ გვერდში გაჭირვებულებს. კომუნისტურმა სისტემამ წალეკა ეს კეთილშობილური საქმიანობა. თუმცაღა სურვილი — კვლავ დაახლოებოდა ერთმანეთს ეკლესია და მედიცინა, ექიმთა ასოციაციაში კვლავ წამოიჭრა.

სწორედ ამას მოჰყვა ის, რომ 1991 წელს რესპუბლიკურ ცენტრალურ კლინიკურ საავადმყოფოში ექიმთა ასოციაციის თაოსნობით საფუძველი ჩაეყარა ეკლესიის მშენებლობას ამავე კლინიკის ტერიტორიაზე. შესაფერისი ადგილისა და სახელწოდების შერჩევა უწმინდესის და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით მოხდა. 1992 წლის 20 მაისს გაიხსნა რესპუბლიკურ საავადმყოფოში წმინდა პანტელეიმონ მკურნალის სახელობის ეკლესია. ამ პატარა ეკლესიაში წირვა-ლოცვის მოსმენა შეუძლიათ ავადმყოფებს, მედპერსონალსა და აგრეთვე საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრებთ.

20 მაისს წმინდა პანტელეიმონის სახელობის ეკლესიას 10 წელი უსრულდება. უფალმა შეაძლებინოს მის მოძღვარსა და მრევლს კიდევ დიდხანს ეღვაწოთ და ელოცოთ დავრდომილთა და ჩვენი სულის გადასარჩენად.

## სკანდალი ბუშის ადმინისტრაციაში




ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციაში სკანდალი დაიწყო. როგორც გაირკვა, პრეზიდენტი ბუში პირადად იყო ინფორმირებული, რომ ბინ ლადენი და მისი ხალხი თვითმფრინავის გატაცებას გეგმავდნენ. ბუშის მრჩეველმა ეროვნული უშიშროების საკითხში კონდოლიზა რაისმა განაცხადა, რომ შეტყობინებაში ლაპარაკი იყო მხოლოდ მოსალოდნელ პროვოკაციაზე და ტერაქტის მზადების შესახებ ინფორმაცია სპეცსამსახურებს არ ჰქონიათ.

ახლა აშშ-ის სენატი ბუშის ადმინისტრაციის ბრალეულობის საქმეს იძიებს და რამდენიმე სენატორი უკვე საჯაროდ გაიძახის, ქვეყნის მთავრობასაც და სპეცსამსახურებსაც რეალურად შეეძლოთ 11 სექტემბრის ტერაქტების თავიდან აცილება და ამისთვის პასუხი უნდა აგონო. სენატორთა უმრავლესობა კი აცხადებს, რომ ბუშის ადმინისტრაცია სწორად მოქმედებდა და რომ ტერაქტების თავიდან აცილება შეუძლებელი იყო!

## ნაპოვნია ჟურნალისტის ნეშტი

ნაპოვნია „უოლ-სტრიტ ჯორნელის“ ჟურნალისტის დენიელ პერლის ნეშტი. ამერიკელი ჟურნალისტი სამი თვის წინ მოკლეს პაკისტანში ისლამისტმა ფუნდამენტალისტებმა და მკვლელობის ამსახველი კადრები ამერიკის საელჩოს გაუგზავნეს. სამმა ეჭვმიტანილმა ფუნდამენტალისტმა, რომლებსაც ამჟამად ასამართლებენ, გამოძიებას ჟურნალისტის მკვლელობის და დასაფლავების ადგილი უჩვენა. აღმოჩენილ თავმოჭრილ გვამს ბიოლოგიურ ექსპერტიზას უკეთებენ, თუმცა გამოძიებას უკვე აქვს მტკიცებულებანი, რომლითაც დასტურდება, რომ აღმოჩენილი გვამი მართლაც დენიელ პერლია.

# — ვფიქრობ, არავის არანაირი შტურმი არ დასჭირდება ჩემი თანამდებობის დასაკავებლად...

## საქართველოზე გადის „წითელი ხაზი“



ევროპის საბჭოს კომისიამ საქართველოს დასწამა ის, რაც ჩვენს დაუძინებელ მტრებსაც არ მოსვლიათ არასდროს ფიქრად — თურმე ჩვენში რასიზმი ბატონობს(!). ამას ასკვნიან ბასილ მკალავიშვილის ქმედებებიდან გამომდინარე... და ეს ხდება მაშინ, როცა პრობლემების მოსაგვარებლად საქართველოს დამატებით ექმნება უაღრესად ხელსაყრელი საერთაშორისო გარემო. რასისტულ ქვეყნებს და რეჟიმებს რა „პერსპექტივაც“ აქვთ თანამედროვე მსოფლიოში, ცნობილია...

„აფხაზეთის პრობლემა შეიძლება რუსეთისა და აშშ-ის პრეზიდენტების დიალოგის ერთ-ერთი სერიოზული თემა გახდეს. ამასთან, ევროკავშირიც ამზადებს სერიოზულ დოკუმენტს აფხაზეთის კონფლიქტთან დაკავშირებით და ეს პროცესები შესაძლოა ისე სწრაფად განვითარდეს, რომ ჩემი წასვლის დროისთვის ვალმოხდილი აღმოვჩნდე. ბედნიერი ვიქნები, ეს ასე რომ მოხდეს“, — აცხადებს პრეზიდენტი შევარდნაძე მიმდინარე კვირაში მოსკოვში დაგეგმილი ბუში-პუტინის სამიტის წინ!

„რუსეთი დაინტერესებულია, საქართველო იყოს ძლიერი და ერთიანი, რაც შეესატყვისება რუსეთის ნაციონალურ ინტერესებს“ — ამას კი პრეზიდენტ პუტინის უახლოესი თანამოაზრე და ხელქვეითი, ФСБ-ს შეფი ნიკოლაი პატრუშევი აფიქსირებს თბილისში. რა თქმა უნდა, ვერ ვიტყვით, რომ სანდოა რუსი მაღალჩინოსნის ეს განცხადება, რომლის მსგავსიც დღემდე არაერთი მოგვისმენია, მაგრამ ვფიქრობ, აქ საყურადღებოა სწორედ გლობალურ პოლიტიკაში მიმდინარე უმნიშვნელოვანესი პროცესები. ამერიკისა და რუსეთის პრეზიდენტები მოსკოვში გამართული მოლაპარაკების შემდეგ, სადაც ხელს მოაწერენ ხელშეკრულებას ბირთვული შეიარაღების მკვეთრი შემცირების შესახებ, 28 მაისს რომში მონაწილეობას მიიღებენ ნატოს სამიტში და ასევე ხელს მოაწერენ ხელშეკრულებას ალიანსის ახალი აღმასრულებელი ორგანოს „ნატო-რუსეთის საბჭოს“ შექმნის თაობაზე, რომლის საფუძველზეც დღემდე არსებული ფორმატი 19+1 (ნატოს წევრი 19 ქვეყანა+რუსეთი) გარდაიქმნება ნატოს „ოცეულად“. ამ მნიშვნელოვანი მოვლენის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ნატოში კარგად ესმით — არასტაბილური და განზე მდგომი რუსეთი სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის ევროპულ უსაფრთხოებას. დასავლეთს იმედი აქვს, სწორედ „ოცეულის“ წევრ რუსეთთან მოლაპარაკებებითა და რუსეთის მონაწილეობით დაამკვიდრებს მტკიცე სტაბილურობასა და უსაფრთხოებას არა მხოლოდ ევროპაში, არამედ მთელ ევრაზიულ სივრცეში. აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების პერსპექტივაც ევრაზიული უსაფრთხოების მიღწევის კონტექსტში უნდა განვიხილოთ...

ამ და სხვა აქტუალურ საკითხებზე ვესაუბრები პარლამენტის თავმჯდომარეს, ქალბატონ **ნინო ბურჯანაძეს:**

— ფაქტია, რომ საქართველოს პოლიტიკური და უსაფრთხოების გარანტიების ხარისხი მსოფლიოში ბევრად უფრო მაღალია, ვიდრე ეს იყო 8-9 წლის წინ, როცა იბომბებოდა აფხაზეთი და იქ მიმდინარე სისხლის ღვრის მიუხედავად, ჩვენთვის არავის ეცალა. დღეს კი, საქართველოს პრობლემები ბევრი სახელმწიფოსთვის ძალზე მნიშვნელოვანია და თუკი ვითარება კვლავ გამწვავდება, საქართველო არავითარ შემთხვევაში არ აღმოჩნდება მარტოდმარტო ამ პრობლემების წინაშე. ვფიქრობ, საქართველოს საფრთხე უფრო შინაური პრობლემებიდან გამომდინარე ემუქრება, ვიდრე გარედან. თუმცა ისიც აშკარაა, რომ ბევრი მათგანი სწორედ გარედან არის ინსპირირებული.

კოდორის გარშემო შემაშფოთებელი მოვლენები გარკვეულწილად გრძელდება, მაგრამ აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებამ განაცხადა, — არანაირ საომარ მოქმედებებს კოდორის მიმართულებით არ ვაპირებთ და მხოლოდ ჩვენი ფორმირებები გადაადგილდნენო. იმედი მაქვს, ასეა, რადგან მათი ნებისმიერი ქმედება, ხელმოწერილი დოკუმენტებისა და საერთაშორისო სამართლის ნორმების თანახმად, საქართველოს ხელისუფლებასთან უნდა იქნეს შეთანხმებული... რაც შეეხება ბუში-პუტინის სამიტს, უდავოდ დიდი მნიშვნელობა აქვს, რით დამთავრდება მათი მოლაპარაკება. მართალია, რუსეთი დასუსტებულია და სუპერსახელმწიფოს კრიტერიუმებს ვეღარ აკმაყოფილებს, მაგრამ მისი უგულებელყოფა არ შეიძლება. ვფიქრობ, ბუში-პუტინის შეხვედრის შედეგები პოზიტიური იქნება მრავალი მიმართულებით. პრეზიდენტი პუტინი საკმაოდ გაწონასწორებული და პრაგმატიკოსი პოლიტიკოსია და ამ მოლაპარაკებებისას მიიღებს რუსეთის ინტერესების შესაბამის გადაწყვეტილებებს, მაგრამ ვფიქრობ, პუტინს შესანიშნავად ესმის ისიც, რომ რუსეთის სახელმწიფო ინტერესებში შედის აშშ-ისა და დანარჩენ მსოფლიოსთან დემოკრატიული და ცივილიზებული ურთიერთობების დამყარება. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ნატო-რუსეთის თანამშრომლობა, რადგან რუსეთს მეტი დემოკრატიული პასუხისმგებლობები დაეკისრება. ერთი რამ ცხადია: ნატოსთან რუსეთის დაახლოება არ უნდა მოხდეს იმ ქვეყნების ინტერესების ხარჯზე, რომლებიც წლების მანძილზე თანამშრომლობენ ნატოსთან და ცდილობენ ალიანსთან ინტეგრირებას. დარწმუნებული ვარ, თავად ნატო არ დაუშვებს ამას და შეეცდება რუსეთთან გონივრული კომპრომისების გამოძებნას. მართალია, „ოცეულის“ შექმნა წინგადადგმული ნაბიჯია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ნატო-რუსეთის პოზიციები სავსებით თანხვდება ერთმანეთს. ნატოს აღმასრულებელ საბჭოში რუსეთის მეოცე ქვეყნად დამატება არ ნიშნავს რუსეთისთვის ვეტოს უფლების მიცემას, რადგან ნატოს აქვს საკუთარი სტრატეგია, ნატოს პარტნიორ სახელმწიფოებსაც თავისი ინტერესები და სტრატეგია გააჩნიათ და არა მგონია, რუსეთის ინტერესებიდან გამომდინარე, ნატომ უარი თქვას აღმოსავლეთით გაფართოებაზე. ნატოსთან საქართველოს თანამშრომლობა-დაახლოება ერთმნიშვნელოვნად გაგრძელდება... ასევე დარწმუნებული ვარ, რომ ბუში-პუტინის მოლაპარაკებებში საქართველოს პრობლემატიკას უწინარესად აფხაზეთს, მნიშვნელოვანი დრო და ადგილი დაეთმობა. სხვათა შორის, დღემდე პრეზიდენტ პუტინთან საუბრისას პრეზიდენტ ბუშს, ნატოს გენერალურ მდივან ლორდ რობერტსონს და სხვა სახელმწიფოთა მაღალი რანგის წარმომადგენლებს ცალსახად წამოუჭრიათ საქართველოს პრობლემატიკის თემა. ამასთან, ვაშინგტონს არაერთხელ კატეგორიულად განუცხადებია მოსკოვისთვის, რომ საქართველოზე გადის „წითელი ხაზი“, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი ხელშეუხებელია, რადგან საქართველო მნიშვნელოვანი დაინტერესების საგანია არა მხოლოდ რუსეთისთვის, არამედ ამერიკისთვის. მეტიც, ისიც უთქვამთ, რომ საქართველო-რუსეთის ურთიერთობა შეიძლება იყოს გარკვეული ლაკმუსის ქაღალდი რუსეთის დემოკრატიულობისა და ცივილიზებულობის თვალსაზრისით. მეც არაერთხელ მითქვამს დასავლელი კოლეგებისთვის, რომ მათ რუსეთის დემოკრატიულობისა და გულწრფელობის საზომად სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში უნდა აიღონ არა რუსეთის ურთიერთობა აშშ-თან, საფრანგეთთან, დიდ ბრიტანეთთან, გერმანიასთან და სხვა წამყვან სახელმწიფოებთან, არამედ რუსეთის საქართველოსთან ურთიერთობა, სადაც მოსკოვის ინტერესები ნათელია. ამიტომ ვიცით, რომ ვაშინგტონი ყურადღებით აკვირდება თუ როგორი პოლიტიკა აქვს რუსეთს საქართველოს მიმართ და პირდაპირ გეტყვით, არა მხოლოდ აკვირდება... ბუნებრივია, წინასწარ ძნელია იმის თქმა, კონკრეტულად რას მოილაპარაკებენ ბუში და პუტინი, მაგრამ იმედია, რომ რუსეთის პოზიცია მკვეთრად შეიცვლება აფხაზეთის პრობლემასთან დაკავშირებით. ფაქტია, რუსეთი დღემდე სიტყვიერად ერთ განცხადებას აკეთებს, რეალურად კი ხელს უწყობს სეპარატისტული რეჟიმის გაძლიერებას. ამიტომ ერთმნიშვნელოვნად უნდა დაფიქსირდეს — მოლაპარაკების მაგიდასთან დასხდნენ მხარეები და დაიწყოს სერიოზული მუშაობა სამშვიდობო პროცესის გასააქტიურებლად.

— **საქართველოს „დიდმა მეგობარმა“ როგოზინმა კვლავ წამოყო თავი. განაცხადა, რომ პანკისის ხეობაში იმალება კასპიისკის ტერაქტის მომწყობი ხალილოვი და მოუწოდა კრემლს, სასწრაფოდ დაიწყოს კონტრტერორისტული ოპერაცია პანკისის ხეობაში. თქვენ კარგად იცნობთ როგოზინს და იქნებ გვითხრათ, რა მიზეზებს ეფუძნება მისი სიძულვილი საქართველოსადმი.**

— მართალი გითხრათ, ეს ჩემთვის არც ისე სასიამოვნო თემაა, რადგან პირადად ნორმალური ურთიერთობა მქონდა ყოფილ კოლეგასთან. მისი ადრინდელი გაწონასწორებული გამონათქვამებიდან, გამოსვლებიდან მქონდა ილუზია, რომ როგოზინი სამართლიან პოზიციას დაიკავებდა საქართველოსთან მიმართებაში. სამწუხაროა, რომ ბატონმა როგოზინმა საკუთარი პოლიტიკური იმიჯის შესაქმნელად აირჩია საქართველოს ლანძღვაგინების და ანტიქართული განცხადებების კეთების გზა. ეს მისი არჩევანია და ჩემი აზრით, სრულიად არამართებული და უწინარესად, საკუთრივ როგოზინის პოლიტიკური იმიჯისთვისაც არასახარბიელო, მაგრამ პირადად მე აღარ ვაპირებ როგოზინის დემარშებზე არანაირ რეაგირებას, იმდენად აბსურდული განცხადებები გააკეთა ბოლო ორი-სამი თვის მანძილზე საქართველოს საწინააღმდეგოდ.

— **უაღრესად მნიშვნელოვანი და საინტერესო პროცესები მიმდინარეობს საერთაშორისო პოლიტიკაში, რაც პირდაპირ უკავშირდება საქართველოს მომავალს და ამის კვალდაკვალ, სრულიად გაუგებარია ის, რაც პარლამენტში ხდება. დეპუტატები სხდომებზე არ დადიან, სხდომები იშლება, არადა ეს ხდება ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენების წინ, როგორიცაა ბუში-პუტინის სამიტი, ნატოში რუსეთის ინტეგრირება და „ოცეულის“ შექმნა...**

— მართალია, კვორუმის უქონლობის და დღევანდელი ჩაშლილი სხდომების გამო აღშფოთებული ვარ კოლეგების საქციელით, მაგრამ პოზიტიურს ვერ გადავხაზავ. კოდორის ხეობის კრიზისის დროს პარლამენტი ერთ მუშტად შეიკრა და დღედაღამ მუშაობდა, რაც ნორმალური მოვლენა გახლავთ და არც მე ვიწონებ ამით თავს. არანორმალური ის არის, რაც დღეს ხდება პარლამენტში, თუმცა ღმერთმა ნუ ქნას და დარწმუნებული ვარ, თუ კვლავ შეიქმნა რაიმე საშიშროება, პარლამენტი იტყვის თავის სიტყვას, როგორც არაერთხელ უთქვამს და რასაც უამრავი კონკრეტული რეზოლუცია, განცხადება, დადგენილება მოჰყოლია ევროსაბჭოში, ევროპარლამენტში, ეუთოს საპარლამენტო ასამბლეაში და ა.შ. შეიძლება ამ რეზოლუციებს პრობლემები ბოლომდე ვერ მოუგვარებია, მაგრამ პოლიტიკური და მორალური ზეგავლენა ნამდვილად მოუხდენია ადრესატზე!

— **ბატონმა თამაზ ნადარეიშვილმა და დევნილებმა პარტიზანებთან ერთად ხატზე დაიფიცეს, რომ თუ 1 აგვისტომდე რეალური წინსვლა არ იქნება აფხაზეთის კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგების საქმეში, ისინი, ფაქტობრივად, ომს დაიწყებენ აფხაზეთში დასაბრუნებლად.**

— იმედი მაქვს, რომ გონს მოვლენ ის ადამიანები, რომლებიც მსგავს განცხადებებს აკეთებენ. უდიდეს პატივს ვცემ ჩვენს ტრადიციებს და სარწმუნოებას, არც ხატისადმი პატივისცემა მაკლია, მაგრამ ცალსახად ვაცხადებ: ნორმალურ მოვლენად არ მიმაჩნია, რომ 21-ე საუკუნის დასაწყისში ხატზე დაფიცება რაღაც პოლიტიკურ შოუდ გადავაქციოთ. მესმის იმ ადამიანებისა, ვისაც უკანასკნელი იმედიც ეწურება და ხავსს ეჭიდებიან, მაგრამ ფიცის დადება არ არის ის გზა და მეთოდი, რომლითაც პოზიტიურ შედეგს მივაღწევთ. გონიერი ადამიანები ვართ და ყველას კარგად გვესმის, რომ 1 აგვისტომდე შეიძლება ისე რადიკალურად შეიცვალოს ვითარება, რომ სრულიად სხვა პროცესებში აღმოვჩნდეთ. შეიძლება დადო ფიცი, რომ არასოდეს აფხაზეთს არ დავკარგავთ, რომ აუცილებლად დავიბრუნებთ და მეც არაერთხელ ყველა დონეზე შეხვედრებისას ცალსახად განმიცხადებია, რომ საქართველო არასოდეს შეეგუება აფხაზეთის დაკარგვას, მაგრამ ფიცი დადო, რომ 1 აგვისტოს შემდეგ რაღაც მოქმედებებს დავიწყებო, კატეგორიულად მიუღებელია. ყოველმა გონიერმა ადამიანმა გადაწყვეტილება უნდა მიიღოს იმ სიტუაციიდან გამომდინარე, რა ვითარებაც იქნება კონკრეტულ შემთხვევაში. ესა თუ ის ნაბიჯი გარკვეულ ვითარებაში შეიძლება იყოს სწორი, სხვა დროს კი დამანგრეველი. ვიმეორებ, მესმის ლტოლვილების მძიმე მდგომარეობისა და ჩვენი ემოციური განწყობისა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, გვაქვს სერიოზული რეზერვი კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგებისა და ამ რეზერვებს მაქსიმალურად გამოვიყენებთ. მე ვაპირებ აფხაზეთში ჩასვლას და მოხარული ვარ, რომ აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების ერთ-ერთი მაღალი რანგის წარმომადგენელი პოზიტიურად შეხვდა ჩემს ინიციატივას. ჩვენ ვაცხადებთ ყველგან, რომ გვინდა და ვცდილობთ აფხაზეთის პრობლემა მოვაგვაროთ სამართლიანად და მიმაჩნია, რომ კონფლიქტის გადაწყვეტის დროს, მხოლოდ ქართული მხარის ინტერესები კი არ იქნეს გათვალისწინებული, არამედ აფხაზური მხარისაც — ბუნებრივია, მე კანონიერი და სამართლიანი ინტერესი მაქვს მხედველობაში. მსურს გაგაცნოთ რამდენიმე დღის წინ მიღებული ლტოლვილი ქალბატონის განცხადება. მას ორი შვილი ჰყავს აფხაზეთში დაკრძალული, მათგან ერთი ომში დაეღუპა. ამ განცხადებამ შემძრა. ეს ქალბატონი მთხოვს, როგორც დედას, დავეხმარო მას შვილდაღუპულ აფხაზ დედებთან შეხვედრაში და სჯერა, — ქართველი და აფხაზი დედები მოვნახავთ საერთო ენასო! ეს არის საოცარი გამოვლინება ადამიანის, დედის დიდსულოვნებისა. როცა განვაცხადე, რომ იქნებ მივცეთ შესაძლებლობა დაღუპულთა დედებს ერთმანეთთან შეხვედრებისა და თავიანთი შვილების საფლავების მონახულებისა, სოხუმიდან გავრცელდა ინფორმაცია, რომ ამ საკითხს გადაწყვეტს აფხაზეთის ხალხი და აფხაზეთის ხელისუფლებაო. თუ სოხუმის ხელისუფლება მართლა შეეკითხება ხალხს და ეს არ იქნება ვიღაცის კაბინეტში გადასაწყვეტი საკითხი, დარწმუნებული ვარ, აფხაზი დედები გულთან მიიტანენ ქართველი დედის თხოვნას. თუ მოხერხდა ჩემი სოხუმში ჩასვლა, ვფიქრობ, ერთ-ერთ საკითხად ამ ინიციატივასაც დავაყენებ. რაც შეეხება კონფლიქტის დარეგულირების პერსპექტივას, მთავარია მოვახერხოთ აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლება უფრო აქტიურად ჩაებას მოლაპარაკებათა პროცესში. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვითარებაც გართულდება და იმ ადამიანთა მდგომარეობაც, რომლებსაც სურთ მშვიდობიანი გზით დაარეგულირონ ეს პრობლემა. მართლაც, რამდენი ხანი შეიძლება ვეუბნებოდეთ თუნდაც დედებს, რომლებსაც ელემენტარულად შვილების საფლავის ნახვა ენატრებათ, მოითმინეთო. ვეღარ ითმენს ეს ხალხი, დრო გადის, ადამიანები იხოცებიან, ასაკი ემატებათ და ეს უნდა გაითვალისწინონ აფხაზებმა და უწინარესად რუსეთმა, რომელსაც გამოკვეთილი ინტერესები აქვს აფხაზეთის კონფლიქტში. იმედი მაქვს, რომ გაიმარჯვებს ის ფრთა, რომელიც პუტინის პოზიციას აფიქსირებს და აცხადებს, რომ რუსეთი პოზიტიურ როლს ითამაშებს ამ საქმეში და ვერ გაიმარჯვებს ის ფრთა, რომელსაც ურჩევნია, რომ აფხაზეთი კვლავაც შენელებული მოქმედების ნაღმი იყოს საქართველოს წინააღმდეგ. ამასთან, ვერავინ დამარწმუნებს, რომ რა ყოფაშიც აფხაზები იმყოფებიან, კარგია მათთვის. აფხაზური მოსახლეობა და მთლიანად აფხაზეთი უმძიმეს დღეშია. ჩვენ გარანტიები უნდა მივცეთ აფხაზურ მხარეს, რომ დაცული იქნება მათი სამართლიანი უფლებები და ამ გარანტიებს გაამყარებს საერთაშორისო თანამეგობრობის ძალისხმევა.

— **თვითგანადგურების იმ ფაქტს, რაც „მოქალაქეთა კავშირმა“ დაიტეხა თავს, თქვენ, როგორც ამ პარტიის ყოფილი აქტიური წევრი, რა შეფასებას აძლევთ?**

— თავის დროზე ჩემს მიერ ფრაქცია მოქალაქეთა კავშირის დატოვება განპირობებული იყო იმით, რომ ბევრი რამ, რაც იმ პერიოდში ხდებოდა, არასწორად მიმაჩნდა. არადა ბევრი საინტერესო იდეა გვქონდა, რომელთა განხორციელების შემთხვევაში დღეს სულ სხვა ვითარება იქნებოდა. საკმაოდ უხმაუროდ გადავდექი პარტიული პოსტიდან სწორედ იმიტომ, რომ უკვე 1998 წელს უჭირდა პარტიას და არ მინდოდა ამის აფიშირება. ველოდი უკეთეს დროს, მაგრამ მოქკავშირს საქმე უარესობისკენ წაუვიდა... მე პირადად არ ვეთანხმებოდი ბევრ საკითხში პრეზიდენტს, არც იმას, რაც ფრაქციაში, პარტიაში, პარლამენტში ხდებოდა, მაგრამ სამწუხაროდ, ჩემი პოზიცია არ გაიზიარეს. ვერ ვიტყვი, რასაც ვამბობდი, ყველაფერი სწორი იყო, მაგრამ ბევრი ჩემი პროგნოზი ასრულდა. ქვეყნისთვის არის ძალიან ცუდი, რაც ამ პარტიას დაატყდა თავს. „მოქალაქეთა კავშირმა“ და ხელისუფლებამ ვერ მოახერხეს გამოეყენებინათ უნიკალური შანსი, მაშინ როცა 6 წლის განმავლობაში ვიყავით ერთიანი გუნდი — ვგულისხმობ პრეზიდენტს და საპარლამენტო უმრავლესობას. მთავრობა კი, ფაქტობრივად, იყო კოალიციური. მხოლოდ მოგვიანებით გამოჩნდნენ იქ მოქკავშირის წევრები. რაც შეეხება ზურაბ ჟვანიას, მას ბოლო პერიოდში საკმაოდ ბევრი მტერი გამოუჩნდა. მაგრამ ამდენი ურთიერთბრალდება, სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა ნამდვილად მეტყველებს იმაზე, რომ ჩვენში პოლიტიკური კულტურა არ არსებობს. ის, რაც „მოქალაქეთა კავშირში“ ხდება, არ უნდა გადასულიყო ქუჩაში, საზოგადოებაში. პარტიამ თვითონ უნდა გაარკვიოს, ვინ არის მტყუან-მართალი და როცა ამას გაარკვევს, ან გაიყოფა პარტია, ან გაერთიანდება, ან ნაწილი დატოვებს პარტიას და შემდეგ ხალხი გააკეთებს არჩევანს.

— **ფორმდება ახალი საპარლამენტო უმრავლესობა და კომიტეტების თავმჯდომარეთა პოსტების გადანაწილების შემდეგ, შეიძლება პარლამენტის თავმჯდომარის მიმართაც განახორციელონ შტურმი და თქვენს სავარძელზეც განაცხადონ პრეტენზია. ელით მოვლენათა ამგვარ განვითარებას?**

— ვფიქრობ, არავის არანაირი შტურმი არ დასჭირდება ჩემი თანამდებობის დასაკავებლად. არა ვარ ის ადამიანი, ვინც თანამდებობას ებღაუჭება. თუ დავრწმუნდი, რომ დაკისრებულ მოვალეობას ვერ ვასრულებ სათანადოდ და ამას დააფიქსირებს უმრავლესობა კი არა, თუნდაც პარლამენტის მნიშვნელოვანი ნაწილი, გარწმუნებთ, არავის არ შევუქმნი პრობლემებს და „შტურმამდე“ არ მივიყვან საქმეს. ჩემი ერთადერთი ინტერესი ამ თანამდებობაზე ყოფნისას არის ის, რომ რაღაც სასიკეთო გავაკეთო ქვეყნისთვის. რაც შეეხება ახალი უმრავლესობის შექმნას, ვფიქრობ, ცოტა გადაჭარბებულია ამაზე საუბარი. ჯერჯერობით ვერ ვხედავ ახალ უმრავლესობას. საერთოდ, როცა არ მოგწონს რაიმე და ვიღაცას აკრიტიკებ, მისი შეცდომა აღარ უნდა გაიმეორო. მოქალაქეთა კავშირი და ყოფილი უმრავლესობა დაანგრია სწორედ იმან, რომ ჩვენ, და აქ ჩემს თავსაც ვგულისხმობ, ძალიან ბევრის უფლებას ვაძლევდით თავს. როცა პროცედურის გამარტივება გვინდოდა, მინისტრების 118 ხმით დამტკიცება შევცვალეთ 79 ხმით; რომ გაგვეკონტროლებინა ჩვენი უმრავლესობის წევრებიდან ვინ რომელ მინისტრს აძლევდა ან არ აძლევდა ხმას, ფარული კენჭისყრა შევცვალეთ ღია კენჭისყრით. როცა დაგვჭირდა, ბევრი სხვა გადაწყვეტილებაც მივიღეთ და დღეს თუ კვლავ იგივე გავიმეორეთ, ამით არავინ არაფერს მოიგებს. ამასწინანდელ სხდომაზე კანონი შევცვალეთ პოლიტიკური კონიუნქტურიდან გამომდინარე, რამაც დაადასტურა, რომ არანაირი ახალი უმრავლესობა პარლამენტში არ არსებობს — მოთხოვნა იმისა, რომ კომიტეტების თავმჯდომარეებისა და ვიცე-სპიკერების დამტკიცებისას კენჭისყრა ყოფილიყო არა ფარული, არამედ ღია — განპირობებული გახლდათ იმით, რომ თითქოს ერთმანეთთან შეთანხმებულ-გარიგებული ეს პოლიტიკური ძალები არ ენდობიან ერთმანეთს. თუ ეს მოაწესრიგებს პარლამენტს და უფრო ქმედითუნარიანს გახდის, მოხარული ვიქნები. რეალობა კი ის არის, რომ ეს პოლიტიკური ძალები გაერთიანებული არიან ერთი კონკრეტული მიზნით, კერძოდ კომიტეტების თავმჯდომარეთა და ვიცე-სპიკერების ასარჩევად, რაც განახორციელეს კიდეც. მე პირადად ორი კვირა მოვითმინე კიდევ, სანამ საარჩევნო აჟიოტაჟი ჩაწყნარდება და შემდეგ კონკრეტულ შეკითხვებს დავუსვამ თითოეულ ჩემს კოლეგას, რომელიც მიკროფონთან მივა და მხოლოდ იმით შემოიფარგლება, რომ დამნაშავეებისკენ გაიშვერს ხელს; კერძოდ, მოვთხოვ კონკრეტულ მოსაზრებას, წინადადებას, ქმედებას, თუ რა გავაკეთოთ ქვეყანაში ვითარების რადიკალურად შესაცვლელად. დროა, საქმის კეთებაზე ვიფიქროთ და არა მხოლოდ ურთიერთბრალდებებსა და პოლიტიკური ქულების დაწერაზე.

— **რამდენად მისაღებია თქვენთვის 7 ვიცე-სპიკერი?**

— ჩემი უარყოფითი პოზიცია გამოვხატე კონსულტაციებისას და შემდეგ კენჭისყრისას და ვთქვი, რომ საქართველოს პარლამენტს არ სჭირდება 235 დეპუტატი, მით უმეტეს, 7 ვიცე-სპიკერი. თუ 50-მილიონიანი უკრაინის პარლამენტში 435 დეპუტატს ორი ვიცე-სპიკერი ართმევს თავს, რა აუცილებელია 7 ვიცე-სპიკერი გვყავდეს? მაგრამ თუ ეს ხელს შეუწყობს პარლამენტის ეფექტიან მუშაობას, შეიძლება დროებით, ერთი წლის მანძილზე იყოს ამდენი ვიცე-სპიკერი, თუმცა მომავალში ასე გაგრძელება დაუშვებელია.

— **წინასაარჩევნო კამპანია უკვე იძენს უკიდურესად საშიშ ხასიათს, საქმე ფიზიკურ ანგარიშსწორებამდეც მიდის.**

— ეს არის აღმაშფოთებელი და უკვე გავაკეთე განცხადება, რათა ხელისუფლებამ, სამართალდამცავმა ორგანოებმა აღკვეთონ ეს საშიში დაპირისპირება, მით უმეტეს, რომ ერთი მხრიდან საკმაოდ მაღალი თანამდებობის პირები არიან ორგანიზატორები იმისა, რაც ხდება. თუ ცემა-ტყეპა იყო, ამ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე უნდა აღიძრას. პარლამენტი ამ საკითხზე კიდევ იმსჯელებს. თუ დაპირისპირება ამ ფორმით გაგრძელდა, არჩევნები მშვიდად ვერ ჩაივლის. ზოგიერთ ხელისუფალს შეიძლება არც აძლევს ხელს სიმშვიდე... მინდა იმედი ვიქონიო, რომ უახლოეს ხანებში ვითარება განიმუხტება და მოვახერხებთ დემოკრატიული და ცივილიზებული არჩევნების ჩატარებას, ვიმეორებ, თუ ასე გაგრძელდა, ეს ძნელად წარმოსადგენი იქნება...

*ზურაბ მჭედლიშვილი*

## 20 მაისი — ათცამეტ ასურელ მამათა ხსენება



ქართლი... ქვეყანა, სადაც ქრისტეს რჯული და წარმართობა ერთმანეთს ებრძვის, სადაც წმინდა ნინოს ღმერთმა უამრავი სასწაული მოახდინა, მაგრამ ბოლომდე ვერ დაამარცხა საუკუნეებით ხალხის ცნობიერებაში გამჯდარი წარმართული ღვთაებები.

მეექვსე საუკუნე... ასურეთიდან წამოვიდა ათცამეტი ქრისტეს სიყვარულით ანთებული მამა... ღვთისმშობელს უბრძანებია იოანესთვის, წაეყვანა თორმეტი მამა და იბერიაში — თავის წილხვდომილ ქვეყანაში ექადაგა ქრისტეს რჯული. და იოანემ ქრისტეს მსგავსად თორმეტი მოწაფე იახლა: შიო, დავითი, ანტონი, ისე, იოსები, თადეოზი, სტეფანე, ისიდორე, მიქაელი, პიროსი, ზენონი და აბიბოსი...

ცამეტი დამაშვრალი ბერი მოადგა მცხეთის ქალაქს. ზადენის მთა ირჩია იოანემ, ზედაზენზე აღარ იდგა კერპი საშიშარი, მაგრამ მისი ხსოვნა არ მინავლებულიყო ერში. აღტკინებული ბრბო დროდადრო მოაკითხავდა მამა-პაპათა სალოცავ ადგილს და მსხვერპლს სწირავდა ღვთაებებს. იოანე ცრემლთა ფრქვევით ევედრებოდა უფალს, მიეცა ძალა, გამკლავებოდა ეშმაკის ნებით გაგულადებული ერის ერთ ნაწილს — საქართველო ერთი უნდა ყოფილიყო, ერთი სახიერი და კაცთმოყვარე უფლის კალთას შეფარებული.

დაბინავდნენ ბერები ერთ გამოქვაბულში და იქიდან იწყეს მოღვაწეობა. ქრისტიანები ყურს უგდებდნენ ღვთისმშობლისგან წარმოგზავნილებს, მტკიცდებოდნენ და თავიანთ ბნელით მოცულ თანამოძმეებსაც ურჩევდნენ, ნათელი ეღოთ. იოანეს სასწაულებმა ნელ-ნელა მოაქცია ნინოსაგან „გაქცეული“ მცირე ერი.

კვლავ გამოეცხადა ღვთისმშობელი იოანეს და უბრძანა, საქართველოს სხვადასხვა მხარეს განბნეულიყვნენ საქადაგებლად. უარს ვინ იტყოდა და გაემართნენ კახეთში, ქართლში, მთიანეთში...

მოძღვრავდნენ და ასწავლიდნენ ხალხს ქრისტეს სიყვარულს.

...იოანემ დიდხანს ილვაწა, მერე კი, როცა სიკვდილის მოახლოება იგრძნო, დაიბარა მოწაფეები და აკურთხა.

წმ. იოანე ზედაზნელის გარდაცვალების შემდეგ, მისი მოწაფეეები კიდევ დიდხანს მოღვაწეობდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. შემდგომ გარდაცვალებისა ამ წმინდა მამებს ეწოდათ სახელი: წმ. მამა დავითს — გარეჯელი, შიოს — მღვიმელი, ანტონს — მარტყოფელი, ისეს — წილკნელი, იოსებს — ალავერდელი, თადეოზს — სტეფანწმინდელი, სტეფანეს — ხირსელი, ისიდორეს — სამთავნელი, მიქაელს — ულუმბოელი, პიროსს — ბრეთელი, ზენონს — იყალთოელი და აბიბოსს — ნეკრესელი.

## საჩუქარი



„კვირის პალიტრის“ ტრადიციულ სააღდგომო საჩუქარს თურმე მარტო ჩვენი გაზეთის ერთგული მკითხველი არ ელოდება. ეს საინტერესო წამოწყება ბიზნესის ერთ-ერთი სფეროს წარმომადგენლებისთვისაც მეტად სარფიანი გამხდარა და უკვე მესამე წელია, თბილისის ქუჩებში გამოფენილი ხის ჩარჩოს ხელოსნები მოუთმენლად ელიან აღდგომის მეორე დღის, ორშაბათის გათენებას და ჩვენი გაზეთის პირველი მყიდველებიც სწორედ ისინი ყოფილან. ჩვენი დიალოგი ერთ-ერთ მათგანთან რუსთაველის გამზირზე, „ზემელზე“, ქუჩის გამოფენა-გაყიდვასთან შედგა. აქ „კვირის პალიტრის“ არაერთ მკითხველს შეუძენია თურმე ჩარჩო ღვთისმშობლის ხატისათვის.

— **როდის შეატყვეთ, რომ მუშტარი მოგემატათ?**

— აღდგომის მეორე დღესვე. ისეთი ამბავი იყო, რომ „კვირის პალიტრის“ ღვთისმშობლის ხატის ზომის ჩარჩოების კეთებას ვერ ავუდიოდით.

— **დღეში რამდენ ცალს ყიდდით?**

— 100-150-ს. თანაც მარტო მე ხომ არ ვყიდდი, აქ რამდენი დგას ჩემსავით!

— **ტემპი შენელდა?**

— რასაკვირველია, უკვე თითქმის ორი კვირა გავიდა. შარშან და შარშანწინაც დიდი მოთხოვნილება იყო, მაგრამ წელს ბევრად მეტია.

— **ჩარჩოების არჩევანს სთავაზობთ მყიდველს?**

— გვაქვს გალაქული, გაულაქავი, ღია, მუქი ყავისფერი ჩარჩოები, თანაც იაფად.

— **სხვა დროსაც გყავთ მყიდველი?**

— კი, ყიდულობენ ფოტოებისთვის, ხატებისთვის, ნახატებისთვის, ზოგი ყვავილებსაც აწყობს ჩარჩოში. ამას წინათ ერთი მოვიდა და მთხოვა, — ორი თაგვის და ჩიტის ფიტულები, ქვიშა და ხის ტოტები რომ ჩაეტიოს, ისეთი ჩარჩო დამიმზადე, კომპოზიცია უნდა გავაკეთოო. ერთსაც გველების ჩასასმელად უნდოდა... ათასი ახირებული მოდის.

— **ყველაზე მეტად მაინც ვინ გაგაკვირვათ?**

— ერთი ბიჭი მოვიდა — იმხელა ჩარჩო გამიკეთე, ბებიაჩემის სურათი რომ ჩაეტიოსო. აბა, სურათი მაჩვენე-მეთქი. შინ მაქვსო. მერე როგორ მივხვდე, რა ზომის ჩარჩო გინდა-მეთქი. ბებიაჩემი რა ზომისაცააო, — მიპასუხა. კინაღამ გადავირიე. ეტყობა, შაყირის გუნებაზე ხარ, აქედან დამეკარგე-მეთქი. წავიდა და ერთ საათში გამომეცხადა. რაღაცას მოათრევდა. რა არის-მეთქი. გახსნა ფუთა. მართლა სურათი იყო. ძალიან დიდი ხნისა ჩანდა. ულამაზესი ახალგაზრდა ქალი იყო ფოტოზე. ჩემი დიდი ბებიაა, ხომ მაგარი ნაშააო, — იღრიჭებოდა... მოკლედ, საქმესაც ვაკეთებ და ვერთობი კიდეც ამდენი ხალხის თვალიერებით.

— **ალბათ გაზეთებისაც...**

— არა, ბატონო. გაზეთებში ისეთ რამეებს წერენ, გული გაგისკდება კაცს. ისე, ერთი კი შევნიშნე, სხვა გაზეთებმაც მოგბაძეს...

***ეკა ლომიძე***

# „შემპარდნაძეც რომ მოვიდეს, გზას მაინც არ გავხსნით!..“

25 აპრილის იმ ავადსახსენებელი, დამანგრეველი მიწისძვრის შემდეგ, ვისაც ჩუღურეთის რაიონში მარჯანიშვილის, წინამძღვრიშვილის, ჩუბინიშვილის, ნინოშვილის, კლდიაშვილის, გოგი დოლიძის და კონსტიტუციის ქუჩებზე გაუვლია, აუცილებლად წააწყდებოდა გზაჯვარედინებზე დაყრილ ძველი ავტომობილების ძარებს, ხის დიდ მორებს, ბეტონის ფილებს თუ ლითონის სხვადასხვა კონსტრუქციას. როგორც გავარკვიეთ, ამ ბარიკადების მომწყობნი თავად ამ ქუჩებზე მობინადრეები არიან. ამჯერად გზების გადახერგვის მიზეზი არც უშუქობა, არც დაგვიანებული ხელფას-პენსიები და არც რომელიმე ულირსი ჩინოვნიკის თანამდებობიდან გადაყენების მოთხოვნა ყოფილა. ამ ქუჩებზე, მობინადრეების თქმით, შემზარავი მიწისძვრის შედეგად მათი ნახევრად დანგრეული სახლის კედლები განაგრძობს სკდომას და კვლავ მატულობს ბზარები. ამის მიზეზი კი, როგორც აგვიხსნეს, ავტომობილების, განსაკუთრებით კი სატვირთო ტრანსპორტის მათ ქუჩებზე მოძრაობის შედეგად გამოწვეული ვიბრაციაა, ამას ისიც ემატება, რომ ზოგიერთი სახლის საძირკველი საკანალიზაციო სისტემის მოშლის შედეგად ნახევრად წყალში დგას და როდის ჩამოიშლება საყრდენი კედლები, არავინ უწყის. წინამძღვრიშვილის ქუჩის №73/32-ის მკვიდრი ეთერ ხარაძე საკუთარი საცხოვრებლის ქვეშ მდებარე წყლით დაფარულ ტერიტორიას ხუმრობით ვენეციას უწოდებს. ზემოთ ჩამოთვლილ ქუჩებზე არსებული უმძიმესი ვითარების გაცნობისას ცნობილი შეიქნა, რომ მერიას და სხვა შესაბამის უწყებებს, მოსახლეობის თქმით, დღემდე მათთვის დახმარება არ აღმოუჩენიათ.



გოგი დოლიძის ქ. №23-ში დღემდე ხალხი ცხოვრობს



ბარიკადები მარჯანიშვილისა და წინამძღვრიშვილის ქუჩების გადაკვეთაზე

— აღარავის აღარ გვჯერა, შვილო. დავიღალეთ ტელევიზიით ამდენი დაპირებების მოსმენით... მიწისძვრის პირველი დღეების შემდეგ კაციშვილი აღარ მოსულა აქ... ყველა თავის საქმეს იკეთებს, არჩევნები მოდის და მთელ საქართველოს აჩვენებენ, რომ ვითომ გვეხმარებიან, სინამდვილეში კი ცრუობენ... ყოველდღე ველოდებით უბედურებას, ძილის წინ ამ დახეთქილ კედლებს რომ ვუყურებთ, ღმერთს ვევედრებით, მშვიდობიანი დილა გაგვითენოს... როდემდე უნდა ვიყოთ ასე? — შემოგვჩივლეს ნინოშვილის ქუჩის მობინადრეებმა. ამავე ქუჩის №49-ში მცხოვრები ხანდაზმული ქალბატონის მაია არჩვაძის განცხადებით, მიწისძვრის შემდეგ ქალაქის მერი ვანო ზოდელავა მიბრძანებულა მათთან, დახმარებაც აღუთქვამს, მაგრამ დღემდე რამდენიმესანტიმეტრიანი ბზარების მქონე კედლებსა და დაყირავებულიატაკიან ბინაში ცხოვრობს. ანალოგიური ვითარებაა მარტოხელა პენსიონერის ევდოკია პაპიტაშვილის ბინაშიც, რომელიც მართლაც თავზარდამცემი სანახავია — ჭერი და ერთ-ერთი კედელი იმდენადაა დაშორებული ერთმანეთს, რომ ნაბზარებიდან ოთახში დღის სინათლე შემოდის. გოგი დოლიძის №23-ის საცხოვრებელი სახლის ნახვამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ამ ორსართულიან შენობაში პირველ სართულზე დღემდე ცხოვრობს ხალხი. არადა, რომ იტყვიან, ნაძლევზეც კი არავინ შევა იქ, რადგან ყოველ წუთს, ბიძგების გარეშეც მოსალოდნელია, რომ ხუხულასავით ჩამოინგრეს. რაც შეეხება მოსახლეობის მიერ ქუჩების გადაკეტვის მართებულობას, ამაში ჩვენ თავად დავრწმუნდით, როცა წინამძღვრიშვილის ქუჩის №73/32-ში მცხოვრები ნინო ლეჟავას საცხოვრებელი ბინა დავათვალიერეთ. ქუჩაში ყოველი ავტომობილის გავლისას მთელი ბინა ზანზარებდა და დაბზარულ-დახეთქილი ჭერისა და კედლების შეერთების ადგილიდან გაჯი ნაჭერ-ნაჭერ ცვიოდა. თუმცა როგორც იტყვიან, მედალს ორი მხარე აქვს. წინამძღვრიშვილისა და მარჯანიშვილის ქუჩების გადაკვეთაზე, სადაც მუდამ ინტენსიური მოძრაობაა, ჩვენი იქ ყოფნის ერთი საათის მანძილზე მოსახლეობასა და მძღოლებს შორის ორჯერ გვარიანი შეხლა-შემოხლა მოხდა — მძღოლებმა მუშტი-კრივი გამართეს.

— ორი დღის წინ მეზობლის 4 წლის ბავშვი ავად გახდა — კრუნჩხვები ჰქონდა, სასწრაფო დახმარება გამოვიძახეთ, მაგრამ მანქანამ ჩვენამდე ვერაფრით მოაღწია. ისევ ჩვენ ვიყოჩაღეთ და შემოვლითი გზებით მივედით პოლიკლინიკამდე. ცოტაც რომ დაგვეგვიანა, შეიძლებოდა ყოველივე ცუდად დამთავრებულიყო, — შემომჩივლა ერთმა მძღოლმა, რომელიც საცობის გამო შინ ვერ ბრუნდებოდა. ყოველივე ამას ისიც ემატება, რომ ქუჩებიდან ვეღარ ხერხდება ნაგვის გატანა, რაც იქაური მობინადრეების ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნის — ანტისანიტარიულმა კრებმა დათბობასთან ერთად შესაძლოა ეპიდემიური პრობლემები წარმოშვას. მოსახლეობა მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდება რომელიმე ქუჩაზე ხანძრის გაჩენის შემთხვევაშიც. ამ დროს ყოველ წუთს მნიშვნელობა აქვს.

**(გაგრძელება იხ. გვ. 11)**



## დადიანების სასახლე „ცისფერ გალერეაში“

ერთი კვირაა ქართველი საზოგადოება XX საუკუნის ბომონდის ცხოვრებაში დააბიჯებს, უცხოელი სტუმრები გაოცებას ვერ ფარავენ ექსპონატთა უნიკალურობისა და სილამაზის გამო. „ცისფერი გალერეის“ არსებობის ისტორიაში მართლაც უპრეცედენტო ფაქტი მოხდა — დადიანების სასახლეთა ექსპონატების გამოფენაზე მხოლოდ ერთი კვირის განმავლობაში 25 000 ბილეთი გაიყიდა. თუ გავითვალისწინებთ, რომ დამთვალიერებელთა დიდი ნაწილი პრეზენტაციაზე მოსაწვევებით მივიდა, ჩვენდა სასიხარულოდ დავრწმუნდებით, რომ ჩვენს საზოგადოებას არ დაუკარგავს ინტერესი საკუთარი კულტურის მიმართ.

როგორც გამოფენის ერთ-ერთმა ინიციატორმა გიორგი კალანდიამ განაცხადა, გადაწყდა „დადიანების სასახლეთა ფონდის“ დაარსება, რომელმაც ამ სასახლეთა შეკეთებასა და ექსპონატების რესტავრაციას უნდა შეუწყოს ხელი.



# ჩემი მთავარი კონკურენტი შევარდნაძეა



## ჩვენი სარეკლამო კლიპი 3 ლარი დაჯდა...

პოპულარობის ამპლიტუდა თბილისში რომ ჭორების პირდაპირპროპორციულია, წინასაარჩევნო ვნებათაღელვამაც დაგვანახვა. ახალ-ახალ ამბებს, მეტ-ნაკლებად, ყველა პოლიტიკოსზე შეიტყობთ, მაგრამ თავისთავად ცხადია, განსაკუთრებით პოპულარულები „ჭორბიუროს“ რეიტინგშიც პირველობენ. როგორც „ჭორებისა და კულუარული ინფორმაციების შტაბი“ იუწყება, ზურაბ ჟვანია და მიხეილ სააკაშვილი კვლავ ყურადღების ეპიცენტრში არიანო. რამდენიმე დღის წინ პარლამენტის ექსთავმჯდომარისა და „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერზე ცინცხალი ჭორი გავრცელდა — ზურაბ ჟვანია და მიშა სააკაშვილი ერთ-ერთ ელიტარულ ბარში წაკამათებულანო. ხმამაღალი ლაპარაკი მალე ყვირილში გადაზრდილა. ჟვანია სააკაშვილსა და მის თანამეინახეებს (მაჭავარიანსა და ადეიშვილს) საყვედურობდა, გაპრეზიდენტების შანსი დამაკარგვინეთო... ალბათ მხოლოდ და მხოლოდ მიამიტი ხალხი თუ დაიჯერებს, რომ ასეთი დელიკატური საკითხები ბარებსა და რესტორნებში ირჩევა და თანაც ყვირილით. მაგრამ მაინც გავითვალისწინეთ ხალხური სიბრძნე — „ჭორში ნახევარი სიმართლეა“ და გაგანია წინასაარჩევნო კამპანიაში თავფეხიანად გადაშვებულ **მიხეილ სააკაშვილს** ჭორის კომენტართან ერთად, ბოლო დროს გადატანილი ორთაბრძოლების შესახებაც ვკითხეთ.

— ჯერ ერთი, ელიტარულ ბარებსა და რესტორნებში არ დავდივარ და მეორეც — ვერ ვიხსენებ, როდის ვიყავი სადმე ზურაბ ჟვანიასთან ერთად, — გვიპასუხა ნაციონალისტთა ლიდერმა.

**— პოლიტიკურ კულუარებში ამბობენ, მიხეილ სააკაშვილმა ზურაბ ჟვანიას მოჰპარა ნაციონალური მოძრაობის შექმნის იდეაო.**

— გაერთიანების იდეა არ შეიძლება ვინმეს პრეროგატივა იყოს. ჩვენი გაერთიანება მხოლოდ გაფართოვდება და კონკურენტები ნამდვილად არ ვიქნებით. იმედი მაქვს, ჩვენს გაერთიანებაში ზურაბ ჟვანიაც იქნება. გაერთიანების იდეა არც ჩემი მოგონილია, არც ჟვანიასი და არა მგონია, ზურაბს ამ მხრივ რაიმე პრეტენზია ჰქონდეს. სამწუხაროა, ადგილობრივ არჩევნებამდე რომ ვერ მოესწრო ალიანსის ჩამოყალიბება. ესეც სწორედ იმის გამო მოხდა, რომ ჟვანიას მოლაპარაკება და ურთიერთობის გარკვევა პრეზიდენტთან ძალზე დიდხანს გაგრძელდა.

**— ჩვენთან საუბრისას იმერეთის გუბერნატორმა განაცხადა, — ჟვანია-სააკაშვილი მზად არიან გაწირონ პრეზიდენტი, ოღონდ თვითონ დარჩნენ ხელისუფლებაშიო.**

— შაშიაშვილი ძალზე კომიკური ფიგურაა. როგორ შეიძლება იყო შევარდნაძის გუბერნატორი და ოპოზიციონერობანას თამაშობდე. ეს ძალზე იაფფასიანი კომკავშირული ფანდია. თუ შაშიაშვილს ოპოზიციონერობა უნდა, გამოვიდეს კაბინეტიდან, ჩააბაროს მანქანა, უარი თქვას პრივილეგიებსა და კორუმპირებულ შემოსავლებზე, რომელიც უეჭველად აქვს გუბერნატორს. ზოგი გუბერნატორი ჯამბაზის როლს თამაშობს, ზოგი დიქტატორის, მაგრამ საბოლოოდ ისინი შევარდნაძის მარიონეტები არიან.

**— გასულ კვირას „ნაციონალური მოძრაობა“ მძაფრად დაუპირისპირდა ლევან მამალაძესაც.**

— მამალაძემ და პრეზიდენტმა ლამის ნაცისტებად გვაღიარეს. არადა, ჩვენ ძალიან ბევრი არაქართველი ამომრჩეველი გვყავს. თუ რომელიმე კონკურენტი სახელისუფლებო ჯგუფი არ მომწონს, ეს მათი კორუმპირებულობის გამოა, რომლებიც რაიმე ეთნიკურ ჯგუფად აქამდე არ ჩამოყალიბებულან. ჯერჯერობით, ისინი, ყველანი, ბედკრული საქართველოს შვილები არიან.

სანამ შევარდნაძეა ხელისუფლებაში, მანამდე იქნება მამალაძეც. ამიტომ ის ყოველმხრივ ეცდება შეინარჩუნოს პრეზიდენტი და მისი კეთილგანწყობა. თავის მხრივ, შევარდნაძეც ყველაფერს აპატიებს მამალაძეს, სანამ ის ჩვენ გვებრძვის. მათ შორის არის გარიგება. ასეთივე გარიგება აქვს შევარდნაძეს მეზვრიშვილთან, რეგიონების პოლიციასთან, ზარანდიას ნარკომანებსა და ნებისმიერ, დავუშვათ, ქიბროწაშვილის დაჯგუფებასთან. ეს იმაზე მეტყველებს, რომ მთავრობას კრიმინალური დაჯგუფებების გარდა, დასაყრდენი აღარ დარჩა. საგანგაშოა, რომ დესტაბილიზაციის წყარო ხელისუფლება და მისი ჩინოვნიკები არიან, რომლებიც ყველაფერს პარტიებს აბრალებენ და აცხადებენ, — პარტიები ხალხს მობეზრდაო. ამას თავისი მიზანი აქვს, — ხალხი გაპასიურდეს და პრეზიდენტმა კიდევ 10 წელი მართოს ქვეყანა.

ჟვანიასა და მამალაძის დაპირისპირება სინამდვილეში შევარდნაძე-ჟვანიას დაპირისპირებაა. უბრალოდ, ჟვანიას გაუჭირდა ამისთვის სახელის დარქმევა. ნამდვილად არ უარვყოფ ჩემსა და მამალაძის დაპირისპირებას. მნიშვნელობა არ აქვს, პრეზიდენტს გუბერნატორად მამალაძე ეყოლება, ქათამაძე თუ სხვა გვარის კაცი. მთავარი ის არის, რომ ისინი ჩინოვნიკები არიან, რომელთა მოხსნა ნებისმიერ დროს შეუძლია და რომლებიც მის ნებას ასრულებენ. საკმარისია, ეს

> ჩვენ არ გადაგვიღია 100-ათასდოლარიანი კლიპები. კლიპი, თუ როგორ აყენებს შევარდნაძე შეურაცხყოფას პენსიონერს, 3 ლარი დაჯდა. არც ერთი კლიპი რთული ტექნიკით არ გადაგვიღია. ეს არის 3-ლარიან კასეტაზე გადატანილი არსებული ვიდეომასალის კოლაჟი.

ხალხი თანამდებობიდან მოხსნას, მათი არსებობა ყველას დაავიწყდება. სამაგიეროდ, უკანასკნელი მთავრობის 10 სხდომიდან 7 ჩვენ მოგვიძღვნა პრეზიდენტმა. ქალაქში დავალება აქვს მიცემული შევარდნაძეს სხვადასხვა ორგანიზაციისთვის, რომ არჩევნებში ყველა პარტია გავიდეს, გარდა „ნაციონალური მოძრაობისა“. მას ეშინია, რომ საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებსაც ჩვენ მოვიგებთ. ეს ფაქტი პრეზიდენტის ზნეობრივ და ცხოვრებისეულ შეხედულებებზე მეტყველებს — თუ მოხელე განუდგება და მის წინააღმდეგ ხმას ამოიღებს, მაშინვე უნდა ამოატივტივოს კომპრომატები, მაგრამ ჩემს შემთხვევაში, კოვზი ნაცარში ჩაუვარდა.

**— მამალაძე თქვენს ამერიკულ განათლებას ეჭვით უყურებს. აცხადებს, საზღვარგარეთ სასწავლებლად მხოლოდ „კგბ“-ს შერჩევით მიდიოდა ხალხიო.**

— არც მე მიშვებდნენ საბჭოთა პერიოდში. სასწავლებლად 1990 წელს დამოუკიდებელმა საქართველომ გამიშვა. მამალაძისნაირი კაცისთვის, რომელსაც ზოოვეტერინარული ინსტიტუტის გარდა, არსად უსწავლია, ძნელია განათლებაზე ლაპარაკი. ბევრი გუბერნატორი უშეცდომოდ განცხადებასაც ვერ წერს ქართულად. აი, ასეთი ხალხი ჰყავს გარშემო შევარდნაძეს.

**— წინასაარჩევნო კამპანიის დროს „ნაციონალური მოძრაობა“ კლიპების სიმწირეს არ უჩივის, მაშინ როდესაც საკმაოდ შეძლებულმა პარტიებმა უარი თქვეს ამ ძვირად ღირებულ სიამოვნებაზე...**

— ყოველდღე ვუყურებ ამ პარტიების რეკლამას ტელევიზიით, გაზეთებშიც მთელი გვერდები აქვთ ნაყიდი, რაც იაფი ნამდვილად არ არის. ჩვენ არ გადაგვიღია 100-ათასდოლარიანი კლიპები. კლიპი, თუ როგორ აყენებს შევარდნაძე შეურაცხყოფას პენსიონერს, 3 ლარი დაჯდა. არც ერთი კლიპი რთული ტექნიკით არ გადაგვიღია. ეს არის 3-ლარიან კასეტაზე გადატანილი არსებული ვიდეომასალის კოლაჟი. საარჩევნო კამპანია ბევრმა ჩვენმა თანამოაზრემ საკუთარი სახსრებით დააფინანსა. ჩვენ შიშველი ხელებით არ მოვსულვართ — გვაქვს საჩვენებელი, მაგრამ რა კლიპი უნდა აჩვენოს ზოგიერთმა გუბერნატორმა? ის ხომ არა, როგორ მოიპარა ფული და რომელ უცხოურ ბანკში განათავსა?!

**— ბოლო დროს ხშირად გაიგონებთ — ხელისუფლებაში ოლიგარქები მოდიანო. ეს ხალხი ხომ არ გახდება მალე შევარდნაძის საყრდენი?**

— ამ ხალხმა ძველ საბჭოთა ქარხნებს გაუკეთა პრივატიზება და გაცილებით ნაკლები მუშახელი დაასაქმა საწარმოებში, ვიდრე კომუნისტების დროს იყო. ამიტომ არ უნდა აყვედრიდნენ მოსახლეობას, — სამუშაო ადგილები შეგიქმენითო. მიუღებელია მათი პრეტენზია, — ჩვენ უნდა ვმართოთ საქართველოო. 14-ლარიან პენსიონერს ისეთივე უფლება აქვს მართოს საქართველო, როგორიც „კოკა-კოლას“ პრეზიდენტს. ცივილიზებულ ქვეყნებს ბიზნესმენები არ მართავენ, მაგრამ ბიზნესმენები მართავენ ნიგერიას, ჩადს, მოზამბიკს. თუ საქართველოს მართვას ბიზნესმენები დაიწყებენ, ის ძალიან მალე ბანანის რესპუბლიკად იქცევა.

**— ზოგიერთი პარტიის ლიდერი პლაგიატობას გწამებთ — ჩვენს ლოზუნგებს ფონოგრამით იმეორებენო.**

— პოლიტიკა არ არის სიმღერა, რომ მუსიკა დაწერო და შეასრულო. პოლიტიკაში ლოზუნგებს არ შეიძლება ავტორი ჰყავდეს. ავტორი შედეგებს ჰყავს. ჩემი მთავარი კონკურენტი კი შევარდნაძეა.

# „მოქალაქეთა კავშირში მათ არ უნდათ ისეთი ხალხის მისვლა, ვინც მათ ფინანსურ მაქინაციებს ფარდას ახდის...“

როგორც ჩანს, ნაციონალისტურმა მოძრაობამ ქვეყნის გადარჩენა ხელისუფლებიდან შევარდნაძის და მამალაძის ჩამოცილებით განიზრახა. სააკაშვილის ლოზუნგს „საქართველო შევარდნაძის გარეშე“ რუსთავში ხმაურიანი რეზონანსი მოჰყვა — სააკაშვილის მომხრე რუსთაველები მამალაძის გარეშე ითხოვენ ცხოვრებას...

როგორც ცსკო-ს წინ გამართულ მიტინგზე, ამჯერადაც მამალაძის ინტერესებს „სისხლის უკანასკნელ წვეთამდე“ იცავდნენ ბოლნისელი, სადახლოელი და მარნეულელი აზერბაიჯანელები. სააკაშვილისა და მამალაძის მომხრეებს შორის ხანმოკლე ცემა-ტყეპა და მუშტი-კრივიც ცხვირ-პირის დამტვრევითა და პერანგების შემოხევით დასრულდა. ამის შემდეგ „ნაციონალისტები“ ქალაქის თეატრის შენობაში გამაგრდნენ და „მამალაძისტები“ პოლიციის ძალით მოიგერიეს.

**გიორგი ხევიაშვილი, პარლამენტარი:**

„ნაციონალური მოძრაობა — დემოკრატიულმა ფრონტმა“ ხელმოწერების შეგროვება დაიწყო რუსთავის საგუბერნიო დაქვემდებარებიდან გამოყოფისთვის, გვინდა მას სამხარეო ადმინისტრაციისა და გუბერნატორის უღელი მოვაცილოთ. რუსთავი სამრეწველო ქალაქია და არავითარი შუალედური რგოლი არ სჭირდება სხვადასხვა სამინისტროსთან და უწყებასთან ურთიერთობისთვის. ქალაქს არ აქვს საგამოძიებო, ძალოვანი და სატრანსპორტო სტრუქტურები. ამ ფუნქციას გუბერნატორის დაქვემდებარებაში მყოფი სამსახურები ასრულებენ, რის გამოც ხშირად პრობლემები იქმნება.

> პოლიტიკაში მოსვლას მამალაძეს ნამდვილად არ ვუმადლი. სწორედ ლევან მამალაძე იყო წინააღმდეგი, რომ მოქკავშირის სიაში ჩავეწერე.

**— თქვენი მომხრეების მოთხოვნა — „რუსთავი მამალაძის გარეშე“ — ჟვანია-მამალაძის დაპირისპირების გაგრძელებად აღიქვეს.**

— ამ საკითხზე დიდი ხნის წინ დავიწყეთ ფიქრი, მაგრამ ბოლოდროინდელმა მოვლენებმა დააჩქარა ეს პროცესი. მამალაძის მომხრეებმა იცოდნენ, რომ ამ საკითხის წამოწევას ვაპირებდით და ყველანაირად ეცადნენ ჩვენი მოძრაობის სიების პრეზენტაცია ჩაეშალათ. დარწმუნებული ვარ, ყველა რუსთაველი დაუჭერს მხარს ჩვენს მოთხოვნას. გვინდა გვყავდეს არჩეული მერი და საკრებულო, რომელსაც ვერავინ გააკონტროლებს. მალე პრეზიდენტს გადავცემთ წერილს და რუსთაველთა ხელმოწერებს. თუ ქვეყნის მეთაური ჩვენს მოთხოვნას არ გაითვალისწინებს, უკიდურეს ზომებს მივმართავთ — გადავკეტავთ გზებს და ცენტრალური ხელისუფლებისა და გუბერნიის არც ერთ წარმომადგენელს რუსთავში არ შემოვუშვებთ. მამალაძესაც, რომელიც კოჯრიდან დაბრძანდება რუსთავში, უკან მოუწევს გაბრუნება.



**— ბატონო გიორგი, ქვემო ქართლის გუბერნატორის მომხრეები ამბობენ, რომ თქვენი პოლიტიკაში მოსვლა სწორედ მამალაძის დამსახურებაა.**

— რა სისულელეა... პოლიტიკაში მოსვლას მამალაძეს ნამდვილად არ ვუმადლი. სწორედ ლევან მამალაძე იყო წინააღმდეგი, რომ მოქკავშირის სიაში ჩავეწერე...

ქვემო ქართლის გუბერნატორი, რომელიც ბოლო დროს ხშირად ხვდება პოლიტიკური სკანდალების ეპიცენტრში, თავის სამფლობელოში ატეხილ ხმაურს ძველი თანაგუნდელების დამსახურებად თვლის.

**ლევან მამალაძე:**

რადგან ჟვანია-სააკაშვილის გუნდის კრიმინალური საქმიანობა ვამხილეთ, ამიტომ მოხდა კონფრონტაცია. ვიცი მათი პოლიტიკური მიზანი — საზოგადოება დააპირისპირონ და გამოკვებონ ფაშისტური იდეოლოგიით. მათ ჩვენ დავუპირისპირებთ სერიოზულ მოძრაობას — „საქართველო ფაშიზმის გარეშე“. ეს გუნდია სწორედ საქართველოს დაშლის სცენარის შემსრულებელი. ეს რომ საჯაროდ განვაცხადე, ზურაბ ჟვანია დამიპირისპირდა, მერე კი სააკაშვილი ჩაერთო პროცესებში.

**— ალბათ ისიც გეცოდინებათ, ვის შეკვეთას ასრულებს ეს გუნდი.**

— არანაირი ამერიკული კავშირები ამ ჯგუფს არ აქვს. ისინი ასრულებენ რუსეთის გეგმას და ამისთვის საკმაო თანხებსაც იღებენ. 482 მლნ თითქოს დასავლეთიდან შემოსული გრანტი სინამდვილეში საქართველოდან მოპარული ფული იყო. უნდა გაირკვეს, რა თანხებით დაბეჭდა სააკაშვილმა თავისი წიგნი. ვინ აფინანსებს მის ძვირად ღირებულ საარჩევნო კლიპებს. რამდენჯერ გახსნეს რუსთავის კოლონია, როგორ ცდილობდა სააკაშვილი I და II ენერგობლოკების გაყიდვას და მადნეულში როგორ მიათვისებინა ავსტრალიელებს 10 მლნ დოლარი. ლოზუნგები „საქართველო შევარდნაძის გარეშე“, „რუსთავი მამალაძის გარეშე“ — სინამდვილეში სახელმწიფო გადატრიალებისა და ხელისუფლების დამხობისკენ მოწოდებაა. წესით, ასეთი ლოზუნგები ადგილობრივ არჩევნებში არ უნდა ფიგურირებდეს, მაგრამ ამით არჩევნების კი არა, ქვეყნის დაშლის ინტერესი აქვთ. ამაზე დოკუმენტური მასალა მაშინ დაიდება, როდესაც ნოემბრის მოვლენებს გამოიძიებენ. ეს ღონისძიებაც რუსეთიდან იყო დაგეგმილი და დაფინანსებული. რუსებმა მილიონობით თანხა ჯერ არჩევნების წინ მისცეს ამ ჯგუფს, მერე კი შენიღბულად უმართავდნენ ხელს. ამიტომ არ უნდათ მათ მოქალაქეთა კავშირში ისეთი ხალხის მისვლა, ვინც მათ ფინანსურ მაქინაციებს ახდის ფარდას.

**— მოკლედ, ხელისუფლებისათვის ყველა მეთოდით იბრძვით...**

— ხელისუფლებაში უკვე ვარ და მეტი პრეტენზია არ მაქვს. პრეტენზია მათ მიმართ მექნება, ვისაც ქვეყნის დაქცევის ხარჯზე უნდათ ხელისუფლებაში მოსვლა.

**— პრეზიდენტი ძალზე ახლოს იყო ჟვანიასთანაც და სააკაშვილთანაც... არ ფიქრობთ, რომ შესაძლოა ერთ დღეს თქვენც აღარ იყოთ პრეზიდენტის გარემოცვაში და შევარდნაძემ თქვენც შორეულ დისტანციაზე „გაგწიოთ“?**

> რადგან ჟვანია-სააკაშვილის გუნდის კრიმინალური საქმიანობა ვამხილეთ, ამიტომ მოხდა კონფრონტაცია. ვიცი მათი პოლიტიკური მიზანი – საზოგადოება დააპირისპირონ და გამოკვებონ ფაშისტური იდეოლოგიით. მათ ჩვენ დავუპირისპირებთ სერიოზულ მოძრაობას – „საქართველო ფაშიზმის გარეშე“. ეს გუნდია სწორედ საქართველოს დაშლის სცენარის შემსრულებელი.

— არავისთან დისტანცია და დაახლოება არ მჭირდება... ეს სიტუაცია კუს და მორიელის იგავს მაგონებს. როგორ უნდა დაგესლო კაცი, რომელიც საშუალებას მოგცემს ცნობილი გახდე და ქვეყნისთვის რამე გააკეთო. პრეზიდენტის მიმართ პატივისცემას კი არა, ელემენტარულად უმცროს-უფროსობის წესს არ იცავენ. უმადურობა კლავს ამ ქვეყანას.

***გვერდი მოამზადა იზო რიკაძემ***

# ფოთის ნავსადგურის მუშები კი ვიწამლებით, მაგრამ შიმშილით სიკვდილს ისევ ეს გვირჩევნია



პარადოქსი — საპორტო ქალაქში ჰიდრომეტეოროლოგიური სადგური გაუქმებულია(!)

თებერვლის ბოლოს ქალაქი ფოთი ნისლივით თეთრმა მტვერმა დაფარა. მოსახლეობას ცრემლდენა და ხველება დაეწყო, განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში ალერგიით დაავადებული ხალხი აღმოჩნდა. ქალაქში ხმა გავარდა: ნავსადგურში ამწეს მომწამლავი ნივთიერებებით სავსე კონტეინერი დაუვარდა და იქიდან აორთქლებული შხამით ვიწამლებითო. მოსახლეობა პანიკამ მოიცვა, მაგრამ მალე ქარი ჩადგა და ნისლიც, რომელმაც ფოთელები ასე შეაშინა, გაიფანტა. ეგ იყო მხოლოდ, რომ მცენარეებზე და ქუჩებში — ასფალტზე თეთრი ფხვნილის ფენა დარჩა, რომელიც როგორც შემდგომში გაირკვა, ალუმინის ოქსიდის, იმავე გლინოზიუმის მტვერი ყოფილა. ნავსადგურის ხელმძღვანელობას გემის გადმოტვირთვისას ქარის სიძლიერე არ გაუთვალისწინებია. თავის მხრივ, მტვირთავებს ტექნიკური ნორმებიც დაურღვევიათ და ალუმინის მტვერი ქალაქს მოსდებია. თუმცა ნავსადგურთან ახლოს მცხოვრებ ფოთელებს არ შეშინებიათ, რადგან ისინი თვეში ორ-სამჯერ მაინც, როცა ალუმინის ოქსიდით დატვირთული გემი ნავსადგურში შემოდის, ამ მტვერს საკმარისზე მეტს ყლაპავენ.

## წერილი ფოთიდან

(სტილი დაცულია)

„ამ წერილს ქალაქ ფოთის სავაჭრო ნავსადგურთან ახლოს მცხოვრები მოქალაქეები გწერთ. ჩვენ თქვენი გაზეთის აქტიური მკითხველები გახლავართ. განსაკუთრებული ყურადღებით ამ უკანასკნელ პერიოდში თქვენს გაზეთში იმ სტატიებს ვკითხულობთ, რომელიც გარემოს დაცვის პრობლემებს ეძღვნება, რადგანაც ჩვენც ეს პრობლემა ძალიან გვაწუხებს, გვაწუხებს კი არა გვწამლავს. სწორედ ამ მდგომარეობამ გადაგვაწყვეტინა მოგვემართა დახმარებისათვის და მხოლოდ თქვენი იმედი დაგვრჩა, რადგან დღემდე, მიუხედავად იმისა, რომ არაერთ სახელისუფლებო სტრუქტურას მივმართეთ და ჩვენი გაჭირვება შევჩივლეთ, არაფერი არ შეცვლილა. დახმარება ვერც არასამთავრობო ორგანიზაციებმა გაგვიწიეს და ვერც თქვენმა კოლეგებმა.

საქმე იმაშია, რომ ფოთის ნავსადგურში თითქმის ყოველდღე მიმდინარეობს შემოსული გემების დატვირთვა-გადმოტვირთვის ოპერაციები. მათ შორის პორტში ჯანმრთელობისათვის ძლიერ საშიში ნივთიერებების გადმოტვირთვაც ხდება, რომლის დროსაც ირღვევა ელემენტარული სანიტარული უსაფრთხოების და ტექნიკური ნორმები, რის შედეგადაც ჰაერში იფანტება შხამიანი მტვერი. ამ დაბინძურებულ ჰაერს შემდეგ ჩვენ ვსუნთქავთ, აგრეთვე, ჰაერიდან ხდება წყლის და ნიადაგის გაჯერება მავნე, შხამიანი ნივთიერებებით, რომელიც კვლავ ჩვენს ორგანიზმში ხვდება.

ყოველივე ეს გახლავთ მიზეზი იმისა, რომ ფოთში უკანასკნელ პერიოდში თითქმის 6-7-ჯერ იმატა სასუნთქი ორგანოების მძიმე დაავადებებმა, განსაკუთრებით კი ბავშვებში.

ჩვენ ოფიციალურად რამდენჯერმე მივმართეთ ამის თაობაზე საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრს ნინო ჩხობაძეს. ის შეგვპირდა დახმარებას. მართლაც, ჩამოვიდნენ სამინისტროს წარმომადგენლები. აიღეს ჰაერის, წყლის, ნიადაგის სინჯები. იმედი მოგვეცა, რომ მართლაც რაღაცა გაკეთდებოდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ერთი კარგად, მამაპაპურად იქეიფეს ნავსადგურის ხელმძღვანელობასთან ერთად (რა თქმა უნდა, რესტორნის ხარჯი ნავსადგურის ხელმძღვანელობამ იკისრა), ეს იმედიც გაგვიქრა. შემმოწმებლები უკანმოუხედავად თბილისისაკენ გაემგზავრნენ. როგორც მოსალოდნელი იყო, სამინისტროდან არაფერი პასუხი არ მიგვიღია. ის მაინც გაეგებინებინათ, რა უჩვენა ანალიზებმა, მართლა ვიწამლებით თუ არა? მართლა საშიშია თუ არა ალუმინის ფხვნილით გაჯერებული ჰაერის სუნთქვა, რომლითაც ქარიან დღეებში ჩვენი ეზოები თეთრადაა გადაფითქინებული. ჩვენ ჩვენი ძალებით მხოლოდ ის გავარკვიეთ, რომ ალუმინის ფხვნილის გადმოტვირთვა გემიდან ქარიანი ამინდის დროს სასტიკადაა აკრძალული, მაგრამ იმის გამო, რომ გემი არ მოაცდინონ, ნავსადგურის ხელმძღვანელობა არად დაგიდევთ როგორი ამინდია. იქნებ თქვენ გაარკვიოთ, რითი ვიწამლებით და რატომ და ვინ აგებს პასუხს ყოველივე ზემოთ აღნიშნულზე. პატივისცემით ჯავახიშვილის და ქუჩიშვილის ქუჩის მცხოვრებლები“ (ათი ხელმოწერა).

> „თქვენ არ იცით, თუ რა დაავადება შეიძლება გამოიწვიოს მანგანუმის მტვერმა — იგი პარკინსონის დაავადების გამომწვევია და ჰაერში მისი ოდნავ მომატებაც გამოუსწორებელ შედეგამდე მიგვიყვანს“...

## იწამლებით, მაგრამ არ იწამლებით

როგორც ჟურნალისტური გამოძიებით გაირკვა, ფოთში ორი სანიტარული სამსახური მოქმედებს. ერთია ქალაქ ფოთის სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის საქალაქო ინსპექცია და მეორე — სახელმწიფო საზღვრის გამტარ პუნქტებზე სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის ინსპექციის, ფოთის ნავსადგურის საკარანტინო ზედამხედველობის სამმართველო. სანამ ამ სამსახურების ხელმძღვანელთა კომენტარებს გაგაცნობდეთ, ჯერ თბილისში მოძიებული მასალებით დავიწყოთ.

თავდაპირველად დავუკავშირდით სახელმწიფო საზღვრის გამტარ პუნქტებზე, სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის ინსპექციის უფროსს დავით გაგუას, რომელსაც ერთი კითხვით მივმართეთ: მართლა იწამლებიან თუ არა ფოთელები?

**დავით გაგუა**: „სახელმწიფო სტანდარტის თანახმად, გლინოზიუმი (ალუმინის ოქსიდი) განეკუთვნება V კლასის, ანუ ნაკლებსახიფათო საშიშროების ჯგუფის ნივთიერებებს. სახელმწიფო სტანდარტის მიხედვით, გლინოზიუმის ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია სამუშაო ზონაში, ე.ი. ნავსადგურის ტერიტორიაზე შეადგენს 6 მგ/კუბმ-ს, ხოლო დასახლებულ ადგილებში ატმოსფერულ ჰაერში გლინოზიუმით დაბინძურების უსაფრთხო საორიენტაციო დონე შეადგენს 0.04 მგ/კუბმ-ს. ფოთის ნავსადგურში პერიოდულად წარმოებს გემებში მანგანუმის მადნის ჩატვირთვა-გადმოტვირთვის ოპერაციებიც. მანგანუმის მადანი განეკუთვნება ძლიერ საშიშ ნივთიერებათა ჯგუფს. გარდა ამისა, ფოთის ნავსადგურში გამოიყოფა მარილისა და ხორბლის მტვერი, რომელიც ასევე საშიშ ნივთიერებათა ჯგუფს მიეკუთვნება“.

**— თქვენი პასუხი ხომ არ ნიშნავს იმას, რომ სწორედ მანგანუმის მადნის და სხვა ძლიერ საშიშ ჯგუფს მიკუთვნებული ნივთიერებების მტვერი წამლავს მოსახლეობას?**

— ალბათ, ასეცაა. ზუსტ პასუხს ვერ გაგცემთ... ფოთის სასამართლომ, რომელსაც ჩვენმა სამსახურმა არაერთხელ მიმართა შუამდგომლობით — შემოწმებისა და ანალიზების აღების თაობაზე, უარი განგვიცხადა. იყო შემთხვევები, როცა სასამართლოს შემოწმების ნება მაშინ დაურთავს ჩვენთვის, როცა გემი უკვე ჩამოტვირთული ყოფილა და ტვირთიც წაღებული დანიშნულებისამებრ. თუმცა, ჩვენ სასამართლოს ნებართვის გარეშე მაინც შევამოწმეთ საშიში ნივთიერებების კონცენტრაცია ჰაერში და აქტიც შევადგინეთ, მაგრამ იმის გამო, რომ ჩვენი ქმედება უკანონო იყო (დაირღვა „კანონი მეწარმეთა შესახებ“, რომლის თანახმადაც, შემოწმების უფლება მხოლოდ სასამართლოს დადგენილების მიღების შემდეგ გვაქვს), ამიტომ აქტის შინაარსსაც ვერ გაგაცნობთ. რაც შეეხება გლინოზიუმს, გეტყვით, რომ მისი დატვირთვა-გადმოტვირთვა აკრძალულია, თუ ქარის სიჩქარე აღემატება 4 მეტრს წამში. გლინოზიუმის გადმოტვირთვისას ნავსადგურში დღეისათვის დამტვერიანების დონის შესამცირებლად კომპლექსური ღონისძიებების გატარების საკითხი გადაწყვეტილი არ არის. ამდენად, გლინოზიუმის გადმოტვირთვაზე დასაქმებული პირებისათვის სასუნთქი გზებისა და კანის ინდივიდუალური დამცავი საშუალებების და სათვალეების გამოყენება აუცილებელ პირობას წარმოადგენს. გლინოზიუმის წარმოებაში დასაქმებულ მუშათა შორის გახშირებულია ზემო სასუნთქი გზების კატარის შემთხვევები, ხშირია ღრძილებიდან სისხლის დენა, პირისა და ცხვირის ღრუს სიმშრალე, ხმის ჩახლეჩა, ცრემლდენა და თვალების ტკივილი, მადის დაქვეითება. ვითარდება ქრონიკული ბრონქიტი, რომელიც ხშირად რთულდება ასთმური კომპონენტებით. 2-10 წლის მუშაობის სტაჟის მქონე მუშები ხშირად უჩივიან მსუბუქ ხველას, მკერდის უკანა და ფილტვის არის ტკივილებს. გლინოზიუმის მტვერთან ხანგრძლივი კონტაქტის დროს შეიძლება განვითარდეს ფილტვის ფიბროზი და ალუმინოზი.

**— თქვენ იმდენი დაავადება ჩამოთვალეთ, რომ როგორ შეიძლება ალუმინის ოქსიდს, ანუ იმავე გლინოზიუმს ნაკლებად სახიფათო უწოდოთ?**

— იმიტომ, რომ თქვენ არ იცით, თუ რა დაავადება შეიძლება გამოიწვიოს მანგანუმის მტვერმა — იგი პარკინსონის დაავადების გამომწვევია და ჰაერში მისი ოდნავ მომატებაც გამოუსწორებელ შედეგამდე მიგვიყვანს...

როგორც ინსპექციაში გავარკვიეთ, მათი ვარაუდით, ნავსადგურში მანგანუმის მადნის ჩატვირთვა-გადმოტვირთვის პროცესში ატმოსფეროში ნორმაზე მეტი მანგანუმის მტვერი იფრქვევა. საზღვრის გამტარ პუნქტებზე სანიტარული ზედამხედველობის ინსპექციის უფროსთან საუბრის შემდეგ, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მივაკითხეთ. სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს ხელმძღვანელმა ამაყად დამიდო მაგიდაზე გარემოს დაცვის ინსტიტუტის „ქალაქ ფოთის ნავსადგურისა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე ატმოსფეროში, წყალში და ნიადაგში ალუმინის ოქსიდის (გლინოზიუმის) შემცველობის განსაზღვრაზე ჩატარებული ანგარიში“, თანაც დასძინა, მიმდინარე წლის თებერვალში, როცა გლინოზიუმის გადმოტვირთვის ნორმები და წესები დაირღვა და ქალაქს ალუმინის სმოგი დააწვა, ჩვენ ოპერატიულად გავაგზავნეთ გარემოს დაცვის ინსტიტუტის თანამშრომლები მდგომარეობის შესასწავლადო. ინსტიტუტის ანგარიშში ვკითხულობთ: „გაზომვები ჩატარდა №8 ნავსადგომთან, სადაც ხდებოდა ალუმინის ოქსიდის ჩატვირთვა გემიდან ბუნკერში ჰერმეტული ტიპის გრეიფერების საშუალებით, ქარის სიჩქარე იყო 2,3 მ/წამში. ატმოსფერული სინჯები საანალიზოდ აღებულ იქნა რვა წერტილში. №1 წერტილი მდებარეობდა უშუალოდ ვაგონის თავზე, რომელშიც ალუმინის ოქსიდი ბუნკერიდან ქსოვილის სახელურების საშუალებით იყრებოდა. იმ წერტილში ალუმინის ოქსიდის კონცენტრაცია შეადგენდა 20 მგ/ კუბმ-ს, რაც ზღვრულად დასაშვებ ნორმას აღემატებოდა 3,3-ჯერ. მეორე წერტილში, იმავე ვაგონის მეორე მხარეს ალუმინის კონცენტრაცია ჰაერში შეადგენდა 15 მგ/კუბმ-ს. მისი კლება გამოწვეულია ქარის მიმართულების შეცვლის გავლენით.“ ანგარიშიდან ჩანს, რომ მიუხედავად სუსტი ქარისა, სამუშაო ზონაში, თითქმის ყველგან, დასაშვებ ნორმაზე დაახლოებით 3-ჯერ იყო მომატებული ალუმინის ოქსიდის შემცველობა ატმოსფეროში; ხოლო ნავსადგურის გარეთ, საცხოვრებელ კორპუსებთან იგი უმნიშვნელოდ იყო მომატებული. ალუმინის ოქსიდი არ აღმოჩნდა არც წყალსა და არც ნიადაგში. ინსტიტუტის თანამშრომლებმა ანალიზების შედეგების საფუძველზე ნავსადგურს რეკომენდაციები მისცეს, რაც ანგარიშშიც არის დაფიქსირებული: „ვინაიდან ატმოსფერულ ჰაერში (სამუშაო ადგილზე) ალუმინის ოქსიდის კონცენტრაცია აღემატება დასაშვებ ნორმას, ამიტომ მუშებმა ჩატვირთვის დროს უნდა იმუშაონ რესპირატორებით. ჩატვირთვა ვაგონებში არ უნდა ხდებოდეს მაშინ, როცა ქარის სიჩქარე აღემატება 7-8 მეტრს წამში, რათა არ მოხდეს ალუმინის ოქსიდის მტვრის გაბნევა ნავსადგომის ტერიტორიასთან ახლოს დასახლებულ პუნქტებში. ჰაერის, წყლის და ნიადაგის დაბინძურება არ მოხდება იმ შემთხვევაში, თუ დაცული იქნება ტექნოლოგიური პროცესები. ამავე დროს ცნობილია, რომ ალუმინის ოქსიდი (გლინოზიუმი) არ არის მომწამლავი — ატმოსფერულ ჰაერში მისი ზღვრულად დასაშვები ნორმაც კი არ არის განსაზღვრული. ამიტომ იმ შემთხვევაშიც კი, როცა სამუშაო ადგილზე გადაჭარბებით მოხდება ალუმინის მტვრის ჩასუნთქვა, ეს არ გამოიწვევს ფილტვების დისფუნქციას“.

> „ეს ნივთიერება, რომელსაც ზესტაფონის ფეროშენადნობი ქარხნის მიმდებარე ტერიტორიაზე მოიპოვებენ და შემდეგ ფოთის ნავსადგურიდან აგზავნიან, ბევრად, დაახლოებით 10-ჯერ მაინც საშიშია, ვიდრე გლინოზიუმის ჰაერში გაფრქვევა და მისით დაბინძურებული ჰაერის სუნთქვა. ჩვენ საგანგებოდ წამოვიღეთ სილიკო- მანგანუმის სინჯები, იგი ლაბორატორიულად შევამოწმეთ და მასში რადიაციის დონე სახიფათოზე მეტი აღმოვაჩინეთ“.

რა თქმა უნდა, გაგვაოცა ანგარიშში მოცემულმა დასკვნამ, ღრმად პატივცემული მეცნიერები რომ წერენ: „ატმოსფერულ ჰაერში მისი ზღვრულად დასაშვები ნორმაც კი არ არის განსაზღვრული“. არადა, იმავე ანგარიშში გლინოზიუმის ატმოსფეროში ზღვრულად დასაშვებ ნორმად მითითებულია 6 მგ/კუბმ. ან რა ვუყოთ დავით გაგუას მტკიცებას იმის შესახებ, რომ სტანდარტის ნორმატიული დოკუმენტის მიხედვით (12.1.005-58) ამ ნივთიერების ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია სამუშაო ადგილზე არ უნდა აღემატებოდეს 6 მგ/კუბმ-ს, ხოლო სამუშაო უბანს გარეთ, ანუ საცხოვრებელ ტერიტორიაზე 0,04 მგ/ კუბმ-ს. ამასთან, ისიც უნდა ითქვას, რომ გარემოს დაცვის ინსტიტუტის თანამშრომლების ფოთში სტუმრობა, გლინოზიუმის ჰაერში კონცენტრაციის შესამოწმებლად, ნავსადგურის ხელმძღვანელობამ წინასწარ იცოდა და, ბუნებრივია, თავის დაზღვევა მოახერხეს.

## გარემოს დაცვის ინსტიტუტი თავის სამინისტროს ბრალს სდებს

ჩვენ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გარემოს დაცვის ინსტიტუტის თანამშრომლებს დავუკავშირდით. კერძოდ, მათ, ვინც ფოთის ნავსადგურში ატმოსფეროში გლინოზიუმის შემცველობა განსაზღვრა და ინსტიტუტის დირექტორის მოადგილის, მაია ჯავახიშვილის თანდასწრებით გავესაუბრეთ. გარემოს დაცვის ინსტიტუტის კომპლექსური ბიოქიმიური ლაბორატორიის გამგე **ნანი ნასყიდაშვილი**: „ფოთში, როცა ჩვენ ჰაერის სინჯების ასაღებად გავემგზავრეთ, ქარი არ ყოფილა. ამიტომაც ნავსადგურის გარეთ ალუმინის ოქსიდის კონცენტრაცია ნორმაზე ზემოთ არ დაფიქსირდა. თუმცა უნდა ვთქვა, რომ ხეების ფოთლები თეთრად იყო გადაფიფქული. თუ ნავსადგურში ჩატვირთვა-გადმოტვირთვის ტექნოლოგიურ პროცესებს დაიცავენ, საშიში არაფერია. მაგრამ საინტერესო ის გახლავთ, რომ მე, თავის დროზე, როგორც მეცნიერმა ერთი ამბავი ავტეხე მეორად სილიკო-მანგანუმთან დაკავშირებით. ეს ნივთიერება, რომელსაც ზესტაფონის ფეროშენადნობი ქარხნის მიმდებარე ტერიტორიაზე მოიპოვებენ და შემდეგ ფოთის ნავსადგურიდან აგზავნიან, ბევრად, დაახლოებით 10-ჯერ მაინც საშიშია, ვიდრე გლინოზიუმის ჰაერში გაფრქვევა და მისით დაბინძურებული ჰაერის სუნთქვა. ჩვენ საგანგებოდ წამოვიღეთ სილიკო-მანგანუმის სინჯები, იგი ლაბორატორიულად შევამოწმეთ და მასში რადიაციის დონე სახიფათოზე მეტი აღმოვაჩინეთ. ეს განვაცხადე გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში, კონფერენციაზე, მაგრამ ჩემი განცხადება ყურად არავინ იღო და მიაჩუმათეს. ამ სილიკო-მანგანუმს ხალხი შიშველი ხელებით მოიპოვებს, თანაც უსაფრთხოების ნორმის დარღვევით ხდება მისი ტრანსპორტირება ფოთიდან. იოლი წარმოსადგენია, რა საშიშროების წინაშე დგას თითოეული მუშა.

**— ეს ამბავი ახლა გაიგეთ?**

— არა, სილიკო-მანგანუმი რომ რადიაციული იყო, ეს მე ჯერ კიდევ 10 წლის წინ შევატყობინე „მწვანეებს“, მაგრამ ვერც იქიდან მივიღე სათანადო გამოხმაურება.

**— რა მიზეზით არ ახდენს რეაგირებას გარემოს დაცვის სამინისტრო?**

— უნდა ვაღიარო, რომ სამინისტრო ჩვენს ინსტიტუტს იგნორირებას უკეთებს, უგულებელყოფს ჩვენს აზრს. სამინისტრო უამრავ გრანტს იღებს ყოველწლიურად და ჩვენთვის ერთიც არ ემეტება. როცა მინისტრად ქალბატონი ნინო ჩხობაძე დაინიშნა, გვეგონა, რაიმე ღონისძიებას გაატარებდა. რამდენჯერმე მივედი კიდეც მასთან, მაგრამ არ მიმიღო. როგორ არ ვეცადე, რომ მასთან აქტიურ ნახშირთან დაკავშირებით მელაპარაკა (საქართველოს დაახლოებით 50 ტონა აქტიური ნახშირი შემოაქვს მრეწველობისთვის), მაგრამ არ მომისმინა.

**— რატომ დაუპირისპირდა სამინისტრო ინსტიტუტს?**

— ჩვენ სამინისტროს ფავორიტთა რიცხვს არ მივეკუთვნებით. ვინც მათი ფავორიტია, გრანტებსაც ის იღებს და მის აზრს სამინისტროში იზიარებენ. მაგალითად, ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტს, რომლის დირექტორი მინისტრის ძმაკაცია, გრანტი მისცა რუსი სამხედროების მიერ დატოვებული რადიაციული საწვავის გასანეიტრალებლად. ის ინსტიტუტი როგორ ანეიტრალებს მას, არავინ ამოწმებს. სამინისტროს შეეძლო ჩვენთვის დაევალებინა მათი მუშაობის შემოწმება. ჩვენ სამინისტროში ინტრიგანებს გვეძახიან და ამიტომაც არ გვაძლევენ გრანტებს. არ გვენდობიან...

**— რაში არ გენდობიან?**

— რაში და გრანტიდან წილი ხომ უნდა ჩაიჯიბოს სამინისტრომ.

**— დავუბრუნდეთ ფოთის ნავსადგურს...**

— ხომ გითხარით, ნავსადგურში სხვა უფრო საშიში ნივთიერებების დატვირთვა-გადმოტვირთვის ოპერაციები მიმდინარეობს, ვიდრე ალუმინის ოქსიდია. სამინისტრო ლაბორატორიული ანალიზების ასაღებად თანხებს არ გამოგვიყოფს, მე კი ჩემი 45 ლარით ამ სინჯებს ვერ ავიღებ და ვერც შევამოწმებ. არსებობს საკმაოდ საფუძვლიანი მოსაზრება, რომ ფოთის მოსახლეობა და ნავსადგურის მუშები გლინოზიუმით კი არა, სხვა საშიში ნივთიერებებით უფრო იწამლებიან... სანამ ამას უბედურება არ მოჰყვება, მანამდე არავინ შეამოწმებს ალბათ...



**ნავსადგურის დოკერები სახიფათო მტვერს შეძლებისდაგვარად ერიდებიან**

*(გაგრძელება იხ. გვ. 13)*

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში ტაიმ-აუტი გამოცხადდა. პოპულისტობის, დემაგოგიის თუ, უბრალოდ, საკუთარი პარტიის რეკლამირებისათვის დეპუტატები პარლამენტის ტრიბუნას დროებით ველარ გამოიყენებენ. პოლიტიკური ბატალიები საკანონმდებლო კედლებიდან ამჯერად, უკვე ქუჩაში გადაინაცვლებს. მანამდე კი, მარტივ მამრავლებად დაშლილ-დაქუცმაცებული პარლამენტი სანატრელ თანამდებობებს ინაწილებს. გასულ კვირას კანონმდებლებმა ამბიციები ნაწილობრივ მაინც დაიკმაყოფილეს და ვიცე-სპიკერებისა და კომიტეტების თავმჯდომარეთა ვაკანტური თანამდებობები დაჯავშნეს.

ყველაზე დიდი ლუკმა ერგო ფრაქცია „თანადგომას“, რომელიც ერთდროულად სამ კომიტეტს დაეპატრონა. აგრარულ საკითხთა კომიტეტი შეუნარჩუნდა — ბეჟან გონაშვილს, განათლების კომიტეტი — ნოდარ ამაღლობელს და ჯანდაცვის კომიტეტი — ზეზვა ღუღუნიშვილს. რატომღაც ასევე მოგებულ მდგომარეობაში აღმოჩნდა ფრაქცია „ახალი აფხაზეთი — ქრისტიან დემოკრატები“. მათ ორი — დარგობრივი ეკონომიკისა (დემურ გიორხელიძე) და საპროცედურო საკითხთა (როსტომ დოლიძე) კომიტეტები დაისაკუთრეს. სხვათა შორის, არცთუ დიდი ხნის წინ როსტომ დოლიძე „კვირის პალიტრასთან“ ინტერვიუში დაბეჯითებით აცხადებდა — კომიტეტის თავმჯდომარე არც ერთი ფრაქციის წევრი არ უნდა იყოს, რათა თანაფრაქციელებმა მასზე ზეწოლა არ მოახდინონო. ამ მიზეზით მან მშობლიური „მოქალაქეთა კავშირიც“ კი დატოვა, მაგრამ... მოულოდნელად ის ფრაქცია „ახალ აფხაზეთში“ აღმოჩნდა და ამით კომიტეტის თავმჯდომარის სავარძელიც გაინაღდა.

იურიდიულ საკითხთა კომიტეტი ფრაქცია „აღორძინებას“ ერგო. ამ პოსტზე პარლამენტმა გოჩა პაიჭაძე დაამტკიცა. მთიანი რეგიონებისა და განსახლების კომიტეტის თავმჯდომარედ, ფრაქცია „ერთიანი საქართველოს“ კვოტით, ანზორ გოგიტიძე დაინიშნა, ხოლო რეგიონალური პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის ხელმძღვანელად — „სოციალისტი“ ნუგზარ ნავაძე. გადასახადებისა და შემოსავლების კომიტეტს „მრეწველები“ დაეპატრონენ და ამ თანამდებობაზე დავით სალარიძე დაამტკიცეს. სხვათა შორის, ზემოთ ხსენებული კომიტეტის ექსთავმჯდომარემ ვიტალი ხაზარაძემ ჩამოქვეითება იმდენად ვერ აიტანა, რომ გადაწყვიტა, საკუთარი ამბიციები ახლა სხვა მიმართულებით მოესინჯა. როგორც ავი ენები ამბობენ, ხაზარაძე პარლამენტში კიდევ ერთი ახალი ფრაქციის ჩამოყალიბებას აპირებს.

ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარის პოსტზე სხვა კოლეგების მსგავსად, ტაშის გრიალით დაამტკიცეს „XX საუკუნის“ მიერ დასახელებული ანზორ აბრალავა. გარემოს დაცვის კომიტეტი — „მაჟორიტარ“ თენგიზ გაზდელიანს ანდეს, ხოლო საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი — „ალიანსელ“ ზვიად მუკბანიანს. „ახლებმა“ პირობა შეასრულეს და მხოლოდ ერთ კომიტეტს დასჯერდნენ — თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის სავარძელი, რომელიც გიორგი ბარამიძისგან ძლივს გამოათავისუფლეს, ირაკლი ბათიაშვილს ჩააბარეს. საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარეობა შეინარჩუნა დამოუკიდებელი დეპუტატების მიერ დასახელებულმა ზაზა სიორიძემ, ხოლო სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი ბესიკ ლაგვილავას (ფრაქცია „აფხაზეთი“) ერგო.

ერთადერთი, რაზეც პარლამენტმა გადაწყვეტილება ვერ მიიღო, ადამიანთა უფლებების დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის ვაკანსია აღმოჩნდა. ელენე თევდორაძე საკუთარი პარტიის ე.წ. პოლიტიკური გადაწყვეტილების მსხვერპლი გახდა. ფრაქცია „მოქალაქეთა კავშირმა“, ანუ იმავე ჟვანიას გუნდმა, საპარლამენტო თანამდებობების გადანაწილებაში მონაწილეობის მიღებაზე უარი განაცხადა. სწორედ ამ მიზეზით ქალბატონი თევდორაძე თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდა. პარლამენტი მის საკითხს სავარაუდოდ არჩევნების შემდეგ დაუბრუნდება. კულუარებში ჭორაობენ, თითქოს ელენე თევდორაძეს ალტერნატივა უკვე გამოუძებნეს. იმასაც ამბობენ — შესაძლოა, ჩაგრულთა „დედა ტერეზა“ სხვა ფრაქციაში ვიხილოთო... პრინციპში, პოლიტიკაში დღეს არსებულ ნონსენსურ სიტუაციას თუ გავითვალისწინებთ, გამორიცხული არაფერია. ცნობისთვის, საკადრო ჭიდილში „მოქალაქეების“ გარდა კიდევ ორი ფრაქცია არ ჩარეულა — „ტრადიციონალისტები“ და სააკაშვილის გუნდი. ამ პროცესებში ისინი სეირის მაყურებლების და ძირითადად „გამღიზიანებლების“ როლს ასრულებდნენ, რაც არაჩვეულებრივი ოსტატობით გამოსდით.



# ელდარ შენგელაია „მეორედ ტოვებდა კომუნისტურ პარტიას“, მაგრამ არ დაატოვებინეს...

კომიტეტების საკმაოდ მშვიდობიანი დაკომპლექტების შემდეგ, დღის წესრიგში ვიცე-სპიკერების საკითხი დადგა. წინასწარი კონსულტაციების დროს დეპუტატები შეთანხმდნენ, რომ პარლამენტის ბიუჯეტისთვის „ყოფა ეტირათ“ და ხუთსავარძლიანი სპიკერატი შვიდამდე გაეზარდათ. საბოლოოდ თითქოს კანდიდატურებზეც შეთანხმდნენ, მაგრამ... რა იცოდნენ პარლამენტარებმა, რომ წინ საკმაოდ საინტერესო პროცესები ელოდათ.

კონსულტაციების დროს გადაწყდა, რომ „აღორძინება“ ბლოკის სახელითა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კვოტით 2 კანდიდატურას — ვახტანგ რჩეულიშვილსა და როსტომ ჯაფარიძეს წარადგენდა, აფხაზეთის ავტონომია კი — კვლავ ვახტანგ ყოლბაიას. ორად გახლეჩილ „მოქალაქეებს“ თითო-თითო სავარძელი ერგოთ (გიგი წერეთელი და ელგუჯა მეძმარიაშვილი), „მაჟორიტარებმა“ მერაბ სამადაშვილის, ხოლო „მრეწველებმა“ ზურაბ ტყემალაძის კანდიდატურები დაასახელეს. ძველი ვიცე-სპიკერებიდან მხოლოდ ელდარ შენგელაიას არ გაუმართლა, თუმცა ყველაზე საინტერესო სეირი დეპუტატებს წინ ელოდათ:

ვიცე-სპიკერების საკითხის განხილვამდე ერთი დღით ადრე, საპარლამენტო კულუარებში ხმა დაირხა — ელდარ შენგელაია სკანდალური გამოსვლისთვის ემზადებაო. მეორე დღეს „გადაგდებული“ ვიცე-სპიკერი სხდომაზე ბაფთა-სმოკინგში გამოწყობილ-გამოპრანჭული გამოცხადდა. შენგელაიამ რეგლამენტირებული გამოსვლის ნებართვა ითხოვა და თავისი „აღსარება“ შექსპირის სიტყვებით დაიწყო:

„ვიდრე მე წავალ, მათქმევინეთ ორიოდ სიტყვა!..

... ჩვენს ქვეყანაში ძალიან ბევრმა ვაი-პოლიტიკოსმა სამოთხე მოიწყო, მოსახლეობის დიდი ნაწილი კი ჯოჯოხეთში აღმოჩნდა...

... საქართველოს დღეს რეალურად სახკანცელარია, ანუ იგივე ცეკა მართავს...

... ჩემი და ჩემი მეგობრების არაერთი გულწრფელი გამოსვლა, განცხადება თუ გაფრთხილება დარჩა ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა...

... მე ვიპოვე გამოსავალი — დავტოვე „მოქალაქეთა კავშირი“ და ოპოზიციაში გადავედი... როდესაც ამ წერილს ვწერდი, ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს მეორედ ვტოვებდი კომუნისტურ პარტიას...“

გამოსვლის ფინალი კი ფორმითაც და შინაარსითაც ტყუპისცალივით ჰგავდა გიორგი ბარამიძის ამასწინანდელ გამოსვლას:

„... მე, ელდარ შენგელაია, პარლამენტის მიერ არჩეული ვიცე-სპიკერი, არ გადავდგები!!! ასეთ სიამოვნებას ვერ მოგანიჭებთ! დაველოდები, როდის გადამირჩევს პარლამენტში ჩამოყალიბებული პრეზიდენტის მხარდამჭერი ახალი უმრავლესობა. გისურვებთ წარმატებას!..“

მონასტერი აირია. ბარამიძის მსგავსად, შენგელაიაც კენჭისყრით უნდა გადაეყენებინათ. „ტრადიციონალისტ“ ალეკო შალამბერიძეს ამ დომხალში დიდებული იდეა დაებადა — მოდით, ფეხბურთელთა გუნდის მსგავსად ვიცე-სპიკერების რაოდენობაც 11-მდე გავზარდოთო. შედეგი სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა. თუ ბარამიძის პოსტიდან გადაყენება ორად ორმა ხმამ გადაწყვიტა, გაჯიუტებულ შენგელაიასთვის თანამდებობის შესანარჩუნებლად გადამწყვეტი ასევე 2 ხმა აღმოჩნდა. 114 ხმით 24-ის წინააღმდეგ ელდარ შენგელაია ვერ გადააყენეს (კვორუმი 116 იყო). სიტუაცია დაიძაბა. პარლამენტის თავმჯდომარემ შესვენება ითხოვა. ვიცე-სპიკერის 7 რბილი სავარძელი რვა მსურველზე უნდა განაწილებულიყო...

ჟვანიას გუნდი კი გამარჯვებას ზეიმობდა. სულ მალე შენგელაია გულშემატკივართა წრეში აღმოჩნდა. დღის ბოლოს როგორც შევიტყვეთ, ეს ამბავი რესტორანში ზარ-ზეიმით აღინიშნა. მანამდე კი „კვირის პალიტრამ“ **ელდარ შენგელაიასთან** გასაუბრება მოახერხა.

**— ბატონო ელდარ, ჯერ იყო, ბარამიძე გაჯიუტდა — არ გადავდგებიო! ახლა — თქვენ. პირი შეკარით?**

— არა, შეთქმულება ნამდვილად არ დაგვიგეგმავს. უბრალოდ, პრინციპის ამბავი იყო. როდესაც პოლიტიკაში ახალი ძალა მოდის, მას, მაპატიეთ და, არ უნდა წამოუწვე. მით უმეტეს, როცა იცი, რომ ეს ძალა ხალხისთვის დამღუპველია. ამის შედეგებს მოსახლეობა სულ ცოტა ხანში დაინახავს. დაიმახსოვრეთ, ის „ავადსახსენებელი“ და „დამანგრეველი“ „მოქალაქეთა კავშირი“, ხალხს მალე სანატრელი გაუხდება.

**— პარლამენტი საკმაოდ უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენეთ. შვიდ ვაკანსიაზე ახლა უკვე რვა ვიცე-სპიკერია. რას აპირებთ?**

— ვნახოთ, შეიძლება რაღაც გადაწყვეტილება მართლაც მივიღო.

**— შეიძლება გადადგეთ?**

— ნება მიბოძეთ, ახლა არაფერი დავაკონკრეტო. თავის დროზე ყველაფერს შეიტყობთ.

**— გამოდის, რომ მხოლოდ თავმოყვარეობა დაიკმაყოფილეთ?**

— სწორედ ის არის პოლიტიკა, რომ ვიღაცვიღაცებს დაანახვო — ვინა ხარ და რა შეგიძლია.

თუმცა ამ საქციელით ელდარ შენგელაიამ საკმაოდ უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდო, უპირველესად, გიგი წერეთელი, რომელიც იმავე ფრაქციის კვოტით დაამტკიცეს, აგრეთვე ნინო ბურჯანაძე, რომელიც პარლამენტმა, უბრალოდ, შეცდომაში შეიყვანა და ელგუჯა მეძმარიაშვილი, რომელიც, არც მეტი, არც ნაკლები, უადგილოდ დატოვეს. საბოლოო ჯამში, ჟვანიას გუნდი ვიცე-სპიკერატში ორი წევრით გაფორმდა (გიგი წერეთელი და ელდარ შენგელაია), რაც პოლიტიკური ნონსენსია... თუმცა, ასეა თუ ისე, ყველაფერი „რიგზეა“! ელდარ შენგელაიას თემას პარლამენტი არჩევნების შემდგომ დაუბრუნდება. ასევე არჩევნების შემდეგ გადაწყდება ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის პოსტზე ელენე თევდორაძის ყოფნა-არყოფნის საკითხიც. არჩევნების შემდეგ შეუტევენ ხათუნა გოგორიშვილს და ასევე არჩევნების შემდეგ შეუყენებენ წყალს პარლამენტის თავმჯდომარესაც. მანამდე კი დეპუტატებს არცთუ ისე მხიარული არდადეგები ელოდებათ — დღეიდან ამომრჩევლებთან და ქვეყნის პირველ პირთან კეკლუცობის ახალი ეტაპი იწყება. ვნახოთ, ვინ ვის აჯობებს!

***ხათუნა ყვირალაშვილი***

# «სახელისუფლებო რგოლები და ქურდული სამყარო ერთმანეთშია შერწყმული»

მაისის ბოლოსათვის იმერეთის გუბერნატორი აფხაზეთში შეჭრით იმუქრებოდა. შაშიაშვილი შტურმისათვის მართლაც ემზადება. სულ მალე 10 (ქუთაისური) ჯიპი და 2 თვითმფრინავი სოხუმის ნაცვლად საქართველოს დედაქალაქს „აიღებს“ — შაშიაშვილი ქუთაისური არსენალით თბილისის სტადიონზე შეგრიალდება, მაგრამ არა საომრად, — ქუთათურთა სიამაყის — „ტორპედოს“ მხარდაჭერას აპირებს... ციდან და ხმელეთიდან „შეტევა“ ანუ გრანდიოზული მსვლელობა თბილისისაკენ კვირის ბოლოსათვის იგეგმება, მანამდე კი ბატონი გუბერნატორი იმერულ შავ სამყაროს უცხადებს ბრძოლას, რომელიც თურმე არჩევნებით ქუთაისის საკრებულოში შეღწევასა და ძალაუფლების ხელში ჩაგდებას აპირებს...



**თემურ შაშიაშვილი**:

— აღდგომის დღეს გელათში ერთი ბნელი სამყაროს წარმომადგენელი მონათლულა. იქ, ტაძარშივე აღუთქვამთ ქურდებს თავიანთი ერთ-ერთი თანამეინახისთვის, — არჩევნებში გვერდით ჩვენ დაგიდგებითო. ბევრი სფერო და დარგი შავი სამყაროს ხელშია, ყველაფრის გაკონტროლება უნდათ. წარმოგიდგენიათ, როდესაც „ქელასის“ დირექტორს ვნიშნავდი, ესპანეთიდან დარეკა ცნობილმა ქურდმა (ტარიელ ონიანმა) და იმ ადგილზე თავისი კაცის დანიშვნა მოითხოვა.

მეტსაც გეტყვით, პარლამენტის თავმჯდომარის არჩევისას, იმავე ქურდს, 77 პარლამენტარის სია ეჭირა ხელში და ტელეფონით აძლევდა დავალებას დეპუტატებს, ვინ უნდა აერჩიათ თავმჯდომარედ. კიდევ კარგი, ის კაცი არ აირჩიეს. სამარცხვინო არ არის, ქვეყანაში რომ ასეთი რამე ხდება? საფრანგეთში იმ ქურდის დაბადების დღეზე 2 თვითმფრინავით ჩავიდნენ სტუმრები — აქაური მინისტრები და პარლამენტარები. ამ ქვეყანაში სახელისუფლებო რგოლები და ქურდული სამყარო ერთმანეთშია შერწყმული და მიკვირს, რატომ არ აკეთებს დასკვნებს პრეზიდენტი, რატომ აყვავდნენ ქვეყანაში ქურდები, თუ მათ ხელისუფლების წარმომადგენლები არ უდგანან გვერდით? ქუთაისში დღეს ეს ბნელი ძალები (ადრე 3 ნაწილად დაყოფილნი) გაერთიანდნენ — შაშიაშვილს მოვერიოთ და ჩვენი კადრი გავიყვანოთო. ამასთან, მე მითვლიან, — საპრეზიდენტო არჩევნებისათვის ცოცხალი არ იქნებიო. ამ ქურდებს პოლიტიკოსები იყენებენ. ახლაც უამრავი ქურდია ჩამოსული ქუთაისში. ამას წინათ, ეს ხალხი დავით აღმაშენებლის საფლავზე იყო ასული, თვითონ დავინახე, როგორ დაბარბაცებდნენ იქ.

სამართალდამცავებმა და მასმედიამ უნდა ატეხონ განგაში ასეთ ვითარებაზე. როცა ცნობილმა ქართველმა ქურდმა პარიზში უცხოელი ელჩები მიიწვია (სხვათა შორის, საქართველოს ელჩი რუსეთის ელჩს დააპატიჟებინა) და საუნაში გაატარებინა დრო, საფრანგეთის პრესამ ატეხა ხმაური, ფოტოებიც გამოქვეყნდა გაზეთებში. თუ ჩვენი უშიშროება, პოლიცია და პროკურატურა შავ სამყაროსთან არ არის შეკრული, რა პრობლემაა მათი გამომჟღავნება? ე.წ. შავი სამყარო რუსეთის სპეცსამსახურების დავალებებს ასრულებს და მათ უნდა მივცეთ ძალაუფლება?! ორ ქუთაისელ ქურდს კრემლის მიდამოებში აქვს სახლი, ვის ააშენებინებდნენ და რატომ იმ ტერიტორიაზე სახლებს, რაიმე დაინტერესება რომ არ ჰქონდეთ? მათი წყალობით უნდათ საქართველო მუდმივი ზეწოლის ქვეშ იყოს.

**— ბ-ნო თემურ, გავიგე ქურდებთან ბრძოლის ახალი ხერხი შეგიმუშავებიათ...**

— როცა საეჭვო პირი ჩამოდის ქუთაისში, მასთან სამართალდამცველები მიდიან და ეკითხებიან — ქურდი ხარო? თუ იტყვის, რომ ქურდია, პოლიციაში მიჰყავთ და, ბუნებრივია, ჰკითხავენ რაღაცას. ხოლო თუ ასეთი პირი აცხადებს,

## „ნავთობბაზის დირექტორი და მთავარი ინჟინერი ფეხებით ჩამოკიდეს...“

— ქურდი არ ვარო, ამის თაობაზე მთელი ქალაქი ტელევიზიით იგებს. როცა აქ ჩამოვედი სამუშაოდ, 25 ქურდი დავიბარე. არ უნდოდათ აქ (მერიის შენობაში) მოსვლა — ჯერ ტყეში შემომთავაზეს შეხვედრა, მერე სასტუმროში. შევუთვალე, — ქალაქის მერი ვარ და თქვენთან შესახვედრად ტყეში არ ვივლი-მეთქი. როცა მოვიდნენ, ვუთხარი — თანამდებობებს გირიგებთ, დირექტორის მოადგილეები და საამქროს უფროსები იქნებით-მეთქი. თავი მოიკლეს — არ გვინდაო. ასეა, ამ ხალხს სხვის ხარჯზე უნდა ცხოვრება. ნუ გგონიათ, რომ ის ხალხი, რომელიც უცხოეთში „მუშაობს“, იქაურებს ქურდავენ... არა, ისევ ქართველებს ჰპარავენ. მშვენივრად ვიცი, რამდენი კაცი ჰყავთ ფეხებით ჩამოკიდებული — აქ ნავთობბაზის დირექტორთან მისულა ერთი (რომელიც ახლა ტელევიზიის მფლობელია), დამუქრებია, ონიანს და „გიჟუას“ მოგიყვანთო და წილში ჩაჯდომა მოუთხოვია. მანამდე კი ბაზის დირექტორი და მთავარი ინჟინერი ფეხებით ჩამოუკიდიათ.

**— არაერთხელ გითქვამთ მთავრობის სხდომაზე პრეზიდენტისთვის, — მუშაობაში ხელს მიშლიანო, მაგრამ რატომღაც თქვენგან კონკრეტული გვარები არასოდეს გვსმენია. — ვის მიიჩნევთ მთავარ მოწინააღმდეგედ?**

— თვითონ პრეზიდენტის მიერ შექმნილი ძალა — „მოქალაქეთა კავშირია“ ყველაზე დიდი უბედურება ქვეყნისათვის. „მოქალაქეთა კავშირი“ და „აღორძინება“ კი ექიშპებიან ერთმანეთს, მაგრამ აქ, იმერეთში, ჩვენს წინააღმდეგ არიან გაერთიანებულნი.

ავტოკატასტროფაში მოყოლის შემდეგ ნაცვლად იმისა, მოვეკითხე, მოქკავშირელებმა ტელევიზიით პირდაპირ ეთერში გამიმართეს პაექრობა. ისიც ვიცი, ვინ დაურეკა და დაავალა პურმარილზე მყოფ ვიტალი ხაზარაძეს, შაშიაშვილს ტელევიზიით უნდა დაუპირისპირდეო. ეს იყო მზაკვრული ჩანაფიქრი — დაპირისპირება ქუთაისში გადმოეტანათ. „მოქკავშირი“ ის ძალაა, რომელიც თავისი სკამის გულისათვის ყველაფერს გააკეთებს. ვიდრე შევარდნაძე სჭირდებოდათ, იმდენი აქეს, ვიფიქრე, პრეზიდენტი სირცხვილისაგან გაწითლდება-მეთქი. 5 თვის შემდეგ კი იმავე ხალხმა ლანძღვა დაუწყო შევარდნაძეს. ამ ხალხის წყალობით შემოსულმა გრანტებმა და ჰუმანიტარულმა დახმარებამ ქართველები მათხოვრებად აქცია. საჩხერეში ზოგიერთი სექტა პროდუქტებს ურიგებს მოსახლეობას. როგორ შეიძლება შაქრის გულისათვის მართლმადიდებლობაზე უარის თქმა? ბევრმა სახელმწიფომ თავის ქვეყანაში არ გააჭაჭანა გრანტები, იმიტომ, რომ იციან — გრანტის შემომტანი თავის პოლიტიკას გახვევს. გრანტიჭამიები კაციჭამიებად იქცნენ. ხომ არ შეიძლება ყველა ორგანიზაცია, რომელთაც ამერიკული გრანტი აქვთ მიღებული, ერთსა და იმავე პოლიტიკოსს ემხრობოდნენ და ერთსა და იმავეს ებრძოდნენ?! როგორ შეიძლება საქართველო იმ პოლიტიკოსს უკრავდეს ტაშს, რომელმაც არ იცის,

> როცა აქ ჩამოვედი სამუშაოდ, 25 ქურდი დავიბარე. არ უნდოდათ აქ მოსვლა — ჯერ ტყეში შემომთავაზეს შეხვედრა, მერე სასტუმროში. შევუთვალე, — ქალაქის მერი ვარ და თქვენთან შესახვედრად ტყეში არ ვივლი-მეთქი. როცა მოვიდნენ, ვუთხარი — თანამდებობებს გირიგებთ, დირექტორის მოადგილეები და საამქროს უფროსები იქნებით-მეთქი. თავი მოიკლეს — არ გვინდაო.

სად აქვს ბაბუის საფლავი?! თუ ამერიკას არ აქვს ინტერესი და არ უნდა ჩვენი ცხოვრების წესის, ტრადიციების, ინსტიტუტის მოსპობა, გრანტის სახით შემოსული 2,5 მილიარდი დოლარი საქართველოს ბანკებში ჩაერიცხა და გაეცათ ისეთი წესით, როგორითაც სხვა ქვეყნებში ხდება — 2-3%-იან სესხად. ასე რომ მოქცეულიყვნენ, ყველა ხელებდაკაპიწებული იმუშავებდა და აყვავებული ქვეყანა გვექნებოდა. მათ კი შემოიტანეს გრანტები და ერთმანეთს გადაგვკიდეს. ერთ დროს პარლამენტარები ქუთაისს „ვაშინგტონს“ ეძახდნენ, რადგან ამერიკის მომხრე ვიყავი, მაგრამ ყველაფრის ბრმად გადმოღება არ შეიძლება.

*(გაგრძელება იხ. გვ. 11)*

# ნაჩუქარ შვეულმფრენებს ხრახნებს არ უსინჯავენ, თუმცა...







ამერიკელებმა ასეთი „იროკეზები“ გვაჩუქეს... (ზემოთ) ...თავისთვის კი ახალ, მოდერნიზებულ ვარიანტს ქმნიან... (ქვემოთ)

ამერიკელებისა (6 ცალი) და თურქების (2 ცალი) ნაჩუქარ „იროკეზის“ ტიპის შვეულმფრენებს მალე საქმე გამოუჩნდებათ. „წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამის ფარგლებში ქართული სწრაფი რეაგირების ძალების „კომანდო“-ს ბატალიონის სპეცრაზმელები სწორედ ამ შვეულმფრენებით გაივლიან მომზადების კურსს. ამერიკელი ინსტრუქტორები მათ ასწავლიან „იროკეზებიდან“ ბაგირებით სწრაფ დესანტირებას და სხვა ნიუანსებს.

ამაში კარგის მეტი არაფერია, მხოლოდ ისაა გულდასაწყვეტი, რომ ნაჩუქარ „იროკეზებს“ სრულად არ შეუძლიათ ყველა იმ საბრძოლო ამოცანის (ძირითადად დესანტირების) გადაწყვეტა, რაც საქართველოს რთული რელიეფის გათვალისწინებით შეიძლება წარმოიქმნას. სამწუხაროდ, ნაჩუქარ ამერიკულ UH-1H „იროკეზებს“ ისევე, როგორც ჩვენს შეიარაღებაში არსებულ რუსულ Ми-8МТ-ებს არ ძალუძთ ღამით და რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში დასახული ამოცანის შესრულება, უპირველესად კი კოდორის ხეობაში დამატებითი ძალების ოპერატიულად გადასროლა.

არადა მუდმივად არსებობს საშიშროება, რომ კოდორის ზემო ზონაში დარჩენილ ქართულ სოფლებს სეპარატისტები შეუტევენ. ვიდრე თოვლის გამო ჯერაც ჩაკეტილია ჭუბერისა და საკენის შემაერთებელი ხიდას უღელტეხილი, მთავარ იმედად შვეულმფრენები რჩება. ისინი კი დამატებით ძალებს ხეობის გასამაგრებლად ვერ გადასხამენ, თუკი კოდორის ხეობაში ნისლი ჩამოწვება, რაც აქ ხშირად იცის.

ყოველივე ამის ფონზე, ძალზე გულდასაწყვეტი (ჩვენთვის) ცნობა გავრცელდა — პენტაგონმა პროგრამა H-1-ის ფარგლებში ხელშეკრულება დაუდო ცნობილ ფირმას „ბელ ჰელიკოპტერ ტექსრონს“, რომლის თანახმადაც მოდერნიზება უნდა გაიაროს ამერიკელთა შეიარაღებაში დარჩენილმა „იროკეზებმა“, რის შემდეგადაც მათი გამოყენება დღე-ღამის ნებისმიერ დროს და რთულ მეტეოროლოგიურ პირობებშიც იქნება შესაძლებელი.

**ჩვენი დოსიე: „იროკეზის“ პროტოტიპი „ბელ ჰელიკოპტერი“ 1956 წელს შეიქმნა. მისი პირველი მოდიფიკაცია UH-1A პენტაგონმა მაშინვე ვიეტნამის ომში გამოიყენა. შემდგომში გამოშვებული მოდიფიკაციები UH-1B, UH-1C, UH-1E, UH-1F და UH-1H ერთმანეთისგან ძირითადად ძრავის სიმძლავრით განირჩეოდნენ. UH-1N კი დღემდე „იროკეზის“ ბოლო მოდიფიკაციას წარმოადგენდა და რადგან აშშ-ის საზღვაო ქვეითთა კორპუსის ავიაციის შეიარაღებაში იყო მიღებული, ორი ძრავით გახლდათ აღჭურვილი.**

ნაჩუქარი „იროკეზების“ მსგავსი UH-1H-ები აშშ-ის არმიის შეიარაღებაში 1967 წელს გამოჩნდა და გამოირჩევა 1.400 ცხ.ძ. სიმძლავრის ერთი ტურბოხრახნიანი ძრავითა და ორი საჰაერო ხრახნით, რაც არადამაკმაყოფილებელია საქართველოს მაღალმთიანი რელიეფისა და ფრენის უსაფრთხოების წესების გათვალისწინებით (ტყუილად როდი მიიღეს შეიარაღებაში ამერიკელმა საზღვაო ქვეითებმა „იროკეზის“ ორძრავიანი ვარიანტი UH-1N).

ერთძრავიანი „იროკეზების“ სისუსტეს პენტაგონშიც ხვდებიან და ამიტომაც იწყებენ „იროკეზების“ ძირეულ მოდერნიზაციას, რის შემდეგაც ეს შვეულმფრენები ამერიკული არმიის შეიარაღებაში 2020 წლამდე დარჩება (ეს ერთგვარი რეკორდია ამ ტიპის შვეულმფრენის შეიარაღებაში არსებობისა).

ახალ, მოდერნიზებულ „იროკეზს“, რომელსაც უკვე მიანიჭეს მორიგი შიფრი — UH-1Y, გაუუმჯობესდება კონსტრუქცია, ძირითადი და საჭის ხრახნების აეროდინამიკური მაჩვენებლები. მას დაუყენდება ორი ახალი ტურბოხრახნიანი ძრავა და პერსპექტიული საბორტე რადიოელექტრონული მოწყობილობები.

მოდერნიზაციის შემდეგ UH-1Y-ს შეეძლება საბრძოლო დავალების შესრულება დღე-ღამის ნებისმიერ დროს და რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში. გაუმჯობესდება შვეულმფრენის საფრენოსნო მონაცემებიც — თუკი აქამდე „იროკეზების“ მაქსიმალური სიჩქარე 204 კმ/სთ არ აღემატებოდა, იგი 300 კმ/სთ-მდე მიაღწევს. ასევე გაიზრდება ფრენის მაქსიმალური ზღვარი, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მაღალმთიან რეგიონში მოქმედებისას.

ქართველები კი კვლავ მხოლოდ „დღის“ შვეულმფრენების იმედად დარჩებიან. თუმცა, როგორც ამბობენ, სულ არაფერს ესეც სჯობსო...

P.S. უკანასკნელი ინფორმაციის თანახმად, 19 მაისს თბილისში ჩამოვიდა ამერიკელი სამხედრო ინსტრუქტორების ძირითადი ჯგუფი, რომელიც, სავარაუდოდ, 27 მაისიდან დაიწყებს „წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამის საშტაბო მომზადების ფაზას.

# „თბილისი“ მტრებს ჭურვებს „უგზავნის“, მეგობრებს კი — საჩუქრებს



აღდგომის დღესასწაულზე „კვირის პალიტრის“ რედაქციამ მოულოდნელი საჩუქარი მიიღო. იგი რედაქციას მთელი გულით უძღვნა იმ კოლექტივმა, რომელთანაც უკვე მეორე წელია თბილი, მეგობრული ურთიერთობა დამყარდა.

ლაპარაკია თავდაცვის სამინისტროს საზღვაო თავდაცვის ძალების ფლაგმანის, სარაკეტო კატარღა №302 „თბილისის“ ეკიპაჟის შესახებ.

თავის დროზე „კვირის პალიტრის“ რედაქციამ საკუთარი ინიციატივით შეფობა აიღო „თბილისის“ ეკიპაჟზე, რაც მცირე საჩუქრებში და, რაც მთავარია, ჟურნალ-გაზეთების ყოველკვირეულ მიწოდებაში გამოიხატებოდა.

რედაქცია, ბუნებრივია, არავითარ საპასუხო სარგებელს არ ელოდებოდა მათგან, მისთვის მთავარი იყო და არის, რომ მცირე დახმარება (ოღონდ აუცილებლად სისტემატური) მაინც გავუწიოთ ჩვენი ქვეყნის (და მისი საზღვაო აკვატორიის) დამცველებს, მით უმეტეს, იმ მძიმე მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების პირობებში, რომელშიც ისინი სამწუხაროდ, მუდმივად არიან.

სწორედ, ყოველივე ამის ფონზე გახლდათ ძალზე გულისამაჩუყებელი ის საჩუქრები, რომელიც „თბილისის“ ეკიპაჟმა თავისი ხელით და უეჭველია, დიდი სიყვარულით დაამზადა და „კვირის პალიტრის“ რედაქციას უძღვნა, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებთ.

ვფიქრობთ, სარაკეტო კატარღა „თბილისის“ ეკიპაჟისა და „კვირის პალიტრის“ რედაქციის მეგობრობა ცხადყოფს სამხედრო-სამოქალაქო ურთიერთობების აუცილებლობას, თორემ რატომღაც, დღეს არმია საზოგადოებისგან გარიყულად მოჩანს...

P.S. სურათზე გამოსახული 76 მმ-იანი საარტილერიო ჰილზა ჩვეულებრივი არ გეგონოთ. მისგან ნასროლმა ჭურვმა საზღვაო სამიზნე შუაზე გააპო.



# დიდი განიარაღება

## ამერიკა და რუსეთი ბირთვული შეიარაღების შემცირებაზე თანხმდებიან, რას მოუტანს ეს საქართველოს?

ამ კვირაში მსოფლიო კიდევ ერთ ნაბიჯს გადადგამს ბირთვული საფრთხის შესამცირებლად. 24 მაისს მოსკოვში ოფიციალური ვიზიტით ჩასული აშშ-ის პრეზიდენტი ჯორჯ ბუში-უმცროსი თავის რუს კოლეგასთან, ვლადიმირ პუტინთან ერთად, ხელს მოაწერს შეთანხმებას სტრატეგიული შეიარაღების შემცირების თაობაზე.

ეს ხელშეკრულება ითვალისწინებს, რომ აშშ-იც და რუსეთის ფედერაციაც თავიანთ განკარგულებაში არსებული სტრატეგიული ბირთვული ქობინების რაოდენობას 1.700-2.200 ერთეულამდე დაიყვანენ, რითაც მკვეთრად შემცირდება ბირთვული დაპირისპირების საშიშროება.

**ჩვენი დოსიე: ბირთვული განიარაღების პროცესი დაიწყო გასული საუკუნის 70-იან წლებში. მანამდე, ორი ათეული წლის განმავლობაში ვაშინგტონიც და მოსკოვიც ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, თუ ვინ მეტ ბირთვულ ქობინსა და მის გადამტანს დაამზადებდა. 1972 წლის 26 მაისს მოსკოვში რიჩარდ ნიქსონმა და ლეონიდ ბრეჟნევმა, რაკიღა მიხვდნენ, რომ ბირთვული ქობინების დაგროვება საერთო აპოკალიფსამდე მიიყვანდა მთლიანად ჩვენს პლანეტას, ხელი მოაწერეს შეთანხმებას, აღარ გაეზარდათ საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტებისა და ატომური წყალქვეშა ნავების რიცხვი. 1979 წელს ვენაში ბრეჟნევი და კარტერი შეთანხმდნენ, რომ თითოეულ მხარეს სტრატეგიული დანიშნულების ბირთვული იარაღის მხოლოდ 2.250 ერთეული ექნებოდა. 1987 წელს ვაშინგტონში უკვე რონალდ რეიგანმა და მიხაილ გორბაჩოვმა მოილაპარაკეს საშუალო და მცირე სიშორის რაკეტების შემცირებაზე (სხვათა შორის, სწორედ ამ ხელშეკრულების შემდეგ მთლიანად განადგურდა ჩვენი თანამემამულის ალექსანდრე ნადირაძის მიერ კონსტრუირებული РСД-10 „Пионер“-ის ტიპის მობილური სარაკეტო სისტემები). 1991 წელს ბუში-უფროსმა და გორბაჩოვმა სტრატეგიული ბირთვული ქობინების რიცხვი განსაზღვრეს 6 ათასამდე (თითოეული მხარისთვის). 1993 წელს კი ბუში-უმცროსი ამჯერად ბორის ელცინს შეუთანხმდა ზემოხსენებული ქობინების რაოდენობის ზემო ზღვრის 3.500 ერთეულამდე დასაყვანად.**

ალექსანდრე ნადირაძის ინსტიტუტში შექმნილი საკონტინენტთაშორისო ბირთვული „Тополь“-ი რუსების მთავარ იმედად და ამერიკელების უპირველეს საფრთხედ რჩება



24 მაისის ორმხრივი შეთანხმებით თუ ვინ რჩება მოგებული, ამაზე კამათი არ წყდება.

ერთი მხრივ, თეთრმა სახლმა მიაღწია საწადელს — რაკეტებიდან მოხსნილ ბირთვულ ქობინებს კი არ გაანადგურებს, როგორც ეს კრემლს უნდოდა, არამედ საწყობებში შეინახავს. კრიზისული სიტუაციის დადგომისთანავე პენტაგონს შეეძლება ბირთვული ქობინები კვლავ მის გადამტან საშუალებებზე მოათავსოს.

ეს გარემოება არ ეჭაშნიკება რუსეთის გენერალიტეტს, რადგან მდიდარი ამერიკისგან განსხვავებით, მათ არ ყოფნით სახსრები რაკეტებიდან მოხსნილი ბირთვული ქობინების სათანადო პირობებში შესანახად (იგი დაცული უნდა იყოს სპეციალურ სათავსებში, სადაც მუდმივი ტემპერატურა, სიმშრალე და ატმოსფერული წნევაა და ასევე უზრუნველყოფილია შესაბამისი უსაფრთხოების ზომებით. ყოველივე ეს კი უზარმაზარ ხარჯს მოითხოვს) და იძულებულნი არიან, ეს ბირთვული ქობინები ატომური ელექტროსადგურების საწვავად გადაამუშაონ.

დასავლელი სამხედრო ექსპერტების ვარაუდით, რომ არ ყოფილიყო მიღწეული ორმხრივი შეთანხმება სტრატეგიული ბირთვული ქობინების რაოდენობის 1.700-2.000 ერთეულამდე შემცირებაზე, 2010 წლისთვის რუსეთს მაინც 1.500-მდე ამ კლასის ბირთვული ქობინი დარჩებოდა შეიარაღებაში. საქმე ის არის, რომ ბირთვული ქობინები ძველდება და მუდმივ განახლებას საჭიროებს, ახალი ქობინების დამზადების ტექნოლოგიური პროცესები კი შეჩერებულია როგორც რუსეთში, ისე აშშ-ში.

დასავლეთში მიაჩნიათ, რომ ამ ხელშეკრულებით რუსეთის სტრატეგიული ინტერესები ბევრით ვერაფრით იგებს, თუმცა მოგებული თვით რუსეთის პრეზიდენტის პუტინის პოლიტიკური პოზიცია რჩება — თავდაპირველად ვაშინგტონს უნდოდა შეთანხმებას ბირთვული ქობინების შემცირებაზე, ხელშეკრულების სახე კი არ ჰქონოდა, არამედ მხოლოდ დეკლარაციისა, მაგრამ მოსკოვის დაჟინებული მოთხოვნით, ოფიციალური ხელშეკრულების ფორმა მიიღო.

ამ ხელშეკრულებით ერთი დამატებითი კოზირი მაინც ექნება მოსკოვს, რადგან იგი არ ითვალისწინებს რაკეტა-მატარებლებზე ბირთვული ქობინების რიცხვის განსაზღვრას. რუსეთს ბირთვულ ქობინებზე უფრო სწრაფად კი სტრატეგიული ბალისტიკური რაკეტები უძველდება. ამიტომაც მოსკოვი ალბათ თითოეულ რაკეტა-მატარებელზე ერთი ბირთვული ქობინის ნაცვლად, რამდენიმეს განათავსებს და ამით შეინარჩუნებს ერთგვარ ბირთვულ პარიტეტს მდიდარ ამერიკასთან.

სხვა მხრივ, ოფიციალური ვაშინგტონი მაინც ყოველმხრივ მოგებული რჩება სტრატეგიული ბირთვული ქობინების საერთო რიცხვის შემცირებით, რადგან ეროვნული რაკეტსაწინააღმდეგო სისტემა ჯერ კიდევ არ არის შექმნილი და როცა ამოქმედდება — ბუნებრივია, რუსეთიდან გამოშვებულ 1.700-2.200 ბირთვულ ქობინს უფრო მეტი ალბათობით მოიგერიებს, ვიდრე 3.500 ან 6.000-ს.

თავის პრობლემებში ჩართული საქართველოსთვის, ერთი შეხედვით საკმაოდ უინტერესო უნდა იყოს ის, თუ რამდენი ბირთვული ქობინის დატოვებაზე შეთანხმდა ორი ზესახელმწიფო. თუმცა ეს მთლად ასე არ არის, დიდი პოლიტიკა პატარ-პატარა სეგმენტებით იქმნება. დიდი პოლიტიკის ერთ-ერთ ასეთ ნაწილს საქართველოს გეოპოლიტიკური განთავსება და მის მიმართ რუსეთისა და აშშ-ის დამოკიდებულებაც წარმოადგენს. მით უმეტეს, რომ სამხრეთ კავკასიის რეგიონიდან ვაშინგტონი ნელ-ნელა ცდილობს შეასუსტოს რუსეთის ორასწლიანი ჰეგემონია.

# გეოფიზიკური იარაღი, ანუ რას არ იგონებს ადამიანი დედამიწის გასანადგურებლად

ბოლო დროს მოხშირებული მიწისძვრების კვალდაკვალ საზოგადოებაში გამძაფრდა ეჭვი — ამ მიწისძვრებს ჩვენდამი მტრულად განწყობილი ქვეყანა ხელოვნურად ხომ არ გვიწყობსო.

მეცნიერების ნაწილი დაბეჯითებით უარყოფს ამის შესაძლებლობას, ნაწილს კი (რომელთაც პოლიტიკური ქულების შემგროვებლებიც ემატებიან) პირიქით, ეს უეჭველად მიაჩნია.

ასეა თუ ისე, თვითონ ცნება „გეოფიზიკური ომებისა“, ახალი არ გახლავთ, იგი XX საუკუნის 60-იან წლებში დამკვიდრდა სამხედრო მეცნიერებაში.

ორი ათეული წლის შემდეგ „გეოფიზიკური ომების“ შესაძლებლობა სრულ რეალობად იქცა და სამხედრო საქმეში გამოჩნდა „გეოფიზიკური იარაღის“ ნაირ-ნაირი სახეობა.

ამ იარაღის ამოქმედებით მოწინააღმდეგეს შეუძლია გამოიწვიოს ხელოვნური მიწისძვრა, კოკისპირული წვიმა, წყალდიდობა, მეწყერი, ზვავი, ღვარცოფი, უძლიერესი, დამანგრეველი ზვირთები ზღვებსა და ოკეანეებში (რომელთაც შეუძლია სანაპიროს დიდი ფართობის წალეკვა), აგრეთვე მზის რადიაციის ხელოვნური გაზრდა ან შემცირება, რაც, თავისთავად, ბუნებრივი რადიაციული ფონის დაუშვებელ ცვალებადობას გამოიწვევს და სხვა მრავალი.

„გეოფიზიკური იარაღის“ უმეტესი ნაწილი განკუთვნილია ე.წ. „მეტეოროლოგიური ომის“ საწარმოებლად — კონკრეტული სახის „კლიმატური იარაღით“ შეიძლება ამინდისა და კლიმატის ხელოვნურად შეცვლა.

ამ და სხვა საინტერესო, გარკვეულწილად, საიდუმლოებით მოცული საკითხების კომენტირება ვთხოვეთ გენშტაბის სამხედრო-საინჟინრო აკადემიის პრეზიდენტს, მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, გენერალ-მაიორ **ელგუჯა მეძმარიაშვილს**, რომელსაც ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში ჰქონდა შეხება „გეოფიზიკური ომების“ წარმოების სტრატეგიასთან.

**— ბატონო ელგუჯა, რა არის „გეოფიზიკური ომის“ არსი?**

— შეიარაღების დარგში „გეოფიზიკური ომები“ გულისხმობს ლითოსფეროში, ჰიდროსფეროსა და ატმოსფეროში — ჩვენი პლანეტის მყარ, თხიერ და გაზისებრ გარემოში — მიმდინარე ფიზიკურ, ქიმიურ და სხვა ბუნებრივ პროცესებზე ხელოვნურ ზემოქმედებას, ანუ სამხედრო მიზნებისთვის (მოწინააღმდეგისთვის გამანადგურებელი დარტყმის მისაყენებლად) ხდება უშუალოდ ბუნებრივი გარემოს თვისებების პროვოცირება.

**— რა სახით შეიძლება „გეოფიზიკური შეტევის“ ოპერაციის განხორციელება?**

— სამ ათეულ წელზე მეტია, რამდენიმე ქვეყანა, რომელიც ფლობს ბირთვულ იარაღს და მისი მოდერნიზაციის უახლეს ტექნოლოგიებს, ინტენსიურად სწავლობს სეისმური ტალღების წარმოქმნის და გავრცელების ბუნებას მიწისქვეშა და წყალქვეშა ბირთვული აფეთქებების დროს.

რეალურად დამტკიცებულია, რომ მიწისქვეშ ატომური თუ წყალბადის ბომბების აფეთქებისას შესაძლებელია შერჩეულ რეგიონში გარკვეული სიმძლავრის მიწისძვრის წარმოქმნა, ხოლო სეისმურად ისედაც აქტიურ ზონაში უფრო დიდი ძალის ხელოვნური მიწისძვრის პროვოცირება.

გარდა ამისა, თავის დროზე ჩატარდა ექსპერიმენტები მიწისქვეშა ბირთვული აფეთქებისას გამოყოფილი ენერგიის გარკვეულ მხარეს მისამართად. თუმცა აღსანიშნავია, რომ ყოველივე ეს მეტწილად დამოკიდებულია არა მარტო ბირთვული მუხტის სიძლიერესა და თავად აფეთქების განხორციელების მეთოდებზე, არამედ აფეთქების ადგილიდან მიწისძვრის დანიშნულების რაიონამდე ქანების ტიპებსა და განლაგებაზე.

**— როგორ ვრცელდება მიწისქვეშა ბირთვული აფეთქების ტალღა?**

— კლდოვან ქანებში სეისმური ტალღის გავრცელების სიჩქარე წამში 5 კმ-ს აღწევს, ხოლო რბილ ქანებში — 0,3 კმ/წმ-მდე ეცემა. დამანგრეველი ეფექტი გამოწვეულია გრუნტში მაღალი დაძაბულობის წარმოქმნით, რთული რხევებით, რომელთა აჩქარება და განსაკუთრებით კი რხევის ტალღის ამპლიტუდა ძალიან დიდია.

სეისმურად საშიშ რეგიონებში შეიძლება თავად აფეთქებით გამოწვეული სეისმური ტალღა იმდენად საშიში არ იყოს, რამდენადაც ამ ტალღის მიერ პროვოცირებული მიწისძვრა.

**— შესაძლებელია, რომ ვინმემ ხელოვნური მიწისძვრის პროვოცირება მოახდინოს, მაგრამ მისი ვინაობა უცნობი დარჩეს?**

— დღეს არსებული დაზვერვისა და კონტროლის თანამედროვე სისტემების საშუალებით სულ მცირე სიმძლავრის მიწისქვეშა აფეთქებებიც კი ფიქსირდება. ამიტომაც ძნელი დასაჯერებელია, რომ რომელიმე სახელმწიფოს შეეძლოს ფარულად გამოიყენოს „გეოფიზიკური იარაღი“ ხელოვნური მიწისძვრის გამოსაწვევად.

ყველა შემთხვევაში აუცილებელია დიდი სიმძლავრის იარაღი, რომლის შედეგად წარმოქმნილი მიწისქვეშა ტალღები არა მარტო დანიშნულების ადგილას, არამედ მისი აფეთქებისა და, რაც მთავარია, გავრცელების მთელ მარშრუტზე გამოიწვევს ანალოგიურ და საშიშ სეისმურ პროცესებს. ასეთი მიწისქვეშა ბირთვული აფეთქებები საქართველოს ახლომახლო თუ შედარებით შორეულ რაიონებში არ დაფიქსირებულა, ამიტომ ძნელი დასაჯერებელია, რომ თბილისში მიმდინარე მიწისძვრების სერია ვინმეს მიერ საგანგებოდ იყოს გამოწვეული.

გარდა „გეოფიზიკური იარაღისა“, ბოლო დროს სამხედრო სამეცნიერო ტერმინოლოგიაში გაჩნდა ახალი სახელი — „ახალი ფიზიკური ბუნების იარაღი“, მათ შორის შეიძლება დასახელდეს ოზონის, გენეტიკური, ინფრაბგერითი, ლაზერული, არამომაკვდინებელი, რადიოლოგიური, დამაჩქარებელი, ელექტრომაგნიტური, ზემაღალსიხშირიანი და სხვა ტიპისა.

მათ მოწინააღმდეგისკენ მკვეთრად მიმართავენ — დამიზნებით ან გაფანტული სახით. ამ იარაღით შეიძლება მტრის დროებით ან სამუდამოდ მწყობრიდან გამოყვანა, აგრეთვე ანომალიების გამოწვევა ადამიანებსა და ბუნებრივ პროცესებში.

თუმცა ეს არატრადიციული იარაღი დიდ, ფარულ საშიშროებასაც შეიცავს, რადგან მათ გამოყენებას ხშირად გაუთვალისწინებელი შედეგიც მოჰყვება დედამიწის ფლორის, ფაუნისა და კლიმატის მიმართ.

სწორედ ამიტომაც მიღებულ იქნა რიგი საერთაშორისო შეთანხმებებისა, მათ შორის 1977 წლის კონვენცია, რომელიც კრძალავს ისეთი იარაღის სახეობების გამოყენებას, რომლებიც ზემოქმედებენ ბუნებრივ პროცესებზე და იწვევენ მის სტრუქტურულ ცვლილებებს.

ხელოვნური მიწისძვრების მოწყობა საბჭოთა კავშირს აშშ-ის წინააღმდეგ მრავალწლიანი „ცივი ომის“ პერიოდში არაერთგზის შეეძლო, მაგრამ ყოველთვის ეშინოდა საპასუხო ქმედებისა. სწორედ ეს საპასუხო, გარდაუვალი, შურისძიების საშიშროება აჩერებდა ათწლეულების განმავლობაში ზესახელმწიფოებს, რომ ერთმანეთის წინააღმდეგ არ გამოეყენებინათ ისეთი მასობრივი განადგურების საშუალებები, როგორიცაა ბირთვული ბომბები, ბაქტერიოლოგიური თუ ქიმიური იარაღი.

თუმცა, КГБ-ს ყოფილი გენერლის კალუგინის (რომელიც ამჟამად აშშ-ს აფარებს თავს) აღიარებით, კრემლში თავის დროზე განიხილებოდა ამგვარი ვარიანტი: თუკი დაიწყებოდა ბირთვული ომი, საბჭოთა ატომური წყალქვეშა ნავი კალიფორნიის ახლოს, ოკეანის სიღრმეში ააფეთქებდა მძლავრ თერმობირთვულ მუხტს, რომელიც გამოიწვევდა დამანგრეველ მიწისძვრას სეისმურად ისედაც აქტიურ ამ სანაპიროზე. ამასთან, წყალქვეშა აფეთქებებისას წარმოიქმნებოდა მძლავრი ცუნამი, რომელიც წალეკავდა აშშ-ის დასავლეთი სანაპიროს დიდ ნაწილს.

P.S. ბოლო პერიოდში რუსულ და დასავლურ პრესაში გამოჩნდა ინფორმაციები იმის შესახებ, რომ რამდენიმე ქვეყანაში გამალებით მიმდინარეობს გასაიდუმლოებული კვლევითი სამუშაოები ე.წ. „გენური იარაღის“ შესაქმნელად. იგი, ეტყობა, ჩვენ მიერ ნახსენები „გენეტიკური იარაღის“ ტიპისაა. სპეციალისტების განმარტებით, „გენური იარაღი“ მასობრივი განადგურების ბიოლოგიური იარაღის ახალ ვერსიას წარმოადგენს. ბაქტერიოლოგიური იარაღისგან განსხვავებით, რომელიც განურჩევლად ყველა ადამიანს ასნებოვნებს, „გენური იარაღი“ მხოლოდ კონკრეტულ პიროვნებებს გაანადგურებს. მაგალითად, მხოლოდ შავტუხებს ან ცისფერთვალიანებს. არც ისაა გამორიცხული, სამხედრო მეცნიერებმა „გენური იარაღი“ მალე იმგვარად სრულყონ, რომ მისი საშუალებით რომელიმე გარკვეული ეროვნების ადამიანთა დიდი ჯგუფის მოსპობა გახდეს შესაძლებელი. საბრძოლო თვითმფრინავებიდან გაბნეული აირისებრი „გენური იარაღი“ მხოლოდ იმათ მოწამლავს, ვისი განადგურებაც იყო დაგეგმილი, ხოლო მათ გვერდით მდგარი სხვა ეროვნების ადამიანები უვნებელნი დარჩებიან.

თუ ასეთი „გენური იარაღი“ მართლაც შეიქმნა, იგი ყველაზე „უზუსტესი იარაღის“ სახეობა გახდება „წერტილოვანი“ დარტყმების მისაყენებლად.

**ეს ხუთმეტრიანი წაგრძელებული „მილები“ ერთი შეხედვით არავითარ ასოციაციას არ იწვევს, თუმცა 40 კტ ტროტილის ეკვივალენტი სიმძლავრის „სპეციალური ბირთვული ასაფეთქებელი მოწყობილობა“ კი გახლავთ, რომელთაც 2.3 კმ-ის სიღრმეში ათავსებენ და იყენებენ დედამიწის ქერქის სეისმური ზონდირებისთვის. (ეს სურათი ქართულ პრესაში ქვეყნდება პირველად).**



# კოლექტიური უსაფრთხოება საქართველოს გარეშე

ამ სტატიას ერთი, უკვე ისტორიად ქცეული მოვლენით დავიწყებთ: შვიდიოდე წლის წინ აწ უკვე დახურულ ალგეთის პოლიგონზე ქართული არმია ფართომასშტაბიან სამხედრო წვრთნებს მართავდა. მისი სარდლის, გენერალ ვარდიკო ნადიბაიძის გვერდით რუსი კოლეგა, გენერალი სამსონოვი იდგა. იგი მეოცნების თვალს არ აშორებდა სწავლების ველს და არც მომავლის იმედს კარგავდა — ცოტა ხანში ამ პოლიგონზე ქართველ ჯარისკაცებთან ერთად რუსი სამხედროებიც და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი ქვეყნების არმიების დანაყოფებიც მიიღებენ მონაწილეობასო!

რუსი გენერლის იმედი არ ასრულდა. საქართველომ, ისევე როგორც აზერბაიჯანმა და უზბეკეთმა, აღარ გააგრძელეს დსთ-ის ქვეყნების კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულებაში მონაწილეობა.

სამაგიეროდ, გასულ კვირას სომხეთმა, ყაზახეთმა, ყირგიზეთმა, რუსეთმა, ბელორუსიამ და ტაჯიკეთმა შექმნეს ახალი საერთაშორისო რეგიონალური სტრუქტურა — კოლექტიური უსაფრთხოების შეთანხმების ორგანიზაცია და მის თავმჯდომარედ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი პუტინი აირჩიეს.

ამ გრძელი სახელწოდების უკან ბევრად უფრო მნიშვნელოვანი გარემოება იმალება — ორგანიზაციის თითოეული წევრის წინააღმდეგ სხვა ქვეყნის შეტევა აღქმული იქნება, როგორც საერთო თავდასხმა, ანუ წესით, თუკი ვინმემ იერიში ტაჯიკეთზე მიიტანა, ომში სომხეთიც უნდა ჩაერიოს, ან რუსეთს სრული უფლება ეძლევა, იარაღითა და ცოცხალი ძალით დაეხმაროს ომში ჩაბმულ სომხეთს.

ამასთან, კოლექტიური უსაფრთხოების მონაწილე ქვეყნები აპირებენ, მოახდინონ სამხედრო ტექნიკის შექმნის, წარმოებისა და მოდერნიზაციის პროცესების უნიფიცირება, ხოლო ერთმანეთს ამ საბრძოლო ტექნიკას მიჰყიდიან არა მსოფლიო, არამედ შიდაფასებით.

გენერალ სამსონოვს ოცნება მაინც აუხდა, ოღონდ სხვა სახით — დსთ-ის ზემოხსენებული ქვეყნების საარმიო დანაყოფებმა მაინც ჩაატარეს ერთობლივი სამხედრო წვრთნები, ოღონდ არა საქართველოში და ალგეთის პოლიგონზე, არამედ რუსეთში, მოსკოვის ახლოს, გოროხოვეცკის პოლიგონზე.

კოლექტიური უსაფრთხოების ახალი სტრუქტურის შექმნა გარკვეულწილად იმასაც ნიშნავს, რომ კრემლს თავად არ სჯერა NATO-სთან „შესანიშნავი ოცეულის“ შექმნა და მთავარ აქცენტს მაინც ნაცად მეგობრებზე — სომხეთსა თუ ბელორუსიაზე აკეთებს.

**კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულება სახეზეა: რუსი ინსტრუქტორები სომეხ სამხედროებს ოპერატიულ-ტაქტიკური რაკეტა Р-17 „Скад“-ის გაშვებაში ავარჯიშებენ**



# მოსკოვი NATO-ს უახლოვდება, იგივე კი თბილისისგან სწყინს

მაისის ბოლოს მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდება ჩვენი დიდი ჩრდილოელი მეზობლის — რუსეთის ფედერაციის საერთაშორისო პოლიტიკურ ცხოვრებაში.




NATO, რომელიც ნახევარი საუკუნე ჯერ საბჭოთა კავშირის და შემდგომში რუსეთის უპირველესი მტერი იყო, დღეს ცდილობს დაიახლოოს ოფიციალური მოსკოვი, რასაც შორსმიმავალი მიზანი უდევს საფუძვლად.

უპროგნოზო და ამასთან ჯერ კიდევ ბირთვული იარაღის მფლობელი რუსეთი დასავლეთისთვის ყოველთვის საშიშ ქვეყანას წარმოადგენდა. ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრ ქვეყნებს გასაგებია, რომ აღარ სურთ რუსეთიდან ამგვარი საფრთხე მომავალშიც ემუქრებოდეთ. ამიტომაც ცდილობენ დაიახლოონ ოფიციალური მოსკოვი და ისე გააკონტროლონ მისი ქმედებები.

სხვანაირად ალბათ ვერ აიხსნება რუსეთის ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ „19+1“ ფორმატში გაწევრება და ახლა „ოცთა საბჭოში“ გაერთიანების შეთავაზება.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენლებმა იჩქარეს და მსოფლიოს ამცნეს, რუსეთს შეეძლება ვეტოს უფლება გამოიყენოს NATO-ს შემდგომ გადაწყვეტილებებზეო, მაგრამ ეს ასე ნამდვილად არ არის.

მართალია, რუსეთის დელეგაციას უფლება ეძლევა თავისი მოსაზრება გამოთქვას, მაგრამ მხოლოდ რამდენიმე კონკრეტულ თემაზე. ესენია: მსოფლიო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, მასობრივი განადგურების იარაღის გაუვრცელებლობა, სამშვიდობო ოპერაციები.

რაც შეეხება NATO-ს აღმოსავლეთით გაფართოებას, ამაზე თანხმობას რუსეთს არავინ სთხოვს.

სწორედ ეს საკითხია მეტად მნიშვნელოვანი საქართველოს მომავლისთვის, რადგან აღმოსავლეთ ევროპის დარჩენილი ქვეყნების შემდეგ შეიძლება რიგი NATO-ში გაწევრებაზე ჩვენ ქვეყანასაც მოუწიოს. NATO-ში საქართველოს გაერთიანებას კი ოფიციალური მოსკოვი ყოველთვის ავადმყოფურად განიცდიდა, რადგან მიაჩნდა, რომ ამით მის სამხრეთ საზღვრებს რეალური საშიშროება დაემუქრებოდა.

ასეა თუ ისე, NATO-ს შემდგომი გაფართოება, ეტყობა, გარდაუვალი პროცესია და იგი სამხრეთ კავკასიასაც და, პირველ რიგში, საქართველოსაც შეეხება იმის მიუხედავად, უნდა თუ არა ეს ზოგიერთს.

პრობლემა სულ სხვა რამ გახლავთ: არის თუ არა მზად თავად საქართველო და მით უმეტეს, მისი არმია NATO-ს სტანდარტებზე გადასასვლელად? NATO-ში გაწევრება ორმხრივი ვალდებულების აღებას ნიშნავს — თუკი ჩრდილოატლანტიკური ალიანსი უსაფრთხოების გარანტიას მნიშვნელოვნად გაუზრდის საქართველოს, თავის მხრივ, ამ უკანასკნელსაც მოუწევს გარკვეული ვალდებულებების შესრულება. მათ შორის ჩვენი ქვეყნის ტერიტორიის შესაძლო გამოყენება NATO-ს სამხედრო დანაყოფების მიერ მეზობელ ქვეყნებზე საბრძოლო ოპერაციების ჩასატარებლად.

***რუბრიკა მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა***

## პროვინციელი ფერია

ნამდვილი ბალეტი არასოდეს ენახა. არც რაიმე თეატრალური დადგმა უნახავს ოდესმე. ახლაც სხვა რამ აინტერესებდა, თორემ ამისათვის დროს როგორ გააცდენდა. ბალერინა, ვის გამოც დღეს პირველად ეწვია ამ პროვინციულ თეატრს, მშვენიერი გოგონა გახლდათ. ამჯერად ეგორს თავისთვის აღარ დაუსვამს ქალის დანახვისთანავე აკვიატებული კითხვა — ნეტავ გახდილი როგორი იქნებაო — ქალი თითქმის შიშველი იყო. კი, როგორ არა, სხვა დროსაც უნახავს ამგვარი რამ, მაგრამ მხოლოდ ტელევიზორში. ვერ იფიქრებდა, რომ ამის ნახვა ამდენი ხალხის თვალწინ შეიძლებოდა. „ურცხვები არიან ეს ქალები“, — დაასკვნა თავისთვის და სპექტაკლის დამთავრებას დაელოდა. ფინალის შემდეგ გადაჭარბებულად მოეჩვენა ტაშის გრიალიც — ამ უბედურებს ეს მოშილიფებული ქალები რომ ასე მოსწონთ, ჩემი გალია და ტანია რომ ნახონ ჯგუფური სექსის დროს, მაშინ რაღა მოუვათო, — გაიფიქრა და სცენისაკენ გაემართა.

— მოითმინეთ, ახალგაზრდავ, — შეაჩერა ვიღაც მატარებლის გამცილებლის ფორმაში გამოწყობილმა ქალმა, — სცენაზე ასვლა არ შეიძლება.

— მე, მე აი, ის... რა ჰქვია? ცალ ფეხზე რომ ყველაზე დიდხანს ტრიალებდა, იმის ნახვა მინდა. მისმა ნათესავმა რაღაც გამომატანა...

— თუ ასეა, საგრიმიოროში მიბრძანდით, — კამერდინერმა ეგორს ხელით კარისკენ ანიშნა, მაგრამ იმწამსვე მიხვდა, ეს საგრიმიოროს მიმგნები არააო და წინ თვითონ წაუძღვა.

— ალიონა, კ ტებე გოსტი! — შესძახა ნახევრად ღია კარში და ეგორს ანიშნა, შედიო.

— და, და! ვაიდიტე! — მოისმა შიგნიდან. ალიონა ახლა უფრო მომხიბვლელი ჩანდა. მართალია, მისი მკერდი მეტისმეტად პატარა ეჩვენა ეგორს, მაგრამ სხვა მხრივ ნამდვილი შველი იდგა მის წინ.

— ა, გდე ცვეტი? — ისე ბუნებრივად იკითხა ქალმა, ეგორმა მგონი პირველად იგრძნო, რა იყო სირცხვილი. თუმცა არ დაბნეულა. მართალია, გაუნათლებელი იყო, მაგრამ კრიტიკული სიტუაციიდან თავის დაძვრენის უნარი, რაც მისი და მისთანების დამცავი ფარია, ამჯერადაც ინსტინქტურად ამოქმედდა:

— ბოდიში... მე თქვენს ქალაქში პირველად ვარ. ვერ ვიფიქრებდი, რომ ასე მოვიხიბლებოდი ამ საღამოს, მაგრამ თქვენი ნახვის შემდეგ გადავწყვიტე ისეთი რამ გისახსოვროთ, რაც არც სიცხეში დაჭკნება და ვერც ყინვა დააზრობსო, — უთხრა ფერიას ეგორმა, გულის ჯიბიდან პატარა, ლამაზი კოლოფი ამოიღო და ფაქიზად გახსნა. დიდრონმა ზურმუხტმა ისე გაანათა ოთახი, კაცი იფიქრებდა, აქამდე ელექტრონი კი არა, კვარი ანათებდაო აქაურობას. ბეჭდით აღფრთოვანებულმა ალიონამ ერთი წამოიკივლა და ყელზე მოეხვია უცნობ მამაკაცს.

## მიზანი ამართლებს საშუალებას

ეგორი ერთი უპატრონო, ბავშვთა სახლში აღზრდილი ახალგაზრდა იყო. იგი ქუჩაში, ჩვრებში გახვეული იპოვეს გამვლელებმა. არავინ უწყოდა მისი წარმომავლობა და გვარ-სახელიც აღმზრდელებმა შეურჩიეს. ამიტომაც თავს „კაზიონნი ჩელოვეკს“ეძახდა და სულაც არ ანაღვლებდა, რომ არც მშობლებთან იყო ანგარიშვალდებული და არც წინაპრების საფლავები ჰქონდა მოსავლელი. ციხიდან ორი თვის წინ გამოვიდა და ახლა ახალი „საქმის“ ძებნაში იყო. უთხრეს, ალიონა ძვირფასი ქვებისთვის ეშმაკს მიჰყიდის სულსო. ეს ტანკენარი ლამაზმანი საყვარლებსაც ამ ნიშნით ირჩევდა და ყველაზე დიდხანს ის ყოვნდებოდა მის ბუდუარში, ვინც უფრო გამორჩეულ სამკაულს მიართმევდა. ამიტომაც იმ ათი თუ თორმეტი წლის მანძილზე, რაც სცენაზე შეაბიჯა, ძვირფასი თვლების საკმაოდ მოზრდილ კოლექციას მოუყარა თავი.

— ახლა სასტუმროში წავალ. ნომერიც კი არ ამიღია. ქალაქში გვიან ჩამოვფრინდი და როცა მითხრეს, აქ უპირველესად სანახავი „გედის ტბა“ და მთავარი პარტიის შემსრულებელი ალიონააო, პირდაპირ აქეთ გამოვწიე, მით უმეტეს, რომ სპექტაკლის დაწყებას აღარაფერი აკლდა, — უთხრა ვაჟმა და წასასვლელად მოემზადა.

— არა, არა, რატომ სასტუმროში. ჩემთან წამოხვალთ, თუ რა თქმა უნდა, სხვა გეგმები არა გაქვთ, — ეშმაკურად ჩაუჟუჟუნა ქალმა ზღვისფერი თვალები.

— თუ უხერხული არ იქნება...

მთელი ერთი კვირა დარჩა ეგორი ალიონასთან. თავი ქალაქის გასაიდუმლოებულ ქარხანაში ჩამოსულ სამხედრო მრეწველობის სპეციალისტად გააცნო და ამით აგრძნობინა, ზედმეტი შეკითხვებისგან თავი შეიკავეო. როგორც წესი, ყოველ საღამოს, როცა ალიონა თავისუფალი იყო, ქალაქგარეთ რესტორანში ატარებდნენ დროს. ალიონა უკვე ფიქრობდა, ბოლოს და ბოლოს, შეიძლება აქ დავამთავრო ჩემი რომანების სერიალი და ბედი ეგორს დავუკავშიროო, მაგრამ მეშვიდე საღამოს აღარც ეგორი დახვდა და აღარც ამდენი ხნის განმავლობაში ნაგროვები ძვირფასეულობა. როსტოვში ეგორი კარგა წელგამართული დაბრუნდა. ოთხი წელი ციხეში ჯდომა ნამდვილად ღირდა ამისთვისო, ფიქრობდა კმაყოფილი. სწორედ ციხიდან გამოსვლისას მისცა ეს საქმე თანასაკნელმა პატიმარმა. ახლა დასვენება და ძალების მოკრება იყო საჭირო, მერე კი ალბათ რაღაცას ისევ მოიფიქრებდა, — ამქვეყნად ხომ უამრავი შეძლებული ხალხი ცხოვრობდა, ამიტომ არც საკბილო დაელეოდა.

## ახალი საკბილო

აგარაკი განმარტოებით იდგა. ბელეტაჟზე მდგარი ეს ფეშენებელური შენობა მთლიანად ფორთოხლისა და მანდარინის ხეებში იყო ჩაფლული. მისი პატრონი, ბატონი გურგენი მეტად პატივსაცემი კაცი გახლდათ და არა მარტო ამ აგარაკის გამო. გურგენი დიდი ფულის პა-

# ზურმუხტისთვლიანი ბეჭდის ინიციალებმა მკვლელი ამხილა...



## ძვირფასეულობით დამძიმებული გასაბერი ნავის ფსკერი ისე ჩაიზნიქა, ეგონა ჩაიძირებაო...

ტრონი იყო და ასეთებს ყოველთვის მოწიწებით იხსენიებენ. მით უმეტეს, იმ დროს მისნაირს თითო-ოროლას თუ ნახავდი. ბატონი გურგენი ამ აგარაკზე მასპინძლობდა სსრ კავშირის მინისტრებსა და პარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგეებს; ელჩებსა და კონსულებს, მათ ცოლებსა და შვილებს. მისი აგარაკი გახლდათ ის დიპლომატიური და კომერციული ცენტრი, სადაც იღებდნენ ყველაზე არაორდინარულ გადაწყვეტილებებს და სისრულეშიც მოჰყავდათ ისინი. თვითონ გურგენი ოფიციალურად რომელიღაც ფაბრიკაში, რაღაც უმნიშვნელო საქმეს განაგებდა. ეს მხოლოდ იმისათვის, უმუშევარი რომ არ ყოფილიყო. უმუშევრობა იმ დროს კანონით ისჯებოდა და აბა, კანონს ამისთვის ხომ არ დაუპირისპირდებოდა. არადა, გურგენს სულაც არ

> **ისე, რომ ალიონასათვის პირზე აფარებული მარცხენა ხელი არ მოუშორებია, მარჯვენათი გულში გაუყარა ბაზარში მოპარული დანა და გურგენისკენ გადაინაცვლა. ოდნავი კვნესა აღმოხდა ალიონას. ჩანდა, დანამ მიზანს უწია და ქალმა იმწამსვე განუტევა სული.**

სჭირდებოდა თანამდებობა. სამაგიეროდ, ის ნიშნავდა მინისტრებსა და მათ მოადგილეებს, კომბინატის დირექტორებსა და რაიკომის მდივნებს. ის ამარაგებდა დეფიციტური საქონლით საქართველოს ზღვისპირეთსა და არა მარტო მას. ამას კი დიდი ფული მოჰქონდა. ეგორმაც ამ ფულის სუნი იკრა იმ დღეს, როცა პირველად გავიდა პლაჟზე საბანაოდ და მოშორებით გურგენის აგარაკს ჰკიდა თვალი.

— ეგ აგარაკი ერთი აქაური საქმოსნისაა. არავინ იცის, რა ხდება ღობის იქით. იქ შესვლა გურგენის ოჯახის წევრებსაც კი ეკრძალებათ. ღობეზე კი ჩიტიც ვერ გადაფრინდება, ან ძაღლები დაგლეჯენ, ან დაცვა მოუღებს ბოლოს. ამას წინათ, ერთი მათხოვარი შემოკვდომიათ, — თავდამსხმელი ჰგონებია დაცვას საბრალო. თუმცა ამის შესახებ მხოლოდ ჭორად ჰყვებიან, არ გაუხმაურებიათ. აბა, ვიღაც მათხოვრის გამო გურგენს ხომ არ აწყენინებენ?! — ჩაურაკრაკა ეგორს მის გვერდით შეზლონგზე წამოწოლილმა თანამოქალაქემ, რომელიც აქ ორიოდ კვირის წინ ჩამოსულიყო და უკვე ყველაფერი იცოდა. არც ის დავიწყებია ეთქვა, ზღვიდან გაჭრილი არხით, რომელიც ზემოდან ბეტონის ფილებითაა გადახურული, კატერები აგარაკის სარდაფში შედიანო. სწორედ ეს ინფორმაცია გახდა იმის მიზეზი, რომ ძაღლებისა და დაცვის ხსენების შემდეგ ნირწამხდარ ეგორს, რომელსაც აგარაკის მეპატრონის „დამუშავება“ იმთავითვე უპერსპექტივო საქმედ ეჩვენა, იმედი ჩასახვოდა და საღამოს აგარაკის მხარეს ნავით გასეირნება გადაწყვიტა.

## ზღვა, ქალები და კვლავ ალიონა

თვითონაც მოხდენილი ბიჭი იყო ეგორი და არც ლამაზი ქალების შებმა უჭირდა. ორი ისეთი ლამაზმანი ჩაისვა ნავში, ავ თვალს რომ არ დაენახვებოდნენ. მერე ბაზარში საგულდაგულოდ ნაყიდი ნუგბარისაგან ისეთი სუფრა გაშალა, გოგონებს გაკვირვებისაგან ენა ჩაუვარდათ. მოახლოებული დაისის შუქზე ისე გაჩახჩახებულიყო აგარაკის ზღვისაკენ მაყურებელი ხედი, რომ ბუზის გარჩევას შეძლებდა დაკვირვებული თვალი. დაცვამ ერთი კი იფიქრა, ეს ნავი იქნებ აქაურობას მოვაშოროთო, მაგრამ როცა ნახეს, მისი მგზავრები ჩამავალი მზის ელვარებით იყვნენ გატაცებულნი, ხელი ჩაიქნიეს და ფეხბურთის მატჩის ყურება განაგრძეს. ამასობაში კი ეგორმა კარგად დაზვერა იქაურობა. რაც მთავარია, მან ზუსტად განსაზღვრა, სად იყო შენიღბული შესასვლელი და ისიც არ გამოჰპარვია, როგორ შერგო თავი ამ სამალავში სოლიდური მგზავრებით სავსე ახალმა კატერმა. მოგვიანებით ეგორმა უგუნებობა მოიმიზეზა და ყავის შემდეგ გოგონებს დაემშვიდობა. მერე კი ორი კვირა სწავლობდა და აანალიზებდა აგარაკზე შეღწევისა და ამის შედეგად მიღებული მოგების პერსპექტივას. ამგვარი საქმეების დიდოსტატი გახლდათ და ახლაც, როცა დარწმუნდა, ბატონი გურგენი მთელ თავის სიმდიდრეს დაცვით უზრუნველყოფილ აგარაკზე ინახავდა, მასთან სტუმრობა გადაწყვიტა. იმავე ღამით მისი მომცრო გასაბერი ნავი, უხმაუროდ შეცურდა აგარაკის ქვეშ შემავალ გვირაბში. გვარიანად ბნელოდა და ელექტროფანარი მოიმარჯვა... სულაც არ გაჰკვირვებია, გვირაბის ბოლოს რკინის ცხაურმა რომ გადაუღობა გზა. ცხაურს იქით, როგორც შეატყო, გვირაბი ფართოვდებოდა. იქ რამდენიმე კატერი ჩაემწკრივებინათ. ხელჩანთა გახსნა და ამ შემთხვევისათვის საგანგებოდ წამოღებული იარაღებიდან რკინის საჭრელი ხერხი ამოიღო. ხმაური რომ დაეფარა, ცხაურის საკეტის ხერხვას წყლის ქვეშ შეუდგა. ათი წუთის შემდეგ შესასვლელი ღია იყო. ნავი იქვე მიაბა და ცურვით მიაღწია ბაქანს, რომლის იქით სახლის სარდაფში ასასვლელი კიბე ილანდებოდა. ეგორმა მხოლოდ ის იცოდა, რომ აქაურობის პატრონი სარდაფის მარცხენა მხარეს მიშენებულ ფლიგელში ათევდა ღამეს. კაცმა რომ თქვას, მთავარი ეს იყო, თუმცა არც მეტის ცოდნა აწყენდა. მაგრამ აქაურობაზე მეტის გაგება,

> **ძლივს მიათრევდა ძვირფასეულობით სავსე ჩანთას. მერე რის ვაი-ვაგლახით ჩადო გასაბერ ნავში, რომელიც გვირაბის სიღრმეში შეაცურა. ნავის ფსკერი სიმძიმისაგან ისე ჩაიზნიქა, ეგონა, ჩაიძირებაო.**

როგორც ჩანდა, შეუძლებელი იყო. ფრთხილად, ძალიან ფრთხილად მოძრაობდა, ისედაც მბჟუტავ ფანარს ხელს აფარებდა, რომ სადმე, რომელიმე კარის ღრიჭოში მის შუქს არ შეეღწია, მაგრამ უკვე იმდენად გვიანი იყო, როცა ძილი ყველას და ყველაფერს ერევა და მშვიდობიანად მიაღწია იმ კარამდე, რომლის იქით ბატონი გურგენის საძინებელი იყო. იქ შეღწევის ორი ვარიანტი ჰქონდა შემუშავებული ეგორს. მარტივი: კარიდან, თუ ის ღია იქნებოდა, და რთული — ფანჯრიდან. მაგრამ ამ შემთხვევაში ეზოში გასვლა და ძაღლების უხმაუროდ დახოცვა მოუწევდა. საწამლავით დამუშავებული ხორცის ნაჭრები თან ჰქონდა, თუმცა ეს აღარ დასჭირვებია. საძინებლის კარი ღია იყო. მაშასადამე, გურგენს მარტოს სძინავს. ან კი რად უნდა კარის ჩაკეტვა, ზღვიდან არავის მოელის, ხმელეთიდან კი დაცულია და არაფრისაც არ ეშინია. დანა მოიმარჯვა, კარი შიგნიდან ჩაკეტა და შუქი აანთო...

გურგენმა ნებივრად გაიზმორა. შუქისათვის რომ თვალი აერიდებინა, გვერდი იცვალა და ვიღაცის მისამართით ჩაილაპარაკა, — ალიონა, ხომ გითხარი, საღამური ლამპა თავთან დაიდგი-მეთქი. რად გინდა ჭაღის ანთებაო, — და ეგორმა გურგენის გვერდით ტკბილად მძინარე ტანკენარი ალიონა დაინახა. ქალს საბანი გადაეხადა და ახლა უფრო მიმზიდველი ეჩვენა მისი ქათქათა სხეული, ვიდრე იქ, ბობრუისკში, სადაც მხოლოდ ეგორი იყო ამ სხეულის ბატონ-პატრონი ერთი კვირის მანძილზე. წამიც და გურგენმა ხვრინვა ამოუშვა. ქალმა კი ნელ-ნელა გაახილა თვალები და ჯერ კიდევ ძილ-ბურანში მყოფი, ლოგინში გაშეშდა. თავზე დანით ხელში ის კაცი ადგა, ორიოდე კვირის წინ მზეჭაბუკად რომ მიიღო და ქურდბაცაცა კი აღმოჩნდა. ეგორიც გაქვავებულივით იდგა. თითქოს ყველაფერი გათვლილი ჰქონდა, რა თქმა უნდა, გურგენთან ქალიც შეიძლებოდა ყოფილიყო, მაგრამ ალიონას ნამდვილად არ ელოდა. წამით დააპირა ეთქვა, ჩემი საქმე მაცალე და ამის შემდეგ შენი მიმტოვებელი აღარ ვარო, რაშიც იმწუთას ეჭვიც არ ეპარებოდა, მაგრამ ის იყო რაღაც უნდა ეთქვა, რომ ძილ-ბურანიდან გამოფხიზლებული ალიონა შემზარავად დაიგრიხა და პირიც დააღო, რომ ეყვირა, მაგრამ ეგორმა ხელი დააფარა პირზე. მერე მის დამორჩილებას შეეცადა, ეგებ როგორმე დავაწყნაროო, მაგრამ ეს მთლად უხმაუროდ ვერ მოახერხა და ქალთან ჭიდაობაში გართულმა თვალი ჰკიდა, როგორ ნელ-ნელა გაცურდა გურგენის მარჯვენა ბალიშისკენ. იგი ცდილობდა, თავქვეშ ამოდებულ პისტოლეტს მისწვდომოდა. დრო აღარ რჩებოდა, წამის შემდეგ უკვე გვიან იქნებოდა გურგენის განეიტრალება, მაგრამ ქალისათვის რომ ხელი გაეშვა, იკივლებდა. ეს კი დაღუპვას ნიშნავდა და...

ისე, რომ ალიონასათვის პირზე აფარებული მარცხენა ხელი არ მოუშორებია, მარჯვენათი გულში გაუყარა დანა და გურგენისკენ გადაინაცვლა. ოდნავი კვნესა აღმოხდა ალიონას. ჩანდა, დანამ მიზანს უწია და ქალმა იმწამსვე განუტევა სული. სისხლმა ერთბაშად იფეთქა და სახე შეუღება ეგორს. ასე კიდევ უფრო შემზარავად გამოიყურებოდა, ვიდრე ჩვეულებრივი ბანდიტი და არცთუ ჯაბანი გურგენი მოტყდა, — თავისი ხელით გაუხსნა აივაზოვსკის ნახატის უკან კედელში ჩატანებული სეიფი. მარტო ოქრო და ბრილიანტი იყო. ეგორმა ჩანთა ისე აავსო, თავი ძლივს მოუკრა. მასპინძლის მოკვლას არ აპირებდა, მაგრამ ბოლო მომენტში იფიქრა, — ვაითუ, ჩემი სახე დაიმახსოვროსო და მასაც მკერდში ჩასცა დანა. არადა, გურგენს ნამდვილად არ დაუნახავს მისი სახე, იგი ხომ სისხლით ჰქონდა მოსვრილი ეგორს.

როცა დარწმუნდა, გურგენიც მკვდარი იყო, უნებლიეთ ალიონასკენ გაიხედა, მარჯვენა ხელზე ალიონას საკუთარი კოლექციიდან გადარჩენილი ერთადერთი, ეგორის ნაჩუქარი ბეჭედი ეკეთა...

ძლივს მიათრევდა ძვირფასეულობით სავსე ჩანთას. მერე რის ვაი-ვაგლახით ჩადო გასაბერ ნავში, რომელიც გვირაბის სიღრმეში შეაცურა. ნავის ფსკერი სიმძიმისაგან ისე ჩაიზნიქა, ეგონა, ჩაიძირებაო, მაგრამ ასე არ მოხდა და ახლა ბედნიერი იყო. მართალია, ნავი მის სიმძიმესაც ვეღარ გაუძლებდა, მაგრამ შეეძლო ცურვით გაეღწია აქედან. მძიმე-მძიმედ მიიწევდა წინ. ნავის თრევა უჭირდა, მაგრამ იცოდა, გათენებამდე კიდევ იყო დრო, სამშვიდობოს გასაღწევად კი დიდი-დიდი ერთი საათიც ეყოფოდა. გაჭირვებით გადაატარა ნავი ცხაურის გადახერხილ შვერილზე. მერე ცხაური ვითომ დახურა, რათა ადრიანად არავის შეემჩნია საეჭვო კვალი. გვირაბს გასცდა და ზღვაში გავიდა. ახლა აგარაკიდან მოშორებით, ნაპირამდე უნდა მიეღწია. იქ განძს წყლის თავთხელში ჩაფლავდა და რამდენიმე დღის შემდეგ ამოიღებდა, მაგრამ ასე ერთბაშად ნაპირისაკენ ცურვა სახიფათო იყო. ჯერ ზღვის სიღრმეში, შემდეგ კი განზე ისე უნდა გაეცურა, დისტანცია არ დაერღვია აგარაკსა და ნავს შორის, თორემ ასე გვიან ზღვაში მოჭყუმპალავე სტუმრით დაცვა უეჭველად დაინტერესდებოდა და მაშინ? ნავი კი თანდათან მძიმდებოდა. იფიქრა, ღონე გამომელიაო და დასასვენებლად ხელი შეუშვა თოკს, რომლითაც ნავს მიათრევდა. უეცრად იგრძნო, რომ თოკი ხელიდან უსხლტებოდა. ვერ მიხვდა, რა ხდებოდა. კარგად რომ დააკვირდა, სასოწარკვეთილი გმინვა აღმოხდა. ნავი, როგორც ჩანს, ცხაურის შვერილზე გადმოტარებისას დაზიანებულიყო და ნელ-ნელა იჩუტებოდა. ახლა მასში ჰაერის იმდენად მცირე რაოდენობა დარჩენილიყო, რომ წყალზე თავს ვეღარ იმაგრებდა და ფსკერისკენ მიიწევდა. როგორ არ იომა, რა აღარ მოიმოქმედა ეგორმა, ბოლოს და ბოლოს, ჩანთის ზიდვა ხელითაც სცადა. ამაოდ, ცოტა ხანში ნავის ნაცვლად, რეზინის ნაჭერიღა შერჩა ხელთ. ჩანთამ ეგორიც ფსკერისაკენ წაიღო. ეცადა, განძის ნაწილი მაინც გადაერჩინა, მაგრამ ვერც ეს მოახერხა, ჩანთის შესაკრავი ვერ გახსნა და ბოლომდე რომ არ ჩაჰყოლოდა, ხელი გაუშვა... განძეულით სავსე ჩანთა ტყვიასავით გაქანდა ფსკერისაკენ.

P.S. ეგორმა ნაპირს კი მიაღწია, მაგრამ ერთი წლის შემდეგ დააკავეს. ალიონასთვის ნაჩუქარ ზურმუხტისთვლიან ბეჭედზე გამომძიებელმა მისი ინიციალები ამოიკითხა და აღარც ყოფილი პატრონის მიგნება გასჭირვებიათ სამართალდამცველებს.

*ვაჟა გავაშელი*

# „ახლა სხვა დაიწყებს ჭამას და ახლა ის გაძღება...“



ალბათ, რამდენიმე თვის წინ „მოქალაქეთა კავშირს“ არც დაესიზმრებოდა, რომ პარლამენტში ე.წ. უმრავლესობის ფუნქციას დაემშვიდობებოდა და საერთოდ, მისი არსებობა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგებოდა. თუმცა უფრო დიდი აჟიოტაჟი ადგილობრივ არჩევნებში 2 ივნისს არის მოსალოდნელი. სიტუაცია იმდენად გამწვავდა, რომ კულუარებში არჩევნების გადადებაზეც კი საუბრობენ. ამის პარალელურად ხალხი ისევ უმუშევარია, ისევ მშიერია, ისევ მიზერული ხელფასით ირჩენს თავს და ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობაც დღითი დღე უარესდება. „მხედრიონის“ ყოფილი ლიდერი **ჯაბა იოსელიანი** ამ ყველაფერს ირონიულად უყურებს.

**— ბატონო ჯაბა, დღევანდელი წინასაარჩევნო ბატალიების ფონზე „მხედრიონი“ ჩრდილში აღმოჩნდა. არადა „მხედრიონის“ რეგისტრაციაში გატარების შემთხვევაში ალბათ, ადგილობრივ არჩევნებში თქვენც აქტიურად ჩაერთვებოდით. როგორ ფიქრობთ, დამარცხდით?**

— რას ნიშნავს დავმარცხდით. დამარცხებულები ეგენი არიან, სუყველა. შევარდნაძის გარდა ყველა დამარცხებულია. ეს ახლა, ჯერჯერობით. მერე შეიძლება გაიმარჯვოს სააკაშვილმა და ჟვანიამ. რაც შეეხება ჩვენს რეგისტრაციას, როგორც იცით, სასამართლომ არ მოგვცა რეგისტრაციის უფლება. საკასაციომაც დაამტკიცა. ახლა საკონსტიტუციო სასამართლოში უნდა შევიტანოთ სარჩელი და მერე სტრასბურგში გავუშვებთ, მარა, რად გინდა, ეს სპეციალურად გაგვიკეთეს, არჩევნებში რომ არ მიგვეღო მონაწილეობა... ისე, რომ თქვას კაცმა, ამისთანა სიტუაციაში არც ღირდა მონაწილეობის მიღება. ვისთან უნდა დაჯდე, რა უნდა ელაპარაკო ყაჩაღებსა და აფერისტებს?! რა ვიცი, რაც ცუდი სიტყვა არსებობს, ყველაფერი შეიძლება მიაკერო მაგათ.

**— რა თვალით უყურებს ჯაბა იოსელიანი პარლამენტში ახალ სტრუქტურულ რეორგანიზაციას. როგორ მიგაჩნიათ, ეს ქვეყნისთვის უკეთესია თუ უარესი?**

— როგორც იყო, ისევ ისე იქნება. უბრალოდ, ახლა სხვა დაიწყებს ჭამას და რომელიც უფრო ცოტა მშიერი იყო, გაძღება ისიც. გადაინაწილეს რა... საკვები! ხალხი მაგათთვის სულერთია. ეს ყველაფერი საკუთარი ძალაუფლებისთვის კეთდება. ჩვენ ხომ პოლიტიკა არ გვაქვს. ჩვენ გვაქვს პოლიტიკანობის დოღი. პოლიტიკანები ფიქრობენ მარტო თავის კარიერაზე. რატომ? იმიტომ, რომ ეს კარიერა ეკონომიკურ მდგომარეობასთან არის დაკავშირებული. აი, ეს არის ყველაფერი... თქვენ ალბათ გახსოვთ, ცხრა წლის უკან ვამბობდი, რომ ეს ავტორიტარული რეჟიმია, რომ ეს არის საბჭოთა მმართველობა და საჭიროა გაუქმდეს საპრეზიდენტო რესპუბლიკა, ამისთვის დამესიენ, თვითონ კიდევ შევარდნაძეს დაუჩოქეს. შვიდი წელიწადი ჭამეს, ჭამეს, ჭამეს და ახლა უნდათ შევარდნაძეს შეაწმინდონ ხელი. ეგრე არ არის! ყველამ უნდა გაიზიაროს პასუხისმგებლობა. ისე, ყველაზე დიდი დამნაშავე რასაკვირველია, შევარდნაძეა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ სხვები არ არიან დამნაშავეები. ეგენი არ იყვნენ, რომ გააყალბეს არჩევნები?! ეგენი არ იყვნენ, რომ მოქკავშირის სიაში შეყვანაზე 100 და 50 ათას დოლარს იღებდნენ? ეგენი არ ამტკიცებდნენ მინისტრებს, რომლებმაც შემდეგ სასახლეები აიშენეს?! ეგენი არ ეუბნებოდნენ მადლობას შს ყოფილ მინისტრს თარგამაძეს, რომ კარგად ჩატარდა არჩევნებიო?! ეგენი არ ანაწილებდნენ გრანტებს, სადღაც რომ წავიდა და შეიჭამა?! რაზეა საუბარი! ეგ კამპანია სუყველა ერთია. სუყველა უნდა წავიდეს. პასუხისმგებლობას არ იღებ და რჩები თანამდებობაზე — ეს კომუნისტური ხრიკია.

გაიხსენეთ ვინ იყვნენ ჟვანია, სააკაშვილი, მამალაძე და რა ვიცი, რომელი ერთი ჩამოვთვალო, რვა-ცხრა წლის წინ?! ჩემს დროს ვინ მისცემდა მინისტრს იმის უფლებას, რომ 72 ათასი დოლარი მანქანაში მიეცა, მე გამეგო და ისე გამეშვა ეს ამბავი?! ბიუჯეტის ფული გადაიხადა ჭკუასელმა ამ მანქანაში და შევარდნაძემ თქვა, მერე რა მოხდა, კაცო, მინისტრი ფეხით ხომ არ ივლისო?! ამ დროს „მხედრიონმა“ ფქვილი დაარიგა თელავში და საიდან ჰქონდა „მხედრიონს“ ფქვილიო, — ერთი ამბავი ატეხა.

მე რომ ხუთი წელიწადი ტყუილა მაყურყუტეს ციხეში, ეს არ არის საკმარისი, რომ პასუხი აგონ?! აი, სტრასბურგიდან მოვა ჩემი განაჩენი და მაგათ სულ ყველას ვაგებინებ პასუხს. ახლა გამოდიან, შვიდი წელი ხომ ბოდიში და ჭამეს, კანფეტის დაყოლებაც უნდათ...

**— როგორ წარმოგიდგენიათ, რით დამთავრდება ეს ყველაფერი?**

— იცით, როგორ დამთავრდება?! მიადგება მაგათ ხალხი და გამოყრიან სუყველას. ისტორია მეორდება. შსს-მ კონტროლი რომ დაიწყოს, დასაჭერია სუყველა. არც ჩვენ ვიყავით ანგელოზები, მაგრამ ასეთებიც არ ვყოფილვართ. შევარდნაძე პირდაპირ ჩვენ გვეცა, რომ ხელები გახსნოდა. ახლა კი ამბობენ პოლიტიკოსები, რომ ჩვენ ჯაბას დავუპირისპირდით იმიტომ, რომ შევარდნაძეს უშლიდა ხელსო. ხო, ვუშლიდი ხელს. ბარამიძე კიდევ ამბობდა მაშინ, — ჩვენ კი ყველამ ვიცოდით, რომ ეს ასე მოხდებოდა, მაგრამ გვაინტერესებდა — როგორ დამთავრდებოდაო. აი, ახლა, მეც მაინტერესებს, როგორ მოხდება მაგათი გაყრა.

**— დაბოლოს, არჩევნებში ვის მისცემთ ხმას?**

— არც არავის. ჩვენ არ წავალთ არჩევნებზე!

***მარინა მამისაშვილი***

# «სახელისუფლებო რგოლები და ქურდული სამყარო ერთმანეთშია შერწყმული»

*(დასაწყისი იხ. გვ. 7)*

**— ბ-ნო თემურ, ერთ დროს ვაჟა ლორთქიფანიძესთან ერთად პარტიის შექმნას აპირებდით. როდის გეგმავთ ჩანაფიქრის განხორციელებას?**

— მართლაც ჩამოვაყალიბებ საპარლამენტო პარტიას. კაცების პარტიას — სიტყვის კაცებს ვგულისხმობ, მოთამაშე და მორბენალ ხალხთან საქმე არ მაქვს... რაც შეეხება ვაჟა ლორთქიფანიძეს, მასთან ერთად პარტიის შექმნას არ ვაპირებ, რადგან ბ-ნი ვაჟა ისევ „მოქალაქეთა კავშირში“ რჩება და წარმატებებს ვუსურვებ თავის პარტიაში. ჭორი, რომ მე და ვაჟა ლორთქიფანიძე პარტიას ვქმნიდით, თავის დროზე მიხეილ სააკაშვილმა მოიგონა.

**— უსაფუძვლოდ მოგიგონათ ჭორი?**

— როცა ვაჟა ლორთქიფანიძე თანამდებობიდან გაათავისუფლეს, მივედი და ჩვეულებრივად მოვიკითხე... ამ დროს დარეკა სტრასბურგიდან სააკაშვილმა. მას შემდეგ გავარდა ხმა — შაშიაშვილი და ლორთქიფანიძე პარტიას ქმნიანო. გულდაწყვეტილი ვარ, რომ სწორედ ლორთქიფანიძემ და პრეზიდენტმა დაუთმეს პარტია ისეთ ხალხს, რომელთაც ქვეყანა ურთულეს მდგომარეობაში ჩააყენეს.

**— ერთხელ ისიც დაიჩივლეთ, პრეზიდენტი მხარს არ მიჭერსო?**

— პრეზიდენტს მიაჩნია, რომ მიჭერს მხარს. ჩემ მიერ წარდგენილ საკითხებს მშვენიერი რეზოლუციები ადევს, მაგრამ ქვემოთ არ სრულდება.

**— ე.ი. პრეზიდენტს ძალა არ შესწევს?**

— პრეზიდენტის რეზოლუციებს მისივე პარტიის მინისტრები არ ასრულებდნენ. როდესაც პრეზიდენტს ჭიათურა-ზესტაფონთან დაკავშირებით კონკრეტული გვარები და ინფორმაციები გადავეცი, იმავე საღამოს შედგა თათბირი. პირობა მისცეს, — წიდის გატანას შევაჩერებთო, მაგრამ გემი მაინც გავიდა. მეორე დღეს ორშაბათის რადიოინტერვიუ პრეზიდენტმა ისე დაიწყო, რომ ამის შესახებ არაფერი იცოდა. აქედან დავრეკე და შევატყობინე გემის ამბავი. პრეზიდენტს მაშინ 5 მინისტრი მაინც უნდა მოეხსნა,□მაგრამ...□

**— 6 თვის წინ თქვენ აფხაზეთის ძალისმიერი გზით დაბრუნებაზე ალაპარაკდით. ამბობდით, თუ ეს პრობლემა მაისამდე არ გადაწყდება, ჩვენს ტერიტორიას იარაღით დავიბრუნებთო... აპირებთ აფხაზეთში შეჭრას?**

— მაშინ ჩემი ნათქვამი არასწორად გაიგეს. მე ვთქვი, — მშვიდობა რომ გვქონდეს, ომისათვის უნდა ვემზადოთ-მეთქი. 6 თვე პროცესის სამშვიდობო გზით მოგვარებისთვის დავთქვით, მაგრამ ხელშესახები არაფერი გაკეთებულა. ბოლოს და ბოლოს, ლაჩრების ქვეყანა ხომ არ უნდა დაგვერქვას. 23-26 მაისს ბუში და პუტინი ხვდებიან ერთმანეთს. პრეზიდენტმა შევარდნაძემ მითხრა, მათი საუბრის ერთ-ერთი თემა აფხაზეთის საკითხი იქნებაო.... ვნახოთ, რას გადაწყვეტენ. ამის შემდეგ აღარ დაველოდებით, ვინ რა დოკუმენტს მიიღებს აფხაზეთის საკითხებზე. უაზრო ლოდინს მირჩევნია, ისე ვიბრძოლო, როგორც ქართველს ეკადრება — ჯერ გონებით. თუ ეს არ გაჭრის — მერე ძალით... ისე ვიბრძოლებთ, ჩვენმა შვილებმა არ თქვან, — ლაჩარი მამები გვყავდაო...

**— ე.ი. იარაღს მოჰკიდებთ ხელს?**

— არ გამოვრიცხავ. ამ კვირაში დიდ კონფერენციას ვმართავთ, აფხაზეთის საკითხზე მოვილაპარაკებთ. თუ იტყვიან, — ყველაფერი კარგად არისო, გიჟი უნდა იყო კაცი, რომ იყვირო, — ომს ვაპირებო.

**— პარტიზანები გულდაწყვეტილები ყოფილან თქვენზე...**

— არ იქცევიან სწორად, როცა ასეთ აზრს ავრცელებენ. ამას წინათ, ტელევიზიით ალაპარაკეს პარტიზანი, — დიდი იმედი გვქონდა, რომ შაშიაშვილი დაგვეხმარებოდაო. მე კი ვთქვი — 26 მაისამდე არავის ვეხმარები-მეთქი.

**— მერე როგორ დაეხმარებით?**

— ფონდს, რომელიც აფხაზეთის საკითხზე იმუშავებს, ოტია იოსელიანი ხელმძღვანელობს, ფული მარტო იარაღისათვის არ დაგვჭირდება... რა საშუალებაც გვექნება, იმით დავუჭერთ მხარს. პარლამენტიც თანახმაა, რომ თუ სამშვიდობო გზით არ გადაწყდება ეს საკითხი, ძალისმიერ მეთოდებს დაუჭიროს მხარი. არა მგონია, ეს ამბავი მშვიდობიანად მოგვარდეს.

**— აფხაზეთის საკითხში პრეზიდენტის რწმუნებულს — ასლან აბაშიძეს თუ ესაუბრეთ ამ საკითხზე?**

— ძალიან გამიკვირდა, 6 თვის წინ გაკეთებული ჩემი განცხადების შემდეგ პრეზიდენტმა ისე დანიშნა ასლან აბაშიძე ამ თანამდებობაზე, რომ არც დამლაპარაკებია. ბ-ნი ასლანი ამ საკითხის მოგვარებას რუსებთან მოლაპარაკების გზით აპირებს. თუ დამოუკიდებლობას დავთმობთ და რუსეთის ვასალი გავხდებით, მარტივად გადაწყდება ეს პრობლემა, მაგრამ ამ გზით სიარული ჩემთვის მიუღებელია.

***იზო რიკაძე***

# „შევარდნაძეც რომ მოვიდეს, გზას მაინც არ გავხსნით...“!

**(დასაწყისი იხ. გვ 4)**

ცხადია, ვისაც შექმნილი რთული ვითარებიდან გამოსავლის პოვნა და პრობლემის მოგვარება ევალება, ანუ დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობას მივაკითხეთ. გამგებლის მოადგილემ, ჯონი გურგენაშვილმა განაცხადა: „ამ საკითხებზე გამგეობის მიერ საგანგებოდ შერჩეული პირები მუშაობენ და ისინი დაადგენენ, თუ რა შეზღუდვები უნდა დაწესდეს ამა თუ იმ ქუჩაზე. ზოგან შეიძლება ცალმხრივად იმოძრაონ ავტომანქანებმა, ზოგან კი მოძრაობა სრულიად აიკრძალა. სხვათა შორის, ზოგიერთი ქუჩის, კერძოდ ფიროსმანისა და გოგოლის ქუჩების გადაკეტვამ გამოიწვია ის, რომ ავტომანქანებმა და სამარშრუტო ტაქსებმა, რომლებიც ადრე ამ გზებით სარგებლობდნენ, მარშრუტი შეიცვალეს და სხვა ქუჩებზე გადანაწილდნენ, რის გამოც ზოგან, სადაც ადრე ცალმხრივი მოძრაობა იყო, ამჯერად ორმხრივი მოძრაობა დაიწყო. ამან კი მოსახლეობის უკმაყოფილება გამოიწვია, რასაც ქუჩების გადაკეტვა მოჰყვა... ორშაბათიდან ჩვენი თანამშრომლები ყველა ამ ქუჩას დაივლიან და მოსახლეობასთან ახსნა-განმარტებითი სამუშაოების ჩატარების შემდეგ, დაიწყება გზაჯვარედინების ბარიკადებისგან გათავისუფლება. სადაც ცალმხრივი მოძრაობა იყო, ისევ აღდგება და თუ საჭიროება მოითხოვს, დიდგაბარიტიანი ავტომანქანების გადაადგილება შეიზღუდება. რაც შეეხება ბინების აღდგენით-სარემონტო სამუშაოებს, უკვე იწყება თანხების გამოყოფა და ეტაპობრივად განხორციელდება დაზიანებულ სახლებზე აღდგენითი და სარემონტო სამუშაოები...

იმედი ვიქონიოთ, რომ ბატონი ჯონის განცხადებები არ დარჩება მორიგ ცრუ დაპირებად და რეალურ შვებას მოსახლეობა სულ მალე იგრძნობს. თუმცა, რაც შეეხება ქუჩების ბარიკადებისგან გათავისუფლებას, ვფიქრობთ, ოპტიმიზმი ნაადრევია — რადგან, როგორც ნინოშვილის ქუჩის ერთ-ერთმა მობინადრემ განაცხადა, შევარდნაძეც რომ მოვიდეს, გზას მაინც არ გავხსნითო. მიწისძვრისგან დაზარალებული მოსახლეობა უპირველესად ნანგრევებად ქცეული ბინების აღდგენას ითხოვს.

P.S. რედაქციაში შემოსულ მრავალრიცხოვან წერილებსა და სატელეფონო ზარებზე მოსახლეობას ვპასუხობთ: ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციით, „ახლების“ ფონდში უკვე ჩარიცხულია 1 მლნ 400 ათასი ლარი, აქედან 1 მლნ ლარი ბიზნესმენ ბადრი პატარკაციშვილს ეკუთვნის. ამასთან, „ახლებმა“ 30 ოჯახს, თითოეულს უკვე გადასცეს 10.000 ლარი, ხოლო ბიზნესმენი ბიძინა ივანიშვილი 100 ოჯახისთვის ბინების შეძენას აპირებს. გარდა ამისა, როგორც დედაქალაქის მერმა ვანო ზოდელავამ ჩვენთან საუბარში განაცხადა, მერიის ფონდში დღეისათვის უკვე გადარიცხულია 1 მლნ 600 ათასი ლარი. დამდეგი კვირიდან ქალაქის ხელმძღვანელობა ბინების შეძენას დაიწყებს და ერთი კვირის მანძილზე 150 ოჯახის დაკმაყოფილებას შეძლებენ. ეს რაც შეეხება მუდმივ საკუთრებაში ბინების გადაცემას, ხოლო 370 ოჯახი დროებით თავშესაფარში უკვე გადაყვანილია. მოსახლეობის იმ ნაწილისთვის, ვისი ბინებიც საცხოვრებლად უვარგისია, დაიწყება მათი სახლების დანგრევა და იქვე ახლების აშენება. რაც შეეხება პრეზიდენტის სარეზერვო ფონდს, ამ თვის ბოლომდე 1,5 მლნ ლარის გამოყოფაა დაგეგმილი. მიუხედავად იმისა, რომ მიწისძვრაც და ფულის ჩარიცხვაც წინასაარჩევნო პერიოდს დაემთხვა, საჭირო და მისასალმებელი ფაქტია. ეს უსახლკაროდ დარჩენილებისათვის უდავოდ იმედის ნაპერწკალია... როგორც გავარკვიეთ, თანხების გადარიცხვა კვლავ გრძელდება. მთავარია, თანხები დანიშნულებისამებრ განაწილდეს და ვინმემ ხელის მოთბობა არ სცადოს.

***მამუკა ხუციშვილი***


ცხელი ხაზი

შემოხაზეთ 36

16 მაისიდან მუშაობა დაიწყო ზურაბ ჟვანიას გუნდის მხარდამჭერთა შტაბის ცხელმა ხაზმა. დაგვიკავშირდით ყოველდღე 10.00-21.00 საათამდე

ტელეფონები: 94-26-54; 94-26-57; 94-26-59

მხარდამჭერთა შტაბები

ფუნქციონირებს ზურაბ ჟვანიას გუნდის მხარდამჭერთა რაიონული შტაბები. მხარდამჭერებმა მოგვმართეთ შემდეგ მისამართებზე:

1. მთაწმინდის რაიონი - ლერმონტოვის ქ. №8 ☎ 98-32-25
2. გლდანის რაიონი - ხიზანიშვილის ქ. №6 (მ. ახმეტელი“) ☎ 62-52-05
3. ნაძალადევის რაიონი - გურამიშვილის გამზ. №58 (მ. ღრმაღელე“)
4. საბურთალოს რაიონი - ყაზბეგის №14 (ყოფ. პავლოვი) ☎ 94-20-31
5. დიდუბის რაიონი - წერეთლის გამზ. №73ა ☎ 94-26-86
6. კოსტავას 67 (ტელევიზიის პირდაპირ)
7. ნინოშვილის 56 ☎ 94-03-74; 96-83-70
8. ნაძალადევის რაიონი - ზედაზენის ქ. 4





# რინგიდან... ლა-სკალას სცენაზე

## არადა, იყო დრო, სიმღერას უკრძალავდნენ

საქართველოს ჩემპიონი კრივში, საერთაშორისო ტურნირების პრიზიორი, სპორტის ოსტატი, ბორჯომელი **რამაზ ჩიკვილაძე** იტალიის სახელგანთქმულ ოპერის თეატრ ლა-სკალაში მიიწვიეს. ამას ბედის შემობრუნება ჰქვია...

რამაზმა ბრწყინვალედ იმღერა არიები ვერდის ოპერებიდან და კომპეტენტური ჟიურის მაღალ შეფასებასთან ერთად, ქალაქ ოზიმოს აკადემიის სტაჟიორის საგზურიც დაიმსახურა...

ამ ცოტა ხნის წინ რამაზ ჩიკვილაძემ ბორჯომში მშობლები მოინახულა. მას იტალიაში გამგზავრების წინ შევხვდი.

— **გასული საუკუნის 90-იანი წლების ქართული სპორტული პრესა მძიმე წონის მოკრივეთა შორის ერთ-ერთ ძლიერ სპორტსმენად გასახელებდათ. მსოფლიო ჩემპიონის გიორგი კანდელაკის სპარინგ-პარტნიორიც იყავით. შემდეგ მილანის ლა-სკალას სცენაზე გამოხვედით. ეს ყველასათვის მოულოდნელი იყო...**

— მართალია, მწვრთნელები პერსპექტიულ მოკრივედ მთვლიდნენ, მაგრამ სიმღერის წყურვილი არ მასვენებდა. შეიძლება ეს სისხლის ყივილიც იყო. მამაჩემი მამია ხატელიშვილის ანსამბლში მღეროდა, ბაბუა და ბებიაც მომღერლები იყვნენ, დიდი ბაბუა ილიკო ჩიკვილაძე რაჭის ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის სოლისტი იყო. მე კი სკოლაში და ფიზკულტურის ინსტიტუტში სწავლის დროს მომღერალთა გუნდში არ მიმიღეს, სიმღერას მიკრძალავდნენ, ხმას მიწუნებდნენ.

სტუდენტობის წლებში მამის თბილისელი მეგობრების — მარინე და ირაკლი ავალიანების ოჯახში ვცხოვრობდი. ერთხელაც ველარ მოვითმინე და მთელი ხმით ვიმღერე. ირაკლი პიანისტია, მოეწონა ჩემი ხმა და თავის დას — მარინეს სთხოვა, მივეყვანე კონსერვატორიის ვოკალის პედაგოგთან — გულიკო კარიაულთან. ქალბატონმა გულიკომ ყურადღებით მომისმინა და ბატონ ნოდარ ანდღულაძესთან მიმიყვანა. მან თავის კლასში ჩამრიცხა. ასე გავხდი კონსერვატორიის სტუდენტი, მაგრამ ფიზკულტურის ინსტიტუტში სწავლა არ შემიწყვეტია და რინგზეც განვაგრძობდი ბრძოლას.



ბ-ნ ნოდარ ანდღულაძესთან ერთად

1996 წელს, კონსერვატორიის მეორე კურსის სტუდენტს თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში პუჩინის ოპერაში „ტოსკა" შარომესა და მეციხოვნის პარტიები შემომთავაზეს, რადგან მათი შემსრულებელი მოულოდნელად ავად გამხდარიყო. გავბედე და გავედი სცენაზე. შემდეგ სხვა პარტიებიც ვიმღერე და დასის სრულუფლებიანი წევრი გავხდი.

კონსერვატორია და ფიზკულტურის ინსტიტუტი თითქმის ერთდროულად დავამთავრე.

— **რამაზ, ბედის საძიებლად თქვენ მოსკოვში გაემგზავრეთ. რატომ მიატოვეთ ის სცენა, სადაც პირველად გაკურთხეს ოპერის მომღერლად?**

— უხელფასობამ, ოჯახურმა სიდუხჭირემ, გაყინულმა დარბაზმა მაიძულა ასე მოვქცეულიყავი... მოსკოვის კონსერვატორიის პროფესორის, ცნობილი პიანისტის, ვაჟა ჩაჩავას რეკომენდაციით, ჰელიკონ ოპერის თეატრში მიმიღეს. ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინში" გრემინის პარტიის შესრულებისას მოვეწონე ქალაქ ეკატერინბურგის ოპერის თეატრის მთავარ დირიჟორს ევგენი ბრაჟნიკს. ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ მის შემოთავაზებულ პირობებს დავთანხმდი და ეკატერინბურგში გავემგზავრე.

— **საინტერესოა, როგორ მოხვდით ლა-სკალას სცენაზე?**

— 2000 წლის ზაფხულში იტალიის ქალაქ ბუსეტოში გამართულ „ვერდის ხმების" კონკურსზე ვიმღერე ბანკოს არია ვერდის ოპერა „მაკბეტიდან". დავბრუნდი ეკატერინბურგში და გავაგრძელე თეატრში მუშაობა. კარგა ხანს არ ვიცოდი, როგორ შემაფასა ჟიურიმ. იტალიიდან ჩემს სახელზე გამოგზავნილი მიწვევა რუსეთის კულტურის სამინისტროში დამიმალეს. რამდენიმე თვის შემდეგ შემთხვევით გავიგე ეს ამბავი. მოსკოვში იტალიაში გასამგზავრებელი ვიზა არ მომცეს. ჩამოვედი საქართველოში და 5 თვე გამიჭიანურეს ვიზის გაფორმება. როგორც იქნა, ჩავაღწიე იტალიაში. 2001 წლის 27 დეკემბერს ლა-სკალას სცენაზე დე სილვას არია ვიმღერე ვერდის ოპერიდან „ერნანი". იმ დღეს, ჩემთან ერთად, ბატონ ნოდარ ანდღულაძის მოწაფეს, ტენორ გია ონიანსაც მოუსმინეს. ორივემ მაღალი შეფასება დავიმსახურეთ.. გია მილანის, ხოლო მე ოზიმოს აკადემიაში ჩამრიცხეს. ჟიურის გარდა ჩემი ბანი იტალიელ იმპრესარიოსაც მოეწონა და ევროპის ერთ-ერთ ცნობილ საოპერო თეატრში მუშაობა შემომთავაზა. ვიდრე კონტრაქტზე ხელს არ მოვაწერ, თავს ვიკავებ საოპერო თეატრის დასახელებისაგან.

— **ლა-სკალას სცენაზე თუ მოგიწევთ კიდევ გამოსვლა?**

— მზადდება მოცარტის ოპერა „დონ ჟუანი". შემომთავაზეს ლეპორელოს და კომანდორის პარტიები. თუ რაიმემ ხელი არ შემიშალა, ამ პარტიებს ვიმღერებ ლა-სკალას სცენაზე.

— **ხომ არ ნანობთ რინგის დატოვებას?**

— როცა გიორგი კანდელაკთან სამ ოფიციალურ შეხვედრაში დავმარცხდი, მივხვდი, რომ ვერ მოვუგებდი და რინგი მას „დავუთმე"... ჩემთვის საოპერო სცენა ვარჩიე. გულსაც ემღერება და ვცდი ბედს. ვოცნებობ, გვერდში ამოვუდგე ჩემს საყვარელ მეგობრებს, სახელგანთქმულ მომღერლებს — პაატა ბურჭულაძეს, ლადო ათანელს, ზურაბ სოტკილავას და მათსავით ვემსახურო საოპერო ხელოვნებას საქართველოს სახელით...

***რობერტ ცუცქირიძე***

# კიდევ ერთი კულტურის კერა გვეცლება ხელიდან

## ანუ, გადავცეთ კონსერვატორია აფრიკულ ტომებს...

...ბოლო ათწლეულში „რეკორდსმენები" გავხდით... გასხვისებასა და გაჩუქებაში, ცუდზე თვალის არიდებასა და ცილისწამებაში. ამასობაში ჩაგვადნა ხელში „დემოკრატიული ქვეყნის" ასაშენებელი წლები...

ათი წელია სულ ეს გვესმის: „რა დროს თეატრია, ქვეყანა საფრთხეშია", „რა დროს კინოა", „რა დროს შენობებზე დავაა, საქართველოსაც გვართმევენ"...

და აღმოჩნდა, რომ კულტურაც გავწირეთ, უნიკალური შენობებიც მეტისმეტი „სტუმარმასპინძლობით" გავაჩუქეთ... ახლა კი ჯერი ესთეტიკური აღზრდის ცენტრზე მიდგა.

ალმაშენებლის გამზირზე მდებარე ეს უნიკალური შენობა 1957 წელს ლეგენდარული მოცეკვავის ვახტანგ ჭაბუკიანის ძალისხმევით აიგო.

ამ შენობის გასხვისების საკითხი არ დაისმებოდა, თავის დროზე თანამშრომლები ერთ პირზე რომ მდგარიყვნენ და იმ ცენტრის არსებობა, რომელიც 40 წლის მანძილზე ემსახურებოდა რესპუბლიკის მოზარდთა ესთეტიკურ აღზრდას, სათუო არ გამხდარიყო.

ესთეტიკური აღზრდის ცენტრის თანამშრომელმა ქ-მა **დალი ჩიქოვანმა** გვიამბო: „საკვირველია, რომ განათლების მინისტრი ჯერ აღფრთოვანდა ცენტრის მუშაობით და აღგვითქვა კიდეც დახმარება, ერთი თვის შემდეგ კი გამოსცა ბრძანება დაწესებულების გაუქმების თაობაზე და შენობა ქონების მართვის სამინისტროს გადასცა, რომელმაც ცენტრის ქონების ბაზაზე 100% წილით შპს „ჰარმონიული განვითარების ცენტრი" გახსნა. ვიეჭვეთ, რომ ვიღაცამ ჩვენს შენობას თვალი დაადგა, რადგან ანალოგიური სცენარით ბევრი შენობა გასხვისებულა.



სახელმწიფოს დარჩა გასასტუმრებელი თანამშრომელთა სახელფასო დავალიანება — 60 ათასი ლარი; ამიტომ მივმართეთ სასამართლოს.

აღმოჩნდა, რომ დარღვეული იყო ცენტრის ლიკვიდაციის იურიდიული პროცედურა. სასამართლომ გამოიტანა განაჩენი ცენტრის აღდგენის და სახელფასო დავალიანების გასტუმრების შესახებ, ხოლო შენობას ყადაღა დაადო, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ შენობის გაყიდვა, გასხვისება, გაჩუქება თუ გაქირავება კანონით აკრძალულია".

გავიდა დრო და ახლა სხვა, კიდევ უფრო ალმაშფოთებელი ამბავი გავრცელდა — შენობას რომელიღაც ქვეყნის საელჩოს ჩუქნიანო. ბავშვებს და მათ აღმზრდელებს ქუჩაში გაყრა ემუქრებათ.

რა თქმა უნდა, სტუმარს პატივი უნდა ვცეთ, მაგრამ არა საკუთარი თავის ზიანის ხარჯზე.

დღეს, მიუხედავად დაძაბული ატმოსფეროსი, ცენტრში მაინც მიმდინარეობს რეპეტიციები და მეცადინეობები.

ცენტრის თანამშრომლებმა კარგა ხანია ღია წერილით მიმართეს საქართველოს პრეზიდენტს, რომელსაც ჩვენი საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენლები აწერენ ხელს. პასუხი არ ჩანს...

**თენგიზ სუხიშვილი:** ეს ფაქტი ყოვლად დაუშვებელია. ბავშვთა ესთეტიკური აღზრდის ცენტრი აუცილებლად უნდა არსებობდეს და თავის ფუნქციას ასრულებდეს. შესაბამისმა სტრუქტურებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ამ საკითხს, რათა არ იქნას დაშვებული საბედისწერო შეცდომა.

**ფრიდონ სულაბერიძე:** — შეშფოთებული ვარ ამ ფაქტით. თუ ცენტრის აღსაზრდელებს შენობას წაართმევენ, ეს იქნება საშინელება და სამარცხვინო ნაბიჯი.

**თემურ ქევხიშვილი:** — ეს ნაგებობა ჭაბუკიანის სახელთან არის დაკავშირებული, რომლის გასხვისებაც ყოვლად დაუშვებელია. ყველამ ხმა უნდა ავიმაღლოთ და უფლება არ მივცეთ „მავანთ". თუ ასე გავასხვისეთ ყველაფერი, მაშინ ისიც შესაძლებელია, რომ ფალიაშვილის მუზეუმი ბანგლადეშის საელჩო გახდეს, კონსერვატორიაში კი ვინ იცის, იქნებ აფრიკულმა ტომებმა მოისურვონ დაბინავება. ხომ წარმოგიდგენიათ, როგორი სულის მოქალაქეები გვეყოლება ახლო მომავალში? სულიერ ფასეულობათა გაპარტახებით ჩვენი, ერი ალიგვება პირისაგან მიწისა.

**გიგა ლორთქიფანიძე:** — ეს შენობა იმდენად ცნობილი და უნიკალურია, რომ მასში ერთხანს, ხანძრის მერე, განთავსებული იყო რუსთაველის თეატრი, შემდეგ იქ მოღვაწეობდა დიდებული ქართველი მოცეკვავის ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის საბალეტო სტუდია, ერთხანს — ცეკვისა და სიმღერის სახელმწიფო ანსამბლი (ამჟამინდელი „ერისიონი"). ასე რომ, ეს შენობა ქართული კულტურის უნიკალური ცენტრია. მაინცდამაინც კულტურულ კერებს რომ მივადგეთ და ის გავასხვისოთ, ვერაფერი მამულიშვილობაა.

**თემურ ჟღენტი:** — ამაზე ფიქრიც კი მკრეხელობად მიმაჩნია. ეს შენობა ვახტანგ ჭაბუკიანმა მოზარდ თაობას დაუტოვა და მისი ხელყოფის უფლება არავის აქვს.

***მარინა ბაბუნაშვილი***


# გამოვიდა და იყიდება წიგნი




**რომელიც პასუხს გაგცემთ თქვენთვის საინტერესო 1000 კითხვაზე**

**იყიდება „კვირის პალიტრის" საგაზეთო ჯიხურებში, ეკლესიებთან არსებულ და წიგნის მაღაზიებში.**




# რას გვეტყვი, მამაო?

— **საეკლესიო კალენდარში აღნიშნულია „მოხსენიება უფლის პატიოსანი ჯვრის ცაზე გამოცხადებისა იერუსალიმში 351 წელს". რის მაუწყებელი იყო ეს გამოცხადება?**

— ახალი სტილით 20 მაისს (ძვ. სტ. 7 მაისს) აღინიშნება პატიოსანი ჯვრის სასწაული, რომელიც გაცხადდა ცაში, ქალაქ იერუსალიმში, 351 წელს. კეთილმორწმუნე იმპერატორის, კონსტანტინე დიდის შემდეგ ტახტზე ავიდა მისი ძე — კონსტანციუსი. იგი არიოსის მწვალებლობას თანაეზიარებოდა, რომელიც უარყოფდა ღვთის ძის ერთარსობას მამასთან. წმინდა მართლმადიდებლობის დასამკვიდრებლად უფალმა საკვირველი ნიში მოუვლინა ქრისტიანებს — სულიწმინდის გარდამოსვლის დღეებში, 351 წლის 7 მაისს, დილის სამ საათზე, იერუსალიმის ცაზე ნათლით გაბრწყინებული უფლის პატიოსანი ჯვრის გამოსახულება გამოჩნდა. გამოცხადება დაიწყო გოლგოთის წმინდა მთაზე, სადაც ჯვარს ეცვა მაცხოვარი, და ელეონის მთამდე აღწევდა. გამოცხადების მეოხებით მრავალმა იუდეველმა და ბერძენმა წარმართმა აღიარა ჭეშმარიტი რწმენა და წმიდა წერილიც გაითავისა.

— **აღდგომის გარდა კიდევ რომელი დიდი საეკლესიო დღესასწაულები არ მეორდება წლის ერთსა და იმავე დღესა და თვეს?**

— აღდგომის გარდა, ერთი და იმავე თარიღით არ იდღესასწაულება: ამაღლება — რომელიც აღდგომიდან მეორმოცე დღეს აღინიშნება ხუთშაბათობით და სულთმოფენობა, რომელიც აღდგომიდან ორმოცდამეათე დღეს — კვირას აღინიშნება. მათ მოძრავ დღესასწაულებს უწოდებენ.

— **დღეს ბევრი ლაპარაკობს ბასილ მკალავიშვილის ამა თუ იმ ქმედებათა კანონიერებისა თუ უკანონობის თაობაზე. მე კი მაინტერესებს, მაინც რისთვის არის ის ეკლესიიდან განკვეთილი?**

— ბასილ მკალავიშვილი დედა ეკლესიიდან განკვეთილია მოძღვარზე ფიზიკურად შეხებისათვის, დაუმორჩილებლობისათვის უმაღლესი იერარქიის გადაწყვეტილების მიმართ.

— **გთხოვთ, განგვიმარტოთ, რა აზრის არის ეკლესია და ცნობს თუ არა ფიცვერცხლით ნათესაობას — და-ძმად გაფიცვას, ძმადნაფიცობას და სხვ.?**

— კვიპრიანე სამთავნელის „კურთხევანში" არის ლოცვა, რომლის მიხედვითაც ჩანს, რომ იყო ასეთი ტრადიცია ძველად საქართველოში, რომელსაც პატივისცემით უნდა მოვეპყრათ.

— **ტროტუარზე ვიპოვე ჯვარი, რომელიც არ ავიღე იმ მოსაზრებით, რომ არ შეიძლება, საზოგადოდ, სხვისი ნივთის აღება. მეთვლება თუ არა ეს ცოდვად და როგორ უნდა მოვქცეულიყავი კონკრეტულ შემთხვევაში?**

— ჯობდა, რომ აგეღოთ ის ჯვარი და გეკურთხებინათ. თუ თქვენთვის არ ინდომებდით, შეგეძლოთ ეკლესიაში დაგეტოვებინათ.

— **შეიძლება თუ არა ბერმონაზონმა ჩაატაროს ქორწინების რიტუალი, როდესაც მასთან ერთად მსახურებას ეწევა თეთრი სამღვდელოების სამი წარმომადგენელი?**

— როგორც წესი, მონასტრის მკვიდრი ბერმონაზვნები თავს იკავებენ მსგავსი საეკლესიო საიდუმლოს ჩატარებისაგან; თუ ისინი მსახურებენ საერო ტაძრებში — მაშინ, დასაშვებია.

— **შეიძლება თუ არა ვილოცოთ და ვიფსალმუნოთ ქრისტიანისათვის, რომელიც მონათლულიც იყო, ღმერთსაც არ გმობდა, მაგრამ ინტენსიური ეკლესიური ცხოვრებით არ ცხოვრობდა?**

— არათუ შესაძლებელია, აუცილებელია. გარდაცვალებიდან მე-3, მე-9 და მე-40 დღეს და წლისთავზე უნდა გადაეხადოს სულის მოსახსენებელი პანაშვიდი (თუ ამის შესაძლებლობა არსებობს).

— **მაქვს თუ არა უფლება ჩემი ნათლიის ქალიშვილის ცოლად მოყვანისა?**

— არა. ეს იქნება თქვენი ნათელ-მირონული ნათესაობის შებღალვა.

— **თქვენს გაზეთში განმარტებული იყო წმინდა გიორგის ორგზის ხსენების მიზეზთა შესახებ. გთხოვთ, გაგვარკვიოთ, რას შეესაბამება წმინდა ნიკოლოზის ორჯერადი ხსენების დღეები?**

— წმინდა ნიკოლოზის ხსენების დღედ დაწესებულია 19 (ძვ.სტ.6) დეკემბერი, ხოლო ამ წმინდანის კიდევ ერთი დღესასწაული — 22 (ძვ.სტ. 9) მაისი, უკავშირდება მის წმინდა ნაწილთა გადასვენებას მირონ-ლუკიიდან ქალაქ ბარში (1087 წ.).

***თქვენთვის საინტერესო კითხვები მოგვაწოდეთ „კვირის პალიტრის" ყუთების საშუალებით. მათი განლაგების შესახებ*** ***იხ. გვ. 36***

***მკითხველთა შეკითხვებზე პასუხებს სცემენ მართლმადიდებლური წიგნები და საკითხავები***

# ფოთის ნავსადგურის მუშები კი ვიწამლებით, მაგრამ შიმშილით სიკვდილს ისევ ეს გვირჩევნია

*(დასაწყისი იხ. გვ. 6)*

## რატომ არ თუ ვერ ამოწმებენ ნავსადგურს?

როგორც დაგპირდით, ჩვენ ფოთშიც ჩავედით და ადგილობრივი სანიტარული ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელებსაც (როგორც ქალაქის, ასევე პორტისას) ვესაუბრეთ.

ფოთის სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის საქალაქო ინსპექციის უფროსი **გიული ბერძენიშვილი**: „მას შემდეგ, რაც ძალაში შევიდა „კანონი მეწარმეთა შესახებ“, ჩვენი მუშაობა გაძნელდა. კანონით ობიექტის შემოწმებაზე ნებართვა სასამართლომ უნდა მოგვცეს. ის კი ჩვენს შუამდგომლობას თითქმის არასოდეს აკმაყოფილებს. მე არ ვამბობ, რომ „კანონი მეწარმეთა შესახებ“ უვარგისია. მაგრამ მაშინ, როცა საქმე ადამიანის ჯანმრთელობას ეხება და ჰაერის, ნიადაგის, წყლის ან თუნდაც საეჭვო პროდუქტის სინჯებია ასაღები ანალიზისთვის, სანიტარულ სამსახურს სასამართლოს ნებართვა არ უნდა სჭირდებოდეს. რაც შეეხება ფოთის ნავსადგურში ალუმინის ოქსიდის (გლინოზიუმის) ჰაერში კონცენტრაციას, ჩვენ შარშან, როცა სასამართლომ ნებართვა მოგვცა, ერთხელ შევამოწმეთ. აქედან გამომდინარე, ლაბორატორიული კვლევაც აღებული ჰაერის ნიმუშებისა ერთხელ ჩატარდა, თანაც საზღვაო ნავსადგურის I-ელ რაიონში, როცა ქარი სრულებით არ იყო, ჰაერში დაფიქსირდა ალუმინის ოქსიდის მტვრის მაღალი კონცენტრაცია, ზოგიერთ ადგილას დასაშვებ ნორმაზე ორჯერ მეტიც. შევამოწმეთ ხორბლის გადმოტვირთვის დროს ჰაერში მტვრის კონცენტრაციაც. უნდა გითხრათ, რომ ხორბლის მტვერი უფრო საშიშია, ვიდრე გლინოზიუმისა. ხორბალი ტრანსპორტირების წინ საგანგებოდ მუშავდება სხვადასხვა ქიმიური ნივთიერებით, რათა გზაში არ გაფუჭდეს. ეს ნივთიერებები კი მტვერთან ერთად ატმოსფეროში იფანტება. ლაბორატორიულმა კვლევამ ცხადყო, რომ ხორბლის მტვრის მოცულობა ზღვრულ დასაშვებ ნორმას 3-ჯერ და მეტადაც აღემატება. რაც შეეხება გარეთ, ანუ ქალაქში სინჯების აღებას, ამის უფლება ჩემს სამსახურს კანონით არ აქვს. ეს გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა უნდა გააკეთოს“.

— **რატომ არ იღებთ ჰაერის სინჯებს სისტემატურად ქალაქის ტერიტორიაზე, მით უმეტეს, როცა ამაზე ერთი ამბავია ატეხილი. თქვენც ხომ არ გჭირდებათ სასამართლოს ნებართვა?** — ვკითხე ფოთის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსს **ტარიელ გოგოლს**.

— როგორ არ ვიღებთ... როცა თებერვლის ბოლოს გლინოზიუმის მტვერი ქალაქს მოედო, ჩემი თხოვნით გარემოს დაცვის ინსტიტუტის თანამშრომლები ჩამოვიდნენ და ყველა სინჯი აიღეს.

— **ეგ ერთხელ, სხვა დროს?**

— სხვა დროს ისეთი არაფერი მომხდარა და საერთოდ, გლინოზიუმის მტვერი სრულებით არ არის მომწამვლელი. დიდი-დიდი, რაც შეიძლება ამ ნივთიერების მტვერმა გამოიწვიოს, ესაა პროფესიული დაავადება — ალუმინოზი, ანუ სასუნთქ გზებში ალუმინის ნივთიერებების დალექვა. სატრანსპორტო ტვირთების გადაზიდვა საქართველოში ლიბერალურ რეჟიმშია და მეორეც — გლინოზიუმი არ არის შეტანილი „საშიშ ქიმიურ ნივთიერებათა შესახებ კანონის“ რეგულირების სფეროში. პასუხისმგებლობა სიტუაციის დარეგულირების მიზნით ეკისრება მეწარმე სუბიექტს ან მეპატრონეს და იმ ჯგუფმა, რომელიც ტვირთის გადაზიდვა-გადატვირთვით არის დაკავებული, უნდა დაიცვას ტექნიკური უსაფრთხოების რეჟიმი.

— **თუ შეგიმოწმებიათ ოდესმე ის ძლიერ საშიში კლასიფიკაციის ტვირთები... ხომ არ ხდება მათი წყალობით გარემოს დაბინძურება?**

— ჩვენს სამსახურს არა. უნდა გითხრათ, რომ ფოთის პორტში მუშაობს სანიტარული ზედამხედველობის ინსპექციის ქვეგანყოფილება. ექიმი მებაჟესთან ერთად ადის გემზე და ამოწმებს როგორც გემის სანიტარულ-ეპიდემიოლოგიურ მდგომარეობას, ისე ტვირთის თანმხლებ დოკუმენტაციას. სწორედ მათ აქვთ ინფორმაცია იმაზე, თუ რა სახის ტვირთი შემოდის და რამდენად საშიშია იგი ჯანმრთელობისათვის.

ჩვენ ყურადღების გარეშე არც ნავსადგურის სანიტარული ზედამხედველობის ინსპექცია და მისი უფროსი **რაჟდენ ლვინიანიძე** დაგვიტოვებია: „სასამართლოსთან დაკავშირებული პრობლემა უკვე გცოდნიათ. ამასთან, გარემოს მდგომარეობაზე მონიტორინგს თვითონ ნავსადგური აკეთებს და როცა დასახმარებლად მოგვმართავს, ჩვენც მზად ვართ“.

დასასრულ, აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით კომენტარი ვთხოვეთ ფოთის ნავსადგურის ტექნიკური სამსახურის უფროსს **ვოვა მიქავას**: „ტყუილუბრალოდ შეწუხებულხართ ფოთში ჩამოსვლით. ალუმინის მტვერი ნავსადგურის გარეთ არასოდეს გასულა(?!). გარწმუნებთ, ყველა ნორმა და წესი დაცულია. ეს ყველაფერი თითიდან გამოწოვილი პრობლემა გახლავთ. ჩამოვიდა ტელევიზია და 80 წლის მოხუცებს ჰკითხა, თავი თუ გტკივათო. 80 წლის კაცს ან თავი სტკივა, ან წელი და ეს ამბავი ჟურნალისტებმა ალუმინის მტვერთან დააკავშირეს“.

ჩვენ რამდენიმე ფოთელს გავესაუბრეთ. პორტთან ახლოს, ჯავახიშვილის ქუჩაზე მცხოვრებ მტვირთავს შემთხვევით გადავეყარეთ, რომელმაც გასაგები მიზეზების გამო თავისი ვინაობა არ გაგვიმხილა და შემდეგი გვიამბო: „ნავსადგურის ხელმძღვანელობას ყველა მაკონტროლებელი ან მოსყიდული ჰყავს, ან დაშინებული, რათა ზედმეტი არ ილაპარაკონ და ენას კბილი დააჭირონ. ფოთელები დარწმუნებულნი ვართ, რომ მაკონტროლებელ ორგანოებს ერთმანეთთან კუდები აქვთ გადაბმულები. თავს ისე მოგაჩვენებენ, რომ რაღაცას აკეთებენ, სინამდვილეში კი არაფრის მაქნისები არიან. ლაბორატორია მხოლოდ ქალაქის სანეპიდსადგურს აქვს. მისი ხელმძღვანელი კი ცდილობს რაღაცის გაკეთებას, მაგრამ ერთი კაცი რას იზამს, — ისეთი სისტემაა, უცბად გასრესენ დანარჩენები. გაიძახიან, სასამართლო არ გვაძლევს შემოწმების ნებასო და თუ იცით რატომ? იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ სასამართლოში საგანგებოდ არასწორად შევსებული დაუსაბუთებელი მოთხოვნა-შუამდგომლობა შეაქვთ და ფოთის სასამართლოსაც „პრიჩინა“ აქვს — შუამდგომლობაზე უარს ეუბნება. ვიცით, რომ ნავსადგურში მუშაობით ვიწამლებით, მაგრამ შიმშილით სიკვდილს ისევ ეს გვირჩევნია. ახლა რესპირატორები მოგვიტანეს, — ცხვირზე აიფარეთ და ისე იმუშავეთო. რესპირატორები ისეთი უხარისხო აღმოჩნდა, გინდ გაიკეთე, გინდა — არა, მტვერი მაინც შედის“.

ქალაქ ფოთის სასამართლოს მოსამართლის თანაშემწის **ზაალ მარუაშვილის** კომენტარმა ჩვენი ინკოგნიტო დოკერის სიტყვები გაგვახსენა. მარუაშვილის განცხადებით: „მაკონტროლებელი ორგანოების, რომლებიც ნავსადგურის შემოწმებას ითხოვენ, შუამდგომლობის დაკმაყოფილების ფორმალური და ფაქტობრივი საფუძვლები არ არსებობს. ზუსტი მონაცემები არა აქვთ მითითებული. შესამოწმებელი ობიექტის იურიდიულად „ზუსტი მონაცემები“ ფართო ცნებაა და მხოლოდ მის სახელწოდებას და მისამართს არ გულისხმობს. ამასთან, შუამდგომლობებში არ არის მითითებული, თუ კონკრეტულად კანონმდებლობის რა ნორმებს არღვევს მეწარმე. მხოლოდ იმას აფიქსირებენ, თუ რა ღონისძიებების გატარებას აპირებენ. თუ ასეთი მონდომებულები არიან და საქმეზე გული შესტკივათ, მაშინ რატომ არ ასაჩივრებენ სასამართლოს უარს შუამდგომლობის დაკმაყოფილების თაობაზე?..“

თბილისში დაბრუნებულებმა ნაციონალური ონკოლოგიური ცენტრის ერთ-ერთი განყოფილების გამგეს, პროფესორ **რეზო გაგუას** ვთხოვეთ კომენტარი: „ნებისმიერი მტვრის დიდი რაოდენობით მოხვედრა ფილტვებში ქმნის ნიადაგს ონკოლოგიური დაავადებების, ანუ სიმსივნეების წარმოსაქმნელად. მაგრამ ამას ათეული წლები სჭირდება, თუმცა მეტალის მტვრის ნაწილაკებს შეუძლია გამოიწვიოს ქრონიკული ბრონქიტი, ფილტვის ქრონიკული ანთება, რომელიც სუნთქვის უკმარისობით გამოიხატება“.

დასასრულ, ფოთელებს ის შეგვიძლია ვუთხრათ, რომ როგორც ჟურნალისტური გამოძიებით დადგინდა, ალუმინის ოქსიდის, ანუ გლინოზიუმის მტვერი იმდენად სახიფათო არ ყოფილა, რამდენადაც მარგანეცისა და სილიკო-მანგანუმის მტვერი, ეს ინფორმაცია კი, როგორც ჩვენმა ერთ-ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, გასაიდუმლოებულია. არადა არსებობს ეჭვი და არცთუ უსაფუძვლო, რომ სწორედ ამ საშიში ნივთიერებებით იწამლებიან ნავსადგურთან ახლოს მოსახლე ფოთელები.

P.S. სტატია დასაბეჭდად მზად იყო, როცა გავიგეთ, რომ ფოთის პორტში გლინოზიუმით დატვირთული გემი შესულა. სამწუხაროდ, ვერ დავადგინეთ, გემის გადმოტვირთვის დროს რამდენი იყო ქარის სიჩქარე. იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ფოთში ჰიდრომეტეოროლოგიური სადგური არ მუშაობს. აი, კიდევ ერთი პარადოქსი — საპორტო ქალაქში ჰიდრომეტეოროლოგიური სადგური გაუქმებულია(!).

***ზვიად ჩაკვეტაძე***

# კომპრომატების ომი — არჩევნების წინ...

## — დადოს ყველამ ყველაფერი მაგიდაზე და ვნახოთ...



არჩევნების წინ პოლიტიკური სპექტრი ფარშევანგის ბოლოსავით აჭრელდა. ხელისუფლების წინა კარიდან გასულ ჩინოვნიკებს დეპუტატობა კვლავაც ხელისუფლებაში დასაბრუნებულ უკანა კარად ექცათ. თავის დროზე ეს ტრიუკი ლეკიშვილმა განახორციელა წარმატებით და მერე ბევრი მიმდევარიც გამოუჩნდა. წინასაარჩევნო პერიოდი იმითაც გამოირჩევა, რომ კონკურენტები ერთმანეთის საწინააღმდეგო კომპრომატებს და ფაქტებს გამალებით აგროვებენ. ამის პარალელურად, ახალ იმიჯზეც ზრუნავენ: ტოლერანტები ქრისტიანები გახდნენ, რეფორმატორები — კონსერვატორები და შევარდნაძისტებს კი შევარდნაძის ხსენებაზე ახლა ტანში ბურძგლავთ. ქართულ „გაუგებრობაში“ (ანუ პარლამენტში) მოხვედრილი ზურაბ ქაფიანიძე, აკი თავადაც აღიარებს, ასეთი სრულყოფილი მსახიობები, აქ (ხელისუფლებაში) რომ დამხვდნენ, არსად მინახავსო. სხვათა შორის, ჩვენი უცხოელი კოლეგა ჟურნალისტებიც ამბობენ, რომ ქართველი პოლიტიკოსები უნივერსალური ნიჭისანი არიან და მრავალ ჭირგამოვლილ პრეზიდენტსაც ხშირად უცრუებენ ნდობას. თუმცა, ნეტარ არიან მორწმუნენი: პარლამენტში ახალი, პროშევარდნაძისტული ალიანსი მაინც იკვრება და „ცინცხალ“ ძალებს „გარედანაც“ ელოდებიან. უფრო კონკრეტულად, ეს 2 ივნისს გაირკვევა. უნდა ვივარაუდოთ, რომ წვიმიანი გაზაფხულის შემდეგ, ეს დღე ცხელ ზაფხულს და ოფლის ღვრას გამოიწვევს. განსაკუთრებით, ყოფილ სატახტო ქალაქში, სადაც, ერთმანეთს პირველობას სამი კანდიდატი ეცილება: თემურ აბესაძე, ბადრი ხატიძე და კობა ბუჩუკური. კანცელარიაში დაწყებული ხატიძე-ბუჩუკურის მტრული დუეტი საომარ პოზიციებს ახლა ფორმალურად, არაგვის ხეობაში იკავებს და ამ ორომტრიალში ერთი საინტერესო სენსაცია მწიფდება: **კობა ბუჩუკური** ხატიძეზე კომპრომატების დასტებს აგროვებს და მისი გამოაშკარავებითაც იმუქრება.

რწმუნებადაკარგულ დეპუტატობის კანდიდატს „კვირის პალიტრა“ პარლამენტში შეხვდა და ესაუბრა.

— **ბატონო კობა, ახლა, როცა კანცელარიის ემოციები დაცხრა, იქნებ სიმართლე გვითხრათ: ვის და რას გადაგაყოლეს?**

— საკითხი, რომელიც მირიან გოგიაშვილმა გაახმოვანა, სრულიად გადაუმოწმებელი გახლდათ. მან ნაჩქარევად გამოიტანა დასკვნები. იმ ორგანიზაციას, რომლის დამფუძნებელიც ვიყავი, არც შემოსავალი ჰქონდა, არც გასავალი და არც არანაირი ბრუნვა. საერთოდ, ბოლო ერთი წლის მანძილზე ჩემ ირგვლივ იკვრებოდა წრე გარკვეული ჩინოვნიკების მიერ. საშუალო დონის ჩინოვნიკებმა შეთხზეს ბინძური ისტორია, რომელიც შემდეგ, მათ ბუმერანგივით უკან დაუბრუნდათ. დარწმუნებული ვარ, გოგიაშვილი შინაგანად არც ეთანხმებოდა იმას, რასაც მთავრობის სხდომაზე კითხულობდა. ახლა ხატიძე მცხეთაში იყრის კენჭს და ეს სრულიად ამორალურად მეჩვენება. მას არასოდეს ჰქონია შეხება მცხეთასთან და მის პერსონას კარდაკარ აცნობენ ხალხს. ხალხის 90% მას არ იცნობს. ბებრისციხესთან გზა გაჰყავთ და ამას ხატიძე და ახლანდელი რწმუნებული იბრალებენ, იმას რატომ არ ამბობენ, ვის ეკუთვნის ამ გზის პროექტირება, შესწავლა, მოსამზადებელი სამუშაოები.

— **პოსტ-ფაქტუმ, პრეზიდენტს არ შეხვდით?**

— პრეზიდენტი არის ის პიროვნება, რომელიც ყველა ღირსეულ კაცს ხვდება და ესაუბრება.

— **და თქვენც დაგდოთ პატივი?**

— მე მას ყოველთვის ვხვდები და ხშირად ვესაუბრები. ცხრა წლის განმავლობაში მის გვერდით ვიდექი და ვიდგები, თუკი პარლამენტში მოვედი.

— **და რას გეუბნებათ, რატომ გაგიშვათ?**

— მე „გზებზე მოძრაობის“ წესები არანაირად არ დამირღვევია, ამაში გარწმუნებთ. ჩემი ოპონენტი კი ხშირად არღვევს. 2 მაისს დავურეკე და ვკითხე კენჭს სად იყრიდა. სულ სხვა მიმართულება დამისახელა, სამი საათის მერე კი განცხადება შეიტანა მცხეთაში კენჭისყრაზე. როგორც ჩანს, ეს არის ხატიძისა და შამანაურის ერთობლივი გადაწყვეტილება, საფუძველი კი ისაა, რომ ვალს გადახდა უნდა. ისე, ხატიძისთვის ჭკუის სასწავლებელი იყო მისი მოხსნა: სხვას მახე არ უნდა დაუგო, თორემ შიგ თავად გაებმები. ჩემს წინააღმდეგ მოწყობილი პროვოკაციები ბუმერანგივით დაუბრუნდა.

— **თქვენ ამბობთ, რომ გაქვთ კომპრომატები ხატიძის წინააღმდეგ. კონკრეტულად, რა სახის?**

— არის უამრავი, როგორც ფოტო, ისე აუდიო და ვიდეომასალა. არის დაინტერესებული ხალხი, ვისაც ეს მასალა ჩემამდე მოაქვს.

— **მარტო ხატიძე ფიგურირებს?**

— სხვებიც არიან, ვინც მასთან ერთად ბინძურ თამაშს ეწეოდა და ეწევა.

— **როდის გახდება საჯარო ეს მასალები, არჩევნებამდე?**

— როცა დრო დადგება; არაფერს დავმალავ. მაგრამ ისე გავაკეთებ ამას, რომ მორალურ და ზნეობრივ ნორმებს არ დავარღვევ.

— **ამ მასალებით მას შემდეგ დაინტერესდით, რაც ხელისუფლებიდან წახვედით?**

— მე არაფერი არ მაინტერესებდა. უბრალოდ, ვიცი, რომ რაღაც მასალები არსებობს, რომელიც თავის დროზე ყველასთვის ხელმისაწვდომი გახდება. ეს მასალები მე არ მაქვს. სხვა ხალხთან ინახება.

— **დღეს ვინ არის თქვენთვის ხატიძე — მტერი თუ კონკურენტი?**

— ხატიძე თვითონ ამბობს კობა ბუჩუკურის მეგობარი ვარო. მეგობრობა კარგია, მაგრამ მეგობრობა უნდა იყოს ზნეობრივად დაცული, მოქმედებები კი კაცური.

— **რას იზამთ იმ შემთხვევაში, თუ ხატიძე თავადაც „შეიარაღდება“ თქვენი საწინააღმდეგო კომპრომატებით?**

— ყველამ ყველაფერი მაგიდაზე დადოს და ვნახოთ.

— **ე.ი. კომპრომატების დუელი შედგება?**

— მე დუელი მაქვს 2 ივნისს, საიდანაც იმედი მაქვს, რომ გამარჯვებული გამოვალ.

***ქეთი ბერეკაშვილი***



# სახიფათო გასტროლები



რომ არა სერიოზული საინფორმაციო წყარო, ეს ამბავი ზღაპარი გეგონებათ: ცოტა ხნის წინ, რუსეთში ჩამოვიდა საიდუმლო ჯგუფის, „მანსურის“ ყოფილი თანამშრომელი, რომელიც 90-იანი წლების დასაწყისში აფხაზეთში მუშაობდა. კარგა ხანს იგი სიერა-ლეონეში ბიზნესს ეწეოდა, რუსეთს კი იმიტომ ესტუმრა, რომ თან ჩამოეტანა ის სარაკეტო კომპლექსი, რომლის მეშვეობითაც თავის დროზე აპირებდნენ ქართველი ლიდერების თვითმფრინავების განადგურებას.

ყველაფერი დაიწყო 1992-1993 წლებში, აფხაზეთში. იმ დროს იქ „მოღვაწეობდა“ რუსეთის სპეცსამსახურების ჯგუფი „მანსური“, რომელიც ფორმალურადაც კი არ ექვემდებარებოდა აფხაზეთის ხელმძღვანელობას, ბომბორას აეროპორტის რაიონში, გუდაუთის მახლობლად იყო დაბანაკებული და შამილ ბასაევის ჩეჩნურ ბატალიონთან ერთად მოქმედებდა. „მანსური“ გეგმავდა დივერსიებს საქართველოს ტერიტორიაზე, 1993 წელს დაამუშავა ედუარდ შევარდნაძის განადგურების გეგმა. ამ გეგმის ავტორი იყო ჯგუფის ერთ-ერთი საუკეთესო ბოევიკი, რომელსაც ჩვენ პირობითად ალექსეი კოსიაკოვს ვუწოდებთ.

80-იან წლებში ეს ადამიანი ავღანეთსა და ანგოლაში „მუშაობდა“, შემდეგ დაბრუნდა დაშლილ სსრკ-ში, ცოტა ხანს უკრაინის სპეცდანიშნულების რაზმში მსახურობდა, მერე ისარგებლა ძველი კავშირებით და თავი ამოყო აფხაზეთში, რუსეთის სპეცჯგუფ „მანსურში“. მას პატივს სცემდნენ, როგორც ურთულესი ოპერაციების დამგეგმავსა და შემსრულებელს.

სწორედ მისი წინადადება იყო „ობიექტის“ განადგურება თვითმფრინავში, თბილისის აეროპორტში, თვითმფრინავის აფრენის ან დაშვების დროს. აეროპორტის გვერდით, პატარა კერძო სახლში დამონტაჟებული იყო უმარტივესი რადიოტექნიკური საშუალებები. ჯგუფის ბოევიკს უნდა დაეფიქსირებინა თვითმფრინავი და ჩამოეგდო საზენიტო-სარაკეტო კომპლექსის, „სტრელა-2“-ის მეშვეობით. ვინაიდან ამ „სნაიპერის“ დადგენა რთული არ იქნებოდა, გადაწყვიტეს, სათვალთვალო აპარატი და „სტრელა-2“ დაედგათ სპეცპლატფორმაზე, რომლის მართვა შესაძლებელი იქნებოდა დისტანციური მართვის პულტით. ეს პულტი უნდა დაედგათ ვაზიანის რუსეთის სამხედრო ბაზის ტერიტორიაზე. თვითმფრინავის ჩამოგდების შემდეგ მართვის პულტიც და საზენიტო კომპლექსიც ავტომატურად განადგურდებოდა.

ალექსეი კოსიაკოვმა პლატფორმა დაამზადებინა უკრაინაში და ფეოდოსიის პოლიგონზე წარმატებით გამოსცადა კიდეც.

სხვათა შორის, ამ პოლიგონიდან გაისროლეს რაკეტა, რომელმაც ისრაელიდან მომავალი თვითმფრინავი ჩამოაგდო. ამ ოპერაციას რამდენიმე ათასი დოლარი დასჭირდა და მთელი ხარჯები რუსეთის სპეცსამსახურებმა გაიღეს.

ოპერაცია საქართველოში აღარ განხორციელდა, ვინაიდან 1993 წლის ზაფხულში აფხაზეთის ტერიტორიაზე სიტუაცია შეიცვალა, ქართველებმა აფხაზეთი დატოვეს და შევარდნაძის განადგურებას აზრი აღარ ჰქონდა. ტექნიკა კი ბომბორაში დარჩა და 8 წელი იქ ინახებოდა.

აფხაზეთის ომის შემდეგ კოსიაკოვი უკრაინაში დაბრუნდა, შემდეგ კი, როცა მისმა „მფარველებმა“ მთავრობა დატოვეს, სიერა-ლეონეში გადასახლდა და ალმასების ბიზნესი წამოიწყო.

2002 წლის მარტში კოსიაკოვი მოულოდნელად კვლავ გამოჩნდა უკრაინაში, შემდეგ კი სოხუმსაც ეწვია, საიდანაც დანადგარებით სავსე ყუთები წაიღო და ფეოდოსიის პოლიგონზე მიიტანა. ამის შემდეგ პოლიგონზე სამი უცხო პირი ჩავიდა — რუსლანი და ჰუსეინი ინგუშები არიან, ხოლო მესამე, მათი ხელმძღვანელი — რუსი. პოლიგონზე იგი მუდამ ნიღბით დადიოდა, მაგრამ იოლად ცნობდნენ ტიპური მოსკოვური აქცენტის გამო. სამეულს სოხუმიდან გამოტანილ მოწყობილობებზე მუშაობა ასწავლეს. ამჯერად, ქართული ვარიანტისგან განსხვავებით, სროლის ბრძანებად ჩაითვლებოდა მობილური ტელეფონის სიგნალი.

ამბობენ, რომ საქართველოდან დანადგარების გატანა 200 ათასი დოლარი დაჯდა. უკრაინიდან, ყალბი საბუთებით, ეს დანადგარები სამეულმა რუსეთში ჩაიტანა, რის შემდეგაც კვალი დაიკარგა...

ალექსეი კოსიაკოვი კი კვლავ სიერა-ლეონეში, თავის ალმასებს დაუბრუნდა.

ასე რომ, გაზაფხულიდან ეს მეტად საშიში, გამანადგურებელი მოწყობილობა რუსეთშია და ვინ იცის, ვის წინააღმდეგ გამოიყენებენ. ტერაქტი შეიძლება მიმართული იყოს ვლადიმირ პუტინის ან თუნდაც ჯორჯ ბუშის წინააღმდეგ, რომელსაც განზრახული აქვს მაისში რუსეთში ჩამოსვლა.

*ვერსია №18*

# რუსეთის სურვილის წინააღმდეგ აშშ ფეხს იკიდებს საქართველოში

ამერიკელი ინსტრუქტორები ჩავიდნენ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკაში. მათ ფეხზე უნდა დააყენონ სპეციალური შენაერთები: ერთი ბატალიონი, ერთი მოტორიზებული ქვედანაყოფი, გაწვრთნიან დაახლოებით 1500 კაცს. ქართული სამხედრო შენაერთი შეებრძოლება პანკისს თავშეფარებულ ალ-ქაიდას მიმდევრებს.

პროგრამა ითვალისწინებს 64 მლნ დოლარიან დახმარებას (რაც დაახლოებით 71 მლნ ევროს ტოლია). ეს თანხა სამჯერ აღემატება საქართველოს სამხედრო ბიუჯეტს.

მოსკოვს მწვანე ბერეტიანების კავკასიაში შესვლაზე მაინცდამაინც დიდი რეაქცია არ ჰქონია, — საქართველოს აქვს სუვერენული უფლება, მიიღოს უსაფრთხოების ზომები საერთაშორისო ტერორიზმის საშიშროებისაგან თავის დასაცავადო, — განაცხადა.

ალ-ქაიდასა და ჩეჩენ მებრძოლთა შორის არსებული კავშირის გაანალიზების შემდეგ ვაშინგტონმა დაადგინა: რუსებს დიდი ხანია თავად უნდოდათ საქართველოში შეჭრა, მაგრამ ამერიკელებმა დაასწრეს. მოსკოვი თვითონვე გაება „ჩეჩნური ტერორიზმის“ მახეში.

ქართველი ოფიციალური პირები საქართველოში ამერიკელი სამხედროების ჩამოსვლის ნამდვილ მიზეზად ასახელებენ სტაბილიზაციის უზრუნველყოფას ამ სტრატეგიული მნიშვნელობის ქვეყანაში, სადაც 2002 წლის მეორე ნახევარში უნდა გაიაროს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენმა, ამისათვის საჭიროა შევარდნაძის რეჟიმის უსაფრთხოებაც.

10 წლის განმავლობაში ამერიკა თბილისს 1 მლრდ დოლარით (დაახლოებით 1,12 მლრდ ევრო) დაეხმარა. ეს საკმარისი იყო იმისთვის, რომ რესპუბლიკის 5-მილიონიანი მოსახლეობის ცხოვრების დონე მიახლოებოდა ეგვიპტისა და ისრაელისას.

სამხედრო დახმარების პროგრამა 2001 წლის 11 სექტემბრის მოვლენებამდე მოქმედებდა. 2001 წელს საქართველოში 10 ამერიკული შვეულმფრენი გაიგზავნა. საზღვრის დასაცავად თავდაცვის სამინისტროს გამოეყო 150 მლნ დოლარი (170 მლნ ევრო).

რუსები არ ისვენებდნენ და წარამარა მიმართავდნენ ამერიკის მთავრობას,— საქართველოში არაბი ტერორისტები აფარებენ თავს და გვინდა ქართველებს დავეხმაროთო. ამერიკელები კი პასუხობდნენ: ქართველები ამ საქმეს უთქვენოდაც მშვენივრად გაართმევენ თავს, ხოლო თუ საჭირო გახდა, ჩვენ დავუდგებით გვერდითო.

„რუსეთი რომ სტაბილური ქვეყანა ყოფილიყო, მეეჭვება, ვაშინგტონს ჩვენთვის სამხედროები გამოეგზავნა. მაგრამ ამერიკა მიხვდა, თუ იგი საქართველოში რუსებს შეუშვებდა, ეს გამოიწვევდა მხოლოდ დესტაბილიზაციას, არეულობას და ქაოსს ისევე, როგორც ჩრდილოეთ კავკასიაში“, — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ..

*მონდი*

# საქართველო მრთგვარი მკალია რუსეთისა და აშშ-ის ურთიერთობებში!

## აფხაზები დაუმტკიცებენ მოსკოვს, რომ ასე იოლად ჩამოსაწერნი არ არიან!

მიმდინარე კვირაში დაგეგმილ ბუში-პუტინის უმაღლესი დონის შეხვედრასა და მის სავარაუდო შედეგებზე მრავალი ექსპერტი ლაპარაკობს და საინტერესოა, რომ პროგნოზებისას ხშირად გაისმის საქართველოს სახელიც. მაგალითად, ბევრ ამერიკელ ექსპერტს მიაჩნია, რომ ბუში-პუტინის დიალოგს შეიძლება ჩრდილი მიაყენოს საქართველოსთვის ამერიკის სამხედრო დახმარებისა და ამ ქვეყანაში ამერიკელ ინსტრუქტორთა შესვლის საკითხმა. ზოგიერთი ანალიტიკოსი კი პირდაპირ გამოთქვამს შეშფოთებას, რომ საქართველოსთვის აშშ-ის მიერ გამოყოფილ 64-მილიონიან ახალ სამხედრო პროგრამას და კონტრტერორისტულ მზადებას, სახელწოდებით „წვრთნა და აღჭურვა“, შეიძლება გაუთვალისწინებელი შედეგები მოჰყვეს, კერძოდ, გაძლიერებული ქართული არმია შესაძლოა სეპარატისტული რეგიონების ძალით დაბრუნებას შეეცადოსო. მართალია, სახელმწიფო მდივანმა კოლინ პაუელმა ბოლო დროს კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ საქართველოში გაგზავნილ 200-მდე ამერიკელ „რეინჯერს“ არაფერი აქვს საერთო და არც ექნება აფხაზეთის კონფლიქტთან, მაგრამ ვაშინგტონელი ექსპერტი ზეინო ბარანი (ის აშშ-ის პოლიტიკურ წრეებში ცნობილია, როგორც კავკასიის კონფლიქტთა ექსპერტი) აცხადებს, — ამერიკული პოლიტიკური წრეები გვარიანად შეაშფოთა პრეზიდენტ შევარდნაძის ბოლოდროინდელმა განცხადებებმა, რომ ძლიერ და გაერთიანებულ ქართულ პარტიზანულ მოძრაობას უჭერს მხარს და იმანაც, რომ საქართველოში ამერიკელ სამხედრო ინსტრუქტორთა გამოჩენას და ძლიერი ქართული არმიის შექმნას აფხაზები პირდაპირ მუქარად აღიქვამენ და თავადაც ემზადებიანო. ახლახან ზეინო ბარანი თურქეთში არსებულ მრავალათასიანი აფხაზური დიასპორის წარმომადგენლებს შეხვდა, რომლებმაც პროტესტი გამოთქვეს საქართველოსთვის აშშ-ის სამხედრო დახმარების ზრდასთან დაკავშირებით და თითქმის დარწმუნებულნი არიან, რომ აშშ-ის სამხედრო-პოლიტიკური მხარდაჭერით გამხნევებული ქართველები მიწასთან გაასწორებენ აფხაზეთს და გაანადგურებენ აფხაზ ხალხს(!). ამასთან ზეინო ბარანი დარწმუნებულია, რომ აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირება-გამწვავება დამოკიდებულია რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებზე და რაც უფრო გაუარესდება ეს ურთიერთობები, მით მეტად დაიძაბება მოსკოვისა და ვაშინგტონის დამოკიდებულება! ბოლო წლებში საქართველო ერთგვარ პოლიტიკურ ეკლად იქცა რუსეთ-ამერიკის ურთიერთობებში და თუ მოსკოვი და ვაშინგტონი ვერ გამოძებნიან საქართველოს საკითხში თანამშრომლობის გზას და საქართველოში არ აღდგება ტერიტორიული მთლიანობა, შესაბამისად, ქვეყანას არც სტაბილურობა ეღირსება. ეს იქნება ერთ-ერთი მთავარი პრობლემა, რომელიც ხელს შეუშლის რუსეთ-ამერიკის დაახლოებას!

საინტერესოა, რომ ამერიკის პოლიტოლოგიურ წრეებში ბასილ მკალავიშვილის შემდეგ იმერეთის გუბერნატორის სახელიც გახდა ცნობილი. იგივე ზეინო ბარანი აფხაზეთის პრობლემაზე მსჯელობისას იმოწმებს თემურ შაშიაშვილის ინიციატივას და აცხადებს, რომ „შაშიაშვილმა შევარდნაძეს ულტიმატუმი წაუყენა — თუ შევარდნაძე არ დაარწმუნებს საერთაშორისო თანამეგობრობას, გაერომ აიძულოს აფხაზეთი დაბრუნდეს საქართველოს შემადგენლობაში, შაშიაშვილი პირადად უმეთაურებს პარტიზანულ მოძრაობას ამ მიზნის მისაღწევად და თუ რუსეთიც არ აიძულებს აფხაზეთს, დაუთმოს თბილისს, აფხაზეთი მეორე ავღანეთად გადაიქცევა! შაშიაშვილის ულტიმატუმის ვადა 26 მაისს ამოიწურება, ანუ ბუში-პუტინის სამიტის ბოლო დღეს“.

ზეინო ბარანი ფიქრობს და ეს მას თურქეთში ჩასულმა ჯერგენიას წარმომადგენლებმაც დაუდასტურეს, — აფხაზები შიშობენ, რომ აშშ და რუსეთი საქართველოს სასარგებლო პოზიციაზე დადგებიან და მათი დაახლოებაც აფხაზეთის ხარჯზე მოხდება. ამან კი შეიძლება ისეთი რამ გააკეთებინოს აფხაზებს, რაც დაუმტკიცებს მოსკოვს, რომ აფხაზეთი ასე იოლად ჩამოსაწერი არ არის...

*იურეიჟ რევიუ*



# საქართველოს მშვიდობისმყოფელთა მანდატის გადახედვა სურს

## პარტიზანები კი ბრძოლისთვის ემზადებიან

საქართველოს ხელმძღვანელობა კვლავ მიუბრუნდა მშვიდობისმყოფელების მანდატის პრობლემას. თბილისში მათ მიმართ პრეტენზიები ყოველთვის ჰქონდათ. როგორც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დეპარტამენტის დირექტორი კახა სიხარულიძე ამბობს, — ემოციების დრო წავიდა და საჭიროა საქმეს მივხედოთ.

7-8 მაისს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში რუსეთის დიპლომატების, გაეროს გენერალური მდივნის საგანგებო წარმომადგენლის დიტერ ბოდენის და დსთ-ის სამხედრო თანამშრომლობის კოორდინაციის შტაბის წარმომადგენლების მონაწილეობით ჩატარდა კონსულტაციები, სადაც თბილისმა მოითხოვა გალის მთელ ტერიტორიაზე, მის ომამდელ საზღვრებამდე უშიშროების ზონის გაფართოება, მთელი მძიმე ტექნიკის აფხაზეთის სიღრმეში გადატანა და დამატებითი ზომების მიღება ლტოლვილთა უსაფრთხოდ დასაბრუნებლად. თბილისმა პროცესის მშვიდობიანი მოგვარების მონაწილეებს შესთავაზა გალის რაიონში „დროებითი ადმინისტრაციის“ შექმნის საკითხის განხილვა, რომელიც იმუშავებს გაეროს ეგიდით და ევროკავშირის უშიშროების საბჭოს, დსთ-ის და აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირებით დაინტერესებული სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მონაწილეობით.

დევნილი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ თამაზ ნადარეიშვილმა ასეთი კომენტარი გააკეთა, — „მე ვნახე ეს დოკუმენტი და მგონია, რომ ეს წინადადებები მორიგი „არასამეცნიერო ფანტასტიკაა“. ჯერ ერთი, რუსეთი არასოდეს დათანხმდება თავისი მშვიდობისმყოფელების ენგურიდან აფხაზეთის სიღრმეში გადაყვანაზე. არაფერი გამოვა გალის რაიონის დემილიტარიზებულ ზონად გამოცხადების საკითხში — აფხაზეთის ახლანდელი მთავრობა არასოდეს დათანხმდება გალის რაიონში ქართულ-აფხაზური ერთობლივი ადმინისტრაციის შექმნას, თუნდაც გაეროს, დსთ-ის თუ ვინც გინდა იყოს, კონტროლით. იქ ყველაფერ ამას აღიქვამენ, როგორც საქართველოს იურისდიქციის აღდგენას აფხაზეთის ამ მონაკვეთზე. სოხუმი ამას არასოდეს დაუშვებს. ეს იმას ნიშნავს, რომ ახლო მომავალში გალის რაიონში ლტოლვილთა მასობრივი დაბრუნება გამორიცხულია — ისინი აფხაზეთის ადმინისტრაციის გამგებლობის ქვეშ არ დაბრუნდებიან. პრაქტიკულად, ეს განუხორციელებელი ამბავია. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის რეალური შედეგი შეიძლება მოიტანოს, მაგალითად, გაეროს წესდების მე-7 მუხლის რეალიზაციამ, რომელიც ითვალისწინებს ე.წ. მშვიდობის იძულებითი წესით მიღწევის მექანიზმს.“

მოკლედ, აფხაზეთის პრობლემა ისევ ჰაერშია გამოკიდებული, მაგრამ არავინ იცის, რამდენი ხნით. სოხუმში მაისის უშედეგო შეხვედრების შემდეგ ქართველი პარტიზანები მზად არიან საბრძოლველად. „ტყის ძმების“ მეთაურის დავით შენგელიას თქმით, აქტიურ მოქმედებებზე მათ მიერ ზამთარში გამოცხადებულ მორატორიუმს ვადა გაუვიდა...

*ნეზავისიმაია №90*


სასწავლო ცენტრი CAC (სი ეი სი)
3 ივნისიდან — 13 ივლისამდე ატარებს
SUMMER INTENSIVE COURSE



ტელ: 25 17 30 / 29 40 80



ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო!
კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.



## პატარები გვიამბობენ

**6 წლის დათუნა ჩახვაშვილი** ტყუილში გამოიჭირეს და მაშინვე გაახსენეს მატყუარა მწყემსის ამბავი, რომელსაც ცრუპენტელობის გამო არავინ აღარ მიეხმარა და მგელმა ცხვარი შეუჭამა.

— მოიცა რა, — თქვა დათუნამ, — აქ, ჩვენთან რა უნდათ მგლებს?!

***

**პატარა მარიამ ლომსაძეს** დედიკო შეჰპირდა, საბავშვო „ორბიტს“ გიყიდიო. გოგონამ ტირილი დაიწყო:
— საქალო მინდა, საქალო მიყიდეო.

***

**წლინახევრის ნიკა მამულაშვილმა** შეამჩნია, რომ ბებიას კაბა გარღვეოდა. გაუკვირდა, დაფიქრდა, ცოტა ხნის შემდეგ „მიხვდა“, რაშიც იყო საქმე და თავისი აღმოჩენით გახარებულმა ბებიას ჰკითხა:

— ბაბო, ტაკოში ცელა (ცხელა?)

***

**4 წლის თაკო ლობჟანიძე** შეღებილ კვერცხებს ათვალიერებდა. რამდენიმე კვერცხი გამსკდარი გამოდგა და გაკვირვებულმა იკითხა:

— ეს კვერცხებიც მიწისძვრის დროს დაიბზარა?

***

**5 წლის ნინო კიზირიამ** დედისაგან გაიგო, რომ მისი ზოდიაქოს ნიშანი არის „ვერძი“. დილით გაიღვიძა და მამას ეუბნება:

— მამიკო, იცი, რომ მე „ძეხვი“ ვარ?

შეიტანე კროსვორდის ბადის ცარიელ უჯრებში ნახატის შემადგენელი გამოსახულებების სახელწოდებები ვერტიკალურად და ყვითელი ფერის ჰორიზონტალურ რიგში მიიღებთ ფიფქიას დედინაცვლის ჯადოსნური ნივთის სახელს.




## იპოვე 14 განსხვავება



## იპოვე ნინის და მუკას ნაყინების ორეულები



რომელ პეპელასთან მივა მუხლუხო?





რა ფერის უნდა იყოს თითოეული რიგის ბოლო საგანი?



იპოვე ორი ერთნაირი ჩრდილი



რომელი ქაღალდის მიხედვით გაიკეთა ტატუირება გოგონამ?

## I რებუსი





ძვირფასო მშობლებო! გთხოვთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით გამოგვიგზავნოთ თქვენი პატარების ბრძნული გამონათქვამები და კურიოზული ამბები. ჩვენ კი მათ გამოქვეყნებას გპირდებით. გთხოვთ, მიუთითოთ რუბრიკა „საბალღო-სალაღო“

## ქიავოხეი

| ალუჩის „უმცროსი“ ძმა | საუზმე, ..., ვახშამი | „ზოგჯერ ... სჯობს არათქმასა“ | ლატვიის დედაქალაქი | ეკლესიის მსახური |
|---|---|---|---|---|

| „... მოისხა ფოთოლი“ | საოცრებათა ქვეყანაში მოგზაური გოგონა | როდის ყივის მამალი | ცოლის ანტონიმი | „... გამოდი, გუთანო“ | ხის საწოლი ჩვილისთვის |
|---|---|---|---|---|---|

პასუხები იხილეთ 31-ე გვერდზე

გვერდი მოამზადა მამუკა ხუციშვილმა

# ცხოვრებისეული კურიოზები

## — ერემო, ნუ სვამ, თორემ ინანებ!..



იყო ასეთი ჟურნალისტი — ერემო მახათაძე. ერთხანს გაზეთ „ლელოს" რედაქტორი გახლდათ, მერე საკავშირო „სელსკაია გაზეტას" კორესპონდენტი საქართველოში. გარეგნულად მსახიობ აკაკი კვანტალიანს ჰგავდა და ხუმრობა ხომ მისი მოგონილი იყო. ხშირად გვიწევდა ერთად ქეიფი. ერთხელ შინ დაგვპატიჟა — მე, თენგიზ ნათაძე, ამირან ბარდაველიძე და ზაურ გომართელი (იმხანად ყველანი ტელევიზიაში ვმუშაობდით). სასმელი თქვენ მოიტანეთო (ჩვენს საძმაკაცოში ასეთი რამ მოდიოდა). ... სანამ ერემო სამზარეულოში ტრიალებდა, თენგიზმა ჩაკეტილი ბარი დიდი წვალების შემდეგ, როგორც იქნა, გააღო და 5 ბოთლი საგულდაგულოდ შენახული ძალიან ძველი „ენისელი" აღმოაჩინა! სასწრაფოდ ერემოს ეახლა, სასმელის მოსატანად მივდივართ და წავიდა „საყიდლად". კონიაკები ჩვენ გადავაწოდეთ ფანჯრიდან (ერემო პირველ სართულზე ცხოვრობდა ახლანდელი პარლამენტის შენობის წინ). დაბრუნდა თენგიზი ნახევარი საათის შემდეგ და უნდა გენახათ ერემოს აღფრთოვანება, ეს რა ძვირფასი კონიაკი მოგიტანიათ (ეტყობა, „რუსსკაია ვოდკას" ელოდა).

თამადობა თვითონ დაიწყო. ჭიქას ჭიქაზე ცლიდა. — ერემო, ნუ სვამ, თორემ ინანებ! — ხან ერთი ვეტყოდით და ხან მეორე.

— რავა ჩემო ბატონო, 25-მანეთიანი კონიაკი მაწყენს თუ რა?! — იტყოდა და მორიგ სადღეგრძელოს ასწევდა.

იმ 5 ბოთლიდან 2 ერემომ დალია, ერთი სიტყვით, თავი არ დაიზოგა.

ერემო სტალინელი იყო. ყველაფერს გაპატიებდა, ოღონდ კი სტალინი აუგად არ უნდა მოგეხსენიებინა. ჰოდა, ადგა ამირანი და დასჭექა სიმღერა:

*ლენინის ქუჩაზე,*
*სტალინს რა უნდოდა...*

ერემო აბობოქრდა და თავისებურად გამოგვიტანა „განაჩენი": მე, როგორც პოლიციელი, ქუჩაში გამამწესა ავტოინსპექტორად „სვისტოკით"; თენგიზს საჩხერის სადგურზე დიქტორობა მიუსაჯა, მეტის ღირსი არა ხარო; ამირანი ბოლოკის გამყიდველად გაამწესა; ზაურს გაზეთების ჯიხური ჩააბარა...

სანამ ერემო ბობოქრობდა, ერთ-ერთ ჩვენგანს ჩუმად ჩამოუხსნია ერემოს ოთახში საპატიო ადგილზე გამოჭიმული სტალინის სურათი და ჩემს მანქანაზე გაუკრავს... ამასობაში ჩვენც თავპირისმტვრევით გამოვცვივდით გარეთ და მანქანაში ჩავსხედით, თან მაგიდაზე გადარჩენილი ერთი ბოთლი კონიაკიც გამოვიყოლეთ.

თენგომ რუპორი ჩართო (ჩემს მანქანას რუპორი ჰქონდა) და თავისი ბარიტონით დაიწყო: — ამხანაგო ერემო, გემშვიდობება შენი იოსებ ბესარიონოვიჩი, მიდის შორეულ მოგზაურობაში და სახსოვრად ერთ ბოთლ კონიაკს გიტოვებს შენი კოლექციიდან!..

ერემო მოულოდნელობისგან გაქვავდა...

გომართელმა ცეცხლზე ნავთი დაასხა:

— ხომ გეუბნებოდი, ერემო, ნუ სვამ, თორემ ინანებო!..

***ვაჟა გავაშელი, თბილისი***

## კურიოზი ცირკში



ერთი მეზობელი მყავს, ბატონი ზურაბი, ყოფილი მშენებელი, სამმართველოს უფროსად ნამუშევარი, ახლაც ერთ-ერთ სამშენებლო ობიექტს ხელმძღვანელობს. თავისუფალ დროს გამონახავს თუ არა, თავისი ერთადერთი (ჯერჯერობით) 4 წლის შვილიშვილი თაკო ხან ცირკში მიჰყავს, ხან ზოოპარკში, ხან კიდევ ბასტი-ბუბუს კონცერტებზე.

ერთხელ ბაბუა-შვილიშვილი ცირკში უყურებდა მორიგ წარმოდგენას და გულიანადაც ერთობოდნენ კლოუნების ტაკიმასხარაობაზე და მაიმუნების ცეკვა-თამაშზე. შუა წარმოდგენისას ბაბუამ გოგონას უთხრა, ტუალეტში წავალ და მალე დავბრუნდები, შენ ჭკვიანად იჯექიო. გოგონამაც მშვიდად დაუქნია თავი, თუმცა კი მიმავალს სევდიანად გახედა, ეტყობა, მარტო დარჩენა არ უნდოდა.

... ორიოდე წუთის შემდეგ არენაზე დიდი დათუნია გამოიყვანეს და მარტო დარჩენილ თაკოს შეეშინდა. თვალები ცრემლით აევსო და ის-ის იყო ტირილი უნდა დაეწყო, რომ ბატონი ზურაბიც გამოჩნდა, გოგონასთვის ბასტი-ბუბუს ბურბუშელაც გამოეყოლებინა. თაკომ ბაბუა რომ დაინახა, სახე გაუნათდა, ფეხზე წამოიჭრა და მთელი ხმით დაიყვირა: — ზურა ბაბუ, ზურა ბაბუ! უკვე მოფისე?..

***ანიკო, თბილისი***

## მკითხველის — — სასყვარელი ანეკდოტი

თბილისელი მეგობრები საუბრობენ:

— როგორ იცვლება დრო, მაგის დედა ვატირე!

— რაზე ამბობ, ძმაო?

— რაზე და, დედაჩემს ისიც კი ახსოვს, მამაჩემმა როდის აკოცა პირველად, ჩემს დას კი ის აღარ ახსოვს, მის პირველ ქმარს რა ერქვა...

***ლევან ყუფარაძე, თბილისი***





თბილისელი პატარძალი მეუღლეს თავს აწონებს:

— ეს ტორტი ტელევიზორში მოსმენილი რეცეპტით მოვამზადე...

— სულ გამოჩერჩეტდა ეს ტელევიზორი!.. — მშვიდად პასუხობს სიძე.

***გია პატარიძე, თბილისი***

ქვემო სართულზე მცხოვრები სვანი, რომელსაც წყალი ჩამოუშვა მეგრელმა, ჩხუბით ავარდა მეზობელთან. მეგრელმა დაამშვიდა: — რა მოგივიდა, გუჯა, ათი წელია შენგან ამოდის ჩემთან წყალი ქვემოდან და ერთხელაც არ მიჩხუბია, რა მოხდა, ერთხელ რომ ჩემგან ჩამოგივიდეს?

— ჰოო, მაგაში მართალი ხარ!.. — დაემოწმა სვანი და მშვიდად ჩავიდა ქვემო სართულზე.

***თეიმურაზ ვარდოსანიძე, თბილისი***



***ბატონო მკითხველო, რედაქცია კურიოზებსა და ანეკდოტებთან ერთად ელის მხიარულ კარიკატურებს, მეგობრულ შარჟებს, რომელთაგან საუკეთესოებს სიამოვნებით გამოვაქვეყნებთ.***

***მასალები გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთების საშუალებით. ყუთების მისამართი იხილეთ ბოლო გვერდზე.***

## ჩვენი სტუმარია სატირულ-იუმორისტული ჟურნალი ფილოქსერა

## ასვატიანი ნათურა

ოცი-ოცდახუთი წლის წინ თბილისში მოწინავე პედაგოგთა რესპუბლიკური შეკრება თუ ყრილობა ტარდებოდა. საქართველოს სხვადასხვა რაიონიდან ჩამოსული მასწავლებლები, განათლების სამინისტროს საერთო საცხოვრებლებში დაანაწილეს და სამი დღის მანძილზე იქ ცხოვრობდნენ, სამ-სამი ან ოთხ-ოთხი კაცი თითო ოთახში. უფრო ზუსტად, კაცი კი არა ქალი, რადგან, როგორც ახლა, მასწავლებელთა 95 პროცენტს მაშინაც ქალები წარმოადგენდნენ. ეს ამბავი კი, სწორედ დანარჩენი „5 პროცენტის" ღირსეულ წარმომადგენლებს შეეხებათ...

„რადიკალურად განსხვავებული" კუთხეებიდან ჩამოსული სამი პედაგოგი მამაკაცი ერთ ოთახში მოხვდა: კახელი ფიზიკოსი, სვანი „ფიზკულტურისტი" და გურული ისტორიკოსი. „გაცნობისა და დამეგობრებისა" პირველსავე დღეს დალიეს, მაგრამ ზომიერად (დილას სხდომა ელოდათ), მეორე დღესაც „იჭუკჭუკეს" და მესამე საღამოს, უკვე „კვალიფიკაციაამაღლებულებმა", თავიანთ ოთახში „ბოლომდე სმით" გადაწყვიტეს ერთმანეთთან დამშვიდობება: კახელმა საგულდაგულოდ გადანახული ათლიტრიანი შემოდგა მაგიდაზე, გურულმა „ცოფივით" ჭაჭა ამოაძვრინა ჩემოდნიდან, სვანი გაიქცა და ათ წუთში მზამზარეული „მისაყოლებლით" დაბრუნდა და... „შეუბერეს"!

... ბოცასაც და არყის ბოთლებსაც უკვე ძირი უჩანდათ, როდესაც ტკაცატკუცი გაისმა და ჭერზე შიშვლად ჩამოკიდებულმა ასვატიანმა ნათურამ (კომუნისტებს დენი არ ენანებოდათ) თავისი „ექსპლუატაციის ვადა ამოწურა". ერთ-ერთმა „მოწინავე პედაგოგმა" ხელების ფათურით გამოაღო კარი და მარტივად გადაწყვიტა პრობლემა: დერეფნის ნაწილი ჩააბნელა და მოხსნილი ნათურით თავიანთი ოთახი გაანათა, გადამწვარი „ასვატიანი" კი, იქვე, მაგიდაზე დადო. ის იყო, „საყველაწმინდო" უნდა დაელიათ, რომ უცებ გურული ამბობს:



— თუ იცით თქვენ, რომ აგი „ლამპოჩკა" პირში რომ „ჩეიბუშტო", ველარ ამეილებ!

— რას ამბობ, ჯო, რასა?! ეგა ისტორია ხო არა გგონია, ფიზიკაა, ფიზიკა! თუ პირში შაეტევა, გამაეტევა კიდეცა! — და კახელმა „ნიუტონმა" ასვატიანი ნათურა პირისკენ გააქანა.

— აჰა! — „დაიზმუვლა" და ისტორიკოსს შეხედა, პირიდან მხოლოდ ნათურის „ყუნწი" მოუჩანდა.

— ჰო, გამეილე, ახლა, გამეილე, თუ ბიჭი ხარ! — თქვენც არ მომიკვდეთ, ვერც თვითონ მოახერხა და ვერც კოლეგების მცდელობამ უშველა.

სასწრაფოდ ჩავიდნენ ქვევით, ტაქსი გააჩერეს და საავადმყოფოში გაქანდნენ. მიმღებში ექთანი დახვდათ.

— ა, ქალბატონო, „ლამპოჩკა" ვერ ამოვღლიტეთ პირიდან, — მოახსენა გურულმა. ექთანმა იფიქრა, შაყირობენო, მაგრამ სვანის სახეს და კახელის გამობერილ ლოყებს რომ შეხედა, ქირურგის დასაძახებლად წავიდა. ექიმი შემოვიდა, „ავადმყოფს" უხმოდ მიუახლოვდა (ალბათ, უკვე „ინფორმირებული" იყო მედდისაგან), ცერა თითები იმ ადგილებზე მიაჭირა მაგრად, სადაც ქვედა ყბა თავის ქალას უერთდება და ფიზიკოსმა პირი კიდევ უფრო დიდზე დააღო — ექიმმა ნათურა საზეიმოდ გადასცა მის მეგობრებს და უთხრა:

— პირს ჯერ ვერ დახურავს, ეს ბუნებრივია, რადგან კუნთები ზედმეტად იყო დაჭიმული, ახლა კი პირიქით, ზედმეტად მოდუნებულია, ორი-სამი საათის შემდეგ შეიძლება ლაპარაკი სცადოს.

მასწავლებლებმა ექიმს მადლობა გადაუხადეს და ისევ ტაქსით წამოვიდნენ. პირდაღებული კახელი წინ დაჯდა. გზაში სვანმა სპორტსმენმა „ამოიდგა ენა" და ნათურა ხელში შეათამაშა:

— ახლა აგი „ლამპოჩკა" რომ ჩევიდვა პირში, დევიჯერო, იმ ორმოცკილოიან ექიმზე მაგრად ვერ დევიჭერ ხელს ყბებზე?! — „თქმა და ქმნა" ერთი იყო და... ისევ საავადმყოფოსკენ მოაბრუნეს მანქანა.

ექთანი დაამშვიდეს და ქირურგი მოაყვანინეს. მან ბევრი იცინა, მაგრამ „ოპერაცია" მაინც ჩაატარა. გამოვიდა „სამეული" ქუჩაში. „ჭიჭიკო" დაიჭირეს (ასე ეძახდნენ მაშინ კერძო, ულიცენზიო „ტაქსისტებს") და საცხოვრებლისკენ გასწიეს. მძღოლი, ორი პირდაღებულის დანახვაზე გურულს ეკითხება:

— ძმაკაც, ესენი დებილები არიან?

— დებილები კი არა, დამსახურებული მასწავლებელია ორივე!

მძღოლმა არ დაიჯერა. გურულმა ყველაფერი უამბო და ნათურა მიაწოდა...

...მათ დანახვაზე ექთანი ფეხზე ველარ ადგა და ისტორიკოსმა თვითონ იპოვა ექიმი. ქირურგმა დედის გინების მრავალი ვარიანტის საფუძვლიანი ცოდნა გამოავლინა, მძღოლს შეჩვეული მოძრაობით ამოაძრო პირიდან „უცხო სხეული" და გამწარებულმა სარეგისტრაციო მაგიდას დააფშვნა!

წამოვიდნენ. მადლიერ მძღოლს საერთო საცხოვრებლისკენ მიჰყავს პედაგოგები. ამ დროს ავტოინსპექტორი აჩერებს და რას ხედავს: ერთ მანქანაში სამი „დებილი" და ერთი მთვრალი სხედან. მძღოლი ჟესტებით უხსნის რაღაცას. ბოლოს, ერთადერთმა „მოლაპარაკემ" მოახსენა საქმის ვითარება. მილიციელი უხმოდ მიტრიალდა და თავის ჯიხურში შევიდა. ორ წამში ჯიხურში შუქი ჩაქრა, „დებილები" მანქანაში ჩასხდნენ და წასასვლელად მოემზადნენ, მაგრამ ამ დროს უკანა კარი გაიღო და სვანს ინსპექტორმა ანიშნა — ჩაიწიეო, პირიდან ნათურის ხრახნიანი ბოლო მოუჩანდა...

ექთანი მათ დანახვაზე ფეთიანივით წამოხტა და ექიმის ოთახში შევარდა! უცებ იქიდან მისი კივილი და სხეულის დაცემის ხმა მოისმა. კარიდან კი, პირში ნათურაგაჩრილი ქირურგი გამოვიდა...

DURA LEX
SED LEX

სასამართლო ქრონიკა

ყოველთვიური ჩანართი

№11 20.05.2002

# ოცდაერთ მაგისტრანტს საერთაშორისო სერტიფიკატი გადაეცა

**სამართლებრივი განათლების ასოციაცია ALPE-ს და ჟურნალისტიკისა და მედიამენეჯმენტის კავკასიური სკოლის თანამშრომლობით, შეიქმნა სპეციალური სასწავლო კურსი, რომელიც საქართველოში სამართლებრივი ჟურნალისტიკის და სასამართლო რეპორტიორთა მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებას ისახავს მიზნად.**



ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ხელშეწყობით, ჟურნალისტიკის საერთაშორისო სკოლის (ICFJ) აქტიური მონაწილეობით, საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში (GIPA) 21 ქართველი და აზერბაიჯანელი სტუდენტი მიმდინარე აკადემიური წლის დასასრულისათვის ჟურნალისტიკის მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად ემზადება.

ამ ფორმატში, მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით, სამართლებრივი განათლების ასოციაციის ქართველმა და ევროპელმა ექსპერტებმა ლაიდენის (ჰოლანდია) უნივერსიტეტიდან, ბრიტანულ გაზეთ „თაიმსიდან" და საკომუნიკაციო კომპანია EURO& M-ის მიერ მოწვეული ისეთი მედიაჯგუფების წარმომადგენლებმა, როგორიცაა „Media Players International"-ი, სტუდენტებს წაუკითხეს სამართლებრივი ჟურნალისტიკის კურსით გათვალისწინებული ლექციები ისეთ დისციპლინებში, როგორებიცაა: სასამართლო სისტემა და საერთაშორისო პრაქტიკა; ქართული კანონმდებლობის ძირითადი საფუძვლები და შედარებითი სამართალი; ინფორმაციის თავისუფლების აქტი; ჟურნალისტური და სამოსამართლო ეთიკა; სამართლებრივი ჟურნალისტიკის პრაქტიკა.

მაისში სტუდენტებს გადაეცათ სასამართლო რეპორტიორის სერტიფიკატები. განსაკუთრებული სიამოვნებით აღვნიშნავთ იმ ფაქტს, რომ სტუდენტებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს „სასამართლო ქრონიკის" წინამდებარე ნომრის მომზადებაში.

ჩანართის სარედაქციო კოლეგია ულოცავს ახალგაზრდებს მათ ცხოვრებაში ამ მნიშვნელოვანი ეტაპის წარმატებით დასრულებას და იმედს გამოთქვამს, რომ დაწყებული თანამშრომლობა იქნება სრულიად ახალი იმპულსი საქართველოში სამართლებრივი ჟურნალისტიკის განვითარების საქმეში.

**„სასამართლო ქრონიკის" რედკოლეგია**

# სასამართლო სამართლებრივი სტანდარტების დაცვას მოითხოვს



**„როგორც კვლევების შედეგები გვიჩვენებს, სასამართლო რეფორმის მრავალი სირთულე ქვეყანაში სხვა სამართლებრივ სფეროში რეფორმების ნაკლებობას ან საერთოდ არარსებობას უკავშირდება. იმისათვის, რომ სასამართლო რეფორმა მთლიანობაში ქმედითუნარიანი და საზოგადოებისათვის სარწმუნო გახდეს, პოლიცია, პროკურატურა და შინაგან საქმეთა სამინისტროც სტრუქტურულ და იდეოლოგიურ განახლებას უნდა დაექვემდებაროს".**

**ხარისხობრივი კვლევის ანგარიში**
**GORBI, 2002 წელი**

წინასწარი გამოძიების არაკომპეტენტურობასა და სასამართლოში ხარვეზებით გაგზავნილ საქმეებზე მოსამართლეები უკმაყოფილებას ხშირად გამოთქვამენ. ამიტომაც სხვადასხვა მიზეზით სასამართლო ხშირად საქმეს დამატებით გამოძიებაში აბრუნებს. ეს კი სახელმწიფოს ორმაგად ძვირი უჯდება. მოსამართლეთა განცხადებით, ზოგჯერ საქმე გამოძიებაში პირადი დაინტერესების, გულგრილობის, არაპროფესიონალიზმისა თუ სხვა მიზეზთა გამო ისეა გაფუჭებული, რომ სასამართლოში გადაწყვეტილების გამოტანა შეუძლებელია. გამოძიების რეფორმირების შემდეგ რამდენად გამოსწორდება მდგომარეობა და საგამოძიებო ორგანოების რეფორმა რამდენად შეეშველება სასამართლოს? შემცირდება თუ არა დამატებითი გამოძიებისთვის დაბრუნებულ საქმეთა რიცხვი? — ამ კითხვებზე პასუხის გაცემა მომავლის საქმეა.

თუმცა, უნდა ითქვას, რომ დრო არ ითმენს. დღესდღეობით კი აშკარაა, რომ წინასწარი გამოძიება თავის სიმაღლეზე ვერ დგას. ყოველივე ეს კი თავს იყრის უზენაესი სასამართლოს საკასაციო ინსტანციაში, სადაც ხელისგულზე დევს როგორც გამოძიების მასალები, ისე ქვედა ინსტანციების სასამართლოთა მიერ მიღებული გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საკითხებზე გვესაუბრება უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის წევრი **ნინო გვენეტაძე**:

— ხშირად განაჩენს ვაუქმებთ და საქმეს დამატებითი გამოძიებისათვის ვაბრუნებთ. პირველი ინსტანციის სასამართლოში განხილვის შემდეგ ჩვენთან ასევე საჩივრდება სისხლის სამართლის საქმის არაღძვრისა და შეწყვეტის დადგენილებები, რომლებსაც ასევე ხშირად ვაუქმებთ. გვაქვს საჰაერო ლისგან ვადაზე ადრე გათავისუფლების საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების გაუქმების პრეცედენტები. საკასაციო ინსტანცია აგრეთვე იხილავს სამედიცინო ხასიათის იძულებით ღონისძიებებთან დაკავშირებულ საქმეებს. ასე რომ, გააჩნია საქმის კატეგორიას. ხშირია შემთხვევა, როცა გამოძიება არასრულყოფილად არის ჩატარებული, ამიტომ სასამართლო იძულებული ხდება, მიიღოს გადაწყვეტილება გამოძიებაში საქმის დაბრუნების შესახებ. ამ შემთხვევაში გამოძიების არასრულფასოვნების გამომწვევი მიზეზი შეიძლება ბევრი იყოს: არაკომპეტენტურობა, შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უქონლობა და სხვა, რის გამოც შეიძლება მხარის საკასაციო საჩივარი აბსოლუტურად საფუძვლიანად ჩაითვალოს და საქმე დამატებით გამოძიებას დაუბრუნდეს. არის შემთხვევები, როცა სისხლის სამართლის საქმის არაღძვრისა და შეწყვეტის შესახებ დადგენილებები გამოდის, არადა, იქ ჩასატარებელია მთელი რიგი პროცედურები და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ამ საკითხზე სწორი გადაწყვეტილების გამოტანა. ამ შემთხვევაში ხელაღებით ვერ ვიტყვი, რომ ეს მხოლოდ პროკურატურის არაპროფესიონალიზმი, ან პასუხისმგებლობისგან გაქცევაა, რათა საბოლოო გადაწყვეტილება ჩვენ მივიღოთ, ჩვენი „თავში სახლელი" გახდეს ეს საქმე, ვინაიდან ზოგჯერ საქმის სირთულის, ზოგჯერ კი რაღაც გარემოების აღმოჩენის გამო იქმნება ისეთი სიტუაცია, როცა საქმე აუცილებლად უნდა დაბრუნდეს დამატებითი გამოძიებისათვის. თუმცა, არც ის შემთხვევებია მცირე, როცა გამოძიება ხარვეზიანია და ამის გამო საკასაციო ინსტანციის სასამართლო ვერ იღებს იმ პასუხისმგებლობას, რომ ასეთი არასრულფასოვანი გამოძიების ფონზე საბოლოო გადაწყვეტილება მიიღოს, მაშინაც, როცა ქვედა ინსტანციის სასამართლოები გაბედავენ ხოლმე ასეთ საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანას. ჩვენ კარგად გვაქვს გაცნობიერებული გამოძიებაში დღეს შექმნილი ვითარება და ხშირად იქ არსებული პრობლემები ობიექტური წარმოშობისაა. მიუხედავად ამისა, ჩვენ არ ვართ პასუხისმგებელნი და არც ვაპირებთ ვაგოთ პასუხი გამოძიების დარღვევებზე და ამით დავაკანონოთ ის, რისი დაკანონებაც არ შეიძლება.

(დასასრული მე-18 გვერდზე)

სასამართლო დარბაზებში

მაია ოქრუაშვილი

## „ცხადი" უარი მაკონტროლებლისთვის

ერთ მშვენიერ დღეს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის ინსპექციამ გადაწყვიტა, რომ შპს „ცხადში" მეწარმეები შრომის დაცვის საკითხებში გათვითცნობიერებულნი ვერ იყვნენ და შრომის კანონმდებლობის და შრომის დაცვის წესების დარღვევების თავიდან ასაცილებლად, მათი უწყების რევიზია უებარი საშუალება იქნებოდა. მოგეხსენებათ, ახალი კანონმდებლობით, თვით ასეთი „კეთილშობილური" ზრახვებიც კი შეზღუდულია და სასამართლოს გადასაწყვეტია, შეიშვება ესა თუ ის მაკონტროლებელი ამა თუ იმ ორგანიზაციაში თუ არა.

სამინისტროს 2001 წლის 13 აგვისტოს შუამდგომლობა თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს მიმართ, შპს „ცხადის" შემოწმების თაობაზე, სასამართლომ მოთხოვნის უსაფუძვლობის გამო, არ დააკმაყოფილა, რითაც „ცხადს" ერთი მაკონტროლებლის არასასურველი სტუმრობა თავიდან აარიდა. რაიონული სასამართლოს ეს გადაწყვეტილება თბილისის საოლქო სასამართლომაც ძალაში დატოვა.

## მუნდირის ღირსება და ოფიცრის ქისა

აფხაზეთის ომის მონაწილე თენგიზ ასლანიკაშვილი 1997-2000 წლებში შინაგანი ჯარების მეორე ოპერატიული ბრიგადის სამხედრო ნაწილში მსახურობდა ოფიცრად. ამ წლების განმავლობაში სამხედრო ნაწილი მას არ უზრუნველყოფდა სამხედრო ფორმით, რის გამოც ასლანიკაშვილს თავად უხდებოდა მუნდირის ღირსებაზე ზრუნვა და სამხედრო ფორმის საკუთარი სახსრებით შეძენა, რომ აღარაფერი ვთქვათ, სამივლინებო ხარჯებზე, რაც ასევე მის ქისას აწვა ტვირთად.

კონსტიტუციის 42-ე მუხლით, ადვოკატების დახმარებით, ასლანიკაშვილმა მიყენებული ზარალის ანაზღაურება და გაწეული ხარჯების დაბრუნება ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს მეშვეობით სცადა, სადაც 1601, 95 ლარის გადახდა მოითხოვა.

რაიონულმა სასამართლომ მოსარჩლის მოთხოვნა ნაწილობრივ დააკმაყოფილა.

## სამართალი საზღვრებს გარეშე

მაია ოქრუაშვილი

**„დაპატიმრებული და დაკავებული პიროვნება დაუყოვნებლივ წარედგინება მოსამართლეს ან სხვა მოხელეს, უფლებამოსილს გამოიყენოს სასამართლო ხელისუფლება.“**

**კონვენციის მე-5 მუხლის მესამე პუნქტი**



# „ჯოჯოხეთის ანგელოზებიდან“ ევროსამართლამდე

## ანუ მეძავი შვეიცარიის წინააღმდეგ

ქალბატონი ჰუბერი ქალაქ ციურიხში ცხოვრობს. 1983 წლის 11 აგვისტოს იგი ციურიხის მუნიციპალურ პოლიციაში მოწმის სახით დასაკითხად ისე წაიყვანეს, რომ არავითარი უწყება არ მიუღია. დაკითხვისას ქალბატონი ჰუბერი გამოტყდა, რომ პროსტიტუციით ირჩენდა თავს და რომ მხოლოდ გაეგო და პირადად არ იცნობდა ვინმე ბატონ K-სა და ბატონ B-ს. დაკითხვის ბოლოს ოლქის პროკურორმა ხელი მოაწერა ჰუბერის დაკავების ორდერს იმ მოტივით, რომ ის არასწორ ჩვენებებს იძლეოდა და ჩაბმული იყო „ჯოჯოხეთის ანგელოზების“ საქმიანობაში. პროკურატურას გააჩნდა ინფორმაცია, რომ სწორედ „ჯოჯოხეთის ანგელოზებს“ ჩამოჰყავდათ მეძავები გერმანიიდან. ზოგიერთი მეძავი შვეიცარიელ მოქალაქეზეც კი დაქორწინდა. ვისაც ბედი არ გაუღიმებდა და შვეიცარიულ ქორწინებას ვერ გამოჰკრავდა ხელს, მათ პროსტიტუციაში ჩაბმას და „ჯოჯოხეთის ანგელოზებისათვის“ გარკვეული წილის გადახდას აიძულებდნენ. არსებობდა ეჭვი, რომ ქალბატონი ჰუბერიც ერთ-ერთი მათგანი იყო. თუმცა, თავად დასახელებულ ჯგუფთან ყოველგვარ კონტაქტს უარყოფდა.

ჰუბერი 19 აგვისტოს გაათავისუფლეს. სასამართლო პროცესზე, რომელიც 12 ოქტომბერს გაიმართა, გაამართლეს. თუმცა, არა იმის გამო, რომ მის მიმართ დაირღვა ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-5 მუხლის პირველი ნაწილი, არამედ იმ არგუმენტით, რომ იგი სათანადოდ არ იყო გაფრთხილებული როგორც მოწმე და არ შეიძლებოდა მისი ჩვენების პროცესზე მტკიცებულებად მოყვანა. საქმე ზემდგომ ინსტანციაში გასაჩივრდა და ქალბატონი ჰუბერი 4000 ფრანკით დააჯარიმეს. პროცესზე პროკურორმა წარადგინა გერმანელი სამართალდამცავების მიერ გადაცემული სატელეფონო საუბრები ქალბატონ ჰუბერსა და ბატონ K-ს შორის. შინასახელმწიფოებრივი ინსტანციები ფედერალურ სასამართლოში ამოიწურა, რომელმაც ძალაში დატოვა ქვედა ინსტანციის გადაწყვეტილება.

მაშინ ჰუბერმა უკვე ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს მიმართა და კონვენციის მე-5 მუხლის მესამე პუნქტით გარანტირებული უფლების დარღვევაზე მოახდინა აპელირება, რომლის მიხედვითაც ***„დაპატიმრებული და დაკავებული პიროვნება დაუყოვნებლივ წარედგინება მოსამართლეს ან სხვა მოხელეს, უფლებამოსილს გამოიყენოს სასამართლო ხელისუფლება.“***

პროცესზე სახელმწიფოს წარმომადგენელი ამტკიცებდა, რომ ოლქის პროკურორი მოსამართლის ფუნქციებითაც იყო აღჭურვილი და ის გამომძიებელი მოსამართლის როლში გამოდიოდა. თუმცა, სწორედ იმის გამო, რომ ოლქის პროკურორი ბრალმდებლის როლშიც გამოდიოდა, სასამართლომ ეჭვქვეშ დააყენა მისი მიუკერძოებლობა და გადაწყვიტა, რომ განმცხადებლის მიმართ დაირღვა მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი. ამ დარღვევისთვის სახელმწიფოს 4492 შვეიცარული ფრანკის გადახდა მოუწია.

# სასამართლო სამართლებრივი სტანდარტების დაცვას მოითხოვს

(დასასრული. დასაწყისი მე-17 გვერდზე)

**ამ პასუხისმგებლობას სასამართლო ვერასდროს აიღებს და ეს არც ევალება. არის ხოლმე პროცესუალური დარღვევები, რომელთაც სასამართლო მიიჩნევს უმნიშვნელო დარღვევებად, რამაც არ შეიძლება გავლენა იქონიოს გადაწყვეტილებაზე. ასეთ შემთხვევაში ჩვენ ხშირად ძალაში ვტოვებთ ხოლმე ქვედა ინსტანციის გადაწყვეტილებას, თუმცა, ხარვეზები მაინც ფიქსირდება და ისინი კონტროლზეა აყვანილი.**

— საკასაციო პალატაში პირველი ინსტანციის სასამართლოს მასალებთან ერთად წინასწარი გამოძიების მასალებიც მოდის. ის ხარვეზები, რაც საქმის მასალებში ჩანს, რით არის გამოწვეული — უცოდინრობით, გულგრილობით და ზერელე დამოკიდებულებით თუ კიდევ სხვა დაინტერესებით?

**ზოგჯერ წინასწარ გამოძიებაში საქმე, ნებსით თუ უნებლიეთ, ისეა გაფუჭებული, რომ სასამართლოში მისი გამოსწორება შეუძლებელი ხდება.**

**ხშირია შემთხვევები, როცა საქმეში ჩახედვისას მიხვდები, რომ აქ არ არის მხოლოდ არაპროფესიონალიზმი. არის ისეთი გარემოებები, რომელთა დადგენას და მტკიცებულებათა წარმოდგენას სჭირდება ძალიან დიდი შრომაც და სახსრებიც, მაგრამ ასევე ხშირია შემთხვევები, როცა საქმე აბსოლუტურად გულგრილად არის ხოლმე გამოძიებული, წინასწარ გამოძიებაში დაუდევრად არის აწყობილი მთელი სისხლის სამართლის საქმე, შემდეგ დამტკიცებულია საბრალდებო დასკვნა ისეთ საქმეში, სადაც მტკიცებულებები ფაქტობრივად არ არსებობს. განსაკუთრებით ხშირია შემთხვევები, როცა შსს-ს მიერ გამოძიებულ საქმეებზე გამოგვაქვს ხოლმე ჩვენი კერძო განჩინებები, სადაც საუბარია ადამიანებზე ფიზიკური და ფსიქიკური იძულების შემთხვევების შესახებ.**

— რამდენად ხშირია ასეთი შემთხვევები?

— **ის, რომ განსასჯელი და მისი დამცველი ხშირ შემთხვევაში პროცესზე აყენებენ ხოლმე საკითხს, რომ წინასწარ გამოძიებაში ეჭვმიტანილის მიმართ გამოყენებული იყო ფიზიკური და ფსიქოლოგიური იძულება, ლამის წესად დამკვიდრდა, თუმცა ამას, როგორც აპრიორს, არ ვიზიარებთ. თუ საქმეში არ არის შესაბამისი ექსპერტიზის დასკვნები ან მტკიცებულებები, რომლებიც ამ საკითხს დაადასტურებს, ყოველივე ზეპირ განცხადებად დარჩება. ე. წ. მოარულ დაცვით ტაქტიკას ჩვენ ხელაღებით არ ვიზიარებთ, მაგრამ ხშირია საქმეები, სადაც ექსპერტიზის დასკვნით დგინდება წინასწარი გამოძიების ეტაპზე ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლის ფაქტები.**

— ამას ტენდენციის სახე აქვს, თუ მხოლოდ ცალკეული შემთხვევებია?

— **ვერ ვიტყვი, რომ ასეთი შემთხვევები ცოტაა. ზუსტ სტატისტიკას ვერ მოგაწვდით, მაგრამ, სხვათა შორის, ხშირია.**

— ერთია წინასწარ გამოძიებაში დაშვებული ხარვეზები, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია, როცა პროკურორები სასამართლო სხდომაზე არცთუ ისე საფუძვლიანად მომზადებულნი მოდიან. სახელმწიფო ბრალმდებელთა ეს პრობლემა რამდენად დგას საკასაციო პალატაში საქმეთა განხილვის დროს?

— **ამ საკითხს უზენაესი სასამართლოს პლენუმზეც მიექცა ყურადღება. პროკურორთა სიმცირე აშკარაა. ეს არ არის იმ კონკრეტული პროკურორების ბრალი, რომლებიც ჩვენთან გამოდიან. მართლა არ არის პროკურორთა საკმარისი რაოდენობა. ჩვენ დღის განმავლობაში ხშირად გვიხდება თხუთმეტი საკასაციო საჩივრის განხილვა. პალატა უმეტესად დაძაბული რიტმით მუშაობს, ჩვენთანაც დაახლოებით სამიოდე პროკურორი წარმოადგენს სახელმწიფო ბრალდებას. თუმცა, იმასაც გეტყვით, რომ საკასაციო ინსტანციაში წარმოდგენილი პროკურორები კვალიფიციურად ართმევენ თავს მოვალეობებს, მაგრამ იმის გამო, რომ საქმე ბევრია, მათ ფიზიკურად არ შეუძლიათ, რომ ყველა საქმეზე საფუძვლიანად მოემზადონ. ეს შეუძლებელია, ამას ვერ მოვთხოვთ, რაც არ უნდა პროფესიონალები იყვნენ. ძალიან გამოცდილი ხალხი გამოდის საკასაციო ინსტანციაში. დღეში 15-18 საქმეს ვიხილავთ და ძალიან ძნელია კვალიფიციურად მოახერხო ბრალდების პოზიციების წარმოდგენა პროცესზე. ეს ფიზიკურად შეუძლებელია და აქედან გამომდინარე, დადგა დღის წესრიგში თხოვნა გენპროკურატურისადმი, რომ როგორღაც მოუარონ ამ საკითხს — გაზარდონ პროკურორების რიცხვი, სხვა გამოსავალი ძნელად მოიძებნება, ვინაიდან საკასაციო ინსტანციაში სისხლის სამართლის საქმეთა რაოდენობა არათუ შემცირდება, — გაიზრდება.**

ესაუბრა ანა ბერიძე

## სისხლის სამართლის ქრონიკა

მეგი ცანავა, ნიკა ნერგაძე

# 25 წლისას 25 წელი მიესაჯა

საზარელი ტრაგედია დატრიალდა გურჯაანის რაიონის სოფელ ვაზისუბანში. დედა და ორი შვილი, ხათუნა და გია, საკუთარ ეზოში სანადირო თოფით მოკლეს. ძიებამ მკვლელობაში ეჭვმიტანილად იმავე სოფლის მკვიდრი, 25 წლის ზაზა ჯავახიშვილი გამოაცხადა.

საბრალდებო დასკვნის თანახმად, ზაზა ჯავახიშვილმა მკვლელობა ახალშეძენილი ავტომანქანის დაწვის გამო ჩაიდინა. თუმცა, სასამართლოში მკვლელობის კიდევ ერთმა მოტივმა იჩინა თავი. მოწმეთა ჩვენებით, ზაზა ჯავახიშვილს ინტიმური ურთიერთობა ჰქონია ერთ-ერთ მსხვერპლთან, ხათუნასთან. ხათუნა, რომელიც პირველ ქმარს გაცილებული იყო, ზაზას ცოლობას სთხოვდა და ეს მათ ოჯახებს შორის შუღლის მიზეზად იქცა. როგორც ზაზა ჯავახიშვილი სასამართლოზე აცხადებდა, გარდაცვლილები მას მეზობლებთან საუბრებისას ამცირებდნენ და შეურაცხყოფას აყენებდნენ მის კაცურ ღირსებას. ხოლო საქმის მასალებში იყო მოწმეთა ჩვენებები, რომლებიც აცხადებდნენ, რომ ხათუნას იმ პერიოდში ინტიმური ურთიერთობა ჰქონდა ზაზასთან.

ფსიქოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით, დანაშაულის ჩადენის მომენტში ზაზა ჯავახიშვილი შეზღუდული ფსიქიკური მოშლილობის ანუ შეზღუდული შერაცხადობის მდგომარეობაში იმყოფებოდა. ეს დასკვნა პროკურატურამ არ გაიზიარა და ზაზა ჯავახიშვილი სამი ადამიანის განზრახ, დამამძიმებელ გარემოებაში, განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილ მკვლელობაში, ასევე ხულიგნობასა და იმავე დღეს, სხვა პიროვნების — ბენზინგასამართი სადგურის მფლობელის მოკვლის მცდელობაშიც დაადანაშაულა.

უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლემ — ჯემალ ლეონიძემ ზაზა ჯავახიშვილს უვადო თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

განაჩენი გასაჩივრდა და საქმე უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საკასაციო პალატამ განიხილა. მოსამართლე მერაბ ტურავამ საჩივრის განხილვისას ყურადღება დანაშაულის ჩადენის მომენტში განსასჯელის ფსიქიკურ მდგომარეობას და ექსპერტიზის დასკვნას მიაქცია.

საკასაციო პალატის მოსამართლეებმა გააუქმეს გამოტანილი განაჩენი და 25 წლის ზაზა ჯავახიშვილს უვადო პატიმრობა 25 წლით თავისუფლების აღკვეთით შეუცვალეს. პალატის თავმჯდომარემ განჩინების გამოცხადებისას ისიც აღნიშნა, რომ მოსამართლეები ამ გადაწყვეტილებამდე ხმათა უმრავლესობით მივიდნენ.

# დედას შვილის მკვლელობა არ დაუმტკიცდა

2000 წლის 14 აგვისტოს ყვარლის რაიონის პროკურატურაში სისხლის სამართლის საქმე სადისტური მკვლელობის ფაქტზე აღიძრა.

იმ დღეს პოლიციელებმა სოფელ მთისძირის მახლობლად, დაუსახლებელ ტერიტორიაზე დასახიჩრებული გვამი იპოვეს. მკვლელს მსხვერპლი მოეკლა და შემდეგ მისი კოცონზე დაწვა უცდია. გვამი ისე იყო დასახიჩრებული, რომ გამომძიებლებს თავდაპირველად იმის დადგენაც გაუჭირდათ, გარდაცვლილი ქალი იყო თუ კაცი.

ყველა ფიქრობდა, რომ საქმე გაუხსნელი დარჩებოდა და გარკვეული დროის მანძილზე მართლაც ასე იყო. თუმცა, 2000 წლის სექტემბერში ადგილობრივმა პოლიციამ ეჭვმიტანილი, თელავის რაიონის სოფელ ყარაჯალაში მცხოვრები, 27 წლის რაშიდ პეიტიევი დააკავა. პროკურატურამ მოკლულის ვინაობაც დაადგინა. იგი აღმოჩნდა სოფელ ყარაჯალას მკვიდრი, 20 წლის ნოდარ მამედოვი, რომელიც 2000 წლის 7 აგვისტოს მერე არავის ენახა.

რაშიდ პეიტიევი ნოდარ მამედოვის ნახევარძმა იყო. პეიტიევის გარდა, პოლიციამ მისი დედინაცვალი, ანუ ნოდარ მამედოვის დედა გოხარ იბრაგიმ ყიზიც დააკავა. საბრალდებო დასკვნის თანახმად, მამედოვის მკვლელობა სწორედ დედამისმა განიზრახა და მკვლელად თავისი გერი 600 ლარად დაიქირავა. რაშიდ პეიტიევმა პოლიციას აღიარებითი ჩვენება მისცა, თუმცა მალე ციხეში ტუბერკულოზით გარდაიცვალა. ჩვენებაში მან დედინაცვალი ამხილა. გოხარ იბრაგიმ ყიზიმ ამ დანაშაულში მონაწილეობა თავიდანვე უარყო და განაცხადა, რომ პეიტიევმა ის პირადი შუღლის გამო დაადანაშაულა. საბრალდებო დასკვნის თანახმად, დედას რძლის გამო შვილთან უსიამოვნება ჰქონდა, რადგან გარდაცვლილი მამედოვი მისი საცხოვრებელი ფართიდან ერთ ოთახს ითხოვდა, ხოლო ამ უკანასკნელს რძალთან ცხოვრება არ სურდა. მამედოვმა სოფლის საკრებულოს მიმართა. საკრებულოს გადაწყვეტილებით, ნოდარ მამედოვს დედისეულ სახლში ერთი ოთახი გამოეყო, სადაც ის ბოლო დრომდე ცოლ-შვილთან ერთად ცხოვრობდა.

პროკურატურის მიერ მოკვლეულ მასალებში წერია, რომ განაწყენებულმა დედამ შვილის მოკვლა განიზრახა და გერს ამ განზრახვის სისრულეში მოყვანისათვის 600 ლარი შესთავაზა. გოხარ იბრაგიმ ყიზიმ პეიტიევს თანხის გადახდა მას მერე აღუთქვა, რაც ეს უკანასკნელი მას მოკლული შვილის ხელის მტევანს მიუტანდა. პოლიციელებმა მამედოვის მოჭრილი ხელის მტევანი დედის სახლის ეზოში იპოვეს.

ეჭვმიტანილის ადვოკატები პეიტიევის მიერ ჩადენილ დანაშაულს არ უარყოფდნენ, თუმცა მის მიერ მიცემულ ჩვენებას სარწმუნოდ არ მიიჩნევდნენ. მათი თქმით, პეიტიევს მართლაც შეეძლო მოეკლა ნოდარ მამედოვი და ამის მიზეზი ნარკოტიკები შეიძლება ყოფილიყო, რადგან პეიტივი ნარკოტიკების ხმარებაში იყო შემჩნეული.

საქმე საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განიხილა და გოხარ იბრაგიმ ყიზის 16 წლით პატიმრობა შეუფარდა. ადვოკატებმა საჩივრით უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საკასაციო პალატას მიმართეს. პალატამ მიიჩნია, რომ მსჯავრდებულის მიმართ საქმეში საკმარისი მტკიცებულებები მართლაც არ მოიპოვებოდა. მოსამართლეებმა არ გაითვალისწინეს ადვოკატების მოთხოვნა გოხარ იბრაგიმ ყიზის წინააამღდეგ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის და მისი გათავისუფლების შესახებ, თუმცა განაჩენი გააუქმეს და საქმე დამატებითი გამოძიებისათვის კვლავ პროკურატურას დაუბრუნეს. გოხარ იბრაგიმ ყიზი პატიმრობიდან გათავისუფლდა და მას აღმკვეთ ღონისძიებად პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ ყოფნა განესაზღვრა.

# რეფორმირებული სასამართლო რეფორმირებულ მოსამართლეებს სჯის

გიორგი ჩხენკელი



სასამართლო რეფორმამ მოსამართლეთა დამოუკიდებლობასა და მათ საქმიანობაში ჩარევის აკრძალვასთან ერთად მოსამართლეთა დასჯის მექანიზმიც შეიმუშავა. სარეკომენდაციო ბარათიდან დაწყებული, თანამდებობიდან გათავისუფლებით დამთავრებული, მოსამართლეთა დისციპლინური სამართალწარმოების საქმეები იმ დონეზეა გასაიდუმლოებული, რომ თავად მოსამართლეთა კორპუსმაც არ იცის, მათი კოლეგა უშუალოდ რა დარღვევისთვის დაისაჯა. კანონმდებლებმა მოსამართლეთა დასჯის გაუხმაურებლობა მათივე იმიჯის დაცვას დაუკავშირეს. საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი მხოლოდ მოსამართლის დასჯის უკანასკნელი ზომა — თანამდებობიდან გათავისუფლებაა. რეფორმის ამოქმედებიდან სამი წლის განმავლობაში თანამდებობა უკვე შვიდმა მოსამართლემ დატოვა.

● **2000 წლის 14 იანვარს სადისციპლინო კოლეგიამ ყაზბეგის რაიონის სასამართლოს მოსამართლე ბესიკ კაიშაური თანამდებობიდან გაათავისუფლა.**

დისციპლინურ პასუხისმგებლობაში მიცემის საფუძველი მოსამართლის ღირსების შემლახველი ქმედების ჩადენა გახდა. კერძოდ, სასამართლოს სხდომის მდივნისთვის პრემიის სახით გამოყოფილი 129 ლარიდან კაიშაურმა 29 ლარი ასესხა თავის თანაშემწეს. ასევე, მისი ინიციატივით სასამართლოს თანამშრომლების ხელფასებიდან დაიქვითა ოთხი, ექვსი, რვა ლარი, თბილისიდან ჩამოსული სტუმრების პატივსაცემად. ასევე სასამართლოს თანამშრომლებს დაეკისრათ მათი კუთვნილი ხელფასის ჩამოსატანად გაგზავნილი თანამშრომლის გზის ხარჯების დაფარვა.

კიდევ ერთი ფაქტი — დავალიანების გამო სასამართლოს შეწყვეტილი ჰქონდა საფოსტო-სატელეფონო მომსახურება, ერთ-ერთი საქმის განხილვისას მოსამართლემ სასამართლო ხარჯები — 341 ლარი, დადგენილებით განსასჯელს დააკისრა. ვინაიდან განსასჯელის მამამ ელფოსტის ანგარიშის ნომერი ვერ დაადგინა, მოსამართლის ნებართვით მან თანხა ხელზე გადასცა სასამართლოს თანამშრომელს, რომელმაც აღნიშნული თანხა ნაწილობრივ შეიტანა ელექტროკავშირის სალაროში.

● **2000 წლის 27 მარტს თელავის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ლეილა გარსევანიშვილი თანამდებობიდან გათავისუფლდა.**

მის მიმართ დისციპლინური დევნა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ ლადო ჭანტურიამ აღძრა. გარსევანიშვილი პასუხისგებაში საქმის განხილვისას კანონის დარღვევის გამო მისცეს. მოსამართლემ საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით, არასაკმარისად მიიჩნია წინასწარი გამოძიების მიერ შეკრებილი მტკიცებულებები, ბრალდებულისთვის პატიმრობის შეფარდების შესახებ; გამომძიებლის შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა და ბრალდებულს არასაპატიმრო ღონისძიება შეუფარდა, მაშინ, როცა საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებებით და თანამონაწილეთა ჩვენებებით ბრალდებულის დანაშაულში მონაწილეობა დადასტურებული იყო. სისხლის სამართლის საპროცესო ნორმათა აბსოლუტური იგნორირებით მოსამართლემ გაუსვლელობის ხელწერილი შეუფარდა წინათ ნასამართლევ პიროვნებას, რომელიც დანაშაულის შემდეგ მიიმალა.

● **2001 წლის 4 მაისს საჩხერის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე ნუგზარ ოზიაშვილი თანამდებობიდან გათავისუფლდა.**

დისციპლინური დევნის აღძვრისა და პასუხისმგებლობის საფუძველი გახდა საქმის განხილვისას მოსამართლის მიერ კანონის უხეში დარღვევა, მოსამართლისთვის შეუფერებელი ქმედება, რომელიც ლახავს სასამართლოს ავტორიტეტს და საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება, მოსამართლის მოვალეობის არაჯეროვნად შესრულება. მოსამართლემ მოქალაქის განცხადება, რომელსაც სარჩელის ფორმა არ ჰქონდა, წარმოებაში მიიღო და განიხილა, როგორც სარჩელი, მაგრამ სხდომა არ ჩაუტარებია და დაინტერესებულ პირებს სხდომის ჩატარების შესახებ არანაირი შეტყობინება არ მიუღიათ. ამით მოსამართლემ დაარღვია საპროცესო კანონმდებლობა. ნ. ოზიაშვილმა გამოიტანა „ერთპიროვნული“ განჩინება, რითაც, ფაქტობრივად, დავა არსებითად გადაწყვიტა. ამით მან უხეშად დაარღვია საპროცესო კანონმდებლობა. „ერთპიროვნული“ განჩინების ასლი მოსამართლემ დაინტერესებულ პირებს არ გაუგზავნა, რითაც მათ განჩინების გასაჩივრების შესაძლებლობა მოუსპო. მოსამართლემ იმავე დავის საგანზე იმავე მხარეებს შორის განიხილა მოქალაქის სარჩელი და თანაც ისე, რომ იგი სასამართლო წარმოებაში არ მიუღია. ამ შემთხვევაშიც სხდომის შესახებ მხარეები არ გაფრთხილებულან (საქმეში არ მოიპოვება სასამართლო უწყების ან სხვა რაიმე შეტყობინების ასლი), რითაც დაირღვა საპროცესო კანონმდებლობა. ე.ი. მოსამართლემ გამოტანილ გადაწყვეტილებაში ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთი და იმავე საფუძვლით წარმოშობილ ერთსა და იმავე დავის საგანზე გამოიტანა მეორე გადაწყვეტილება ისე, რომ პირველი გაუქმებული ან შეცვლილი არ ყოფილა.

● **2001 წლის 18 ივნისს მარტვილის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე კობა კაკულია და ამავე სასამართლოს მოსამართლე გულნაზ ცაავა კანონის უხეში დარღვევის გამო თანამდებობიდან გათავისუფლდნენ.**

მათ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა უკანონოდ შეუფარდეს მოქალაქეს მაშინ, როცა ეს საკითხი ზემდგომი ინსტანციის გადასაწყვეტი იყო. სადისციპლინო კოლეგიამ ისინი არაუფლებამოსილ პირებად ჩათვალა.

● **თელავის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე მიხეილ ლაპიაშვილი კანონის უხეში დარღვევის გამო თანამდებობიდან 2002 წლის იანვარში გაათავისუფლეს.**

კერძოდ, სასამართლოში საქმის განხილვის 12-თვიანი ვადის გასვლის გამო მან უზენაეს სასამართლოს ვადის გასაგრძელებლად არ მიმართა, შედეგად მსჯავრდებული პატიმრობიდან გათავისუფლდა და საქმის განხილვაც გაჭიანურდა. ლაპიაშვილს კანონის უხეში დარღვევები სისხლის სამართლის სხვა საქმეების განხილვისასაც აღმოუჩინეს. ავტოავარიის საქმეზე მან პატიმრობა უფრო მსუბუქი აღკვეთის ღონისძიებით აბსოლუტურად უსაფუძვლოდ შეცვალა და პირს გაქცევის საშუალება მისცა. მიმალულის მოძებნა ველარ მოხერხდა და საქმის განხილვა გაჭიანურდა. ლაპიაშვილს საყვედური ადრეც ჰქონდა გამოცხადებული.

● **12 მარტს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო საბჭომ საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურებისა და მოსამართლის მოვალეობების არაჯეროვნად შესრულებისთვის თემურ ანდღულაძე თანამდებობიდან გაათავისუფლა. იმავე კერძო ბრალდების საქმეზე (სხეულის განზრახ მსუბუქი დაზიანება), რომლის განხილვის დროსაც თ. ანდღულაძემ კანონი დაარღვია, რამდენიმე მოსამართლე შედარებით მსუბუქად დასაჯეს.**

ანდღულაძემ 1999 წლის 28 სექტემბერს ბრალდებული სამართალში მისცა. კანონით მომდევნო პროცესი ორ კვირაში უნდა ჩატარდეს, თუმცა, ანდღულაძემ მომდევნო სხდომა მხოლოდ სამი თვის შემდეგ ჩაატარა, შემდეგ კი პროცესი სხვადასხვა მიზეზით ექვსჯერ გადადო. ამავე საქმეში მან მეორე სერიოზული დარღვევაც ჩაიდინა: წესით, მოსამართლეს ეს საქმე პირველივე სხდომაზე თავადვე უნდა აეცილებინა, ვინაიდან საქმის მასალებში მისი შვილის, როგორც გამომძიებლის ხელმოწერებია დაფიქსირებული. აცილების შუამდგომლობა მხარემ მას მეექვსე სხდომაზე დაუყენა და ანდღულაძემ საქმე მხოლოდ ამის შემდეგ აიცილა. სადისციპლინო საბჭომ იგი კანონმდებლობის უხეში დარღვევის გამო მოხსნა.

## სასამართლო დარბაზებში



ალექსანდრე სულავა

### დევნილის თავშესაფარი

ასმათ კორტავამ და მისმა შვილებმა 1996 წელს აფხაზეთიდან თბილისში, ყოფილი ლიფტების სადისპეტჩეროს ბინაში ამოჰყვეს თავი. თემქის დასახლებაში მდებარე ეს ფართი საცხოვრებლად უვარგისი იყო და მასზე პრეტენზია არც არავის გააჩნდა.

ასმათ კორტავამ, რომელიც მეორე ჯგუფის ინვალიდია და ჰყავს მძიმედ დაავადებული შვილი, რეგისტრაცია გაიარა ადგილობრივ სახლმმართველობასა და ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში. მან საკუთარი სახსრებით შეაკეთა ბინა და ვინაიდან ეს ფართი „თბილლიფტის“ ბალანსზე არ ირიცხებოდა, გადაწყვიტა პრივატიზაციის მოთხოვნით ნაძალადევის რაიონის ქონების მართვის განყოფილებისათვის მიემართა. ნაძალადევის გამგეობიდან და ქონების მართვის განყოფილებიდან აფხაზეთიდან დევნილი ქალბატონი უარით გამოისტუმრეს. პრივატიზაციაზე დასტური ასმათ კორტავამ სოხუმის რაიონული და საქალაქო სასამართლოსგან მიიღო, რომელმაც ის საკუთარი თავშესაფრის მეპატრონედ აღიარა.

### ცივი წყალი „თბილწყალკანალისთვის“

2000 წელს სამშობლოში დაბრუნებულ ნასარიძეებს „თბილწყალკანალმა“ სიურპრიზი დაახვედრა — ზედმეტად დარიცხული წყლის საფასური 151 ლარის ოდენობით. არადა, ნასარიძეების ოჯახის ოთხი წევრი 1995 წლის 1 აგვისტოდან კონტრაქტით ანკარაში იმყოფებოდა.

შინ დაბრუნებულმა ნასარიძეებმა საქმის გასარკვევად ჯერ „თბილწყალკანალს“ და სერვისული მომსახურების ცენტრ „ოქროს უბანს“ მიმართეს, თუმცა, როცა ვერაფერს გახდნენ, ზედმეტი თანხის გადახდისგან თავის ასაცილებლად, სასამართლოში მისვლა არ დაიზარეს.

მთაწმინდა-კრწანისის რაიონულმა სასამართლომ (მოსამართლე ციცინო კვატაშიძე) თავისი გადაწყვეტილებით „თბილწყალკანალს“ გადაასხა ცივი წყალი, ნასარიძეებს კი ზედმეტი ხარჯი ააცილა თავიდან.

სოფო ბუკია, გუგა სულხანიშვილი

### დავა ურჩ მეზობელთან და რკინა-ბეტონთან

ხელოვნების მუშაკებმა პირველი თბილისობა, იმჟამინდელი ხელისუფლების წყალობით, ახალმოსახლეობით აღნიშნეს. აბანოთუბანში საცხოვრებელი ბინები მაშინ ლიანა ისაკაძეს, ანზორ ერქომაიშვილს, ბიძინა კვერნაძეს და სხვებს ერგოთ. აბანოთუბნელ ახალმოსახლეთა შორის გივი შაჰნაზარიც აღმოჩნდა. ბინის ჩაბარებისას, ბატონ გივის მოკრძალებით შეახსენეს, რომ ვინაიდან საცხოვრებელი სახლი ძველი თბილისის არქიტექტურულ ძეგლს წარმოადგენდა, ქალაქის სათანადო უწყებებთან შეთანხმების გარეშე მისი გადაკეთების უფლება არავის ჰქონდა.

ერთ მშვენიერ დღეს შაჰნაზარის მეზობლებმა ოზმანიანებმა მოინდომეს და ამ არქიტექტურულ ძეგლს შავი დღე აწიეს: ყოველგვარი უფლების გარეშე მათ თავიანთი ეზოს კედლიდან გივი შაჰნაზარის სახლის კედლამდე ეზო გაიფართოვეს და ის 17 კვ.მ.-იანი რკინა-ბეტონის საფარით გადაფარეს. ამ საფარმა შაჰნაზარის სახლის პირველი სართული სრულად დაასამარა.

ბატონმა გივიმ ურჩ მეზობლებთან და რკინა-ბეტონთან რომ ვერაფერს გახდა, მთაწმინდა-კრწანისის სასამართლოს მიმართა. მოსამართლე ზაურ მებონიას გადაწყვეტილებით, ოზმანიანებს რკინა-ბეტონის აყრა და სახლის პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანა დაევალათ.

### შემცირებული ფერშალი

ხათუნა ლომიძე 2000 წლის 1 აპრილს, შტატების შემცირების გამო, ისე გაათავისუფლეს სამსახურიდან, რომ მისთვის კუთვნილი სახელფასო დავალიანება არ გადაუხდიათ. იგი 1997 წლის 30 დეკემბრიდან მსახურობდა შინაგანი ჯარების სამედიცინო სამსახურში, ფერშლის თანამდებობაზე. სახელფასო დავალიანების მისაღებად, რომელმაც ჯამში 766,69 ლარი შეადგინა, ქალბატონ ხათუნას ვაკე-საბურთალოს სასამართლოში მისვლა მოუხდა, რომელმაც მისი მოთხოვნა დააკმაყოფილა.

## გარიგება



ვანდა შიუკაშვილი

### მათევოსიანები მაღალი ძაბვის წინააღმდეგ

**2001 წლის 12 ივნისს თბილისის საოლქო სასამართლომ განიხილა მოქალაქე მათევოსიანის სარჩელი კომპანია „ეი-ი-ეს თელასის“ წინააღმდეგ ჯანმრთელობისა და მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე.**

**ამ სარჩელს მიზეზად ის ფაქტი დაედო, რომ 2001 წლის 13 აგვისტოს „ეი-ი-ეს თელასმა“ მათევოსიანების ბინის ქვეშ მაღალი ძაბვის (380ვ) კაბელი გაიყვანა. სარჩელის თანახმად, ამ დღიდან ოჯახის წევრებს შორის გახშირდა თავის ტკივილები, კანის წვა და ა.შ.**

**ეს ფაქტი დაადასტურა გარემოს დაცვის ინსტიტუტის მავნე ზეგავლენების განყოფილების მიერ ჩატარებულმა ექსპერტიზამაც, რომელმაც მათევოსიანების ბინა საფუძვლიანად შეისწავლა.**

**სამედიცინო გამოკვლევამ კი დაადგინა, რომ ოჯახის წევრებს არტერიული ჰიპერტენზია, მეორე ხარისხის ნევრასტენიული სინდრომი, თრომბოციტოზი, ქრომოსომების სტრუქტურული ცვლილება აღენიშნათ. მათევოსიანებმა ამ პრობლემის მოგვარება კომპანიის იმჟამინდელ დირექტორთან მაიკლ სქოულთან რაიონის დეპუტატის, გია ჯაყელის მეშვეობით სცადეს და ზიანის ასანაზღაურებლად 550 000 ლარი მოითხოვეს. თუმცა, სასამართლოს გარეშე საკითხის გარკვევა შეუძლებელი გახდა.**

**„ეი-ი-ეს თელასის“ იურისტების განცხადებით ასეთი სარჩელი მათ პრაქტიკაში უპრეცედენტო იყო და ამიტომ, სასამართლოს მოსამზადებელ სხდომას განხილვის ორი კვირით გადადება სთხოვეს.**

**საქმე მხარეთა მორიგებით დასრულდა. კომპანიამ თანხმობა განაცხადა დაზარალებულებისათვის თანხა გადაეხადა. თუმცა, საუბარი 28 000 აშშ დოლარს შეეხებოდა.**

**სასამართლო კოლეგიამ, მოსამართლე მადი ჩანტლაძის თავმჯდომარეობით, მორიგების თაობაზე განჩინება სსსკ-ის 208 მუხლის თანახმად გამოიტანა საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ. „ეი-ი-ეს თელასს“ მათევოსიანების სასარგებლოდ 28 000 აშშ დოლარის ერთი თვის ვადაში გადახდა დაეკისრა.**

მატიანე

# ახირებული ამბავი გამტყუნებული მღვდლისა

გაზეთ „კიევლიანინში“ ერთს ახირებულს ამბავს სწერენ: იანვრის 22-ს როდომისლის მომრიგებელ მოსამართლეებს სხდომაში განუხილავთ საქმე ერთის ახალგაზრდა ქალისა, რომელიც ადგილობრივ მღვდელს უჩივოდა, რომ წმინდა აღსარების დროს, ძუძუებში ხელი მტაცა და გაუპატიურებას მიპირებდაო. რამდენიმე მოწმისთვის უკითხავთ და მომეტებული ნაწილის ჩვენებისაგან სასამართლოს მღვდლის გასამტყუნი დასკვნა გამოუტანია; და ამის გამო ეს საქმე ამ მღვდლის პირ-და-პირი მთავრობისთვის წარუდგენია განსახილველად.

„დროება“, 1875წ. №7



# ოთხმოცამდე ტყვია დაიხარჯა

სოფელ ახალშენიდან გვატყობინებენ: ამ ორი კვირის წინათ, ღამით, კეთილშობილთა მილიციის ზოგიერთმა მეთაურებმა აბელ კალატოზიშვილის სახლის სახურავიდან ასტეხეს საშინელი სროლა ხსენებული სახლისკენ მომავალ ცხენოსნების წინააღმდეგ. ეგონათ, რომ გლეხკაცები მოდიან, დაცემას და აკლებას გვიპირებენო. მომავალმა ცხენოსნებმა, რაკი თოფის ხმა გაიგეს, იფიქრეს, ალბათ კალატოზიშვილის სახლს გლეხკაცები იკლებენო, და სროლით გასცეს პასუხი. ასტყდა საშინელი სროლა, ოთხმოცამდე ტყვია დაიხარჯა და ბოლოს ორთავე მხარის სასაცილოდ, გამოირკვა, რომ მომავალი ცხენოსნები მილიციის მეთაური ზ. აბდუშელაშვილი და მისის ამალის ზოგიერთი წევრები ყოფილან.

„ივერია“, 1905წ. №118



# დედა უარზეა

მე-7 საპოლიციო უბანში, ნავთლუღის გზაზე, ყაზარმებთან იპოვეს ორის კახელ გლეხის გვამი.

გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ ამ გლეხებს წინა დღით კახეთიდან ღვინო ჩამოუტანიათ და ერთ ავლაბრელ სირაჯისთვის მიუყიდნიათ. საღამოზე, როცა გლეხები სოფლისკენ გზას გაუდგნენ და ყაზარმებს გაუსწორდნენ, მათ თავს დასცემია სამი ბოროტგანმზრახველი, რომელთაც მგზავრები დაუხოციათ და რაც ფული ებადათ სულ წაუღიათ. ერთი დამნაშავეთაგანი გამოტეხილა და უთქვამს: „მართალია, გლეხები მოვკალით, ფულიც ავართვით, მაგრამ თან აღარა მაქვს, — დედას მივაბარეო. დამნაშავის დედა ცივ უარზე დგას.“

„ივერია“, 1905 წ., №118





# ადამიანის დამამშვენებელი საყნოსველი იარაღი

„ოდესის მოამბეში“ ერთი სწორედ საარაკო ამბავია დაბეჭდილი:

ორი ძმა ქაღალდს თამაშობდნენ. ერთს ბედი სწყალობდა და იგებდა, მეორე კი სულ აგებდა. ბოლოს უბედურ მოთამაშეს გული მოუვიდა და ძმას უთხრა, რომ უთუოდ შენ ეშმაკობ ქაღალდში და მიტომ მიგებო. ამან ეს შეურაცხყოფად მიიღო და რაღაც მკვახე სიტყვა უთხრა. შეიქმნა ჩხუბი: უბედური მოთამაშე მივარდა თურმე უეცრად თავის ძმას, წაავლო ცხვირზე კბილები და მოაგლიჯა...

ამის თაობაზე, იმ წამსვე გამოძიება დანიშნეს, რომელმაც აღმოაჩინა რომ ამ კაცს კბილებით ცხვირების მოგლეჯა ჩვეულებათ ჰქონია, მეხუთე კაცისთვის წაუკვნეტია ეს ადამიანის სახის დამამშვენებელი საყნოსველი იარაღი...

„დროება“, 1875წ. №12

# წყალი ჩაუდგა და საბძელი ჩამოზრძანდა



ქვემომოყვანილ პროცესისთანა პროცესი თუ ვისმეს გაგიგონიათ, მე მარჯვენას მოვიჭრი.

მოგეხსენებათ, რაჭის მთიან ადგილებში მეწყერი იცის, ესე იგი ზოგიერთ დაშვებულ მთებს გვერდებში წყალი ჩაუდგება და დაეშვება. ამას წინათ ერთი იმისთანა გორა, რომელზედაც გლეხი სახლებულა, ჩამოწეულა და გლეხის საბძელი ერთიც ვნახოთ მეორე გლეხის ეზოში ჩასულა.

შესდგა საჩივარი: საბძელის პატრონი ამბობს, რომ ეს მიწა და საბძელი ჩემი არისო. მეორე გლეხიც, რომლის ეზოში საბძელი ჩამობრძანდა ამტკიცებს, რომ ეს მიწა ჩემი არისო და რაც ამ მიწაზე გაჩნდება, რასაკვირველია, ისიც ჩემი უნდა იყოსო. მოდით და გაარჩიეთ!

სასამართლოს, ამბობენ, ასე გადაუწყვეტია: რადგან ეს საბძელი მოძრავი ქონება ყოფილა, პატრონმა უკან გადაიტანოსო...

„დროება“, 1875წ. №3

# 30 კაპიკისთვის სასამართლოში

ერთ ბერლინელ ბანკის პატრონს საჩივარი შეუტანია ბერლინისავე ერთის თეატრის დირექციაზე. ამას წინათ, ეს ბანკის პატრონი მისულა თეატრში თავის მეუღლითურთ და ლოჟის ბილეთები უყიდნია. ეს ლოჟა ისეთი მოუხერხებელი იყო თურმე წარმოდგენის ყურებისთვის, რომ მთელი საღამო კისერ გადახრილ-გადაწვდენილი უნდა მჯდარიყავით. ბანკის პატრონმა მაშინვე თავი დაანება ამ ალაგს, მივიდა კასაში და ბილეთების გამოცვლა მოითხოვა, ხოლო რადგან თეატრში ყველა ადგილები დაჭედილი იყო, გამყიდველმა ვერ გამოუცვალა ბილეთები; ხანგრძლივი ბაასისა და სჯის შემდეგ ბილეთების გამყიდველმა ისევ ბილეთების ფასის მიცემა არჩია ბანკის პატრონთან ჩხუბსა და დავიდარაბასა. როცა ბანკის პატრონმა ბილეთების ფული მიიღო, ახლა ამ ფულის მიღებაც მოინდომა თურმე, რაც პალტოების შენახვისთვის გადაეხადნა, 30 კაპიკი, მაგრამ გარდაწყვეტილი უარი უთხრეს. მეორე დღეს საჩივარი შეიტანა თურმე ბანკის პატრონმა და ამბობს, რომ პალტოების შენახვა მხოლოდ იმათ უნდათ თეატრში, ვინც წარმოდგენას უყურებს, ხოლო რადგან მე წარმოდგენის ცქერას, ჩემდა უნებურად, მოვაკლდიო, საკვირველია, რაღაზედ გადამახდევინეს 30 კაპიკი ფულიო.

„ივერია“, 1888 წ., №4



მამუკა ტყეშელაშვილის ნახატები

ჩანართი მომზადებულია სამართლებრივი განათლების ასოციაციის მიერ.
ALPE
მისამართი: თბილისი, ინგოროყვას ქ. 14
ტელ.: 935841, 922914 ფაქსი: 920596, E-mail: alpeonline@gol.ge



ეს ამბავი ქვემო ქართლის ერთ-ერთ სოფელში მოხდა.

— ძნელად დასაჯერებელია, რომ ყოველივე დღეს დატრიალდა, მაგრამ მეც ამ უბედურების მონაწილე ვარ, — მწერს ახალგაზრდა ქალი, — არ ვიცი, სწორად ვიქცევი თუ არა, ჩემი მეგობრის თავგადასავალს რომ ვამხელ, მაგრამ ასე მგონია, სიმართლის თქმით მის სულს შვებას მივანიჭებ.

ნინოს სოფლის მახლობლად რამდენიმე აზერბაიჯანული სოფელია. ქართული და აზერბაიჯანული სოფლების განსხვავება ზამთარში შეინიშნება — ქართველები ჩაბნელებულ სახლებში სხედან, მათთან კი ყველაფერი გაბდღვრიალებულია. რათა, კაცოო, — გაკვირვებულნი კითხულობენ ქართველები, მაგრამ კითხვაზე დღემდე ვერ მიუღიათ პასუხი.

...მაისი და ივნისი ერთნაირად გადაპენტავს ქართულ და თათრულ სოფლებსაც და თეთრ-ვარდისფერი ყვავილების სურნელით გააბრუებს დიდსა თუ პატარას. ამ დროს, როცა თვალსაც და გულსაც უხარია... ბუნების ამ საოცარი გარდატეხის დროს გაიცნეს ერთმანეთი ნინომ და ზურამ. ბიჭი აზერბაიჯანელია. მისი ოჯახი 70 წლის წინ დასახლებულა მარნეულის რაიონში. მას მერე ფეხი კარგად მოიკიდა არაქართულმა ოჯახმა. რატომაც არა? ირგვლივ თბილი და მოსიყვარულე ადამიანები ცხოვრობდნენ, მუდამ რომ მზად იყვნენ დასახმარებლად, მიწა კი ისეთი ბარაქიანი იყო, რომ ყველაფერი ხარობდა — ხილი თუ ბოსტნეული.

ზურას აზიზა ერქვა, მამამისის სახელი. ქართულ გარემოში გაზრდილ ბიჭს უყვარდა ქართველები, ამიტომაც სამეგობროს სთხოვდა, ზურა დამიძახეთ, ეს სახელი ჩემს აზერბაიჯანულ სახელს ჰგავს და ძალიან მომწონსო...

ღია ცის ქვეშ მოწყობილ საცეკვაო მოედანზე გაიცნეს ახალგაზრდებმა ერთმანეთი. მერე ყოველ შაბათს მოუხშირეს იქ სიარულს. გოგოს სკოლა არ ჰქონდა დამთავრებული. ზურა კი უკვე ორი წელია მამა-ბატონს გვერდში ედგა და მუშაობდა. სწავლის სურვილი არც ჰქონდა, რადგან მისმა მამა-პაპამ უწიგნოდაც მოუყარეს თავი დიდ ქონებას. სამაგიეროდ, მიწის ყადრი იცოდა, მიწაზე მუშაობა უყვარდა, თუმცა იმდენი შესაძლებლობა ჰქონდათ, რომ ვეებერთელა ბაღ-ბოსტნებში სხვებს ქირაობდნენ. აზიზა-ზურა მხოლოდ ზედამხედველობდა მათ.

კეთილი ბიჭი იყო. მამისგან განსხვავებით ეცოდებოდა დაღლილი მუშა, დასვენების უფლებასაც აძლევდა და ზოგჯერ მამის მალულად, ზედმეტსაც ჩაუცურებდა ჯიბეში ამ სიტყვებით — ეს ჩვენში დარჩესო. ერთხელ, უფროსმა აზიზამ შეასწრო, როგორ წამოავლო ბარს ხელი და კარტოფილის მიწიდან ამოყრა დაიწყო მისმა შვილმა, დაქირავებულმა მუშამ კი ხელები გადაიბანა, წამოწვა და პურიც მადიანად ჩაკბინა... საღამოს, შინ მისულ შვილს შავი დღე დააყარა: შენი ფასი არ იცი, მიწის მუშასთან თავს იმდაბლებო. გაოცდა აზიზა-ზურა: განა შენც და ჩვენი წინაპრებიც მიწის მუშები არ იყავით, რა მოხდა, თუ მათთან ერთად ვიმუშავეო. მამამ ისე დაჰკრა მაგიდას მუშტი, ლამის იატაკი ჩაანგრია: ახლა იმდენი გაგვაჩნია, რომ სხვები ვამუშაოთ, ჩვენ კი მათი „ბატონები“ ვიყოთო... ხუთი გოგოს მერე ძლივს ველირსე ვაჟს, ქალიშვილების მუშაობას უფრო ავიტან, ვიდრე შენსასო.

შვილი გაჩუმდა, აღარ შეედავა მამას, მაგრამ „ქველმოქმედებას“ მაინც ვერ შეელია.

აზიზა-ზურას ქართველებისადმი კეთილგანწყობას ნინოს სიყვარულიც დაემატა. ბუნებით ალალი, უფრო უხვი და კეთილი გახდა. ზურას დედამ შვილის სიყვარულის ამბავი რომ გაიგო, თანაუგრძნო ვაჟს, თან გააფრთხილა, — მამაშენი ქართველს არ მოგაყვანინებსო... ასეც მოხდა. უფროსმა აზიზამ შვილს განუცხადა: შენს სიკვდილს შევეგუები, ქართველ რძალს კი — არაო. ახლა კი აღარ გაუჩუმდა მამას: ვისაც მინდა, იმას მოვიყვან ცოლად, შენ კი დახმარებას არ გთხოვ, ცალკე ვიცხოვრებო... წინ ველარ დაგვიდგები, რადგან ნინო ჩემგან ბავშვს ელოდებაო.

უფროსი აზიზა თითქოს დამუნჯდა. ცოტა ხანში საკმაოდ „ორიგინალური“ იდეა მოუვიდა თავში.

მეორე დღეს თავის ერთგულ „ქვეშევრდომთან“ (ბიძაშვილად ეკუთვნოდა) ერთად ძღვენით ეახლა ნინოს მშობლებს. მათ იფიქრეს, ქალიშვილის ხელის სათხოვნელად მოვიდა ბიჭის მამაო და ქართული წესის თანახმად, თავისებურად დაფაცურდნენ. აზიზამ ფაციფუცი შეაწყვეტინა მასპინძლებს: პურმარილისთვის არ მოვსულვარ, საქმე მაქვსო, — უთხრა და სარფიანი გარიგება შესთავაზა: თქვენი გოგო ჩემი ბიჭისგან ორსულად არის, მე არ მინდა ქართველი რძალი, ამიტომ მთელ სოფელში თავი რომ არ მოეჭრას, ჩუმად წავიყვან ერთ ნაცნობ ქალთან, მოვაშორებ ნაყოფს, თქვენ კი სანაცვლოდ დიდ ფულს მიიღებთო. გაცეცხლებულა ნინოს მამა: შენთან სამათხოვრო რა მჭირსო, მაგრამ ცოლს გაუჩუმებია: არც ჩვენ გვინდა თათარი სიძე, რახან შეცდომა მოხდა და მის გამოსწორებას გვთავაზობ, უარს არ გეტყვით, ჩვენი გოგო მომავალში უკეთეს საქმროს იშოვისო... ნინოს დედამ იცოდა, უფროსი აზიზა ფულს არ დაინანებდა. ამით იგი ოჯახსაც ამოასუნთქებდა და ქალიშვილსაც განათლებას მისცემდა. დარწმუნებული იყო, თუ ექიმის დიპლომი ექნებოდა, მის ლამაზ გოგონას ერთი „რამის“ გამო ვერავინ დაიწუნებდა. ზურას მამა და ნინოს დედა შეთანხმდნენ, რომ მეორე დღეს ნაცნობ ექიმთან (ის ექიმი კი არა, ექიმბაში იყო, რომელიც ერთ აზერბაიჯანულ სოფელში ცხოვრობდა) წაიყვანდნენ გოგონას.

დედამ ნინო დაარწმუნა, — ზურას ოჯახში უბედური იქნები. ისინი არასოდეს შეგიყვარებენ, დროთა განმავლობაში კი ზურასაც გადაიბირებენ და ბავშვთან ერთად მარტო დარჩებიო. ცხარედ გამოიტირა თავისი უილბლო სიყვარული გოგონამ და მეორე დღეს სააღდგომო ბატკანივით გაჰყვა „კეთილისმსურველებს“.

„გასაკეთებელი“ გაკეთდა. აზიზა-უფროსმა ფული ჩაუთვალა ნინოს დედას და კმაყოფილი დაბრუნდა შინ.

ნინოს საღამოსვე აეწია სიცხე. მამა ადგილს ვერ პოულობდა, ნერვიულობდა. ცოლი კი აწყნარებდა — ეს ბუნებრივი მოვლენაა, ხვალ აღარ ექნება სიცხეო. ქალს არ უნდოდა, ნინოს აბორტის ამბავი სამეზობლოს გაეგო, მაგრამ მეორე დღესაც რომ აღარ დაიწია სიცხე, თვითონაც შეშფოთდა. მესამე დღეს ნინომ გონება დაკარგა. ქალმა აზიზა-უფროსს გააგებინა — შვილი მეღუპება, მიშველეო. მან კი შემოუთვალა — დანაპირები უკვე მოგეცი, აწი როგორც გინდა, ისე მოიქეციო...

ნინოს მეგობარს, ვინც ეს ამბავი მომწერა, ტელეფონით დავუკავშირდი, ვთხოვე მოსულიყო რედაქციაში. მინდოდა რამდენიმე კითხვაზე პასუხი გაეცა.

**— წერილიდან ვიცი, რომ ნინო გარდაიცვალა. ექიმებმა რა დიაგნოზი დაუდგინეს?**

— ცუდად გაკეთებული აბორტის გამო ნინოს სისხლი მოეწამლა. თბილისის ინფექციურ საავადმყოფოში დააწვინეს, მაგრამ უკვე დაგვიანებული იყო. მიუხედავად ექიმების ძალისხმევისა, აღარაფერი ეშველა.

**— აზიზა-ზურა შეურიგდა ბედს?**

— სხვა გზა აღარ ჰქონდა. შინიდან ფეხი ამოიკვეთა, მაგრამ უფროსმა აზიზამ იმდენი ქნა, რომ რამდენიმე თვის შემდეგ შემოირიგა. მისი ცხოვრება ისე წარიმართა, როგორც ეს ოჯახის უფროსს უნდოდა. ზურამ აზერბაიჯანელი გოგო შეირთო ცოლად, ორი გოგონა და ერთი ბიჭი ჰყავს. ერთ-ერთს ნინო დაარქვა, მაგრამ მაგით რა?

**— ახლა რას ამბობენ ნინოს მშობლები?**

— ამ ამბის მერე ექვსი წელი გავიდა. მამამისი შარშანწინ გარდაიცვალა. დედა კი ჩაშავებული დადის. დანა პირს არ უხსნის. მხოლოდ გამარჯობას თუ ეტყვის მეზობლებს, ეგაა და ეგ.

**— აზიზა-უფროსი კვლავაც ქირაობს მუშახელს?**

— რა თქმა უნდა, რა შეუშლის ხელს? კიდევ შემოიერთა მიწები, თავისთან ახლოს ზურასაც აუშენა ორსართულიანი სახლი და უბედნიერეს კაცად გრძნობს თავს.

იშვიათად ჩავდივარ სოფელში. ამას წინათ იქაურებმა მითხრეს, — ზურაც მამამისს დაემსგავსაო. მე და ნინო თანაკლასელები ვიყავით. ნინოს და ზურას სიყვარული ტრაგიკულად რომ დამთავრდა, დამნაშავედ ვგრძნობ თავს. რა ვიცი, იქნებ სჯობდა, ნინოსთვის დამეშალა ზურას სიყვარული, იქნებ შემეძლო სასიკეთოდ შემეცვალა სიტუაცია? ალბათ მართალია ამის მთქმელი: ფერი ფერსა, მადლი — ღმერთსაო. ზურა და ნინო არ შეეფერებოდნენ ერთმანეთს. გარეგნობა არ მაქვს მხედველობაში, საზოგადოებრივ და ეკონომიკურ მდგომარეობას, ეროვ-ნებას და სარწმუნოებას ვგულისხმობ. ნინოს დედას კარგ ადამიანად ვიცნობდით ყველანი, მაგრამ უსახსრობამ და გაჭირვებამ ეტყობა, სულიერად მოტეხა, დახარბდა შემოთავაზებულს და გადაადგმევინა ის ნაბიჯი, რომელიც მისი შვილისთვის საბედისწერო გამოდგა...

***მარინა ბაბუნაშვილი***

## ტესტი

**სამწუხაროდ, დღეს აღარავის ახსოვს ყვავილების ენა, რომლითაც ოდესღაც სიყვარულს ეფიცებოდნენ საყვარელ ადამიანებს. ყვავილს შეუძლია ბევრი რამ გიამბოთ ადამიანზე. გსურთ იცოდეთ, როგორი ხასიათი გაქვთ თქვენ და თქვენს მეგობრებს? ამისთვის გაიხსენეთ, რომელი ყვავილი გიყვართ.**



**ია** — რომანტიკული სევდის სიმბოლოა. იების მოყვარული გულჩახვეულია, ზოგჯერ გაუცნობიერებელი შიშიც აწუხებს. არჩევანის წინაშე მდგარს ნოსტალგიური განწყობილება, დაკარგულზე სევდა ან მიუწვდომელზე ნაღველი დარევს ხოლმე ხელს. იები დახვეწილ, მეოცნებე და წარსულის მადიდებელ ადამიანებს არჩევენ.

**იასამანი და მინდვრის ყვავილები** — თავშეკავებულ ხალხს უყვარს. თუმცა ეს გარეგნული სიმკაცრე ავადმყოფური თავმოყვარეობის ნიშანიცაა. უსიამოვნების დროს საკუთარ ნაჭუჭში იკეტებიან, იმედგაცრუება გულს უკლავთ და ნუგეშს ბუნებაში ჰპოვებენ. იასამნის მოყვარულებს მდიდარი შინაგანი სამყარო აქვთ და გაუცნობიერებელი შიში აწუხებთ. მიზნის მისაღწევად ხშირად არ ჰყოფნით ძალა.

**ტიტა** — ეს ლამაზი ყელყარყარა ყვავილი, მოქნილ ადამიანებს უყვართ. ცხოვრებისეული სიძნელეები მათ არ აშინებთ. „ტიტა“ კომუნიკაბელურია, მაგრამ ხვაშიადს ვერავინ მიუხვდება — ერთი შეხედვით სადა და უბრალო, სინამდვილეში, იდუმალი და გამოუცნობია. ყველა „ტიტას“ გულის სიღრმეში უკეთესი მომავლის იმედი აქვს — ეს რწმენა ბევრ სირთულეს აძლევინებთ.

**შროშანი** — შემთხვევით როდი იყო სამეფო ჰერალდიკის ელემენტი. ადამიანი „შროშანიც“ თავის გარემოცვაში თავს მეფედ გრძნობს. შროშანები ენერგიულები, ამაყები, ხან ქედმაღალნი, ჯიუტნი და ახირებულნიც არიან. ხშირად უგულებელყოფენ სხვის აზრს.

**ვარდი** — აქტიურ, თვითკმაყოფილ ადამიანებს მოსწონთ. მათ საკუთარი თავიც უყვართ და სხვებიც, ჰარმონიასა და სიმშვიდეს აფრქვევენ, მყარი ფსიქიკით და სტაბილური ცხოვრებისაკენ მისწრაფებით გამოირჩევიან. „ვარდები“ მიზანდასახულნი და აგრესიულებიც არიან.

**მიხაკი** — რთული ყვავილია — ერთი მხრივ, ოფიციოზის ყვავილია. მას ხშირად ირჩევენ დიპლომატიის ოსტატები, რომელთა ნამდვილი არსის შეცნობა არც ისე იოლია. მეორე მხრივ, მიხაკი თავისი სიკეკლუცითაც გიზიდავს. მიხაკის მოყვარულთა შორის ხშირად შეხვდებით მარჯვე მანიპულატორებს, ადამიანთა ურთიერთობებიდან მაქსიმალურ მოგებას რომ იღებენ. მიხაკი პრაქტიკულ, მოაზროვნე ხალხს უყვარს.

**ორქიდეა** — რთულ, არაორდინარულ ხალხს იზიდავს. „ორქიდეები“ სიამოვნებას ეგზოტიკაში ეძიებენ. შესაძლოა ეს ცხოვრებით დაუკმაყოფილებლობის შედეგიც არის.

**გერბერა** — სადა, მაგრამ ლამაზი „გერბერები“ ბავშვივით უმწეონი არიან, სრულყოფილებას ესწრაფვიან, რაც ზოგჯერ სიკერპეშიც გადადის. გერბერის სიყვარული ცხოვრების წინაშე შიშსაც და საიმედო საყრდენის მოპოვების სურვილსაც ნიშნავს.

**ზამბახი და ნარგიზი** — ძალასა და მარტოობას გამოხატავს. მათი მოყვარულები მიზანდასახულნი და ამაყნი არიან. ხშირად უჭირთ ურთიერთობა გარშემო მყოფებთან, რეალობას ვერ ეგუებიან და მარტონი რჩებიან.

**იორდასალამი** — წინააღმდეგობრივია, იგი ამპარტავნების სიმბოლოა, თანაც მოკრძალებული და მორცხვიცაა. დაუკმაყოფილებელი ვნება იორდასალამის მოყვარულთა უმრავლესობის ხვედრია. მათ მადას ვერაფერი აცხრობს — ვერც სიმდიდრე და ვერც დიდება.

**ქრიზანთემა** — ესწრაფვის სრულყოფილებას. „ქრიზანთემა“ სერიოზული, გარეგნულად გულცივი, თვითკრიტიკული და გულჩახვეულია, ამიტომ მისი შეცნობა ძნელია, ისევე როგორც მისი შეყვარება. ეს კი იმიტომ ხდება, რომ საკუთარი თავი არ უყვარს.

**— რა არის სასიყვარულო სამკუთხედი?**

**— როცა პირველ ცოლს გააცნობენ მესამეს...**

## სიბერემ ვერაფერი დააკლო...



ამ საოცარმა კაბო-ვერდეელმა მომღერალმა თავისი კარიერა იმ ასაკში დაიწყო, როცა შოუბიზნესის ვარსკვლავები პენსიაზე გადიან. ეთნიკური მუსიკის მრავალრიცხოვან, ამასთან, მშვენიერ შემსრულებელთა შორის მისი ვარსკვლავი კი არ დაიკარგა, პირიქით, ახალი ძალით გაბრწყინდა.

საკმარისია ერთხელ მოუსმინო მის ნაღვლიან, უჩვეულო ტემბრის ხმას, შეხედო სცენაზე ფეხშიშველა გამოსულ მოხუც ქალს, რომელიც არ ცდილობს ვინმესთვის თავის მოწონებას, რომ სამუდამოდ მისი თაყვანისმცემელი ხდები.

ეს მომღერალი გახლავთ **სეზარია ევორა**.

წლების განმავლობაში სეზარია თავის სამზარეულოში მღეროდა, ვიდრე პორტის კლუბის ყოფილი მომღერალი ეთნიკური მუსიკის მცოდნე პროდიუსერმა არ შეამჩნია და დიდ სცენაზე არ გაიყვანა.

სადაც არ უნდა მღეროდეს ეს ხანდაზმული ქალბატონი, მას ყველგან დიდი აღტაცებით ეგებებიან.




უში კარგა ხანია აყვავდა, წლებმა თვალის დახამხამებაში ჩაიქროლეს, იყო ახალგაზრდობის ულამაზესი ხანა, იყო დიდი სიყვარული, უბედნიერესი დღეები და უცებ უბედური საგზაო შემთხვევა, გაუსაძლისი, ენით აუწერელი ტკივილი, სასოწარკვეთა... ბოლოს მხსნელად რწმენა მობრძანდა — მანაც მთელი არსებით შეიგრძნო — გვერდით დედა, მერაბი, ლიზიკო, ახლობლები, მეგობრები ჰყავანან... და შეჩერებული დრო ამოძრავდა...

მთელ ამ ორომტრიალში საოცარი ის არის, რომ მის გარეგნობას ვერაფერი დააკლო წლების დინებამ, მძაფრმა ემოციებმა, განცდებმა... მისი თვალები ისეთივე მეტყველია, როგორც მაშინ, გადაღებებზე — როცა მთავარ როლში მიიწვია ქალბატონმა ლანა ღოღობერიძემ ფილმში „როცა აყვავდა ნუში“, შემდეგ კი ბატონმა ნიკოლოზ სანიშვილმა „ჩარი-რამაში“... თავად ქალბატონი **თინა ვარდანაშვილი** თვლის, რომ სილამაზეც ღმერთისგან ნაბოძები ისეთივე ნიჭია, როგორიც სიმღერის ან ხატვის და, სამწუხაროდ, ამის აღქმა და განცდა ნელ-ნელა ისევე უკანა პლანზე გადადის, როგორც ლამაზი ლექსის, ნიჭიერად შესრულებული ტილოსი ან სულში ჩამწვდომი მუსიკის... ამ თემაზე საუბარს გვერდი ნამდვილად ვერ ავუარე და პირველი შეკითხვა, რომელიც თავში მომივიდა, ასეთი იყო:

— **ქალბატონო თინა, როგორ ფიქრობთ, როგორია თბილისში ლამაზი ქალის ხვედრი?**

— ჩემი აზრით, ძალიან ძნელი, რადგან მე ვთვლი, რომ ალბათ ყველაფერ ამაღლებულთან ერთად სილამაზეც სხვა სიბრტყეზე აღმოჩნდა. ძალიან ძნელია იმის განცდა, რომ ასაკი გემატება, მაგრამ სხვათა შორის, ნებისმიერ ქალს შეუძლია მომატებული წლები თავად გაილამაზოს. ახლა, როგორც ჭეშმარიტ ხელოვნებას, დამფასებელი და გულშემატკივარი, სილამაზესაც მოაკლდა... ადრე ასე არ იყო... ვიღაცას ლამაზი ქალის დანახვაზე გული წაუვიდა ან თავი მოიკლაო, მარტო ფრაზა კი არა, რეალობა იყო. მე არაერთხელ მსმენია: ქალბატონ დოდო ჭიჭინაძის დანახვით გამოწვეული რეაქცია იმდენად მძაფრი იყო, რომ რამდენიმე ცნობილი თბილისელი ვაჟკაცი სხვადასხვა დროს სერიოზულად გამხდარა „ცუდად“.

— **ვინ შეგარჩიათ ფილმისთვის?**

— მაშინ ხშირად დადიოდნენ ხოლმე სკოლებში რეჟისორები და ეძებდნენ პერსონაჟებს. მეც ასე ამარჩიეს. ძალიან გამიხარდა, მივედი სინჯზე — თექვსმეტი წლის ვიყავი — იმ წელს ვამთავრებდი სკოლას. ძალიან მინდოდა კინოში გადაღება, როგორც ყველა ჩემი ასაკის გოგონას. სინჯების მერე სამი თვე არავინ გამომხმაურებია, მერე გავიგე, რომ გადაღებები დაიწყეს და როლზე მარინა ჯანაშია დაამტკიცეს. გული დამწყდა, მაგრამ რას ვიზამდი? წარმოდგენა არა მაქვს, რა მოხდა, დიდი ხნის შემდეგ, ერთ მშვენიერ დღეს, დამირეკეს და მითხრეს — სასწრაფოდ გამოცხადდი კინოსტუდიაში, გადაღებებს თავიდან ვიწყებთ და მთავარ როლზე ხარ დამტკიცებულიო.

— **თქვენი პირველი რეაქცია კამერის წინ?**

— საშინლად უხერხულ მდგომარეობაში ჩავვარდი — დამაყენეს ოპერატორის წინ და მკარნახობდნენ, რა უნდა გამეკეთებინა. გავიფიქრე, მივატოვებ ყველაფერს და წავალ-მეთქი, მაგრამ თავს ძალა დავატანე... შემდეგ, როცა დავინახე, რომ ჯგუფში ამდენი ახალგაზრდა იყო — თანდათან გავთავისუფლდი.

— **თქვენს პარტნიორებს — ზურა ყიფშიძეს და გოგა ფიფიას იცნობდით მაშინ?**

— გოგა ჩემი სკოლელი იყო — ორივე 53-ე სკოლაში დავდიოდით და კარგად ვიცნობდი, ზურას — არა. მე უკვე ვხვდები, რაც უნდა მკითხოთ...

— **ისეთი ფილმია, ისეთ როლებს თამაშობთ, ორივენი ისეთი ახალგაზრდები იყავით... არ გაჩნდა თქვენს შორის რაიმე გრძნობა?**

— მახსოვს გადაღებაზე ჩვენი პირველი შეხვედრა — იმ დღესვე დავმეგობრდით... არაფერს გიმალავთ — მე და ზურას არანაირი რომანის მაგვარი ისტორია არ გვქონია... მით უმეტეს, რომ თბილისიდან გადაღებებმა ბიჭვინთაში გადაინაცვლა და ეს იყო ჩემი პირველი დამოუკიდებელი მგზავრობა, ვიყავით მხოლოდ ორი გოგო — მე და ეკა მაღალაშვილი, დანარჩენები — ბიჭები. ვცხოვრობდით ე.წ. „შემოქმედთა სახლში“... იმდენად კეთილგანწყობილი სიტუაცია იყო, რომ ჩვენი ასაკის მიუხედავად, არავინ არავის არ გავპრანჭივართ.

— **ფილმში არაჩვეულებრივი უფროსი პარტნიორები გყავდათ — ქალბატონი სესილია თაყაიშვილი, ბატონები დოდო აბაშიძე და ჭაბუა ამირეჯიბი...**

— ბატონი დოდო გვახლდა ბიჭვინთაში. ერთად დავდიოდით პლაჟზე, გვემეგობრებოდა, ახლაც ჩამესმის მისი ბუბუნა ხმა. ქალბატონ სესილიას და ბატონ ჭაბუას თბილისში ვხვდებოდი ხოლმე გადაღებებზე. საოცარი გრძნობა მეუფლება, როცა მათთან ურთიერთობას ვიხსენებ...

— **ფილმს დიდი წარმატება ხვდა წილად და უცებ გახდით პოპულარული...**

— ქუჩაში მაჩერებდნენ და თქვენ ხათუნა არ ხართო? — მეკითხებოდნენ... მინდა გითხრათ, რომ ჩემი მეუღლე, დღესაც ხანდახან ხათუნას მეძახის... ფილმში ჩემი შესაძლებლობების მაქსიმუმი ჩავდე და მაინც არ ვარ ბოლომდე კმაყოფილი...

— **რატომ არ გაგიჩნდათ სურვილი გამხდარიყავით პროფესიონალი მსახიობი?**

— როცა ხედავ, რომ რაღაცას ბოლომდე თავს ვერართმევ, არ უნდა წაეპოტინო — ეს ერთი და მეორეც — რომ გითხრათ რეჟისორებმა კალთები დამახიეს-მეთქი, არ ვიქნები მართალი. „როცა აყვავდა ნუშის“ შემდეგ მაშინვე წამიყვანა ბატონმა კოლია სანიშვილმა „ჩარი-რამაში“. შემდეგ ბატონმა საშა რეხვიაშვილმა მიმიწვია თავისი ფილმის „მხატვრის“ სინჯებზე, სადაც ცოტა უხერხული სიტუაცია შეიქმნა — ვიგრძენი, თითქოს როლზე სხვისი აყვანა ერჩივნა და უარის თქმა მოერიდა. ავდექი და წამოვედი. მოწოდებით მსახიობი რომ ვყოფილიყავი, ამისთანა რამეს გავუძლებდი. ყველასგან მოულოდნელად ჩავაბარე უნივერსიტეტში გეოფიზიკის ფაკულტეტზე.

— **თუმცა, წლების შემდეგ ისევ აღმოჩნდით გადასაღებ მოედანზე...**

— ვიჯექი სახლში, ვზრდიდი შვილებს და ძალიან გამიხარდა, ერთ მშვენიერ დღეს ბატონმა რეზო ჩხეიძემ რომ მიმიწვია „რაიკომის მდივანში“ ეპიზოდურ როლზე — გახსოვთ ალბათ ქალი, რომელსაც ბატონი თემურ ჩხეიძე ხშირად ხვდება და უყურებს — თითქმის სულ კიბეზე ჩამოვდივარ. ამის შემდეგ ისევ ბატონმა რეზომ მიმიწვია „დონ კიხოტში“ ერთ-ერთ ეპიზოდურ როლზე.

— **თქვენ ძალიან ახალგაზრდამ შექმენით ოჯახი. თქვენი მეუღლე ალბათ აღფრთოვანებული იყო თქვენით „როცა აყვავდა ნუშის“ შემდეგ...**

— არა, მერაბზე ამ ფილმს ნამდვილად არ უმოქმედია. ის ჩემი დის ძალიან ახლო მეგობარი იყო და ჩვენ თითქმის ბავშვობიდან ვიცნობდით ერთმანეთს. ვერც კი გავიგეთ, ჩვენი ახლობლობა როგორ გადაიზარდა სერიოზულ გრძნობაში... მაშინ მერაბიც ძალიან პოპულარული ბიჭი იყო თბილისში...

— **თქვენს მამამთილს, არაჩვეულებრივ მხატვარს — ბატონ სერგო ქობულაძეს რა რეაქცია ჰქონდა, როცა გაგიცნოთ?**

— ძალიან მოვეწონე — ხელის მოწერის შემდეგ, როცა მასთან მივედით მე და მერაბი, ფანჯარასთან მიმიყვანა, კიდევ ერთხელ შემათვალიერა, მაკოცა და გულში ჩამიხუტა... წლების შემდეგ მერაბს თვითონვე აყვედრიდა ხოლმე ჩემს თავს. — ძალიან მიკვირს როგორ გამოგყვა ცოლადო.

— **თქვენი პორტრეტი თუ აქვს დახატული?**

— სამწუხაროდ, არა. ვერ მოასწრო. როცა გავთხოვდი, მაშინ ახალი დაწყებული ჰქონდა წიგნზე — „ოქროს კვეთა“ მუშაობა. სიცოცხლის ბოლომდე — თორმეტი წელი მას ჩაჰკირკიტებდა. როცა ოპერის ფარდის აღდგენის დრო დადგა, პირველად მუზის სახე თავისი ახლობლის გოგი ჭიჭინაძის მეუღლის მიხედვით შექმნა, შემდეგ ამბობდა, მეორე ვარიანტს თინას მიხედვით გავაკეთებო. ცენტრალური ფიგურის შეცვლა უნდოდა —



თუ პირველ მუზას ლირა უჭირავს ხელში, მეორე ცხენზე უნდა შეესვა, ჩანახატებიც ჰქონდა, ესკიზის გაკეთება ვერ მოასწრო — ისე გარდაიცვალა... სხვათა შორის, თვალნათლივ ჩანს, როგორ თანდათან იკლებს ინტერესი ამ არაჩვეულებრივი ადამიანების, ჩვენი ნიჭიერი წინაპრების მიმართ. დღეს, სამწუხაროდ, ქუჩაში გამვლელებს რომ ჰკითხოთ — ვინ არის სერგო ქობულაძეო, უმეტესობა ვერ გიპასუხებთ.

— **არ მინდა გვერდი ავუაროთ „ჩარი-რამასაც“... იქაც არაჩვეულებრივი პარტნიორები გყავდათ — ბატონი გოგი ქავთარაძე, ქალბატონი ლენა ყიფშიძე...**

— გოგი საოცრად თბილი ადამიანია. ყოველი ჩვენი შეხვედრა ზეიმივით არის. თუ ვინმესთან გაგრძელდა ჩემი ახლო მეგობრობა გადაღებების შემდეგ, ეს არის ქალბატონი ლენა. კინო უცნაური სამყაროა. მუშაობ ადამიანებთან ერთად, რაღაც პერიოდის განმავლობაში ერთი ცხოვრებით ცხოვრობ, დამთავრდება თუ არა ფილმი, ჯგუფიც იშლება და ყველა თავისი გზით მიდის... ლენა ყიფშიძის შემთხვევაში ყველაფერი სხვაგვარად მოხდა... „ჩარი-რამას“ გადაღებები, პირველ ფილმთან შედარებით, მოსაწყენი აღმოჩნდა — ალბათ იმიტომ, რომ ჯგუფი ისეთი ახალგაზრდული აღარ იყო, თუმცა, ბედნიერება მხვდა წილად — რამდენიმე თვის განმავლობაში ქალბატონ დუდუხანა წეროძესთან ერთად ვცხოვრობდი სასტუმროს ნომერში... ეს არ არის უბრალო რამე.

— **რა არის თქვენთვის გარეგნობა?**

— არასდროს გამიმახვილებია ყურადღება ამაზე და ეს ალბათ ცუდია. როცა შვილებს ვზრდიდი, სულ ვეუბნებოდი — თქვენ ხართ ყველაზე ლამაზები... ერთხელ, დედას რომ ვუსაყვედურე, შენც იმავეს რატომ არ მეუბნებოდი-მეთქი, გაუკვირდა — ამას ისედაც ყველა აღნიშნავდა და მე რატომ უნდა გამესვა ხაზი და შემექე, არ მესმისო... არასდროს ჩამითვლია, რომ განსაკუთრებული გარეგნობა მქონდა, მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოება საკმაოდ მათამამებდა. ერთია — ყოველთვის სხვებზე მეტად თავისუფალი და უკომპლექსო ვიყავი.

— **გიმართლებდათ, ყოველთვის ისეთ როლებს თამაშობდით, რომ კეთილად განეწყობოდა ხოლმე თქვენ მიმართ მაყურებელი...**

— ალბათ ასეა... თუმცა, „როცა აყვავდა ნუში“ რეალურ ამბებზეა აგებული. სინამდვილეში არსებობდა გოგონა, რომელიც მე განვასახიერე. იმ შეჯიბრების ისტორიაც რეალურ ცხოვრებაში მოხდა. ერთხელ ბაკურიანში ბატონი ლადო მესხიშვილი შემხვდა და სუფრასთან გამაცნო კაცი, ვის შვილსაც გადახდა თავს ეს ამბავი.

— **„ჩარი-რამაში“ თქვენი გმირი მღერის, თინა მღერის?**

— არა, საერთოდ ვერ ვმღერი, ჩემი სიმღერა იქ ეთერ იოსებიძემ გაახმოვანა, ძალიან გული მეტკინა ასეთი ახალგაზრდა რომ წავიდა ამ ქვეყნიდან.

— **აი ახლა, ამდენი წლის შემდეგ, ნოსტალგია თუ გაქვთ კინოზე?**

— საოცარი... საერთოდ მე, ბევრისგან განსხვავებით, სულ ვამბობ, რომ თავიდან რომ დავიწყო ცხოვრება, ძალიან ბევრ რამეს შევცვლიდი... შეიძლება, მსახიობი მაინც არ გამოვსულიყავი, მაგრამ ვიქნებოდი აქტიური... სულ ამას ჩავჩიჩინებ ჩემს ლიზიკოს — გამოიყენოს საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმუმი... რაც შეეხება კინოკამერის წინ დგომას, ძალიან ლამაზად მახსენდება და სულ მენატრება ის განცდა...

***ეკა მახარაშვილი***

---

ორიოდე დღის წინ საბავშვო სატელევიზიო გადაცემა „ბასტი-ბუბუმ“ დაბადების დღე გადაუხადა ახალგაზრდა კომპოზიტორ ნიკა მემანიშვილს, რომელიც 23 წლის გახდა. ნიკამ ეს პატივი სიყმაწვილეში „ბასტი-ბუბუსათვის“ დაწერილი მუსიკალური ნაწარმოებებისთვის დაიმსახურა. ყველაფერი ძალიან ლამაზად, მხიარულად და უჩვეულოდ წარიმართა, იუბილარიც და მისი სტუმრებიც ბავშვობის დროინდელ სამყაროში დაბრუნდნენ და ნიკას ყველა სურვილიც აუსრულეს. თუმცა, ერთი ძალიან დიდი ხნის ოცნება კვლავაც აუხდენელი რჩება — არადა არ დაადგა საშველი ვენა-ამბროლაურის საავიაციო რეისის გახსნას, რომ ნიკა ავსტრიიდან პირდაპირ მშობლიურ რაჭაში ჩაფრინდეს და სიამოვნებით მიირთვას ლობიანები, რომელიც თურმე ყველა საჭმელს ურჩევნია. **ნიკა მემანიშვილი** ჩემი სტუმარია და გვიამბობს თავისი საინტერესო ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

— 9 წლისამ მოვისმინე გია ყანჩელის ოპერა. გაოგნებული დავრჩი და დავასკვენი, რომ ხელოვნებაში მუსიკაზე ძლიერი რამ არ არსებობს.

— **თავად როდის დაიწყე მუსიკის წერა?**

— 9 წლისამ შევქმენი მერაბ კოსტავასადმი მიძღვნილი რეკვიემი, რომელიც მაშინვე შესრულდა ფილარმონიაში და წლის ერთ-ერთ საუკეთესო ნაწარმოებად აღიარეს.

— **მოგვიანებით კი... მსმენელი შენმა „ევრიდიკემ“ განაცვიფრა...**

— ეს უკვე 1999 წელს მოხდა. კონსერვატორიის პირველ კურსზე ვსწავლობდი, როდესაც სტუდენტმა მერი შეყილაძემ კონსერვატორიის ბიბლიოთეკაში უძველესი, უცნაურ ენაზე დაწერილი ნოტები აღმოაჩინა. ერთობლივად დავიწყეთ კვლევა და აღმოჩნდა, რომ ეს იყო ჩვენამდე მოღწეული პირველი ოპერა „ევრიდიკე“, რომელიც 1600 წელს შესრულდა ფლორენციაში. მარია მედიჩისა და ჰენრი IV-ის ქორწილზე. შევქმენი მისი თანამედროვე საკონცერტო ვარიანტი.



***ლიანა ისაკაძესთან ერთად***

— **ევროპაში შენს წარმატებებში რა როლი ითამაშა „ევრიდიკემ?“**

— ჩემი გამოკვლევა გავგზავნე ვენაში, მაინტერესებდა, რამდენად სწორად ვშიფრავდი ნაწარმოებს. შემომითვალეს, — სასწრაფოდ ჩამოდიო. ახლა ვენის სახელმწიფო სამუსიკო უნივერსიტეტში ვსწავლობ.

— **თანაც უფასოდ!**

— ასე გამოვიდა. ვენაში ჩასულმა არ ვიცოდი, რა სახის გამოცდების ჩაბარება მომიწევდა. თურმე უამრავი რამ უნდა მცოდნოდა. 170 კაცი იბრძოდა იმ ადგილისათვის, რომელიც მე დავიკავე. თეორიის წერით გამოცდაზე ყველაფერი ფანქრით უნდა გვეწერა, რომ შეცდომები წაგვეშალა. მე ფანქარი არ მქონდა და არც არავინ მათხოვა. მეტი რა ჩარა იყო, ავტოკალმით უნდა მეწერა. კომისია სახტად დარჩა, როცა ჩემს ნამუშევარში შეცდომა ვერ ნახა, ასე ჩავირიცხე, თორემ ყოველ წელიწადს 30.000 დოლარს ვერ გადავიხდიდი.

— **შენს მუსიკოსად ჩამოყალიბებასა და ცხოვრებისეული გზის არჩევაში თუ ითამაშა ვინმემ როლი?**

— ჩემმა პედაგოგმა მიხეილ შუღლიაშვილმა (ინოლა გურგულიას მეუღლე გახლდათ). 11 წლისა ვიყავი, როცა მასთან დავიწყე სწავლა. მისი მოცემული ცოდნით ჩავაბარე ვენის უნივერსიტეტში, იგივე ცოდნა მაწერინებს მუსიკას. სამწუხაროდ, ბატონი მიშა გარდაიცვალა.

— **ნიკა, შენ ჯერ კიდევ 13 წლისას გერმანული პრესა საუკეთესო ორგანისტად გაღიარებდა. არადა, იქ პირველად დაუკარი ორგანზე. როგორ მოხდა ეს?**

— 13 წლისა ვიყავი, გერმანიაში გამიშვეს კონცერტზე. ორგანიზატორებს შეცდომით სიაში პიანისტის ნაცვლად ორგანისტად შევუტანივარ. ეს შეცდომა სცენაზე გასვლის წინ გავიგე. ვიყვირე — ეს შეუძლებელია, ორგანი თვალითაც არ მინახავს-მეთქი. მართლაც, მასზე დაკვრას, მხოლოდ კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ სწავლობენ. ვინ დამიჯერა! თაღლითად, უზრდელად და უტიფრად მომნათლეს და მითხრეს, თუ დაკვრა გეზარება, ჯარიმა გადაიხადეო. იძულებული გავხდი, სცენაზე გავსულიყავი. ღმერთმა შემაძლებინა იმ დღეს სასწაული. მერე მართლა აღარავინ მიჯერებდა, რომ ორგანს სიცოცხლეში პირველად გერმანიაში მივუჯექი. მას მერე 60-მდე კონცერტზე დამაკვრევინეს.

— **მონსერატ კაბალიეც ასე უცნაურად გაიცანი?**

— გერმანიაში, ფესტივალის შემდეგ წარმადგინეს კაბალიესთან. რახან პატარა ვიყავი, ალბათ ამიტომ შემომთავაზა, მოდი, ახლა ნოტებს მოგცემ და ერთად ჩავატაროთ კონცერტიო. ეს მოხდა იქ, სადაც ევროპის ელიტა იყო თავმოყრილი. მერე ვანესა რედგრეივმა მომიწყო მსგავსი ოინი. ერთ-ერთ საღამოზე, რომელიც ტელევიზიით გადაიცემოდა, უცებ სიმღერა მოუნდა და აკომპანიატორობა შემომთავაზა.

— **ქართველი მსმენელი იცნობს შენს მუსიკას დათო დოიაშვილის „ჯისნების თაობიდან“, მაკა ასათიანის პანკისის სპექტაკლიდან. ახლა რაზე მუშაობთ შენ და დათო?**

— მიუზიკლზე, რომელსაც ალბათ შემოდგომაზე გაეცნობა მაყურებელი. ეს იქნება თანამედროვე მუსიკალური დრამა, სადაც მონაწილეობას მიიღებენ ოპერის ორკესტრი, დიდი გუნდი, კაპელა, საბალეტო დასი, საოპერო თეატრის სოლისტები და დრამატული თეატრის რამდენიმე მსახიობი, მათ შორის — ეკა კახიანი.

— **ასე შორს რატომ გადადეთ ამ გეგმის მაყურებლისთვის წარდგენა?**

— ერთ კვირაში მე მივფრინავ ვენაში სერიოზული ხელშეკრულებების განსახორციელებლად. კომპოზიტორ გია ყანჩელის რეკომენდაციით მონაწილეობა მივიღე ბერლინში ახალგაზრდა კომპოზიტორთა საერთაშორისო ფორუმზე, სადაც ჩემი ნაწარმოები შესრულდა და ახალგაზრდა გამორჩეულ კომპოზიტორთა შორისაც დამასახელეს. ამ ფორუმის შემდეგ სად აღარ მიმიწვიეს. ასე დავიწყე კარიერის შექმნა. მალე ვენაში და ამსტერდამში მექნება კონცერტები. შემდეგ პარიზში მოღვაწე კინორეჟისორ მიშა კობახიძის ფილმისთვის უნდა დავწერო მუსიკა. ფრანკფურტში კი ქართული ზღაპრების მიხედვით შექმნილ ჩემს ბალეტს დგამენ.

— **რას იტყვი ფესტივალზე, რომელიც სექტემბერ-ოქტომბერში ავსტრიაში ჩატარდება.**

— ვენაში გავიცანი ქართველები, რომლებიც დიდ როლს თამაშობენ ევროპისათვის ქართული კულტურის გაცნობის საქმეში. ნანა მესხსა და გოგი ოქროპირიძეს საგამოფენო დარბაზები აქვთ. ჩვენ გადავწყვიტეთ ქართული ხელოვნების ფესტივალის ჩატარება. მუსიკალური დირექტორი მე ვარ. იქ თავს მოიყრის მსოფლიოში ცნობილი ყველა ქართველი შემოქმედი და ევროპას წარუდგენენ უცნობ, ნიჭიერ ქართველ ხელოვანებს.

— **როგორ ფიქრობ, კლასიკურ მუსიკას თაყვანისმცემლები ჰყავს ჩვენში?**

— სწორედ მსმენელის გემოვნების განსავითარებლად ვიღვწი. ძალიან შეცოტავდა ხალხი, რომელიც სერიოზულ მუსიკას, ფილმს და ყველაფერ ინტელექტუალურს ეთაყვანებოდა. ახალგაზრდებს არც სერიოზული ხელოვნება აინტერესებთ და აღარც სერიოზული ლიტერატურა. ეს ინტელექტუალური პოტენციალის დეგრადაციის ნიშანია.

— **თანამედროვე ქართული ესტრადის შესახებ რას იტყვი?**

— როცა ვენაში წავედი, სცენაზე მღეროდნენ თამრიკო ჭოხონელიძე და ნუკრი კაპანაძე, ჩამოსულს ლელა წურწუმია და აჩი მეფარიძე დამხვდნენ. ხელმეორედ დაბრუნებულს უკვე სტეფანე და დათო ხუჯაძე... ამინდი შეიცვალა. ვერ გეტყვით, ცუდისკენ თუ კარგისკენ. უბრალოდ, სასურველია, გემოვნება დაიხვეწოს. ერთადერთი, ნინო ქათამაძეზე შემიძლია თამამად ვთქვა, რომ საერთაშორისო მასშტაბის მომღერალია. ლონდონში ვნახე მისი კონცერტი, კონსერვატორმა ინგლისელმა მსმენელმა აღიარა. საქართველოში კი ამას ვერ ვხედავ და გული მწყდება...

***ეკა ლომიძე***

## შეკითხვა ექიმს



*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი წერილი მოდის, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოგახსენებთ — ჩვენი რუბრიკის და მთლიანად გაზეთის მასულდგმულებელი ხომ თქვენი გამოხმაურება და თანადგომაა. რაც შეეხება თქვენს შეკითხვებს, გვერწმუნეთ, თითოეულ მათგანს დიდი გულისყურით ვკითხულობთ და მათზე პასუხს აუცილებლად მიიღებთ, მაგრამ რადგან შეკითხვების რიცხვი საკმაოდ დიდია, ნუ დაგვემდურებით, თუ პასუხის ლოდინი ხანგრძლივად გიწევთ.*

**რამდენიმე წელია, იდაყვის არეში მაქვს გაუხეშებული კანი. ზოგჯერ დაბანისას დავირბილებ ხოლმე და ვცდილობ, მოვიშორო გარქოვანებული უბანი, მაგრამ შედეგს ვერ ვაღწევ. რისი ბრალი შეიძლება იყოს კანის გაუხეშება და რით ვიმკურნალო?**

***მ. კოლცოვა***

კანის ჰიპერკერატოზი (ჭარბი გარქოვანება) უპირატესად A ვიტამინის ნაკლებობასთან არის დაკავშირებული. ამიტომ გირჩევთ, მიიღოთ ამ ვიტამინის დამატებითი დოზა. პროდუქტებიდან A ვიტამინი შედის თევზის, ხორცის, რძის, კვერცხის, სტაფილოს შემადგენლობაში.

**ორსულობის დროს კისერზე გამიჩნდა მუქი პიგმენტური ლაქები. გამიგონია, რომ მშობიარობის შემდეგ ასეთი ლაქები უნდა გაქრეს, მაგრამ უკვე წელიწად-ნახევარია ძველებურად უცვლელად მაქვს. საჭიროა, რაიმე ვიღონო თუ დაველოდო, როდის გაქრება?**

***გუჩა ტყეშელაშვილი***

ასეთ პიგმენტაციას ორსულთა ქლოაზმა ანუ სტიგმა ეწოდება. ქალების უმრავლესობას მშობიარობის შემდეგ ეს ლაქები მართლაც უქრება, მაგრამ ზოგ შემთხვევაში მხოლოდ ფერმკრთალდება და არ ქრება. ეს ღვიძლის ფუნქციასთანაა დაკავშირებული. თუ სახეზეა თუნდაც ფუნქციურად შეუმჩნეველი ღვიძლის პათოლოგია, მაშინ შესაძლოა სწორედ ეს გახდეს მშობიარობის შემდეგ ლაქების დარჩენის მიზეზი. უნდა გამოიკვლიოთ ღვიძლი. მოსალოდნელია, რომ ღვიძლის დაავადების მკურნალობის შემდეგ ლაქები გაქრეს.

**ჩემს ვაჟს მარჯვენა ხელის შუა თითის ფრჩხილიანი სახსრის შემოგარენი ბალიშითურთ, ცივი წყლით დაბანისა და სახის პარსვის დროს უთეთრდება და უცივდება! რისი ბრალია და რით ვუშველო?**

***დედა***

შეიძლება დავასკვნათ, რომ თქვენს ვაჟს აქვს კაპილაროსპაზმი (წვრილი სისხლძარღვების შევიწროება), რის პროვოცირებასაც სიცივის ზემოქმედება ან მექანიკური დატვირთვა იწვევს. ამასთან პროცესს ლოკალური ხასიათი აქვს, შესაძლოა ეს კაპილარული სისხლის მიმოქცევის ზოგადი დარღვევის დასაწყისი იყოს. მსგავსი ზოგადი პროცესი არის ხოლმე შაქრიანი დიაბეტის გართულება ან სისტემური ვასკულიტის (სისხლძარღვთა ანთების) გამოვლინება. სიმპტომური მკურნალობის მიზნით ასეთ დროს შეიძლება დაინიშნოს სისხლძარღვთა გამაფართოებელი პრეპარატი (მაგ. ტრენტალი), მაგრამ აუცილებლად უნდა დადგინდეს ძირითადი დაავადების დიაგნოზი, ანუ მთავარი მიზეზი, რისთვისაც უნდა ჩატარდეს დამატებითი სამედიცინო გამოკვლევები.

**ოჯახის წევრს აქვს ეგზემა. გადამდებია თუ არა ეს დაავადება?**

***ცია თურქია***

ეგზემა კანის ანთებითი არაგადამდები დაავადებაა. იწვევს სხვადასხვა გარეგანი და შინაგანი ფაქტორი. მის განვითარებას ნევროგენული და ალერგიული მექანიზმით ხსნიან. ახასიათებს გამონაყარი. ბუშტუკები, ჩირქგროვა, ქავილი. შეგიძლიათ მშვიდად იყოთ — კანის ეს პათოლოგია დაავადებულთან კონტაქტით არ დაგემართებათ.

**მყავს 4 თვის გოგონა. უბნის პედიატრმა გვირჩია, რომ დედის რძესთან ერთად, ბავშვს მივცეთ ხილის წვენები. მე კი ერთ-ერთ სამედიცინო ჟურნალში წავიკითხე, რომ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციით ბავშვი 6 თვემდე მხოლოდ ძუძუთი უნდა იკვებებოდეს. რომელი რეკომენდაციაა სწორი.?**

***ი. ლაბაძე***

ბუნებრივი (დედის რძით) კვების უპირატესობა ხელოვნურთან შედარებით დღეს არავისთვის სადავო არ არის. თუ დედას საკმარისი რძე აქვს, ბავშვი კარგად მატულობს წონაში, ქალს შეუძლია კვებოს პატარა წლამდე (ზოგჯერ უფრო ხანგრძლივადაც). მაგრამ ასეთ შემთხვევაშიც კი ბავშვმა 4-6 თვიდან აუცილებლად უნდა მიიღოს დამატებითი საკვები, თავდაპირველად წვენების, ხოლო შემდგომ სხვა, მისი ასაკისთვის შესაფერისი პროდუქტების სახით, რადგან მიუხედავად იმისა, რომ დედის რძე რაოდენობრივად საკმარისია ბავშვისთვის, მას აკლდება ვიტამინები, მიკროელემენტები: კალციუმი, კალიუმი, იოდი, ფოსფორი, სელენიუმი. ეს ნივთიერებები კი აუცილებელია ბავშვის ძვლოვანი ქსოვილის, ყველა ორგანოსა და სისტემის ფორმირებისთვის. ამას ემატება ისიც, რომ ჩვენში დედები ხშირად არასრულფასოვნად იკვებებიან, შეცვლილია გარემო, ეკოლოგიური პირობები და შედეგად ვღებულობთ იმას, რომ ბავშვი ჩამორჩება წონაში, უვითარდება ანემია.

ამრიგად, გირჩევთ, რომ 4-6 თვის ასაკის ბავშვის რაციონში შეიტანოთ წვენები, ხილისა და ბოსტნეულის პიურეები, რათა დროულად შეივსოს ვიტამინებისა და მიკროელემენტების დანაკლისი მის ორგანიზმში.

## ტესტი იცით, როგორ უნდა მოიქცეთ?

**თქვენს ახლობელს, რომელიც 32 წლისაა, დაეწყო ძლიერი თავის ტკივილი, თავბრუს ხვევა. გაუზომეთ წნევა და აღმოაჩნდა 150/100-ზე. დაალევინეთ ჰიპოტენზიური (წნევის დამწევი) წამლები. მაგრამ ცოტა ხანში წნევამ ისევ მოიმატა. ეს მდგომარეობა გრძელდება უკვე რამდენიმე დღე. ავადმყოფს აქვს ყრუ ტკივილი წელის არეში და მღვრიე შარდი. როგორ მოიქცევით?**

**1. დავალევინებ უფრო ძლიერ წნევის დამწევ წამლებს. თუ კიდევ არ მოწესრიგდა წნევა, მაშინ წამლების დოზას გავზრდი.**

**2. ავადმყოფს ავაღებინებ შარდის ანალიზს და ცვლილების შემთხვევაში მივიყვან უროლოგთან.**

**3. არაფერს არ დავალევინებ, ახალგაზრდაა და თავისით გაუვლის.**

**4. მივცემ დამამშვიდებელ პრეპარატებს.**

**სწორი პასუხია მე-2**

არტერიული ჰიპერტენზია (მაღალი წნევა) დღეს მრავალთა პრობლემადაა ქცეული, მაგრამ განსაკუთრებით რთულდება მდგომარეობა, როცა ავადმყოფმა არ იცის, რომ მისი წნევა შეიძლება სხვადასხვა მიზეზით იყოს გამოწვეული. დღეს საკმაოდ გახშირებულია მეორადი არტერიული ჰიპერტენზიების ერთ-ერთი ფორმა — რენული ანუ თირკმლისმიერი ჰიპერტენზია. უბრალო სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს არის წნევა, რომელიც გამოწვეულია თირკმლის დაავადებებით. თირკმლისმიერი ჰიპერტენზიისთვის დამახასიათებელია მაღალი დიასტოლური (ე.წ. გულის ანუ ქვედა) წნევა და წნევის მომატების სიმყარე, რაზეც ჰიპოტენზიური (წნევის დამწევი) საშუალებები ნაკლებ გავლენას ახდენს. ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში ეს მონაცემები გვაქვს. თირკმლის პათოლოგიაზე მიგვანიშნებს აგრეთვე ტკივილი წელის არეში და შარდის შემღვრევა. როდესაც ახალგაზრდა ადამიანს მოულოდნელად ემატება წნევა და აქვს თირკმლის დაზიანების ნიშნები, პირველ რიგში უნდა ჩატარდეს შარდის გამოკვლევა და უროლოგის კონსულტაცია.

ახლა სხვა პასუხების შინაარსიც განვიხილოთ.

1. წნევის მოწესრიგება თირკმლისმიერი ჰიპერტენზიის დროს მხოლოდ თირკმლის ფუნქციონირების შედარებითი აღდგენის შემდგომ ხდება. ჰიპოტენზიური (წნევის დამწევი) წამალი, როგორი ძლიერიც არ უნდა იყოს და რა დოზითაც არ უნდა იხმაროთ, იმოქმედებს ხანმოკლე დროით, რის შემდეგაც წნევა ისევ დაუბრუნდება მაღალ მაჩვენებელს. ავადმყოფის საერთო მდგომარეობაც არ უმჯობესდება, ვიდრე მკურნალობა მიმართული არ იქნება საწყისი მიზეზისაკენ — თირკმლის დაზიანებისკენ.

3. ავადმყოფის ახალგაზრდა ასაკი სულაც არ გაძლევთ დამშვიდების საფუძველს, რადგან მაღალმა წნევამ, რომელსაც არ მკურნალობენ, შესაძლოა ძალზე ცუდ შედეგებამდე მიგვიყვანოს. ალბათ მკითხველისთვის ცნობილია, თუ როგორ „გაახალგაზრდავდა“ ისეთი მძიმე დაავადებები, როგორიც ინფარქტი და თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის მოშლაა. ამ გართულებათა მიზეზი კი, უკონტროლო წნევაა.

გარდა წნევისა, საკმაოდ სერიოზული ყურადღების ღირსია თვით თირკმლის მწვავე დაზიანება, რადგან უგულისყურობის შემთხვევაში შეიძლება თირკმლის მწვავე ან ქრონიკული უკმარისობა განვითარდეს.

4. დამამშვიდებელი პრეპარატების მიცემა წნევიანი ავადმყოფისათვის ურიგო არ იქნება, მაგრამ ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში ეს ღონისძიება საკმარისი ნამდვილად არ არის. ეს პრეპარატები საკმაოდ ეფექტურია პირველადი ჰიპერტენზიის (რომელიც სხვა პათოლოგიით არ არის გამოწვეული) საწყის სტადიაზე, როცა წნევა უმნიშვნელოდაა მომატებული, მაგრამ რენული (თირკმლისმიერი) ჰიპერტენზიის დროს წნევის მომატების მექანიზმი სხვა პროცესებთანაა დაკავშირებული და საჭიროა კომპლექსური მკურნალობა.

***თამარ მამაცაშვილი***

## კაკლის სიკეთე



კაკლის წენგოს წვენი ოდითგანვე იხმარებოდა თმის საღებავად. თუ გნებავთ მისცეთ თმას მოწაბლისფრო ელფერი, 3 ს/კ დაქუცმაცებულ კაკლის წენგოს ან ამდენსავე ფოთოლს დაასხით 1ლ წყალი, ადუღეთ 10 წუთი, გააცივეთ 36-40 გრადუსამდე, გაწურეთ და ეს ნაყენი გადაივლეთ დაბანილ თმაზე. სურვილის მიხედვით შეგიძლიათ გაამუქოთ ან გაამკრთალოთ ნაყენი (წენგოს მოუმატებთ ან მოაკლებთ წყლის რაოდენობას).

ამავე ნაყენს ივლებენ ანგინის დროს ანდა ღრძილების გასამაგრებლად.

ახალშემოსული კაკლის ნაჭუჭი გავახმოთ, დავფქვათ. ერთი მწიკვი შეისუნთქეთ ცხვირიდან სისხლდენის შესაჩერებლად, დაიყარეთ კანზე ნაკაწრების მოსაშუშებლად.

კონიუნქტივიტის შემთხვევაში თვალის უპეებთან წაისვით მცირეოდენი ნიგვზის ახალგამოხდილი ზეთი. ზეთი შველის სიდამწვრეს, შეუხორცებელ ჭრილობებსაც.

კანის ჩირქოვანი გამონაყარის, მუწუკების, ეგზემისა და სირსველის დროს კარგია კაკლის გამხმარი ფოთლების ნახარში: 300გ ფოთოლი ჩაყარეთ 1ლ წყალში და ხარშეთ 20წთ. 3-4 საათის შემდეგ გაწურეთ და შეურიეთ აბაზანის წყალს.

ი.ვ. მიჩურინმა კაკალს მომავლის პური უწოდა. რატომ მოხდა ჩვენი ნაცნობი კაკლის ასე განდიდება? იმიტომ, რომ ნიგვზის ლებნები შეიცავს ადამიანის სიცოცხლისთვის აუცილებელ ყველა ნივთიერებას: 20%-მდე ცილებს, 75%-მდე მაღალკალორიულ ცხიმებს, A, B, $B_6$, C, P ვიტამინებს, მთრიმლავ ნივთიერებებს, ეთეროვან ზეთებს, ფიტონციდებს.

ფიტონციდების მაღალი შემადგენლობა ფოთლებსაც აქვთ — მისი სუნი აფრთხობს ბუზებს და ჩრჩილს. ამიტომაა, რომ ხმელ ფოთლებს აწყობენ ბეწვეულში და შალის ქსოვილებში. ფოთოლს ახმობენ კაკლის ყვავილობის დროს.

მკურნალობის მიზნით გამოიყენება კაკლის ფოთოლი, მწვანე ნაყოფი და ნაჭუჭი.

ფოთლების ნახარში რგებს კუჭის აშლილობას, ათეროსკლეროზს, ქრონიკულ ეგზემასა და ნიკრისის ქარს:

1ს/კ გამხმარი, დაქუცმაცებული ფოთოლი ჩავყაროთ 1ჩ/ჭ წყალში და ვადუღოთ 15წთ. ეს ნაყენი შეგიძლიათ მიირთვათ ჩაის მაგივრად, 3-ჯერ დღეში. შეიძლება ამავე ნაყენის საფენი დაიდოთ თვალზე, თვალის კილოების ანთების დროს, ანდა გაიკეთოთ აბაზანები რევმატიზმის, ნიკრისის ქარის, რაქიტის დროს, ხოლო დასრესილი ნედლი ფოთოლი დაიდოთ ძირმაგარაზე.

## როდესაც ბავშვი ბრაზობს...

ჯერ კიდევ რამდენიმე წუთის წინ, თქვენი 4 წლის ბიჭუნა მშვიდად თამაშობდა თავის დაიკოსთან. უცბად ყვირილით წამოიჭრა, იატაკზე დავარდა და ფეხებს იატაკს ურტყამს. რა თქმა უნდა, უსიამოვნოა ბავშვის აგრესია, რასაც თითქმის ყველა მშობელი (ოჯახი) აწყდება. ყოველდღიური ისტერიკა, ანუ აგრესია ბავშვს ჩვევად რომ არ ექცეს, ოჯახს კი ტრაგედიად, გთავაზობთ რამდენიმე ხერხს, რომელიც დაგეხმარებათ, თავი გაართვათ ამ უსიამოვნო ფაქტს, შეინარჩუნოთ სულიერი სიმშვიდე და დაიოკოთ ემოციები:



**აჰყევით მას.** თუ თქვენი ბავშვი გიყვირით: „მე შენ მძულხარ!“ — არ უპასუხოთ ამ აფეთქებას. ჯერ ერთი, ეს არ არის სიმართლე. უბრალოდ მისი ლექსიკა ღარიბია, მან ჯერ კიდევ არ იცის, როგორ გამოხატოს სხვანაირად თავისი აღშფოთება, მაგალითად, ასე: „არ მსიამოვნებს იმის კეთების ნებას რომ არ მაძლევ, რაც მინდა“... მეორეც — ბავშვები ბაძავენ მშობლებს. იყავით მშვიდი და აუღელვებელი, შეეცადეთ, არ იყვიროთ. აღიარეთ, რომ ბავშვი თავისუფალი პიროვნებაა, მასაც აქვს უფლება გამოხატოს უარყოფითი ემოციები. მაგალითად, შეგიძლიათ ასე წარმართოთ საუბარი: „რა დასანანია, რომ გაბრაზდი“. დაანახვეთ, რომ მისი გესმით — „ახლა რას აპირებ? დიდხანს იქნები გაბრაზებული?“ სთხოვეთ დამშვიდდეს, რათა ერთად გადაწყვიტოთ მისი პრობლემა.

**მოელაპარაკეთ.** ბავშვმა უნდა იგრძნოს პატივისცემა, რითაც თქვენ მას მოუსპობთ ჩხუბის საშუალებას. მოლაპარაკების დროს, შეეცადეთ მიაღწიოთ ურთიერთშეთანხმებას, კომპრომისს. მაგალითად, ბავშვი არ მიდის დასაძინებლად, აგრძელებს თამაშს, მიეცით უფლება კიდევ ითამაშოს რამდენიმე წუთი, თუკი შემდეგ სწრაფად შეაგროვებს გაბნეულ სათამაშოებს.

**წკეპლა** — არავითარ შემთხვევაში. თუ სცემთ ბავშვს, შეიძლება მოცემულ მომენტში შეწყვიტოს უწესოდ მოქცევა, დაგემორჩილოთ, მაგრამ საეჭვოა სამომავლოდ სწორი დასკვნები გააკეთოს. თქვენ კი, დიდხანს შეგაწუხებთ სინდისი — რატომ ვცემეო.

**არ შეცვალოთ გადაწყვეტილებები.** ბავშვის გაუგონრობა რომ გამოასწოროთ, დიდი მოთმინება დაგჭირდებათ. მთავარია, არავითარ შემთხვევაში არ შეცვალოთ გადაწყვეტილება, წინააღმდეგ შემთხვევაში ბავშვი იგრძნობს თქვენს სისუსტეს და ყოველთვის ისარგებლებს ამით.

**შეეცადეთ მიაგნოთ მისი შექების მიზეზს.** მაგალითად: „გმადლობ, რომ მომისმინე და მოიქეცი, როგორც საჭირო იყო“. მსგავს ტაქტიკას ყოველთვის კარგი შედეგი მოაქვს, რადგან ბავშვისთვის მთავარია მშობლის (უფროსის) თანაგრძნობა და შექება. ბოლოს და ბოლოს, ის ისწავლის სიმშვიდის შენარჩუნებას და ყოველგვარი პრობლემის მშვიდად მოგვარებას. როგორც წესი, 5 წლის ასაკს რომ მიაღწევს, ბავშვს მშობლების მიმართ აგრესიული დამოკიდებულება გაუვლის.

***ჩასტნაია ჟიზნ №5***

## იცით თუ არა, რომ...



**არაქისი** — კაკალი კი არა, პარკოსანია. ბევრი ამ საყვარელ სასუსნავს მიწის თხილს ან ჩინურ კაკალს უწოდებს. მისი მშვენიერი ნაყოფი მიწაში მწიფდება. ლობიოს მსგავსად, ისიც პარკოსანია. მისი სამშობლოა ბრაზილია. ევროპაში ჩინეთიდან მოხვდა და ამიტომაც ეძახიან ჩინურ კაკალს. არაქისის გული მდიდარია ნივთიერებით, რომელსაც შეიცავს შავი ყურძენი და რომელიც აუცილებელი კომპონენტია შავი ღვინისა და წვენის დასამზადებლად. ასე რომ, არაქისს შეუძლია შეცვალოს წითელი ღვინო.

**ბანანი** — ადამიანზე მოქმედებს, როგორც დამამშვიდებელი და ნერვიული კრუნჩხვების საწინააღმდეგო საშუალება. მისი რბილობი შეიცავს 75% წყალს, 20%-მდე შაქარს, ცილას, უჯრედისებს, ეთეროვან ზეთებს, ასკორბინისა და ვაშლის მჟავას, პექტინებს, ფერმენტებს, კალიუმის მარილს, $B_2$, PP, ვიტამინებს, პროვიტამინ A-ს, ბანანი, როგორც დიეტური პროდუქტი, გამოიყენება პირის ლორწოვანი გარსის ანთიბის, დიათეზური სისხლდენის, კუჭის წყლულის, ბაქტერიული დიზენტერიის სამკურნალოდ.




# შოკოლადი — ასპირინის ნაცვლად



თრომბის წარმოქმნის რისკთან დაკავშირებული ყველა სახის დაავადების ასპირინით მკურნალობის ეფექტურობა მეცნიერებს დამტკიცებული აქვთ ასეულობით კლინიკური გამოკვლევით. ასპირინი ძირითადად ენიშნებათ გულის იშემიით დაავადებულებს, ინფარქტგადატანილებს, აგრეთვე სტენოკარდიის შეტევების დროს. ამ დროს მომატებულია სისხლის შედედების უნარი, ასპირინი კი ათხელებს მას. ბრიტანელმა კარდიოლოგებმა აღმოაჩინეს, რომ ასპირინს შეუძლია არა მხოლოდ ხელი შეუშალოს დაავადებათა რეციდივს, არამედ შესწევს პროფილაქტიკური ზემოქმედების უნარი. ხოლო თუკი ინფარქტის რისკის ქვეშ მყოფ ავადმყოფებს დაენიშნებათ ეს პრეპარატი, მაშინ რისკი 2-ჯერ მცირდება, ამიტომაც, მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ ეს წამალი უფრო ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული, ვიდრე ახლა იყენებენ.

პენსილვანიელი მეცნიერები ირწმუნებიან, რომ იმ ავადმყოფებმა, რომელთაც გარკვეული მიზეზების გამო არ ენიშნებათ ასპირინი, უნდა შეცვალონ ის შავი შოკოლადითა და კაკაოს ფხვნილით, რომლებიც ამცირებენ გულის დაავადებათა რისკს.

*ტრუდ-7 №13*

# მაღალი — არ ნიშნავს ჯანმრთელს

ბოსტონის ჯანმრთელობის ცენტრის მიერ მომზადებული მოხსენების თანახმად, ჯანმრთელობა და ზომა ერთმანეთთან უკუპროპორციულ კავშირშია. პატარა ტანის ადამიანებს ორჯერ ნაკლებად აწუხებთ გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, ნაკლებად ცივდებიან და არ ემართებათ სიყვითლე და დიარეა. 10 სმ-ით ნორმაზე დაბალი ადამიანისთვის 20%-ით ნაკლებია ინსულტის რისკი. გარდა ამისა, პატარა ტანის ადამიანები კარიერაშიც უფრო წარმატებულები არიან: სტატისტიკური მონაცემებით ჩვენს პლანეტაზე ხელმძღვანელის საშუალო სიმაღლეა 158 სმ, რაც 12 სმ-ით ნაკლებია მამაკაცის საშუალო სიმაღლეზე.

*ოგონიოკი №16*

# განტვირთავი დიეტა

ცხიმიან საკვებს (ხორცი და ცხოველური ცხიმები) კუჭი ძნელად ინელებს და ორგანიზმში ილექება მავნე წიდები. ამიტომ, საჭიროა დავასვენოთ საჭმლის მომნელებელი სისტემა და ამავე დროს, მოვიშოროთ მავნე ბალასტი.

გთავაზობთ განტვირთვის 4-დღიან დიეტას:

გახეხილ სტაფილოს დაამატეთ 1ჩ/კ მცენარეული ზეთი, ლიმონის წვენი და რომელიმე ხილი (ვაშლი, მსხალი, კივი) და მიირთვით საუზმეზე, სადილსა და ვახშამზე — 3 დღის განმავლობაში. მეოთხე დღეს დაამატეთ ცოტა კარტოფილი და პური. მეხუთე დღეს გადადით ჩვეულებრივ საკვებზე, მაგრამ ულუფები შეამცირეთ. ამ დიეტის საიდუმლო მარტივია: ხილ-ბოსტნეული მდიდარია ცელულოზით, რომელიც კუჭში შთანთქავს მავნე ნივთიერებებს. 4 დღის განმავლობაში გაისუფთავებთ ორგანიზმს და გაამდიდრებთ ვიტამინებით.

*ოტდოხნი! №18*




**სისხლში შაქრის საზომი აპარატები**

სერტიფიცირებულია **კომპლექტი 95ლ**

•სხვადასხვა გლუკომეტრების ჩხირები; •ერთჯერადი ნემსები 50ც. - 3ლ; •შარდის საერთო ანალიზის ტესტები, 100ც. — 50 ლ.

შპს „კონტრასტი“, ბორჯომის ქ. №4

☎ 35-44-05; 899-19-60-55



**მკურნალობა აპარატურით**

ალერგიის დიაგნოსტიკა და მკურნალობა, ენაბლუობის, წნევის, ნივთიერებათა ცვლის დარღვევის (სიმსუქნე, ოსტეოქონდროზი), იმუნური სისტემის დაქვეითების მკურნალობა გერმანული უახლესი აპარატურით.

მის: ვაჟა-ფშაველას გამზ. №16, მე-13 სართ. (ყოფ. მშენებლობის სამინისტროს შენობა) ბიორეზონანსული თერაპიის კაბინეტი, ექიმი ზურაბ ხაჩიაშვილი, 10-16 სთ-მდე

☎ 899-97-58-77; 39-58-77 ბინა



**ვმკურნალობთ ქრონიკულ პროსტატიტს**

— ექსპრეს-დიაგნოსტიკა 15-20 წუთში;
— ექოსკოპია იაპონური აპარატურით;
— კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით, მათ შორის, პროფ. გუსკოვის აპარატით „ინტრატონი“, რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ აქვს.

**მეცნიერებათა აკადემიის სპეც. პოლიკლინიკა, კაბ. №7 (სპორტის სასახლის უკან, მარჯვნივ). 10-14 სთ.**


# პატარები და კბილებთან დაკავშირებული პრობლემები

თქვენს პატარას უკვე ნახევარი წელი შეუსრულდა. ის ხშირად ილვიძებს ღამე, ცუდად სძინავს და მიზეზობს. თუკი დაუკვირდებით, ბავშვის ქვედა ღრძილებზე შეწითლებას აღმოაჩენთ, ღრძილი ოდნავ შეშუპებულია და შუაში პატარა ბორცვივითაა ამოზნექილი. კბილი იჭრება!

ასეთ დროს ბავშვი რაიმე მკვრივ და ცივ საგანს დაეძებს. ზოგჯერ ცერა თითს იდებს პირში, მუშტს პირისკენ მიაქანებს ან სხვადასხვა სათამაშოს ღოღნის.



დღეს არსებობს კბილების გელი — ჟელეს კონსტინტენციის მალამო, რომელიც შეიცავს ანთების საწინააღმდეგო და გამაყუჩებელ ნივთიერებებს. თუკი ბავშვს ღრძილებს ამ მალამოთი დღეში რამდენჯერმე დაუმუშავებთ, მდგომარეობა მნიშვნელოვნად შემსუბუქდება.

პატარას ნერწყვიც აწუხებს, რომელიც ამ პერიოდში უფრო დიდი რაოდენობით გამოიყოფა. მისი ყლაპვა ჯერ არ შეუძლია, ამიტომაც ნიკაპზე ჩამოსდის. თუკი არ მოწმენდთ, ის ნიკაპიდან ნაოჭებში ჩავა. ბავშვის კანი კი, ძალზე ნაზი და მგრძნობიარეა და სწრაფად გაღიზიანდება. ამიტომაც, დედას მუდმივად უნდა ჰქონდეს მომზადებული სუფთა, რბილი ხელსახოცი, უმჯობესია მარლა.

ყურადღება უნდა მიაქციოთ, რათა ბავშვმა პირში საეჭვო ნივთები არ ჩაიდოს. ამ პერიოდში ის დაფოფხავს და შეიძლება უცხო ნივთსაც წააწყდეს შემთხვევით. ხელებიც ხშირად უნდა დაბანოთ.

პედიატრები ამ პერიოდში გვირჩევენ ბავშვს კალციუმი მივაწოდოთ — 2 კვირის მანძილზე 3-ჯერ დღეში 1/3 აბი კალციუმის გლუკონატი (ან გლიცეროფოსფატი). წყალში ისინი არ იხსნება, ამიტომაც რეკომენდებულია მისი საკვებში არევა.

პირველი კბილის ამოჭრის კლასიკური დრო 6 თვის ასაკია. ხალხურ მედიცინაში არსებობს ფორმულა, რომლის მიხედვითაც ბავშვს უნდა ჰქონდეს იმდენი კბილი, რამდენითაც მისი ასაკი მეტია 6 თვეზე. 7 თვის ასაკში — 1 კბილი, 8 თვისას — 2, 9 თვისას — 3 და ასე შემდეგ, 20 კბილამდე. მაგრამ ნებისმიერი სქემა მაინც შეფარდებითია, კბილების ამოჭრა ძალზე ინდივიდუალურია.

კბილების ამოჭრა, როგორც წესი, გვიანდება რაქიტის დროს. მიზეზი მარტივია — დარღვეულია კალციუმის ცვლა! მაგრამ სრულიად ჯანმრთელ ბავშვსაც შეიძლება პირველი კბილი 8-9 თვის ასაკში ამოუვიდეს ან უფრო გვიანაც. კბილების გვიანი ამოჭრისადმი მიდრეკილება შეიძლება მემკვიდრეობითი განწყობითაც იყოს განპირობებული.

პირველად ვითარდება ქვედა საჭრელი კბილი, შემდეგ მეორე, ამას მოსდევს ზედა კბილები. მეორე საჭრელი კბილის შემდეგ მოდის პირველი ქვედა, შემდეგ კი ზედა ძირითადი კბილები. ეშვის ადგილი ჯერ ცარიელია — ის იჭრება ბევრად უფრო გვიან — პირველად ზედა, შემდეგ კი ქვედა და ბოლოს, უკანასკნელი კბილები. 2 წლის ასაკისთვის ძირითადი კბილები ამოდის: მე-17 და მე-18 გადათვლით ქვემოთ და მე-19 და მე-20 ზედა ყბაზე ვითარდება.

თეორიულად ითვლება, რომ კბილების ამოჭრის პროცესი ბუნებრივი და ფიზიოლოგიურია. ზოგჯერ ბავშვთან ისიც ხდება, რომ დედამისი ჭამის დროს კოვზით გააწკარუნებს და აღმოაჩენს ახალამოჭრილ კბილს. მაგრამ უფრო ხშირად კბილების ამოჭრა ასე უმტკივნეულოდ არ ხდება და მას თან ახლავს ძილის გაუარესება, უმადობა, საერთო სისუსტე, ტემპერატურის მატება. პატარა შეიძლება ავადაც გახდეს.

ამ ფაქტის ახსნა ასე შეიძლება: დაავადება შეიძლება შემთხვევით დაემთხვეს კბილების ამოჭრის პროცესს, რადგან პატარა ამ დროს ძალიან მგრძნობიარეა ნებისმიერი დაავადების გამომწვევი ფაქტორის მიმართ.

**პრაქტიკული რჩევა:** მოარიდეთ პატარა ინფიცირებულ ან დაავადებულ ადამიანებთან კონტაქტს; მოარიდეთ ყველაფერს, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ბავშვის დამცველი ძალების დაძაბვა.

კბილების ამოჭრის პროცესში არ კეთდება პროფილაქტიკური აცრები, არ აძლევენ პატარებს ახალ პროდუქტებს, არ ცვლიან ჩვეულ რეჟიმს. იმის გარკვევა, ავადმყოფობა დაკავშირებულია თუ არა კბილებთან, საჭირო არ არის, ყველა შემთხვევაში ექიმს უნდა მიმართოთ.

ზოგიერთი ბავშვთა სტომატოლოგი თვლის, რომ ღრძილებით განპირობებული ტემპერატურა არ უნდა აჭარბებდეს $38^0$-ს, უფრო მაღალი ტემპერატურის დროს ეჭვი სხვა რამეზე უნდა მიიტანოთ.

ყველა დაავადების დროს წესი ერთია — $38{,}5^0$-ზე სამკურნალო სიცხის დამწევი პრეპარატების მიღება საჭირო არ არის! გამონაკლისები არიან მხოლოდ ის ბავშვები, რომელთაც ერთხელ მაინც ჰქონიათ კრუნჩხვები. მათთვის სიცხის დამწევი საშუალება აუცილებელია.

კბილების ამოჭრის პერიოდში შეიძლება გახშირდეს კუჭის მოქმედება. ამ დროს პირველი დახმარება — დამზოგველი დიეტაა — არ მისცეთ უმი ხილი, არ აურიოთ ფაფაში უხეშბოჭკოიანი ბოსტნეული (კომბოსტო, ჭარხალი), ხშირად მიეცით სითხე.

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტის, ფაღარათის მიზეზი შეიძლება იყოს დისბაქტერიოზის გამწვავება. ამ დროს რეკომენდებულია 7-10-დღიანი კურსი ბიფიდუმბაქტერინის ან ლაქტობაქტერინის. ისინი წამლები კი არა, სასარგებლო ბაქტერიების შემცველი ნივთიერებებია, რომლებიც თქვენს პატარას აკლია.

ნივთიერებები უნდა გაიხსნას მდუღარე წყალში (პროპორციები მითითებულია), მაგრამ ექიმები აუცილებლად გაფრთხილებენ: გახსნილი სახით პრეპარატი ძალზე სწრაფად კარგავს თავის სასარგებლო თვისებებს! ამიტომ მისი მიცემა დამზადებისთანავე უნდა მოხდეს, ჭამამდე 10-15 წუთით ადრე, ან უშუალოდ ჭამის წინ.

სანამ პატარას არ ჰქონდა კბილები, მას ძალიან უყვარდა თითების წუწნა, ახლა ის უპირატესობას ანიჭებს კბენას, ღრღნას. ყოველ კვებაზე მიეცით ისეთი საკვები, რომლის დაღეჭვაა საჭირო — პური, ვაშლი (კანგაცლილი), კიტრი, მოხარშული სტაფილო. ღეჭვა აუმჯობესებს ღრძილების სისხლმომარაგებას, აძლევს „სამუშაოს“ ახალამოსულ კბილებს და აძლიერებს იმ კბილების ნივთიერებებით მომარაგებას, რომელიც ამოსვლისთვის „ემზადება“. თუკი პატარა კარგად ღეჭავს, ეს ცენტრალური ნერვული სისტემის კარგი ფუნქციონირების ნიშანია. ბავშვებს, რომელთაც ნევროლოგიური პრობლემები აქვთ, ჩვეულებრივ დიდხანს არ შეუძლიათ ღეჭვა.

*მაია მუხიგული*

# დავძლიოთ საგაზაფხულო მოწყენილობა...

**უმიზეზო აფორიაქება, უგუნებობა განსაკუთრებით გვიპყრობს გაზაფხულსა და შემოდგომაზე. ნუ დაიჯერებთ, რომ სულიერ კრიზისს მხოლოდ ქიმიური წამლები დაგაძლევინებთ. არანაკლებ ეფექტურია მცენარეული საშუალებები.**

**კატაბალახა.** თუ მოგეძალებათ სევდა ან გადაღლილობის გამო ძილი გაგიტყდათ, მიიღეთ კატაბალახა ცალკე ან სვიასთან, ვნების ყვავილთან ან ბარამბოსთან ერთად. კატაბალახას ფესვები აძლიერებს თავის ტვინის ქერქში მიმდინარე შეკავების პროცესს, ამცირებს რეფლექტორულ აღგზნებულობას, ხსნის კუნთების სპაზმებს. ნატურალური მცენარეული საშუალებები ქიმიური პრეპარატების ღირსეული ალტერნატივაა.

**გვირილის ჩაი** ხსნის დაძაბულობას, ამშვიდებს ადამიანს ისე, რომ არ იწვევს ძილის სურვილს. ცდებმა აჩვენა, რომ ნივთიერებები, რომელსაც შეიცავს გვირილა, ისევე ზემოქმედებს ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე, როგორც სინთეტიკური ტკივილგამაყუჩებლები. ამ ფიტოსაშუალების ღირსება ისიცაა, რომ კარგად ერწყმის სხვა სამკურნალო მცენარეებს. გვირილის ჩაი შველის უძილობას, აღგზნებულობას, შაკიკსა და კბილის ტკივილს.

**კრაზანის ნაყენი** შველის გაღიზიანებულობას, დეპრესიას, ნევროზს, ფსიქოვეგეტატიურ აშლილობას, როგორიცაა ტაქიკარდია, მუცლის არეში სიმძიმის შეგრძნება და ნაწლავების პრობლემები.

ნაყენის მოსამზადებლად აიღეთ 10 გ გამხმარი კრაზანა, დაასხით 250 მლ-მდე ქაფქაფა, მდუღარე წყალი. გააჩერეთ 30 წუთი და მიიღეთ 1 ს/კ 4-6-ჯერ დღეში.

*ხიმია ი ჟიზნ*


**ისრაელი-საქართველოს სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „მიკროგენი“**

გთავაზობთ შემდეგ მომსახურებას ისრაელის უახლესი მეთოდებისა და ტექნოლოგიების გამოყენებით: გინეკოლოგია, ანდროლოგია, ოსტეოპოროზი, ულტრასონოგრაფია, ლაბორატორიული ტესტები, კოსმეტოლოგია, სამკურნალო მასაჟი და მკვდარი ზღვის ტალახისა და მარილების აბაზანები.

მისამართი: ვაჟა ფშაველას გამზ. 32ა

☎ 94 07 08; 94 07 09; 98 39 76



SGS - მსოფლიო სექსოლოგთა ასოციაციის და ევროპის სექსოლოგთა ფედერაციის წევრი
SGS - თანამედროვე ტექნიკური ბაზა
SGS - მაღალკვალიფიციური ექიმი-სექსოლოგები და ფსიქოლოგები
SGS - განკურნების მაქსიმალური გარანტია
SGS - აბსოლუტური ანონიმურობა

**ჩვენი პროფესიონალიზმი თქვენი თვითდაჯერების გარანტიაა!!!**

**ექიმი-სექსოლოგები, ფსიქოლოგები და ფსიქოთერაპევტები მზად არიან დაგეხმარონ ყველა სახის სექსუალური დარღვევის, ნევროზული სიმპტომების დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში.**

1. სქესობრივი აქტის ჩატარების გაძნელება ან შეუძლებლობა, მათ შორის: „პირველი საქორწინო ღამის“ პრობლემები.
2. სქესობრივი აქტის გახანგრძლივება ან ნაადრევი დამთავრება.
3. იმპოტენციის ქირურგიული მკურნალობა, ასოს ზომების მომატება.
4. კონფლიქტები ოჯახში და მის გარეთ.
5. დეპრესია, ძილის დარღვევა, აკვიატება და ენერგეტიკული დაქვეითება.
6. კონტაქტის შიში და ურთიერთობის პრობლემები.

ფსიქოლოგიური და სექსოლოგიური სამსახური SGS

**თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №5 (ყოფილი „ლეჩკომბინატი“), მე-2 სართ. კაბ. 21-22-23-24. ტელ: 29-34-39. მიღება 10-19 სთ-მდე**





## ბუში-პუტინის სამიტი შესაძლოა შოუ აღმოჩნდეს

ამერიკის პოლიტიკა ჯორჯ ბუშისა და ვლადიმირ პუტინის რუსეთში შეხვედრამდე თუ მნიშვნელოვნად არ შეიცვალა, აშშ-ისა და რუსეთის ისტორიული პარტნიორობის შესაძლებლობა ამოწურულად ჩაითვლება. ავღანეთის ტერიტორიაზე განხორციელებულ ანტიტერორისტულ ოპერაციაში რუსეთის მონაწილეობა გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე მთლიანად ნატოსი. მაგრამ ახლა რუსეთში პროდასავლური ლობიც კი კითხულობს, — სამაგიეროდ რა გვერგოო. ცნობილია, რომ პენტაგონის ახალ ბირთვულ დოქტრინებში რუსეთი მოხსენიებულია, როგორც შესაძლო მოწინააღმდეგე. მოსკოველი პოლიტიკოსების დიდი ნაწილი იმ აზრისაა, რომ ომი, რომელსაც აწარმოებს ბუშის ადმინისტრაცია ტერორიზმის წინააღმდეგ, ემსახურება სამხედრო პლაცდარმის შექმნას, რათა ამით საფუძველი ჩაეყაროს ახალ ამერიკულ იმპერიას. 11 სექტემბრის შემდეგ ბუშის ადმინისტრაცია სისტემატურად ახვევს თავს რუსეთს საკუთარ სამხედრო გარემოცვას... იმავდროულად, პუტინს თავისიანები საყვედურობენ შუა აზიისა და კავკასიის დაკარგვას და ეეჭვებათ მისი არჩევანის სისწორე — აშშ-თან ალიანსი.

ყველაფერი იმაზე მეტყველებს, რომ მაისის დამლევს მოსკოვში დაგეგმილი შეხვედრა შესაძლოა მხოლოდ შოუდ იქცეს, რომელიც ორი ლიდერის პოლიტიკურ კაპიტალს გაზრდის, მაგრამ საგრძნობ წვლილს ვერ შეიტანს სადღეისოდ ყველაზე მნიშვნელოვან საქმეში — ბირთვული არსენალის შემცირებაში.

*ლოს-ანჯელეს თაიმსი*

## იასირ არაფატი ძალაუფლებას სხვებს უნაწილებს

კატასტროფის დღესთან დაკავშირებით (1948 წელს ისრაელის სახელმწიფოს შექმნის გამო თავისი მიწიდან პალესტინელთა მასობრივი განდევნის დღე) იასირ არაფატმა სიტყვა წარმოთქვა პალესტინის საკანონმდებლო საბჭოში. მან აღიარა თავისი შეცდომები და თავად იკისრა განვლილ გზაზე მთელი პასუხისმგებლობა. გარდა ამისა, გამოაცხადა პალესტინის სახალხო არმიის ინსტიტუტების სრული რეორგანიზაცია და გამოთქვა თავისუფალი არჩევნების ჩატარების სურვილი.



**ქრისტეშობის ტაძრის გათავისუფლების შემდეგ არაფატი წირვაზე დასასწრებად მიიჩქარის**

სავარაუდოა, რომ პალესტინის ადმინისტრაციის ნაცვლად შეიქმნება 13 მინისტრისაგან შემდგარი წარმომადგენლობა პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით. იასირ არაფატის აზრით, არჩეული უნდა იქნას ყველა საზოგადოებრივი ინსტიტუტის, უშიშროების ორგანოების, პროფკავშირების ლიდერები, რაც, საბოლოო ჯამში, ხელს შეუწყობს პალესტინის სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობას. პალესტინის ლიდერმა გამოაცხადა, რომ საჭიროა დაინერგოს ხელისუფლების გაყოფის პრინციპი და ამ მიმართულებით პირველი პრაქტიკული ნაბიჯიც გადადგა — ხელი მოაწერა პალესტინის დამოუკიდებელი სასამართლოს ქვეყნის აღმასრულებელი ხელისუფლებიდან გამოყოფის ბრძანებულებას. მისი თქმით, ცვლილებები შეეხება პალესტინის მმართველობის მთელ სისტემას, გარდა ამისა, შეიქმნება თავად პალესტინის ლიდერის უფლებამოსილების შემზღუდავი მექანიზმები.

*კომერსანტი №82*

## ხატაბი ბინ ლადენის „რეცეპტით“ მოწამლეს

არსებობს ვერსია, რომ ცნობილი ტერორისტი ხატაბი მოწამლეს. ამ ვერსიას იზიარებენ „შავი პოლკოვნიკის“ ნათესავებიც. აშშ-ის სპეცსამსახურები კარგა ხანია ცდილობენ, „შხამიანი ოპერაციების“ გზით მოიშორონ ხატაბის მეგობარი ბინ ლადენიც. ამასთან დაკავშირებით „არგუმენტი ი ფაქტიმ“ ინტერვიუ სთხოვა ცნობილ არაბ ჟურნალისტს ჯამალ ისმაილს, რომელიც 2000-2001 წლებში ოთხჯერ შეხვდა უსამა ბინ ლადენს.

— *მართალია, რომ ბინ ლადენს მოწამლული ყავა დაალევინეს?*

— დიახ, მაგრამ დალევა ვერ მოასწრო, მზარეულმა ფეხი რაღაცას წამოჰკრა და ფინჯანი დაუვარდა.

— *ვინ ჩაუყარა ყავაში საწამლავი?*

— ბანგლადეშელმა „ალ ქაიდას“ მებრძოლმა. ის უსამას მზარეულს დაუმეგობრდა. მაინცდამაინც ყურადღება არავის გაუმახვილებია. ფიქრობდნენ — ჭამა უყვარს და იმიტომ არ შორდება სამზარეულოსო. მცველმა შენიშნა, უსამასთვის გამზადებულ საუზმეში როცა რაღაც ჩაასხა... დაკითხვისას აღიარა, — ორჯერ ჩავასხი ყავაში საწამლავი და არც ერთხელ არ დალია. ვფიქრობდი, ახლა მაინც გამიმართლებს-მეთქი.

— *რა ღირს ბინ ლადენის სიკვდილი?*

— ძალიან იაფი — ერთი მილიონი დოლარი, შემსრულებლისა და მისი ოჯახის წევრებისთვის ამერიკის მოქალაქეობა. სწორედ ეს შესთავაზეს ბანგლადეშელს, რაც ძალიან უცნაურია, რადგან ბინ ლადენის თავი მაშინ უკვე 5 მლნ დოლარად იყო შეფასებული *(ამჟამად 25 მლნ დოლარი ღირს, — რედ.)*. შემკვეთი იყო ცენტრალური სადაზვერვო სამსახური. ბანგლადეშელს ორი სახის საწამლავი მისცეს. ამ ძლიერი შხამებით სულ იოლად შეიძლებოდა ტანსაცმლის ან ფეხსაცმლის გაჟღენთვა, მაგრამ იქამდე ვინ მიუშვებდა!

სამაგიეროდ, თავად უსამამდე მიაღწია. უცნაურია, მაგრამ ეს არც ისე ძნელი აღმოჩნდა. მაშინ ბევრი მუსლიმანი ჩადიოდა ავღანეთში, „ალ ქაიდაში“ შესასვლელად. ბინ ლადენი ხშირად ესწრებოდა მათ წვრთნას, უყვარდა სხვა ქვეყნებიდან ჩამოსულებთან საუბარი. მის ბანაკში ჩეჩნეთიდან ჩასული ხატაბიც წვრთნის დროს გაიცნო.

— *ამბობენ, მას შემდეგ, რაც გაირკვა, რომ ყავით უპირებდნენ მოწამვლას, ბინ ლადენი შხამთან შესაგუებლად მცირე დოზით საწამლავს იღებსო.*

— დაბეჯითებით ვერაფერს გეტყვით, მაგრამ ადვილი შესაძლებელია ასე იყოს.

*არგუმენტი ი ფაქტი №20*

## ხალხების დიდი გადასახლება საბჭოურად

1935 წელს ლენინგრადის ოლქიდან პირველები ფინური წარმოშობის 30 ათასი მოქალაქე გაასახლეს ვოლოგდის ოლქში. ასე დაიწყო საზღვრებთან ახლოს მყოფი ტერიტორიებ-



ის გაწმენდა საბჭოთა ხელისუფლების მიმართ პოტენციურად „მტრულად განწყობილი“ ადამიანებისგან. მომდევნო წელს უკრაინიდან გაასახლეს 49 ათასი პოლონელი და 15 ათასი გერმანელი. 1937 წელს კორეელების ჯერი დადგა — 173 ათასი შორეული აღმოსავლეთიდან ყაზახეთსა და უზბეკეთში გადაასახლეს.

შემდეგი ეტაპი მეორე მსოფლიო ომის დასაწყისს დაემთხვა. მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტით მიღებული ტერიტორიებიდან ციმბირის გზას გაუყენეს 139,6 ათასი პოლონელი, 23,6 ათასი ებრაელი, 85,7 ათასი უკრაინელი, ლიტველი, ლატვიელი და ესტონელი. რეპრესიები გავრცელდა სამღვდელოებასა და უბრალოდ „საეჭვოებზე“. რეპრესირებულ ხალხებს შორის ყველაზე მრავალრიცხოვანი ვოლგისპირელი გერმანელები იყვნენ, რომლებიც იქ XV საუკუნიდან ცხოვრობდნენ. 800 ათასი გერმანელი (წითელი არმიის ზურგში ამბოხი რომ არ მოეწყოთ) საბარგო ვაგონებით ციმბირის, ყაზახეთისა და შუა აზიის გზას გაუყენეს. იგივე ბედი ეწია ყარაჩაელებს (69 ათასი), ჩეჩნებსა და ინგუშებს (500 ათასი), ბალყარელებს (37 ათასი). ლავრენტი ბერიამ ისინი გერმანელებისთვის „ჩრდილოეთ კავკასიის ჩაბარებაში“ დაადანაშაულა. სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ამ ხალხების წარმომადგენლები მართლაც თანამშრომლობდნენ ოკუპანტებთან, მაგრამ ვერმახტსა და SS-ის ჯარებში ხომ თითქმის მილიონი რუსი, უკრაინელი და ბელორუსიც მსახურობდა.

1944 წელს 191 ათასი თათარი გაასახლეს ყირიმიდან, მათ მიაყოლეს ბერძნები, სომხები, ირანელები, თურქები (42 ათასი). ბალტიისპირეთიდან და დასავლეთ უკრაინიდან სტალინის სიკვდილამდე გრძელდებოდა ნაციონალისტების, „ტყის ძმების“ გასახლება (120 ათასი). მთლიანად 3,5 მლნ-ზე მეტ ადამიანს მოუწია დეპორტაცია.

*ნოვიე იზვესტია №80*

## რუსეთი უნდა შეეშვას იმპერიულ ზრახვებს

პრეზიდენტ პუტინის გადაწყვეტილებას, კასპიის ზღვის აუზში სამხედრო-საზღვაო მანევრების ჩატარების თაობაზე, ამ რეგიონის ქვეყნები არაერთგვაროვნად შეხვდნენ. განსაკუთრებით აბობოქრდა ირანი, რომელიც კასპიისპირეთში თავს რუსეთის მთავარ მეტოქედ მიიჩნევს. „მოსკოვმა უნდა შეიგნოს, რომ დღეს მსოფლიოს არც ერთმა ქვეყანამ არ უნდა გამოიყენოს დიპლომატიური ზემოქმედების იმპერიული მეთოდები“, — განაცხადა ირანის გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში ლონდონის ინსტიტუტ Evrosevic-ის დირექტორმა ფირუზ მოჯთაჰედზადემ, როცა კომენტარს უკეთებდა რუსეთის განზრახვას კასპიისპირეთში სამხედრო-საზღვაო მანევრების ჩატარების თაობაზე. ირანული წარმოშობის ინგლისელი მეცნიერის თქმით, მოსკოვს არ სურს შეიგნოს, რომ რეგიონის დანარჩენმა სახელმწიფოებმა მიიღეს დამკვიდრებული სტატუს-კვო და მის შეცვლას არ აპირებენ. ამიტომაც მიაჩნია ფირუზ მოჯთაჰედზადეს, რომ მოსკოვის გადაწყვეტილება, კასპიისპირეთში სამხედრო-საზღვაო სწავლების ჩატარების თაობაზე, ავლენს მის იმპერიულ არსს. ხოლო პრეზიდენტ პუტინის მტკიცებას, — ეს არის ანტიტერორისტული მანევრებიო, ირანი არ იჯერებს, რადგან კასპიისპირეთში ტერორიზმის საფრთხე არ არსებობს, — დასძენს მოჯთაჰედზადე.

ირანის თავდაცვის მინისტრმა, ადმირალმა ალი შამჰანიმ კი განაცხადა, — რუსეთის გადაწყვეტილება, სამხედრო მანევრების ჩატარების თაობაზე, ხელს არ უშლის იმას, რომ კასპიის ზღვა კვლავაც მეგობრობის და თანამშრომლობის ზღვად დარჩესო.

*მოსკოვსკიე ნოვოსტი №18*

## საიდუმლო ნადირობა



ძალზე იდუმალი რამ ხდება პაკისტანის ჩრდილო-დასავლეთ საზღვართან, მირამ შაჰის პროვინციის მთებში. ეს ტერიტორია ავღანეთს ესაზღვრება და ძირითადად მომთაბარე მეცხვარეებითაა დასახლებული. ერთ-ერთი მათგანის თქმით, მთებში ის ინგლისურად მოლაპარაკე ჯარისკაცებმა დაატყვევეს, შემდეგ საბუთები შეუმოწმეს, ცხვრები ერთ-ერთ ხეობაში გადაარეკვინეს და თან გააფრთხილეს, ჩვენთან შეხვედრაზე არავისთან კრინტი არ დაძრაო. მეორე მეცხვარე კი ამტკიცებს, — ჩემი თვალით ვნახე ამერიკელი ჯარისკაცები, რომლებიც სანგარს თხრიდნენო. პაკისტანის ხელისუფლება ირწმუნება, რომ ამერიკელები საზღვრის გაღმა, ავღანეთის ტერიტორიაზე იმყოფებიან, მაგრამ თვითმხილველები დაბეჯითებით ამტკიცებენ — ამერიკელები ჩვენს მიწა-წყალზე დააბიჯებენო!

ოფიციალურად პაკისტანის ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის საჯარისო დანაყოფები არ იმყოფებიან, თუმცა ჟურნალისტებისთვის ცნობილი გახდა, რომ 30 აპრილს პენტაგონმა იქ დაიწყო ოპერაცია კოდური სახელწოდებით „მთის ლომი“, რომელშიც 1.200-მდე ბრიტანელი, ავსტრალიელი და ამერიკელი ჯარისკაცი მონაწილეობს. სამხედროები ძალზე ჩქარობენ. როგორც ირკვევა, მათ ამის საფუძველი გააჩნიათ. ავღანეთის უშიშროების ცნობით, მირამ შაჰის ჩრდილოეთით მდებარე სოფელ მეიდანში ნახეს უსამა ბინ ლადენი, რომელსაც მისი უახლოესი თანამებრძოლი აუმან ალ-ზავაჰირი ახლდა. ამ ცნობის მიღების შემდეგ მედესანტეებმა სოფელს ალყა შემოარტყეს, თუმცა ხელთ მხოლოდ ქალები და ბავშვები შერჩათ. ხშირად ჩნდება ცნობები ბინ ლადენის ამა თუ იმ ადგილას გამოჩენის შესახებ, თუმცა ეს ჯერ არ დადასტურებულა. ოპერაციის თაოსნები აცხადებენ, რომ პაკისტანის მთებში 50-მდე „ალ-ქაიდას“ მებრძოლი ცოცხლად შეიპყრეს, ხოლო ორჯერ მეტი გაანადგურეს.

*ნიუზუიქი*

## ნორვეგიის მეფის ოჯახი ჩვეულებრივს ემსგავსება

ნორვეგიის მთავარმა დღესასწაულმა — კონსტიტუციის დღემ — ულიმღამოდ ჩაიარა. სასახლის აივანზე არ გამოვიდა მეფე ჰარალდ V-ის უფროსი ქალიშვილი, ყოფილი პრინცესა მარტა-ლუიზა. ამის მიზეზი გახდა პრინცესას რომანი სკანდალურად ცნობილ ნორვეგიელ მწერალ არი ბენთან. მისი გულისთვის მეფის ასულმა ოფიციალურად თქვა უარი პრინცესას ტიტულზე. ერთი შეხედვით ეს თითქოს ჩვეულებრივი ოჯახური დრამაა, სინამდვილეში კი საქმე ბევრად უფრო რთულადაა. ყოფილი პრინცესას ირგვლივ ატეხილმა სკანდალმა ცხადყო ე.წ. სახალხო მონარქიის მოდელის კრახი, რომლის სამშობლო სწორედ ნორვეგიაა. დღეს მმართველი დინასტიის რეიტინგი 45%-ს არ აჭარბებს. არადა, ვიდრე ტახტის მემკვიდრე ხოკონი მდაბიორ მეტემარიტს — შვილიან ქალს (რომელიც მაინცდამაინც მაღალი ზნეობით არ გამოირჩეოდა) — შეირთავდა ცოლად, პრინცესა მარტა-ლუიზა კი ბნელი წარსულის მქონე არი ბენზე დაიწინდებოდა, სამეფო სახლის რეიტინგი 90%-ს აღწევდა. სხვათა შორის, ხოკონის მეუღლის ოჯახი აცხადებს, თუ ნორვეგიის მონარქია ჭეშმარიტად სახალხოა, მაშინ ჩვენს მდაბიორ შვილიშვილს პრინცობა უნდა უბოძონო.

ნორვეგიელებმა მონარქიას 1905 წელს დაუ-



ჭირეს მხარი, როცა ქვეყანა შვედეთს გამოეყო. იმ დღიდან თითქმის საუკუნე გავიდა და ნორვეგიელებმა შესაძლოა აღარ ისურვონ სახალხო მონარქია, რომელმაც მათ იმედი გაუცრუა.

*იტოგი №17*

## კომუნისტური რეჟიმი „მტრულად“ განწყობილებს აშიმშილებს

მოშიმშილე ქვეყნებში სურსათი პოლიტიკური იარაღია. სამხრეთ კორეა და შეერთებული შტატები დამშეულ ჩრდილოეთ კორეას ყოველწლიურად ტონობით ხორბალს, ბრინჯსა თუ სხვა პროდუქტს უგზავნიან. მაგრამ ხშირად ეს დახმარება სულაც არ ხვდება გაჭირვებული ხალხის ხელში. ჩრდილოეთ კორეაში ამ დახმარებას სახელმწიფო ჰუმანიტარული სააგენტო ანაწილებს. ამ სააგენტოს ერთ-ერთი წევრი გაქცევისას დააპატიმრეს. მან ჩვენებაში განაცხადა, რომ დახმარების დიდი ნაწილი პროფხენიანურად განწყობილ ელიტას ურიგდება. ჩრდილოეთ კორეის რეჟიმს ქვეყნის მოსახლეობა ხომ პოლიტიკურ ჯგუფებად ჰყავს დაყოფილი: „მხურვალე მხარდამჭერები“, „მერყევები“ და „მტრულად“ განწყობილნი. რასაკვირველია, სახელმწიფო სააგენტო „მტრულად განწყობილთ“ არაფერს არგუნებს. არადა ექსპერტთა შეფასებით, მოსახლეობის სწორედ ეს ნაწილი უძლურდება შიმშილით და იხოცება. შეერთებული შტატები ცდილობს კონტროლი დააწესოს დახმარების განაწილებაზე. თუმცა ქვეყანაში, სადაც კომუნისტური რეჟიმი მძვინვარებს — განაწილებაც „კომუნისტურად“ ხდება.

*შტერნი*

## მოკლედ

**არიზონის** შტატის ქალაქ ტუსონში 97 წლის ასაკში გარდაიცვალა ლეგენდარული განგსტერი ჯოზეფ ბონანო. რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში ის იყო ნიუ-იორკის დანაშაულებრივი სამყაროს „მეფე“.

**მადრიდში** გაიხსნა ევროკავშირის, ლათინური ამერიკისა და კარიბის აუზის ქვეყნების მეთაურთა სამიტი. მასში მონაწილეობს 52 ქვეყნის ხელმძღვანელი, განხილული იქნება ტერორიზმთან ბრძოლის, ახალი ეკონომიკური წესრიგის, გლობალიზაციისა და მისი შედეგების, გარე სამყაროს დაცვის საკითხები.

**თეთრმა სახლმა** აღიარა, რომ სპეცსამსახურებმა ბუშს სექტემბრის ტერაქტამდე რამდენიმე თვით ადრე აცნობეს, — უსამა ბინ ლადენის ბოევიკები სამგზავრო თვითმფრინავების გატაცებას აპირებენო. საგანგებო პრესკონფერენციაზე კონდოლიზა რაისმა განაცხადა, — აშშ-ის პრეზიდენტს რომ სცოდნოდა, ტერორისტები სამოქალაქო თვითმფრინავს გამოიყენებდნენ ტერაქტისათვის, სხვანაირად მოიქცეოდაო.



## ვცადოთ, ეს ჩვენ შეგვიძლია

*ბევრი, დღეს საქვეყნოდ აღიარებული ცნობილი მილიონერი თავის პირველ ნაბიჯებს ისეთი მცირე და უმნიშვნელო საქმით იწყებდა, ბიზნესსაც რომ ძნელად უწოდებს კაცი.*

*მათ კი ასეთი ფინალისთვის იქნებ არც დაუწყიათ საქმე — ყოველდღიურობას აუწყვეს ფეხი. სხვათა შორის, ალბათ არც ჩვენსავით უწუწუნიათ და მთავრობის ლანძღვაში გართულთ გულ-ხელი არ დაუკრეფავთ.*

*ჩვენც ჩვენი ყოველდღიურობა დაგვდევს თან, რომელიც ითხოვს — გაანძრიე ტვინი და ხელი... იაზროვნეთ, იქნებ ვცადოთ...*

# ჟოლოს ხომ არ გააშენებთ?

არაერთხელ გვითქვამს, რომ შრომა უდიდესი სიკეთეა. ამიტომაც არის, რომ ქართულ ენაში სიტყვებს — „კეთება" და „სიკეთე" საერთო ძირი აქვთ. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენს წინაპრებს შრომა უმაღლეს სულიერ ღირებულებასთან ჰქონდათ გაიგივებული. თუ ადამიანი ამ სიკეთის შესახებ ივიწყებს, სიცოცხლეს იმოკლებს და არარაობა ხდება.

ამ შესავლით შრომის შესახებ ფილოსოფიური ტრაქტატის შექმნას არ ვაპირებ — უბრალოდ, კიდევ ერთხელ შევახსენებ საკუთარ თავსაც და მკითხველსაც, რომ ბევრი მინახავს შრომისგან აზრმიცემული და ფეხზე დამდგარი, მით უმეტეს, დღევანდელ გაჭირვებულ დროში. ეს იმედს მაძლევს — გაძლიერებული კაცი თავის თავსაც უშველის და ქვეყანასაც.

ამას წინათ მე და ჩემმა მეგობარმა ორთაჭალიდან რუსთავში შუახანს გადაცილებული ქალბატონი დავიმგზავრეთ. საკმაო გზა გვქონდა გასავლელი და როგორც მგზავრობამ იცის, დიდი ხნის ნაცნობებივით, გულითადი საუბარი გავაბით დღევანდელი გასაჭირის შესახებ. ჩვენდა გასაკვირად, ქალბატონი მეტად ოპტიმალურად აღმოჩნდა განწყობილი და თავისი ისტორიაც სიამოვნებით გვიამბო: რუსთავის გარეუბანში ვცხოვრობ. მაქვს სახლი და პატარა ნაკვეთი, ეზოში — ხილი. ჩემი შვილი 5 წლის წინ სხვებივით რუსეთში წავიდა სამუშაოდ. შინ რძალი და 10 წლის შვილიშვილი დამიტოვა. პირველ ხანებში, რაღაც თანხას კი გვიგზავნიდა. მერე, ეტყობა, გაუჭირდა და აგერ უკვე ორი წელია ერთი თეთრიც არ მიგვიღია. რამდენჯერმე დარეკა, გვითხრა — ახლა მიჭირს, მაგრამ საქმეს ავაწყობო — თავსაც იტყუებს და ჩვენც გვატყუებს. მე რუსულის მასწავლებელი ვარ, ახლა უკვე აღარ ვმუშაობ, რომც მემუშავა, რას ვიშოვიდი ისეთს, რომ რძალი და შვილიშვილიც შემენახა. პირველ ხანებში ეზოს ხილი ვყიდეთ, პურის ფულს ვშოულობდი, მაგრამ ვაი იმ შოვნას... თავს ვიმტვრევდი, კიდევ რა გამეკეთებინა. ბოლოს მოვიფიქრე: ვიყიდე 15 ძირი ჟოლოს ნერგი და ჩემი ხელით დავრგე ეზოში. რამე რომ არ შემშლოდა, გამოცდილ მებაღეებს ვკითხე რჩევა. მასწავლეს, ნერგი მწკრივში დარგე, ძირები ერთმანეთს 80 სმ-ით დააშორე. შემდეგ თითო მწკრივში ერთმანეთისაგან 1 მ-ის მანძილით, 3 რიგში გააბი მავთულები, მიწიდან 25, 50 და 70 სმ-ის დაშორებითო...

ასეც მოვიქეცი... მიწას უბრალო ნაკელით ვანოყიერებ და ხოჭოს გასანადგურებლად დუსტს ვიყენებ — საკმაო წარმატებითაც.

...ასე მოვითქვი სული... დავუშვათ ბევრი მოსავალი მოვიდა, ვერ გავასაღე — არც ეს არის უბედურება. მურაბას ვამზადებ და ბაზარში ვყიდი. საკმაოდ ძვირია, რადგან გემრიელიცაა და გაცივების უებარი წამალიც. ასე ვინახავ ოჯახს და გაფაციცებული ვაკვირდები, არაფერი გაუჭირდეთ ნარგავებს. იმ ძირებს, რომლებსაც მოსავალი აღარ მოაქვს, ახლით ვცვლი. ცხოვრების იმედი მომეცა, მომავალში ჟოლოს დიდ ბაღს გავაშენებ და მოსავალს საწარმოებს ჩავაბარებ. შემოსავალიც მეტი მექნება. მე, ქალმა, თუ შევძელი საქმის გაკეთება, კაცები ვერ შეძლებენ? — რა თქმა უნდა, შეძლებენ, მაგრამ სიზარმაცე სძლევთ. ისე, თუ დააინტერესებთ, ვეტყვი, ბატონო საქართველოში კარგად ხარობს ჟოლოს ჯიშები: „ახალი კუზმინი", „კალინინგრადული" და „კოლმეურნე". ეს ამბავი რომ დამედგინა, ენციკლოპედიები გადავქექე.

გამოგიტყდებით, ეს მონათხრობი სიამოვნებით მოვისმინე და ჩემს თავს ერთხელ კიდევ ვუთხარი: სანამ ქართველებს ასეთი ქალები გვყავს, არაფერი გვიჭირს-მეთქი. აი, თქვენი მცირე ბიზნესი — ხომ არ გესინჯათ გემრიელი, სურნელოვანი, ჯანმრთელობისთვის საჭირო ჟოლოს გაშენება?

***ნიკო გორგი***

**P.S. ბატონო მოაზროვნეებო, ვისაც საკუთარი მცირე ბიზნესისთვის მიგიგნიათ ან სხვათა წამოწყებას შესწრებიხართ, შეგვეხმიანეთ.**



## მკითხველს ბევრი რამ აინტერესებს...

### სავალდებულო წილი მეორე რიგის მემკვიდრეებზე არ ვრცელდება

**— მყავდა მარტოხელა მამიდა, რომელსაც მე ვუვლიდი. იგი 2000 წელს გარდაიცვალა. მამიდას მისივე სიცოცხლეში ანდერძი შედგენილი ჰქონდა ჩემს შვილზე. მაგრამ როგორც შემდგომ გაირკვა, აღნიშნული ანდერძი 1996 წელს გაუუქმებია და საცხოვრებელი თავისი დისშვილისთვის უანდერძია, ე.ი. ჩემი მამიდაშვილისთვის. გთხოვთ განმიმარტოთ, მეკუთვნის თუ არა სავალდებულო წილი, მით უმეტეს, რომ მისი მკურნალობის ფინანსურ მხარეს მთლიანად მე ვფარავდი.**

***ნ. დემეტრაძე, თბილისი***

— თუ თქვენს შვილზე დაწერილი ანდერძი ნოტარიული წესით იყო დამოწმებული, მეორე კი არა, თქვენ შეგიძლიათ იდავოთ მის უპირატესობაზე, ხოლო თუ ანდერძის ფორმაში სხვაობა არ არის, ძალაშია მეორე ანდერძი. ამ შემთხვევაში სავალდებულო წილს თქვენ ვერ მოითხოვთ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1371-ე მუხლით, სავალდებულო წილი ეკუთვნით მხოლოდ მამკვიდრებლის შვილებს, მშობლებს და მეუღლეს. სავალდებულო წილის ცნება მეორე და ა.შ. რიგის მემკვიდრეებზე არ ვრცელდება. თქვენ შეგიძლიათ მოითხოვოთ მხოლოდ მკურნალობის ხარჯების ანაზღაურება.

***იურიდიული ფირმის დირექტორი მედეა დემეტრაშვილი***

### რა არის ცხენის ძალა?

**— საიდან მოდის ტერმინი ცხენის ძალა?**

**ა.ხელაძე**

— ტერმინი ცხენის ძალა შემოიღო ინგლისელმა გამომგონებელმა ჯეიმს ვატმა. იგი აღნიშნავს არა ძალას, არამედ სიმძლავრეს. ქვანახშირის მაღაროზე მომუშავე ცხენებზე დაკვირვებისას, სადაც ისინი ჭოჭონაქის მეშვეობით ნახშირით დატვირთულ უმძიმეს კალათებს ჭიმავდნენ — მეცნიერმა გაზომა ცხენების მიერ ამოზიდული ნახშირის საერთო წონა, აგრეთვე ისიც, თუ განსაზღვრულ დროში რა სიმაღლეზე იყო ამოტანილი ტვირთი. ჯეიმს ვატმა გამოთვალა, რომ ერთი ცხენი ერთი წუთის განმავლობაში 100 ფუტის (30 მ) სიღრმიდან ჭიმავდა 330 ფუნტ (150 კგ) ქვანახშირს.

სწორედ ამის შემდეგ სიმძლავრის ერთეულს ცხენის ძალა დაერქვა — ერთი ცხენის ძალა 736 ვატს შეიცავს. ავტომანქანის ძრავის სიმძლავრეს დღესაც ამ ერთეულით ზომავენ.

### ფისოს დაბანა არ უყვარს...

**— შეიძლება თუ არა კატის ხშირად დაბანა?**

***ანუკა მენთეშაშვილი***

— სასურველია, კატა საერთოდ არ აბანაოთ, რადგან მას უფუჭდება ბეწვი, უუხეშდება კანი. თუმცა თუ ფისოს „გაქათქათება" გსურთ, აბანავეთ იგი 35 გრადუსიან წყალში. ოღონდ კატა ახალი ნასაუზმევი არ უნდა იყოს და ყურადღება მიაქციეთ, რომ წყალი ყურებში, თვალებსა და ცხვირში არ ჩაუვიდეს.

# ქართველ ავტოდიზაინერთან ინტერვიუს ქართული ავტომობილის იდეა მოჰყვა



**ქართული ავტომობილი შესაძლოა ასეც გამოიყურებოდეს**

როგორც ჩანს, „კვირის პალიტრა" კიდევ ერთი კარგი ინიციატივის ავტორი აღმოჩნდება. ინიციატივის „პროგრამა მინიმუმი" ქართული ინტელექტის საერთაშორისო აღიარება იქნება, მაქსიმუმი კი ქართული მრეწველობის ამოქმედება, ხალხის დასაქმება და მრავალი სხვა სიკეთე. საარჩევნო კომპანიაში მონაწილეობას ნამდვილად არ ვაპირებთ, ასე რომ, დასკვნების გამოტანას ნუ იჩქარებთ. მივყვეთ მოვლენათა მსვლელობას:

ერთ-ერთ გასულ ნომერში მსოფლიო კონკურსში გამარჯვებულ ქართველ ავტოდიზაინერთან, ზვიად ციკოლიასთან ინტერვიუს დიდი გამოხმაურება მოჰყვა. მაგრამ ყველაზე საინტერესო ჩემთვის მაინც გასული კვირის ხუთშაბათი იყო. საღამო ხანს რედაქციაში შუახნის მამაკაცი მეწვია — ბლანჟე, ცილინდრი, ლაბადა, გატენილი ტყავის საქაღალდე, ინტელიგენტური მანერები და დახვეწილი ქართულით საუბარი... მოკლედ, ერთი შეხედვით მიხვდებოდით, რომ თქვენ წინაშე ერთ-ერთი ის ნამდვილი პროფესორთაგანი იდგა, დღეს რომ ასე ცოტანი დაგვრჩნენ საქართველოში.

ბ-ნი **კოტე სლოვინსკი** კიბერნეტიკოსი გახლავთ. საუბარი ყოველგვარი შესავლებისა და დითირამბების გარეშე დაიწყო: თქვენს გაზეთს ხშირად ვკითხულობ. ზვიად ციკოლიასთან ინტერვიუმ დამაინტერესა, ჭკვიანი ახალგაზრდა ჩანს... უკვე რამდენიმე თვეა, ჩვენი ჯგუფი ჩეჩენ ფიზიკოსთან ერთად ახალი ტიპის შიგაწვის ძრავაზე მუშაობს, რაკი ასეთ თემებზე წერთ, ეგებ დაგაინტერესოთ...

საქაღალდე გახსნა და ჩემ წინაშე ქაღალდებისა და ნახაზების გროვა აღიმართა.

... როდესაც ძრავის მოქმედების პრინციპს გავეცანი, „ეგებ" კი არა, ძალიან დავინტერესდი, რადგან იდეის რეალურობის შემთხვევაში ზემოთ ნახსენები „ნახაზების გროვის" სახით ჩემ წინ ავტომშენებლობის ახალი ერა იდო. იდეის რეალურობას კი ჟენევის საერთაშორისო საპატენტო კომისიის დასკვნა ადასტურებდა.

— ეს მხოლოდ ნახაზები არ გეგონოთ. მეცნიერებათა აკადემიაში კინემატიკურ სტენდზე შევამოწმეთ და ყველა მონაცემი დადასტურდა. საავიაციო ქარხანაში დღე და ღამე ამ ძრავაზე ვმუშაობთ. ათიოდე დღეში ხელთ ნამდვილი აგრეგატიც გვექნება — მითხრა ბატონმა კოტემ. წამის მეათედებში ავტომობილთან დაკავშირებული ყველა ჩემი რესპონდენტი გამახსენდა. სავალი ნაწილი არის, დიზაინი არის. ძრავაც გამოჩნდა... ასე ხომ ქართული მანქანის აწყობაც შეიძლება. რატომაც არა! მკითხველს ეხსომება, სხვადასხვა სავალი ნაწილებით ჩვენმა რესპონდენტმა ისეთი ჯიპი ააწყო, ტრაქტორის სახნისსაც კი უბამდა და ხნავდა — მისი მეტოქეობა ბევრ უცხოურ ჯიპს გაუჭირდებოდა. ავტომობილის კორპუსი ხელით იყო ნაჭედი და მოხდენილობით ვერ დაიკვეხნიდა. მოგვიანებით დიზაინიც გამოჩნდა — „ფოლკსვაგენის" კონკურსში „ტოიოტას", „სიტროენის", „ჯენერალ მოტორსის" და „პორშეს" დიზაინერები მონაწილეობდნენ. ჩვენმა, ქართველმა გაიმარჯვა. რჩებოდა ძრავა და ესეც სახეზეა...

ბატონ კოტეს იდეა გავუზიარე. ჭკუაში დაუჯდა და მეორე დღესვე, ზვიად ციკოლიასთან ერთად საავიაციო ქარხანაში წამოსვლა შემომთავაზა — ძრავის მთავარ ავტორსაც შეგახვედრებთ და ქარხნის ადმინისტრაციასაც, სანახავიც და მოსასმენიც ბევრი იქნებაო...

ნამდვილად არ ცდებოდა.

... საბჭოთა მრეწველობის გიგანტი, 31-ე საავიაციო ქარხანა ერთ დროს თვეში 12 საბრძოლო თვითმფრინავს ამზადებდა. აქ 17 ათასი, უმაღლესი კვალიფიკაციის მუშა-მოსამსახურე მსოფლიოში საუკეთესო აპარატურითა და ჩარხებით მუშაობდა. ქარხნის ადმინისტრაცია კეთილმოსურნედ შეგვხვდა, ჩვენი იდეა უმალ აიტაცეს.

**ვანო აფციაური,** ექსპერიმენტული სარემონტო-მექანიკური საწარმოს დირექტორი: „ქართველებს თავი მოგვაქვს განსწავლულობით და მეცნიერებით, მაგრამ გვავიწყდება რომ ინტელექტი მუდმივ ძიებასა და შრომაში უნდა იყოს, თორემ გახუნდება და ჩაკვდება. აქ მუდმივი ცვლა და გადახალისებაა საჭირო, უფროსი თაობა მომავალს რომ ზრდიდეს. დღეს კი, რა ხდება... იმ დღეს სადღაც ვკითხულობდი, ელიავას ბაზრობის დირექტორს დაუტრაბახია, ჩემთან 18 მეცნიერებათა კანდიდატი და 5 დოქტორი მუშაობსო. ელიავაზე კიბერნეტიკაში და ბირთვულ ფიზიკაში რომ არ იმუშავებენ, ცხადია — ზოგი ქანჩებს ყიდის და ზოგი ხაჭაპურებს, თავი რომ ირჩინოს. ბუნებრივია, ახალგაზრდა კაცი იფიქრებს, ხაჭაპურებს დისერტაციის გარეშეც გავყიდიო და სწავლაზე აღარავინ ფიქრობს..."

**ნოდარ ბერიძე,** გენერალური დირექტორი: დღესდღეობით ჩვენს ქარხანას გარკვეული შემოსავალი გააჩნია. ჩვენი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ კი ყველას კარგად მოეხსენება. ექსპერიმენტული საწარმო დავაარსეთ, სადაც ყველა მეცნიერს შეუძლია თავისი რეალური იდეა განახორციელოს — გამოგონება იქნება თუ ნოვაცია.

**(გაგრძელება იხ. გვ. 33)**

### საიდან მოდის ლატარია?

**— ვარ აზარტული და მიყვარს ლატარიის თამაში. თუმცა, სამწუხაროდ, ვერასოდეს ვიგებ. მაინტერესებს, სად და როდის წარმოიშვა ლატარიის გათამაშების იდეა, ანუ პირველად ვის მოუვიდა აზრად ხალხის ამგვარად გაცურების იდეა?**

***ი. გიორგაძე***

— ლატარიის გათამაშება თავდაპირველად სულაც არ გახლდათ გართობის და სწრაფად გამდიდრების ხერხი. მისი წარმოშობის ისტორია უკავშირდება იტალიას. 1530 წელს, გენუაში, მთავარი საბჭოს არჩევნებისას ბოლო ტურში, 90 კანდიდატიდან უნდა გასულიყო მხოლოდ 5. ამიტომ არჩევნების ასეთი პრინციპი შემოიღეს: თითოეული კანდიდატის თანამიმდევრული ნუმერაცია გამოსახული იყო 90 ბურთზე, რომლებიც მოათავსეს სპეციალურ ურნაში, საიდანაც ხდებოდა მათი ბრმად ამოღება. რომელი კანდიდატის ნომერიც დაემთხვეოდა, საბჭოს წევრიც ის გახდებოდა. სწორედ იმ აზარტმა, რომელიც ამ არჩევნებს ახლდა თან, საფუძველი ჩაუყარა ახალი გართობისნაირსახეობას მსოფლიოს მასშტაბით.

ყოფილ საბჭოთა კავშირში ამ თამაშის მსგავსი „სპორტლოტო" 1970 წლიდან დაინერგა. პირველივე თამაშზე 1,5 მილიონი ბილეთი გაიყიდა. „სპორტლოტოს" პოპულარობამ დასაბამი მისცა ლატარიის ახალ თამაშებს...

### ალკოჰოლი და დოპინგი

**— ითვლება თუ არა ალკოჰოლი ერთგვარ დოპინგად და რატომ მოქმედებს იგი თითოეულ ჩვენგანზე სხვადასხვაგვარად?**

**ალეკო ხელაძე**

— ალკოჰოლი დოპინგად მხოლოდ იმ მხრივ შეიძლება ჩაითვალოს, რომ იგი ამაღლებს გუნება-განწყობილებას, ასევე შრომისუნარიანობასაც: ერთი ჭიქის შემდეგ ადამიანი მხიარული და გონებამახვილი ხდება, ზოგიერთს კომუნიკაბელურობა უძლიერდება... ხოლო რამდენიმე ჭიქა არყის შემდეგ ალკოჰოლის მოქმედება დამთრგუნველია, ირღვევა მოძრაობის კოორდინაცია და ა.შ. თუმცა სპირტიანი სასმელი თითოეულ ჩვენგანზე მართლაც სხვადასხვაგვარად მოქმედებს. მნიშვნელოვანი ის კი არ არის, რამდენს სვამს ადამიანი, არამედ რას სვამს, ანუ საყურადღებოა იმ ფერმენტის აქტიურობა ალკოჰოლში, რომელიც აძმარებს მას. ნუ შეგშურდებათ მათი, ვინც ბევრს სვამს და იტანს, რადგანაც მედალს მუდამ ორი მხარე აქვს...

***მკითხველთა შეკითხვების მიხედვით პასუხები მოიძია რუსუდან ჟორჟოლიანმა***


**ბეჭდები, შტამპები, ფლექსოგრაფიული ფორმა, სავიზიტო ბარათები, ნებოვანი ეტიკეტები**

გამსახურდიას 17ა (შესასვლელი საბურთალოს ქუჩიდან)

☎ 23 26 25; 38 34 17

**ფირმა „ნეპტუნი"**

- ხავერდაო ავზები (გერმანიიდან);
- ხავერდაო ავზების განახლება;
- ფინური საუნები (ადგილობრივი და უცხოური წარმოების);
- შადრევნები და ჩანჩქერები (აშენება, მოპირკეთება).

☎ 92-18-98; 92-18-99; 899-16-05-10

მის: ახვლედიანის 4


საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 18 მაისიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2,2070 |
| ევრო | 2,0100 |
| ინგლ. ფუნტი | 3,2110 |
| რუსული რუბლი | 0,0706 |
| თურქული ლირა (1.000.000) | 1,5731 |



## თარაზულად:



ნოეს ხომალდი



ამერიკელ კინომსახიობთა სავანე



ორგანიზმის რეაქცია ყვავილთა მტვერზე

10


96%-იანი სითხე



ხმელეთში ღრმად შეჭრილი ზღვის ვიწრო ყურე



ვასილ ბარნოვის ნამდვილი გვარი



მას პოპულარობა მოუტანა კინოფილმ „ტიტანიკში“ შესრულებულმა სიმღერამ



ბრაზილიური ქათამი



ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული შვეიცარიაში



დასასვენებელი ადგილი



ახალი ზელანდიის აბორიგენი მაცხოვრებელი



ფურცლის დაუწერლად დატოვებული კიდე



დედამიწის საჰაერო გარსი

29


მხატვრის სახელოსნო



საფარი ფანჯარაზე ან კარზე



ოპერის ლიტერატურული ტექსტი

34

პრივილეგიური ჯარისკაცი მე-14-19 საუკუნეების ოსმალეთში



ჩანასახი

## შვეულად:



ერთ-ერთი სახელწოდება



ღობის სახე



გიორგი შენგელაიას პერსონაჟი



უბედური შემთხვევა



ჯგუფი ადამიანებისა, რომლებიც ერთად ატარებენ დროს



სახელმწიფო, რომლის დედაქალაქია ამანი



მთა თურქეთში



მართვადი თოჯინა

13

თაბაშირის სამშენებლო ნაირსახეობა



საცივის მთავარი „კომპონენტი“



მსხვილი ფლომასტერი



პეტრე ამირანაშვილი, „კიაზო“ (სასიმღერო ხმა)



მსოფლიოს მეორე ჩემპიონი ჭადრაკში



ზღაპარ „1001 ღამის“ პერსონაჟი — მეზღვაური



დისნეის დაუვიწყარი პერსონაჟი



ლეონარდო დი . . .



გუნებაში მსჯელობა



ქიმიური ელემენტის უმცირესი ნაწილაკი

კროსვორდი შეადგინა რამაზ ალანიამ

**„კვირის პალიტრა“ №19 კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 5. შოკოლადი; 6. მუზარადი; 9. კლივერი; 10. პაულსი; 11. სტატია; 15. მოტოციკლი; 17. ბრიჯი; 18. გოგრა; 19. პროფილი; 20. პატენტი; 24. ქაცვი; 25. კნუტი; 26. ტრაგიკოსი; 29. „არიელი“; 32. პორცია; 33. ტორნადო; 34. აბისინია; 35. ანეკდოტი.

**შვეულად:** 1. ფოკუსი; 2. მდელო; 3. სუფრა; 4. შრიფტი; 5. შინაბერა; 7. იუპიტერი; 8. კვერცხი; 12. კონდიტერი; 13. ალბატროსი; 14. ნჯღრევა; 16. ბოსტანი; 21. მაჰარაჯა; 22. კბილანა; 23. სტადიონი; 27. ალერსი; 28. პომადა; 30. ლობიო; 31. ადანი.

# ემანსიპაციის უცნაურობანი



მთვარესავით მრგვალი სახე, პატარა ფეხები და ბრტყელი მკერდი — ასეთი გახლდათ ძველ ჩინეთში სილამაზის იდეალი. ქალის მთავარი საზრუნავი საოჯახო საქმიანობა იყო. ამბობენ, ძველად ჩინელ ქალებს მყესებს გადაუჭრიდნენ, რათა ეზოს გარეთ გასვლა გასჭირვებოდათო. ის დრო წარსულს ჩაბარდა. ახლა სხვა ნიავმა დაქროლა. ცისქვეშეთის ქალებმა მზერა დასავლეთს მიაპყრეს, სადაც მათი წარმოდგენით ლამაზი, გრძელფეხება ქერა ქალები ცხოვრობენ. თმას კიდევ მოევლება — ისინი ძალ-ღონეს არ იშურებენ და ყორნისფერ თმას იუფერულებენ. ცოტა ფეხების საქმეა ცუდად — ამიტომ ასამაღლებლად სქელ-სქელ პლატფორმებიანი ფეხსაცმელებით დაბაკუნობენ. კოსმეტიკური საშუალებების ნაკლებობასაც არ განიცდიან — ენერგიულმა ბიზნესმენებმა ჩინეთის საზოგადოების „სუსტ ნახევრებს“ ყველა აქსესუარი მიაწოდეს. ხანდახან ქუჩაში ისეთი დეკოლტირებული ქალიშვილი შემოგხვდებათ, რომ სუნთქვა შეგეკვრებათ. მიუხედავად ამისა, ემანსიპირების პრობლემამ ჯერ კიდევ ვერ შეარყია საზოგადოებრივი ცხოვრების საფუძველი — ოჯახი. ყველაზე ემანსიპირებულ ქალებსაც კი მიაჩნიათ, რომ მათი უპირველესი მოვალეობა ოჯახია.

ჩინელი ლამაზმანები ყოველთვის დიდ ყურადღებას აქცევდნენ ვარცხნილობას, მაგრამ თამამი ფანტაზიის საშუალება არც ისე დიდი ხანია, რაც მიეცათ. ქალის ვარცხნილობა ყოველთვის იყო დამოკიდებული პოლიტიკურ „ნიავზე“. კეფაზე ლამაზად დაგრაგნილი თმა — ეს იყო და ეს. სხვა არჩევანი ქალებს არ ჰქონდათ. გაუთხოვარ ქალს საერთოდ ეკრძალებოდა ხალხში გამოჩენა. მართალია, ზოგიერთი არღვევდა დადგენილ ნორმას, სანაცვლოდ „გაუზრდელის“ ტიტულს იმსახურებდა. გასული საუკუნის 20-30-იან წლებში ჩინეთში ყველაზე ხალხმრავალი პორტი იყო შანხაი. აქ პირველად გადაიღეს დასავლური კულტურა, მათ შორის, მოდაც. ქალებმა თმა გაიშალეს, დაიწნეს, ნაწნავები ყვავილებით დაიმშვენეს. 40-იან წლებში, როცა იაპონელი დამპყრობლების წინააღმდეგ იბრძოდნენ, ჩინელი ქალების უმრავლესობამ მოკლე, უბრალო ვარცხნილობა არჩია. ხალხი მაშინ უბრალოდ ცხოვრობდა. 50-იან წლებში, ევროპასა და აშშ-დან ჩამოსული სტუდენტი გოგონების ხარჯზე მოდა კვლავ გამოცოცხლდა, სამაგიეროდ, კულტურულმა რევოლუციამ წნეხის ქვეშ მოაქცია ქალები. მაგალითად, აიკრძალა თმის დახვევა.

80-იანი წლების დამდეგს ქალებმა შვებით ამოისუნთქეს და მოდური ექსპერიმენტები განაახლეს — ახლა ნებადართულია გრძელი თუ მოკლე, დახვეული თუ სწორი თმა. შეიძლება თმის ფერის შეცვლა და პარიკის ყიდვაც. არც გადაპარსული თავი უკვირს არავის, მით უმეტეს, რომ მოდაშია. ჩინელი ქალები ცდილობენ ვარცხნილობა ხასიათისა და ჩაცმულობის შესაბამისად შეარჩიონ. მათთვის დღეს მთავარია არა მარტო მამაკაცების ქათინაური, არამედ საკუთარი ღირსების შეგრძნებაც.

***ეხო პლანეტი №5***

# ქვედატანის ისტორია



პირველყოფილი „მოდელიერის“ მიერ კაცობრიობის განვითარების გარიჟრაჟზე შექმნილი ტანსაცმელი ძალზე წააგავდა თანამედროვე „უნისექსის“ სტილს.

უძველეს დროში მამაკაცთა ერთი ნაწილი პალმის ფოთლების ქვედაბოლოს, წინსაფრებსა და არდაგს ატარებდა. უძველესი ეგვიპტელების სამოსს წარმოადგენდა სხენტი — გრძელი ნაჭრებისგან შემდგარი წინსაფარი, რომელიც თეძოებზე ჰქონდათ შემოხვეული და წელზე ზონრით მაგრდებოდა. ფარაონებისა და უბრალო ხალხის სხენტები მხოლოდ ქსოვილის ხარისხით განსხვავდებოდა ერთმანეთისგან.

ასირიელები შალის, მიტკლისა და ბამბის ქსოვილისაგან დამზადებულ თავისებურ ბლუზაქვედატანს — კანდის იცვამდნენ, მისი სიგრძით განისაზღვრებოდა ტანსაცმლის პატრონის სტატუსი.

ბერძნები შალის, აბრეშუმის და ბამბისგან ნაქსოვ ქიტონებს იცვამდნენ. რაც უფრო ახალგაზრდა იყო ადამიანი, მით მოკლე ქიტონი ჰქონდა.

რომაელებისთვის ტოგის ჩაცმა მთელ ხელოვნებას წარმოადგენდა, რადგან ის სხეულზე უნდა გაჩერებულიყო ყოველგვარი სამაგრის გარეშე.

შოტლანდიელთა კუბოკრული ქვედატანი — კილტი ყველასათვის ცნობილია და ის უძველესი დროიდან ითვლება მათ ეროვნულ სიმბოლოდ.

მხოლოდ ქალებისთვის განკუთვნილი სამოსი, ე.წ. გოთური ქვედატანი XV საუკუნეში გაჩნდა. მერე არისტოკრატმა ქალებმა ისე დააგრძელეს ქვედატანი, რომ მიწაზე დასთრევდათ. ამბობენ, რომ შლეიფის მოდა საფრანგეთის მეფე კარლოს VII-ის საყვარელმა, ულამაზესმა აგნესა სორელმა შემოიღოო. ეკლესიამ დაგმო ეს მოდა, რადგან შლეიფს ეშმაკის კუდთან აიგივებდა, მაგრამ მოდამ მაინც აჯობა რელიგიას.



რენესანსის ეპოქაში მოდის მოკარნახენი ესპანელი ქალბატონები იყვნენ. ისინი უზარმაზარ, მრავალსართულიან ქვედაკაბებს იცვამდნენ და იმისათვის, რომ რაც შეიძლება ფუშფუშა ყოფილიყო, ცხენის ძუით ტენიდნენ, ამ გაბუშტულ და საკმაოდ მძიმე კაბას კი ლითონის კარკასს შემოახვევდნენ. ამის შემდეგ ქალი ქვედატანში „შედიოდა“.

XVII საუკუნის მეორე ნახევარში მოდას საფრანგეთის მეფის ლუდოვიკო XIV-ის კარი კარნახობდა. ფუშფუშა, ძვირფასი თვლებითა და ბაფთებით მორთულ-მოკაზმული კაბები ყველა ნაკლს ფარავდა.

XVIII საუკუნეში, როკოკოს ეპოქის დასაწყისში, კვლავ კარკასზე შემოცმული ქვედატანები შემოვიდა მოდაში, ოღონდ ამჯერად იგი გვერდებში იყო გაწეული.

XIX საუკუნეში ქვედაკაბა საგრძნობლად დავიწროვდა, ოღონდ ახლა წელის გასწვრივ რგოლი იდებოდა და მაქმანით, ბაფთებითა და ლენტებით შექმნილი ე.წ. ტურნური საოცარ იდუმალებას მატებდა ქალს.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ქალის სოციალური მნიშვნელობა საგრძნობლად ამაღლდა და მოდაში საქმიანი და დემოკრატიული სტილი დამკვიდრდა. ქვედატანის სიგრძე შემცირდა. ამ დროს გაითქვა სახელი გაბრიელ (კოკო) შანელმაც. მის მიერ შექმნილი ტანსაცმლის ფასონი სადა და მოხერხებული იყო. 60-იანი წლების დასაწყისში ქვედატანის სიგრძე ელვის სისწრაფით მოკლდებოდა. 70-იანი წლებიდან ქვედაკაბა ხან მიდი ხდებოდა, ხან მინი.

დღევანდელ მოდას ეტალონი არ გააჩნია, მაგრამ საქმიანი ქალისთვის, რომელიც აქტიურ ცხოვრებას ეწევა და მანქანას მართავს, იდეალურია კაბა მუხლის შუამდე.

***ვოკრუგ სვეტა №3***



# გიგანტური რეპტილიები: უკანასკნელი დღეები?

მეცნიერი-ეკოლოგები სერიოზულად შეშფოთებულნი არიან, რადგან განადგურება ელით უნიკალურ, გიგანტურ რეპტილიებს — უზარმაზარ ხვლიკებს — ვარანებს, რომლებსაც სიდიდის გამო დრაკონებს უწოდებენ და ასევე უზარმაზარ გალაპაგოსურ კუებს..

ვარანის სიგრძე სამ მეტრს აღწევს, წონა 166 კგ-ს, თუმცა ამ არსებებს შეუძლიათ 20 კმ-ის სისწრაფით მოძრაობა. ნადირობას ისინი უძრავ მდგომარეობაში ამჯობინებენ — საათობით უსაფრდებიან მსხვერპლს. დრაკონები მოძრავ მსხვერპლს — ტახებს, ირმებს, თხებს 300 მ-ის სიშორეზე ამჩნევენ, ხოლო მძორს ყნოსვით 4 კმ-ზეც გრძნობენ. ვარანის ორკაპი ენა ჰაერიდან „იჭერს“ „სუნიან“ მოლეკულებს, შემდეგ ის ხვდება პირში ე.წ. „იაკობსონის ჯირკვლებზე“, რაც მსხვერპლის მოახლოების მანიშნებელია.

დრაკონის უმთავრესი იარაღია მსხვილი ხერხისმაგვარი დაღრეცილი კბილები, რისი საშუალებითაც ისინი მსხვერპლს იოლად გლეჯენ. საჭმლის ნარჩენები პირში ქმნის შესანიშნავ გარემოს სპეციფიკური ბაქტერიებისთვის.. როგორც გამოკვლევებმა დაადასტურა, ვარანის პირის ღრუსა და ნერწყვში არსებული უამრავი ბაქტერიიდან შვიდი მომაკვდინებელია სხვა მხეცებისთვის (მაგრამ არა თანამოძმე დრაკონებისთვის). მაგალითად, ირემმა კიდეც რომ შეძლოს ვარანის კბილებისგან თავის დახსნა, ერთი კვირის განმავლობაში მაინც დაიღუპება სისხლის მოწამვლით, რაც გამოწვეულია ვარანის კბენის შედეგად მის ორგანიზმში მოხვედრილი ბაქტერიებით.

ვარანი ყბების ძლიერი კუნთების და კბილების წყალობით მსხვერპლს საშინელი სისწრაფით ჭამს. ნატურალისტებმა დიდხანს უთვალთვალეს და შენიშნეს, რომ 50 კგ-იანმა ხვადმა ვარანმა 17 წუთში როგორ გადასანსლა 30 კგ-იანი ტახი.

ძუ დრაკონი კვერცხებს სექტემბერში დებს.. გამოჩეკილი პატარა სულ 100 გრამს იწონის და 40 სმ სიგრძისაა. ისინი იკვებებიან მწერებით, პატარა ხვლიკებით, გველებითა და ბარტყებით. ხუთი წლის შემდეგ ეს დრაკონები უკვე 25 კგ-ს იწონიან და სიგრძით 2 მეტრს აღწევენ. ისინი სიცოცხლის ბოლომდე იზრდებიან.

გიგანტური ვარანები დედამიწაზე პირველად გაჩნდნენ 25-40 მილიონი წლის წინ, აზიაში. ზოგიერთი მათგანი შესაძლოა წყალშიც ბინადრობდა და იმიტომ დასახლდნენ სხვადასხვა კონტინენტზე. მოგვიანებით ზღვის დრაკონები განადგურდნენ.

ევროპელებმა კუნძულ კომოდის (ინდონეზიის არქიპელაგი) ვარანების შესახებ მხოლოდ 1910 წელს შეიტყვეს, როცა ჰოლანდიის კოლონიური ადმინისტრაციის ლეიტენანტმა სტივენ ვან ჰენსბროკმა ადგილობრივი მცხოვრებლებისგან გაიგო დედამიწაზე მოსიარულე უზარმაზარი ნიანგების ამბავი. ლეიტენანტმა დაიწყო ამ „ნიანგების“ ძებნა და ერთი მათგანი მოკლა კიდეც. ურჩხულმა მასზე საშინელი შთაბეჭდილება მოახდინა. ოფიცერმა ვარანის ფოტო გადაიღო და რეპტილიის ტყავთან ერთად გაუგზავნა კუნძულ იავაზე, ქ. ბოგორის ზოოლოგიური მუზეუმის დირექტორს პიტერ ოუვენს, რომელმაც მაშინვე მიავლინა კუნძულზე თავისი ხალხი. მათ მოკლეს რამდენიმე დრაკონი და მათი შვილები. ოუვენმა დაწერა მოხსენება რეპტილიების ახალი სახეობის აღმოჩენების შესახებ და მთელ მსოფლიოს გააცნო ვარანები.

აღსანიშნავია ჰოლანდიის კოლონიური ადმინისტრაციის ღირსეული ნაბიჯი, როცა მათ 1915 წელს მიიღეს დრაკონების ხოცვის შეწყვეტის კანონი. მაგრამ მიუხედავად ამისა, ვარანების რიცხვი დღითი დღე მცირდება.

დრაკონებისთვის ყველაზე დიდ საშიშროებას ადამიანები წარმოადგენენ. ისინი დასახლდნენ კუნძულზე, ჩეხენ და წვავენ ტყეებს და ამით აიძულებენ რეპტილიებს, დატოვონ თავიანთი ჩვეული საცხოვრებელი ადგილები. ისინი მიდიან სხვაგან და იქ იღუპებიან. რეპტილიებს ბრაკონიერებიც ერჩიან.

სპეციალისტები ცდილობენ ვარანების გადარჩენას და ფიქრობენ, დაიწყონ კუნძულ კომოდის კომპლექსური ეკოლოგიური დაცვა. ამავე დროს, ვარანები გადაჰყავთ აშშ-ის, გერმანიის, იაპონიის და სხვა ქალაქების ზოოპარკებში. 1992 წლის 13 სექტემბერს ვაშინგტონის ზოოპარკში ისტორიული მოვლენა მოხდა: პირველად ზოოპარკის პირობებში გაჩნდა პატარა დრაკონი, რომელსაც კრაკენი დაარქვეს.

ამჟამად ელიან კიდევ 54 დრაკონის დაბადებას.

***კალეიდოსკოპი №17***



## მილოცვა



**ვახტანგ!**
ოცი მაისით ჩვენს ცხოვრებაში მხემ შემოანათა და მადლობა ღმერთს, რომ შენ გაჩნდი. გილოცავ დაბადების დღეს, ჩემო ვახტანგ. შენ დღეს 20 წელი შეგისრულდა და მუდამ კარგად, დიდი სიყვარულით და სიკეთით გველის. გფარავდეს ღმერთი.

*შენი ოჯახი*

## ბინები

რუსთაველის III მ/-ში, ვოთახიანი, სარემონტო, მაღალჭერიანი ბინა, 16(16), ორი აივნით, ტელეფონით, ბ/აირით. ფასი $9.000. ტელ: 39-84-88. მერაბი

ვოთახიანი, კარგად გარემონტებული ბინა (სივ 120 კვმ), ტელეფონი, გამახურებლის გაზ-ზე, ავტონომიური; შესასვლელი – როგორც ეზოდან, ისევე ქუჩიდან. ბინას ახლავს 50 კვმ ფართის სარდაფ-სათავსო (საწყობი ფართობით), მოლაპარაკება ადგილზე. 38-89-71; 877 72-39-06

## გთავაზობთ სამუშაოს

გაიხსნა ახალი ოფისი. არის 5 ვაკანსია. ფირმას სჭირდება განათლებული, ენერგიული, სალაღ მოაზროვნე, ლამაზი თანამშრომლები. იჩქარეთ! მიღება – გასაუბრებით. გამომუშავება 100-200 ლარი. მის: მ. „რუსთაველი", ჭავჭავაძის ქ. №2, IV სართ. №13. ტელ: 93-18-84; 899 50-68-25. ქ-ნი ელისო

გვაქვს 4 ვაკანსია. სათანამშრომლოდ მივიღებთ განათლებულ, რუსულის მცოდნე ადამიანებს. ემუშაობთ მსოფლიოში. საუკეთესო თანამშრომლებს ეძლევათ შანსი საზღვარგარეთ მუშაობისა (კომპანიის ხარჯებით). გამომუშავება $200-400, აშშ სტანდარტებით. მაღაზიაროების შერჩევა. იჩქარეთ! მის: მ. „დიდუბე", „სამთო ქიმიის ინსტიტუტი", I სართ. ოთახი №6. ტელ: 34-02-38; 899 90-54-78; მენეჯერი: ბ-ნი მიხეილი

საერთაშორისო კომპანია იწვევს სერიოზულ, მიზანდასახულ და ამბიციურ ადამიანებს სათანამშრომლოდ. ტესტირება და გასაუბრება უფასოა. ტელ: 34-73-04 (11-16 სთ); 899 97-81-55. ცხაკაძე ლიკითი

18-25 წლამდე გოგონებს ვთავაზობთ გამგზავრებას გერმანიასა და საფრანგეთში – 1 წლით, ოფიციალური ხელშეკრულებით, AU-PAIR პროგრამით, დასაქმებისა და სწავლის შეთავსებით, უზრუნველყოფა ჯიბის ფულით (ხელფასით), საცხოვრებლით, კვებით, სამედიცინო დაზღვევით და საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის ხარჯებით. ტელ: 95-64-18

ინტერნაციონალური სასწავლო სააგენტო გთავაზობთ დასაქმებასა და სწავლას AU-PAIR პროგრამით, პარიზში, გერმანიაში, იტალიაში, ესპანეთში; ავრეთვე, სტუდენტურ და ტურისტულ ვიზებს. მის: წერეთლის გამზ. №95ა. (მანეჟი). ოთხშაბათს, 14-15 სთ.

## მომსახურება

სიახლე! გარანტირებული, უმტკივნეულო ეპილაცია პლატინის და ოქროს ერთჯერადი ნემსებით, ჭარბთმიანობისაგან განკურნება 5 სეანსზე. ყოველგვარი გაღიზიანების და ნაწიბურის გარეშე. მსურველებს შევასწავლით ეპილაციის სრულ კურსს, 1 კვირაში, პრაქტიკის გავლით და შემდგომი ეპილატორებს, იაფად, უფასო გარანტიით. ტელ: 69-54-35; 899 94-14-91

ვაკეთებ ეპილაციას ვოლფრამის ნემსით და ანესთეზიით, მორჩენის გარანტიით. მიღება ყოველდღე, ჩაწერით. სეანსების რაოდენობა ინდივიდუალურია – 1 სთ – 10 ლარი. მომსახურებით კმაყოფილი დარჩებით. მაქვს საკუთარი დენის წყარო. მის: ვარკეთილი-3, II მ/რ, მე-9 კორპ. VI სად. III სართ. ბინა 109. ტელ: 79-50-12; 899 90-44-93. ლიკა გიორგობიანი

„ფესვები", ყურადღება! კარგად გაკეთებული ეპილაცია ნამდვილად მოარჩენს ნაჭარს და გაუხეშებულ თმას. მის უკვალოდ მორჩენას კი სჭირდება კარგი სპეციალისტი. 1 სთ – 12 ლარი. გამოყენებულია ინდივიდუალური ნემსი. ეპილაციის შესწავლა – 200$. მის: იოსებიძის 53, I სად. I სართ. ბინა 3. ტ: 37-71-66; 93-19-52; 899 168-168. ნინო ჭელიძე

ეპილაცია ვოლფრამის ან პლატინის ერთჯერადი ნემსით და ანესთეზიით. უკიდურესად გაუხეშებული თმიანობის შემთხვევაშიც კი განკურნებით უმოკლეს ვადაში, შეშუპებისა და გაღიზიანების გარეშე. არ დაგტოვებთ არც ერთი ნაწიბური. შედეგი პირველივე სეანსზე ისარგებლეთ – დარწმუნდებით. მის: იოსებიძის ქ. №66. მე-2 სად. მე-8 სართ. ბინა 46. ტ: 37-74-22. მანანა

სილამაზის სალონი „სტილი" – ეპილაცია ინდივიდუალური პლატინის ნემსით, ანესთეზიით; თმის მოცილება მცენარეული დეპილატორით, სახესა და ტანზე; სახის გაწმენდა; თმის მოდელური შეჭრა – 5 ლარი; დავარცხნა-გაწნორვა – 4-5 ლარი; დეკორატიული შეღებვა – 15-20 ლარი. აგრეთვე, არსებობს კოსმეტიკისა და პარიკმახერის კურსები. საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე კოსმეტოლოგი ირინა ჯანაშია, მეთოდისტ-სტილისტი ზინა. მის: აღმაშენებლის გამზ. №115, კაბ. №20 (ეზოში). ტელ: 94-01-82; 95-83-18 (სამს); 96-22-89 (ბინა)

ეპილაცია ვოლფრამის ერთჯერადი ნემსით, ანესთეზიით (ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე), 1 სთ – 6 ლარი; თმის მოცილება სხეულზე მცენარეული ნაყენით (გარანტიით), სახის გაწმენდა (კოსმეტიკური მასაჟის თანხლებით). წარბების კორექცია. საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე კოსმეტოლოგი ნატო კეჟაძე. მის: მ. „300 არაგველი", არამიანცის სავადმყოფოს ზედა კართან, აბნელის ქ. №15. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტელ: 77-86-27

ვაწარმოებ ნებისმიერი ავეჯის რესტავრაციას, სამზარეულოზე შელითვის შეცვლა-აღდგენა-განახლებას, მატრასების, სკამების აღდგენას. ვღებავ გერმანულ ტყავის სამკაულებს. ტელ: 95-97-12. ვალერი

## მკურნალობა

პატივცემულო მამაკაცებო! ქრონიკული პროსტატიტის, ადენომის, ხშირი შარდვის, დაქვეითებული პოტენციის, ანთებების, უშვილობის პრობლემების მოგვარება, პროსტატის ჯირკვლის გაწმენდა ოპერაციული ჩარევის, უსიამოვნო მასაჟებისა და ნემსების გარეშე – ძალზე ეფექტური, უნიკალური ბალახებით, ანონიმურობის სრული გარანტიით. ტელ: 96-62-58

პროსტატიტის, უროგენიტალური ინფექციების (ქლამიდიოზი, ტრიქომონიაზი და სხვა), უშვილობის, სქესობრივი პოტენციის დაქვეითების დიაგნოსტიკა და მკურნალობა უახლესი მეთოდებით და აპარატურით. პროფესორი რევაზ ბოლოვანი. მის: მარჯანიშვილის 23 (მეტროსთან), VI სად. (ეზოდან), ბინა 1. მიღება შაბათს 12-16 სთ, სხვა დღეებში – წინასწარი ჩაწერით. ტ: 35-20-06; 92-36-67

კანზე, ლორწოვანზე და სასქესო ორგანოებზე მეჭეჭების, პაპილომების, ხალების, ლაქების, კონდილომების, ნაწიბურების, სიგრძნეების მოცილება; კოსმეტიკური დეფექტების შესწორება, ეროზიის, ლეიკოპლაკიის, კონდილომების მკურნალობა CO, ლაზერით, მხოლოდ ერთი სეანსით, ძალიან კოსმეტიკური ეფექტით! მის: ბახტრიონის ქ. №18. ტ: 53-63-05

ძალიან არატრადიციული წესების ნოვოკაინბლოკადა, ახალი, კომბინირებული, რეფლექსოლოგიური და ფიზიოთერაპიული მეთოდით: აპარატ „ელექტროფეხბურთის" და მეთაქტიკების (ვადის უფასოა) საშუალებით. მკურნალობის კურსი – 1 თვე. მის: რესპუბლიკური საავადმყოფო (ვაჟა-ფშაველას №29), მე-4 სართ. მარჯვნივ მხრიდან, ბოლო – №481 ოთახი. მიღება ორშაბათს და ოთხშაბათს, 1-13 სთ. წინასწარი ჩაწერა: 66-04-67

ბავშვთა ასაკში პრობლემების, პრობლემური ასთმის, ბრონქიტების, ალერგიების, ქრონიკული ტონზილიტის, სინუსიტის, ჰაიმორიტის, პნევმონიის, რევმატიული კარდიტის, მეტეოლოგიური სარქვლის პროლაფსის, კუჭ-ნაწლავის დაავადებების, დერმატიტების ალტერნატიული მკურნალობა უახლესი და უვნებელი ტექნოლოგიებით. სამედიცინო ცენტრი „ლაზერი". მის: ბახტრიონის ქ. №18. ტელ: 53-63-05; 38-27-52

ლოპოტაიძესთან მოწვეული მაღალკვალიფიციური ექიმები მკურნალობენ: ოსტეოქონდროზისა და მენჯ-ბარძაყის ართროზს, ხერხემლის გამრუდებას, რადიკულიტს, თიაქრის ბურცს, ხერხის ძვლების, თმის ცვენას, სპორტულ, ფსიქოზებს, ბუასილს, ფრჩხილების სოკოს, წითელ ქარს, ფრჩხილების ჩაზრდას; ტრავმატიულ წყლულს, კუჭისა და 12-გოჯა ნაწლავის წყლულს; მეჭეჭების მოშორება; თამაქოს გადაჩვევა საშუალებას. მკურნალობის კურსი 10-დღიანი. ზუსტი სწრაფი დიაგნოსტიკა. მის: აღმაშენებლის 113, კაბ. 17. ლოპოტაიძე. ტელ: 95-74-29 (სამს); 77-68-50 (ბინა); 899 51-76-08. ირა

სამედიცინო ცენტრი „დელფინი" გთავაზობთ: 1) დიაგნოსტიკა და მკურნალობა 0-დან 15 წლამდე; 2) ახალშობილთა და ჩვილ ბავშვთა სამკურნალო ვარჯიშები წყალში, ცურვა, მასაჟი; 3) ძირითადი ბავშვთა რეაბილიტაცია (მასაჟი, ვარჯიშები, სუფთა ჰაერი, ვარჯიშები), რეფლექსოთერაპია; 4) ჰომეოპათია; 5) ლაბორატორია; 6) ფსიქოლოგიური ლოგოპედი. მის: ცოტნე დადიანის ქ. №134, ხარისხიანი კომბინატის შენობა, III სართ. (მ. „ნაძალადევთან"). ტელ: 69-57-76 (დღისით); 36-40-65; 38-29-63 (საღამოს)

ალერგიული! მკურნალობა ერთადერთი მეთოდით გერმანული და ფრანგული აპარატურით: პროსტატის ასთმა, პოლინოზი, რინიტი, ჭინჭრის ციება, კანის შეშუპება, ალერგიული დერმატიტი – სრული განკურნებით. [illegible]

მუშაობის გამოცდილებით, ექიმი ჯულიეტა პეტაშვილი. მის: რკინიგზის სადგურთან (ბაზრობასთან), V სართ. ალერგოლოგიური განყოფილება (11-14 სთ)

ვკურნებ: ოსტეომიელიტს, ფურუნკულს, ნაწიბურის ნაოჭებას, ფეხის დაზიანებას, ძარღვების, ლიმფური ჯირკვლის ანთებას, დიაბეტურ ტერფს, ბუზის ჩაზრდას, წითელ ქარს და სხვადასხვაგვარ გარეგან დაზიანებას. ტ: 68-43-10

## განათლება

კომპიუტერული სტუდია „დავიკომპიუტერი", გიწვევთ კომპიუტერზე მუშაობის, კომპიუტერული ბუღალტერიის, პროგრამირების ენების და უცხო ენების სწრაფშემსწავლელ კურსებზე. შესწავლის გარანტიითა და სწავლების დამთავრების შემდეგ უფასო კონსულტაციებით. სწავლების მეთოდი ინდივიდუალურია. გაიცემა სერტიფიკატი. მის: ბარნოვის ქ. 1 („მაკდონალდსის" უკან). ტ: 98-44-20; 899 14-03-31

ნაძალადევის კულტურის სასახლე აგროვებს მსურველებს კოსმეტიკის კურსებზე დაჩქარებული მეთოდით. შეისწავლება: სახის კანის მკურნალობა, მასაჟი, ეპილაცია, გაწმენდა, კოსმეტიკა (მაკიაჟი, დეკორატიული, სამკურნალო), ლოსიონები, ტონიკები, ნიღბები და სხვა. გაიცემა სერტიფიკატი. ვინც ჩაეწერება ადგილზევე, სწავლის გადასახადი შეუმცირდება 40%-ით. „ნაძალადევი", მ. „ვაგზლის მოედანი", დადიანის ქ. №26. ტ: 66-53-56; 893 33-09-66

სასწავლო ცენტრი კომპანია „თემიო" აცხადებს მიღებას პროფესიული მომზადების კურსებზე სპეციალობა: 1. მასაჟისტი (სამკურნალო, ჰიგიენური, ჩვილ ბავშვთა მასაჟი); 2. პარიკმახერი (ქალთა და მამაკაცთა ხელოსნები); 3. კოსმეტიკა (ეპილაცია, მასაჟი, მაკიაჟი, მანიკიური); 4. ვიზაჟისტი; 5. პედიკიური, მანიკიური. კურსების დამთავრების შემდეგ გაიცემა ლიცენზირებული სერტიფიკატი. მის: აღმაშენებლის გამზ. №115. კაბ. №20 (ეზოში). ტ: 94-01-82 (სამს); 96-22-89 (ბინა). კურსების ხელმძღვანელი ირინა ჯანაშია

## იყიდება

სმენის აპარატები, შედავათიან ფასებში, სპეციალური ინდივიდუალური ყურის ჩასართით. აგრეთვე, ელექტრონული და მექანიკური წნევის აპარატები, გარანტიით. ტელ: 95-95-22 (15-19 სთ); 93-46-74 (20 სთ-ის შემდეგ)

ძველებური გერმანული ვიტრინ-კარადა, ზედა მხარე სამმხრივი ბროლის მინებით, ქვედა მხარე 2-კარიანი დახურული. ფასი 200$. 5-სანთლიანი ჩეხური ჭაღი, ფაიფურის დეტალებით. ფასი 80 ლარი. ტელ: 23-07-65

## შევიძენ

თმას. მის: ცენტრ. რკინიგზის სადგური, II სართ. მაღაზია „ესთეტი". 12-17 სთ, დასვენება შაბათ-კვირას.

## სხვადასხვა

თბილისის მე-14 საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი მოგმართავთ ამავე სკოლის კურსდამთავრებულებს – გამოიჩინეთ გულისხმიერება და გაგვიწიეთ დახმარება შეძლებისდაგვარად, მიწისძვრის შედეგად დაზიანებული თქვენი სკოლის შენობის აღდგენაში. თქვენი მშობლიური სკოლა, რომელიც უდიდესი ტრადიციის მქონეა – განსაცდელშია. ამ სკოლაში მრავალი თაობა აღზრდილა და დაფრთიანებულა. აქ ეზიარეთ ცოდნას, გაიცნობიერეთ სამშობლოს სიყვარული. ახლა კი თქვენს გულმოწყალებაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. სკოლის ანგარიშია: *000700223, ს/ს საქართველოს ბანკის ნაძალადევის ფილიალი.*

„ფუტკრის მოვლა და მოშენება" – თანამედროვე მეთოდებით შედგენილი ახალი სახელმძღვანელო მეფუტკრეთათვის შეგიძლიათ შეიძინოთ მემამულეთა კავშირში („სამთო ქიმიასთან"), მაღაზიებში „აისი" (მარჯანიშვილზე) და „საუნჯე" (რუსთაველზე). შეკვეთები მიიღება ავტორთან, ლერმიშიან ყოჩიანთან, მისამართზე: 380054, თბილისი, ბათუმის ქ. №16. ტელ: 35-04-34.

კომერციული შეთავაზება – საერთაშორისო პროექტი HOP-GO.
www.vladimir–dovgan.ru; www.hop–go.com; www.hopgo.tv.
ტელ: 34-67-31

## ხსოვნა

### ნაზი აბაშიძის გახსენება



რა შორი ყოფილა მანძილი ზეცამდე!

როგორი ძნელია მშობლისათვის გაზეთით გითხრას: „შვილო ნაზი, გვენატრები". ჩვენი ტკივილი ხარ, რომელსაც განკურნება არ უწერია. ვაი, იმ მშობლის სიცოცხლეს, ვისაც შვილმკვდარი ჰქვია.

21 მაისს ერთი წელი ხდება შვილო, რაც შენი ლამაზი სიცოცხლე შეწყდა. ციდან მოწყდა ერთი ლამაზი ვარსკვლავი, რომელიც 19 წელი კაშკაშებდა და ამშვენებდა მეგობრებს, ოჯახს, სამშობლოს და სამყაროს.

უსაზღვროა ტკივილი, რასაც უშენობა ჰქვია. გვენატრება შენი სითბო, სიყვარული, ყურადღება – ყველას თანაბრად რომ უნაწილებდი, სწორედ ამიტომაც გაგვყვა უპასუხოდ გზაზე უამრავი ცრემლი და სიყვარული, რომელსაც შენ ღირსეულად იმსახურებდი.

რა გაუსაძლისია უშენობით გამოწვეული სიცარიელე, ეს შეუძლია განიცადოს შენმა გამწარებულმა მშობლებმა, რომ შეუძლიათ უშენობა შენს ფოტოსურათებთან ძმას.

გაიარა ერთმა მტკივნეულმა წელმა, რომელიც მთელ საუკუნეს ჰგავს. არადა, როგორ გიყვარდა სიცოცხლე. შენთან რა უდღეოდა სიკვდილს. შენ ხომ სიყვარულის თვალი შენ ირგვლივ, ჩვენო ფერია, ლამაზო და უსაზღვროდ კეთილო შვილო, წარჩინებულ სტუდენტს არ დაგცალდა ბოლომდე შეგესვა სიყვარულით სავსე ფიალა, რასაც სიცოცხლე ჰქვია. თითოეული დალაგებული დღე კიდევ ერთი ნაბიჯია შენკენ გადადგმული, ჩვენო საყვარელო შვილო, ისეთ დაგვრჩენია ცრემლები, ჩვენი ლოცვითა და ცრემლებით დაგიმკვიდროთ მარადიული სასუფეველი იმ უკიდეგანო, შეუცნობელ სამყაროში.

ყველა შვილმკვდარი დედა ერთნაირად გოდებს და ერთნაირად მოთქვამს. ჰოდა, მივიშველიებ ჩემნაირად გაუბედურებული დედის – ქალბატონ ნათელა ონაშვილის სტრიქონებს, რადგან იგი ჩემი სულიდან ამოძახილიცაა.

*„ზეცის ანგელოზთა ქორის მგზავრს რეკვიემის კილო*
*შენ აღარ მასხივებ, თორემ მე სულ შენ გეძახი, შვილო!*
*მიდევ მწუხარების მორევს, აღარც თავის დიხსნას ვცდილობ,*
*შენ ვერ მესმოდა, თორემ მე სულ შენ გეძახი, შვილო!*
*ცას რომ ეკარება შორით, ბინდის კურთხეული ტილო*
*მე აღარ გელოდები ოროველით, ახლა შენ მელოდე, შვილო!"*

*შენზე უზომოდ მონატრებული შენი მშობლები და ძმა*

### ზურა ალადაშვილის გამოსათხოვარი



კიდევ ერთი ახალგაზრდა, ნაღდი თბილისელი ბიჭი გვეთხოვება. კიდევ ერთი ქართული ოჯახი გაუბედურდა, კიდევ ერთი სამეგობროს ჩამოშორდა მოსიყვარულე, კეთილი და უღალატო კაცი – ჩვენი ზურა. მხოლოდ 25 წლისა იყო ზურა ალადაშვილი, მოაზროვნე ბიჭი, სიცოცხლეზე შეყვარებული. ერთბაშად მიგატოვებდა თავის მდიდარ სამყაროში. ჩემმა და მოკრძალებულმა, ტრადიციების ერთგულმა მიღებინაც გულიანი იყოდა და სიმღერაც... გულდასაწყვეტია, რომ ოჯახის შექმნა ვერ მოასწრო, გულდასაწყვეტია, რომ კიდევ ერთი ნათელი ბიჭი დაკარგა ქვეყანამ. ხელ უკანასკნელ გზაზე გავაცილებთ ჩვენს ალადას... მერე ჭიქას წავუქცევთ და ჩვენს ცხოვრებას ბოლომდე გაჰყვება ტკივილი, რომელსაც მეგობრის დაკარგვა ან სულაც, უბრალოდ, ალადა ერქვა... სასუფეველი დაუმკვიდროს უფალმა ზურა ალადაშვილს.

*მეგობრები*

### გია უთურგაიძის გახსენება



შენ შეეერთდი მარადისობას, მე წუთისოფლის სტუმრად დავრჩი,
ბედმა მარგუნა მე უშენობა, ულევი დარდი და სიმარტოვე.
– და ვწირავ ქვაბს ამ წუთისოფელს, სადაც განგებამ ხვდა იჭენი,
ვიცხოვრებ მხოლოდ, რომ არ შეეხოს შენს სახელს ჩემგან გადავიწყება.
ვკვდები, რომ ჩემს თავს ყოველთვის ვეძიებდე, არ მიცეც გული დარდს და კაეშანს,
რომელსაც უფლის გავახსენებდი და დამიმარხავს ცაში ჰერმანს...
*მაშინ უფალი შენ შეუერთე, გულში ჩაგიკრავ, არ მიატოვებ,*
*აქ დამრჩენოდა ჩემი დარდები, ეს უშენობა და სიმარტოვე*
მგოსან შეიყვარა ვარდობისთვეს უშენოდ. ლამაზმა ვაჟკაცმა გაზაფხულის ლამაზ დროს დაასრულე შენი ოცწლიანი ცხოვრება.

იმის ტკბილად, სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული და მისთვისაც ზვარაკად შეწირული ბიოგრაფიულმა შვილო.

მადლიერად გვახსოვს შენი სიხალისით ... ქართული მიწა.

*შენი მშობლები*

### ნუგზარ ბასილაშვილის გახსენება



11 მაისი შენი დაბადების და გარდაცვალების დღეა, მამამ შენი დაკარგვით გამოწვეული ტკივილი, როგორც შენი ოჯახისათვის, ისე შენი მეზობლებისათვის, გვაკლია შენი ღიმილი, ხალასი იუმორი და კეთილი გული. შენი საბრალო დედა, დღედაღამ ლოცულობს, რომ შენი სპეტაკი სული ზეციურ სასუფეველში დამკვიდრდეს. იზრდება შენი ზურიკო. ის შენს ოჯახშია.

*მე-3 სადარბაზოს მეზობლები*

### ჩვენო გივი!



თერამეტმა წელმა გაირბინა უშენოდ. ისევე გვაკლიხარ, როგორც პირველ წელს და ყველა შემდგომ წელში. ალბათ კიდევ უფრო გვჭირდები ახლა – როდესაც შენს სამშობლოში ბზარმა იჩინა თავი. ნაზუვარსაუკუნოვან სამშოში! იქნებ ზეციური სასუფევლიდან ჩამოვცდახო შენებურად, – რას შვრებით ბიჭებო! – და თვალი აგვიხილო.

დღეს შენს საფლავთან თითო ჭიქას წავაქცევთ, შენს სამოცდამეთერთმეტე დაბადების დღეზე. ძალიან გვაკლიხარ, გივი!

*შენი უახლოესი მეგობრები: ნოდარ გაჯაშელი, ვიზო ვოკიტიძე, რეზო ჭკუასელი, ალიკო ხუნდაძე, მერაბ ლანდია, გურამ მებუკე, გელა ლოსაბერიძე, ირაკლი ყანდარელი, ნოდარ ჭეიშვილი, არჩილ მელუა, ჯიმი მამუჩაშვილი, ავთო რამიშვილი, მამიკო საყიცკი, კოკა გეგეჭკორი*

### ბორის სილიკაშვილის ხსოვნას!



ორი წელია უკვე, რაც უდროოდ ჩაიფერფლა შენი სიცოცხლე. წახვედი ჩვენგან და დაგვიტოვე გაუნელებელი ტკივილი. გული ვერ იტევს ამხელა მწუხარებას.

ჩვენს ოჯახში უშენობამ დაისადგურა. ვფიქრობით შენს სურათებს, მერე ფიქრითა გორასაც ეხსნება წვერი და ცრემლის ზღვაში ვიძირებით.

გამორჩეული კაცი იყავი ყველაფერში, უფალმაც გამოგარჩია. სიცოცხლის მოყვარული, წამში იქეცი მარადისობად.

ამბობენ, დრო ყველაფრის მკურნალიაო, მაგრამ იმ ტკივილს, იმ სიცარიელეს, რაც შენი წასვლით დაგვიტოვე, ვერავინ შეავსებს. ძალიან გვენატრები ყველას. გვჯერა, შენი სული ზეციურ საქართველოშიც არ დაგვივიწყებს.

### გიორგი ზაზას ძე შალამბერიძის ხსოვნას!



11 მაისს შენი დაბადების დღეა, გიორგი, 4 წლის გახდებოდი, მაგრამ გიმტყუნა პატარა გულმა და დაგვტოვე.

შენი დაიკო თეონა კი გელოდება, ანგელოზებთან გაფრენილს. ალბათ სამოთხეში იქნები, გიო. მსუბუქი იყოს შენს პატარა გულზე მშობლიური ბაღდათის მიწა.

*ოჯახი*

### მირანდა კალანდიას ხსოვნას!



ჩვენო შვილო, დაო და დედა, რა მალე გავიდა შენი გარდაცვალებიდან თვალზე ცრემლშეუშრობელი ერთი წელიწადი. ნეტავ იცოდე, როგორ გვენატრები ყველას და ვაი, რომ არსაიდან არ მოხვალ. რაღდენ დასანანია, ცხოვრების განთიადზე რომ დაასრულე შენი ლამაზი სიცოცხლე. ჩვენო მიკა და ვერ მოუსწარი შენი დაბადებიდან ოცდამეჩვიდმეტე ზაფხულს, რომელიც 21 აგვისტოს შეგისრულდება. ამ დღეს ცრემლებითა და ყვავილებით შევიმკობთ საფლავს. განსაკუთრებით ენატრები შენს პატარებს – ნათიასა და გოგას, რომელთა სხეულებში შენი სული ტრიალებს და უკვირთ, – დედა აქამდე რატომ არ მოდისო? ღმერთმა ნათელში გიმყოფოს შენი სული. გჯეროდეს, მიკა, სანამ ვიცოცხლებთ, არასოდეს დაგივიწყებთ.

*შენი დედ-მამა, შვილები და და-ძმა*

### ეთერ ხოშტარიას გახსენება



20 მაისს ერთი წელი გადის, რაც წახვედი, თბილი, სიცოცხლით სავსე, ენერგიული, მოსიყვარულე... გვენატრები, ყველას გვახსოვხარ. შენი წასვლით გამოწვეულ ტკივილს ვერავინ მოგვიშუშებს. ვერ ვეგუებით უშენობას. ჩვენო ეთო, ღმერთის ვევედრებით, ნათელში ამყოფოს შენი სული და დაგიმკვიდროს ცათა სასუფეველი.

*თანაკლასელები*

### დათუნა ლაზარიას მონატრება



ჩემო უსაზღვრო სევდავ, ჩემო დათუნა! 18 მაისს ერთი წელი გახდა, რაც ჩვენთან აღარა ხარ. ძალიან გვენატრები, თვალწინ მიდგას შენი ლამაზი სახე, ჩემო მოუშუშებელო ტკივილო. წახვედი და დაგვიტოვე უსაზღვრო სევდა და ტკივილი. ყველაფერი ჩაკვდა ჩემს გულში. ვერაფრით ვავსებ უშენობით გამოწვეულ სიცარიელეს, დღე შენზე ფიქრით იწყება და შენი მონატრებით მთავრდება.

გამორჩეული ყველაფერში, უფალმა სიკვდილშიც გამოგარჩია. სიცოცხლე გიყვარდა, მუდამ მოღიმარი და ხალისიანი დადიოდი. არ დაგცალდა დავაჯაჭვება, შენ ხომ ჯერ 19 წლის იყავი. რამდენი ოცნება დაგრჩა განუხორციელებელი. შენი საფიცარი დაიკო დადის შენს საფლავზე და გინთებს სანთლებს შენი წმინდა სულის საცხონებლად. ჩემო დათუნა, ღმერთს ვევედრები, ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი, უღალატო და უმანკო სული.

*მშობლები: ნუგზარი, ნუნუ; და სოფიკო*

### ლევან ფიცხელაურის ხსოვნას!



26 მაისი შენი დაბადების დღეა, ჩემო ლევან! რა ბედნიერები ვიქნებოდით შენი ახლობლები, ეს თარიღი შენთან ერთად რომ აღგვენიშნა. 21 წლის შესრულდებოდი. 18 წლის ასაკში წახვედი ჩვენგან. წახვედი და დაგვიტოვე დიდი მწუხარება, მოურჩენელი გულისტკივილი, უსაზღვრო მონატრება, ცრემლი. ძალიან გვენატრები. გულს ის გვიკლავს, რომ მეტად ხანმოკლე აღმოჩნდა შენი ცხოვრება. არ გეღირსა არც სიყვარული, არც სტუდენტობა, არც მამობა. მხოლოდ გამოცადა მოგიწყო ცხოვრებამ ჯერ კიდევ ბავშვს. შენი ავადმყოფი გული გამოუთქმელ დარდს ფარავდა. მოთმინებით იტანდი შენს მდგომარეობას. იცოდი გულის ფასი და ამიტომ სათუთად უფრთხილდებოდი დედის გულს, ყოველთვის ხალისიანად ჩნდებოდი თავს, ზედმეტად არ აწუხებდი, თუ რამ გტკიოდა, მამას და ბებიას უმხიდი. უსაზღვროდ გიყვარდა შენი უმცროსი ძმა, დაიკო, ან კი ვინ არ გიყვარდა. შენეული სითბოსა და ღიმილს ყველას უნაწილებდი. ჩვენო დიდო ტკივილო, უფალს ვთხოვთ მანდ მაინც ელირსოს ასრულება შენს ლამაზ ოცნებებს. გვჯერა, რომ სასუფეველში იქნება შენი სპეტაკი, ლამაზი სული.

*შენი დეიდები ელიკო, რუსიკო; ბიძები ვალოდა, სოსო ავსაჯანიშვილები.*

### ზვიად გოგოლაშვილის გახსენება



2 წელი გავიდა უშენოდ. წახვედი და დარჩა სიცარიელე, რომელსაც ვერაფერი შეავსებს. მხოლოდ შენზე ლექსების წერით ვიკლავ შენი ნახვის სურვილს:

*ჩემო ზვიადი, გაწბილებულო, რა დამავიწყებს რაც მოხდა გუშინ,*
*სიკვდილსათვის თავგამწირულო, კენესით ფიქრით, ტკივილით გულში.*
*მოსიყვარულევ, რად გაიტანეს ან ტანჯვით რატომ ამოგხდა სული?*
*ჩემო კეთილო, რად წამიტოვე, რატომ მომცილდი შეყრიდან გული?*
*ხალხი, ვეძებთი ერთად სანთლები, რომ ტაძარს ჰკვეთენ მაღლა სოფელი*
*და სანთლის შუქი გზას გაუნათებს სამარადისო სასუფეველში.*

*შენი ძმა გივი*

ღმერთს ვთხოვ, შეისმინოს ჩემი ლოცვა და ზიარებით წასულს ამ ქვეყნიდან გაგიბრწყინოს სული ცათა სასუფეველში.

### ცარა შავდიას მონატრება



ჩვენო საყვარელო დედიკო! 25 მაისს ერთი წელი შესრულდება, რაც ჩვენთან აღარა ხარ. ეს ერთი წელი უსასრულო და გაუსაძლისი აღმოჩნდა უშენოდ. უსაშველოდ გვენატრები და გვიჭირს შეგუება იმ აზრთან, რომ არასდროს გვეყოლები. ვერ გივიწყებენ შენი მეგობრები, მოსწავლეები. სკოლას, სადაც მუშაობდი, შენი სახელი მაინტყს. ძალიან გვეცოდება სასოწარკვეთილი ბებია; თითქოს გაუტეხელი, მაგრამ შინაგანად შეძრული და მუდამ ნაღვლიანი მამა – ჩვენ ხომ ერთი წუთითაც ვერ ვძლებდით უერთმანეთოდ. ახლობლები თავს გვევლებიან. ნამდვილად არ გვაკლია სითბო და ყურადღება, მაგრამ დედის მოალერსება სხვა ყოფილა თურმე. დედიკო! ღმერთს ვთხოვთ ნათელში გიმყოფოს შენი ფაქიზი სული. შენს საფლავს არასდროს მოაკლდება ცოცხალი ყვავილები. მართალია, უშენობა ძნელია, მაგრამ გვინდა გწამდეს, რომ სწორედ ისეთები გავიზრდებით, როგორებსაც ისურვებდი. თუნდაც შენი სულის უკვდავსაყოფად.

*შენი შვილები ნანკა და გიორგი წულაიები*

### გიორგი ჭამაურის გახსენება



22 მაისს 46 წელი შეგისრულდებოდა. ცხოვრებას მოწყურებული იყავი, მაგრამ გამოუთხოვე სიცოცხლეს. შენი ახლობლებისათვის ძნელია იმის შეგუება, რასაც უშენობა ჰქვია. ღმერთმა ნათელში გამყოფოს ჩვენო საყვარელო გიორგი.

*ლევან ჭამაურის ოჯახი*

### შოთა მარიამიძის მონატრება



უკვე 40 დღე გავიდა უშენოდ, თბილისის კოლორიტო, კეთილშობილო პიროვნებავ! ვერაფრით ვერ ვეგუებით იმ აზრს, რომ შენ ჩვენთან აღარ ხარ. ძალიან გვენატრები და გვაკლიხარ.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სპეტაკი სული.

*მეუღლე თამუსია, შვილები – მაიკო, ეკა, ვატო*

### მიშიკო ცილიკიშვილის მონატრება



19 მაისს 19 წელი შეგისრულდა, ოქროს დაბადების დღე. წყეულიმც იყოს ის, ვინც შენ ასე უდანაშაულოდ სიცოცხლეს გამოგასალმა. ცას სწვდება დედაშენის გოდება, სიზმრად მაინც დაენახვე, მიშიკო. შენ ხომ თბილი და ტკბილი ბიჭი იყავი, სიცოცხლე გიყვარდა და შენ ირგვლივ სითბოს და სიყვარულს აფრქვევდი, ამიტომაც სიყვარულის მსხვერპლი გახდი. უშენობას ვერ შეეგუების დრო, როგორ საოცრად გიყვარდა სიცოცხლე. რამდენი აუხდენელი ოცნება დაგრჩა გულში. შენ ჩვენი მოუშუშებელი ჭრილობა ხარ.

გვაკლიხარ და გვენატრები ყველას.

*მე-3 სადარბაზოს მეზობლები*

### გიორგი კიკნაძის მონატრება



გიორგი, შვილო, შენმა გაუბედურებულმა მშობლებმა ისევ უშენოდ უნდა აღნიშნონ შენი დაბადების დღე, 20 მაისი. 11 წლის ვაჟკაცი უნდა ჰყოლოდა დედას და უბედურმა შემთხვევამ მართლა გამოუბედურა. შვილო, მეორე დაბადების დღეს აღვნიშნავთ უშენოდ და ისევ ისე უხმოდ მიდიან შენს საფლავზე შენი პატარა ძმიკო, შენი ბიძაშვილები, დეიდაშვილები და ყველა შენი ნათესავი. ყვავილებით ხელში, თვალცრემლიანი, ნაღვლიანი, უსუსური სულით ანთებენ შენს ტორტზე სანთლებს. შენი პატარა ძმიკო ხშირად მეკითხება, – დედა, გიორგი სად არის, ჩვენს სახლში რომ არ ცხოვრობსო? მე რა პასუხი გავცე, შვილო, ირაკლის?! ნეტავ რა მოხდებოდა, მეც რომ ვყოფილიყავი ბედნიერ დედათა რიცხვში, შენს ტორტზე მოვიტანდი ამით ყვავილები და სახეზე ცრემლის მაგივრად ღიმილი ჰქონოდა და ეს ტანჯული სიცოცხლე არ გვქონოდა მე და შენს მამიკოს.

შვილო, მეტი რაღა დამრჩენია – მაღალ ღმერთს ვთხოვ, რასაც გვიგზავნის, ყველაფერი უფლებლივ მოსასვლელი იყოს და შენი ანგელოზი სული ნათელში იმყოფოს ღმერთმა.

*შენი გაუბედურებული მშობლები ინეზა და რომან კიკნაძეები*

### ივანე (ვანო) ვილენის ძე ლაცაბიძის მონატრება



ექვსი თვალცრემლიანი წელი გავიდა, რაც შენ ჩვენთან აღარა ხარ. ვუყურებ შენს დატანჯულ მშობლებს, ძმას, მეუღლეს და შენს უცნობ პატარა ნათიას, რომლის დანახვაც არ გეღირსა, რომლისაც ყველაზე ძალიან აკლიხარ და ენატრები. სიტყვები უძლურია შენს სიყვარულზე და სითბოზე სასაუბროდ. ყველას უსაზღვროდ უყვარდი. 22 წლის ასაკში შეწყდა შენი ლამაზი სიცოცხლე. საოცარია, როგორ მოასწარი ისეთი დიდი სიყვარულის, სითბოს და კაცური კაცის სახელის მოპოვება, რომელიც შენ დაუტოვე ყველას, ვინც კი გიცნობდა. ვერ გამითავისებია, რომ შენ ჩვენთან აღარა ხარ. მძიმეა ეს ხვედრი. მძიმეა შენს საფლავთან მოსვლა. შენმა გარდაცვალებამ ჩემს ოჯახს და ყველა შენს ახლობელს უდიდესი ტკივილი დაუტოვა. ჩვენი ერთადერთი ნუგეში პატარა ნათიაა, რომელიც ჩემთვის შენი ბავშვობის გახსენებაა. წელს ნათია პირველად შეაღებს სკოლის კარს, ვაი რომ შენ ვერ დაესწრები ამ სანატრელ დღეს. ამბობენ, დრო ყველაფრის მკურნალიაო, მაგრამ ეს ასე არ არის. რაც დრო გადის, მით უფრო ვიტანჯები უშენოდ. უფრო ძალიან გვენატრები. მინდა, ისევ ჩემი შვილების გვერდით იყო, მოგეფერო და გაგიმეორდეს ის წუთები, ერთად რომ იზრდებოდით, მაგრამ ეს აღარასოდეს იქნება.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი მართალი და კეთილი სული. ჩვენმა დანთებულმა სანთლებმა, ნათიას ხელით მოტანილმა ვარდებმა გაგინათოს ღმერთისაგან დამკვიდრებული სასუფეველი, სადაც მართალნი განისვენებენ.

*შენი მამიდა*

### მამუკა პავლეს ძე ქოზაშვილის (აბალაკის) მონატრება



ჩვენო საყვარელო მამუკა! გავიდა ერთი ტკივილიანი წელიწადი. 20 მაისი შენი გარდაცვალების დღეა. დრო ყველაფრის მკურნალიაო, ტყუილი ყოფილა, შვილო.

უშენოდ მოვიდა ლამაზი გაზაფხული. ვარდობისთვეს შეწყდა შენი სიცოცხლე. რაც დრო გადის, უფრო მენატრები. მიყვარხარ, გკოცნი და გეფერები.

*შენი დეიდა მერი აბალაკი*

შვილი ეკა, სიძე პაატა გურგენიძე, შვილიშვილი ირაკლი, მძახალი ლაურა ბახტაძე, ბელა, მანოლა, გია ბახტაძეები ოჯახებით, ღრმა მწუხარებით იუწყებიან

**ზაურ ბიქტორის ძე კუხალაშვილის**

გარდაცვალებას.

შვილები შალვა, თემურ, ნიკო ისაკაძეები, და ნოვერინა მოდებაძე, რძლები ლია უგრელიძე, ნინა გოშტია, დარეჯან ნებიერიძე, მაია ასათიანი, შვილიშვილები ნინო, ეკა, ზურაბ, ხათუნა, ირაკლი, ირმა, თორნიკე ისაკაძეები, დისშვილი დავით ბოჭორიშვილი, მულისშვილები რუსიკო, ვახტანგ ჭელუხიძეები ოჯახებით იუწყებიან

**მერი ალექსანდრეს ასულ მოდებაძე-ისაკაძის**

გარდაცვალებას.

დაკრძალვა: 21 მაისს, 15 საათზე.
მისამართი: თერჯოლა, სოფელი გოგნი.

# ბადრი მთვარე საფრენად მიწვევს...



**საბედისწერო შემთხვევითობა რომ არა, ალბათ ვერავინ გაიგებდა. 32 წლის ვასილ ბ-ძის უჩვეულო დაავადების ამბავს. ძველით ახალ წელს, ლეჩხუმელ ნათესავებს ეწვია სტუმრად, კარგად იქეიფეს და გამთენიისას საწოლებს მიაშურეს. ცოტა ხნის შემდეგ თვალდახუჭული და შიშველი ვასიკო აივანზე გამოვიდა, მოაჯირზე შედგა, ხელები გაშალა და „გადაფრინდა“.**

**ხმაურზე მასპინძლებს გაეღვიძათ და... დალეწილ-დამტვრეული ახალგაზრდა კაცი საავადმყოფოში გააქანეს.**

**ვასიკოს დედა, ქალბატონი თამარი:** — ჩემი შვილი ბავშვობიდანვე მთვარეულია, მაგრამ კარგა ხანია არ ჰქონია მძაფრი შეტევები და რეაგირება მთვარის ზემოქმედებაზე.

**— პირველად როგორ მიხვდით, რომ მთვარეული იყო?**

— სამ წლამდე ჩვეულებრივი ბავშვი იყო, მერე კი შევამჩნიე, რომ ღამე დგებოდა და ფანჯარასთან მიდიოდა. მეგონა, ეღვიძა და რაღაცებს ვეკითხებოდი, ის კი არ მპასუხობდა და ბოლოს აღმოჩნდა, რომ თვალდახუჭული, მძინარე ბავშვი დადიოდა.

**— არც გამოღვიძებული იძლეოდა განმარტებებს?**

— რაღაც უცნაურობებს ჰყვებოდა, ტიროდა, სად გაქრა ყვავილებიანი და პეპლებიანი ბაღი, წუხელ აქედან ვხედავდიო, ან ზღვაზე გადებული ხიდი ვინ ახსნაო?! არადა, ქუთაისში რა უნდა ზღვას?! ექიმთან წავიყვანეთ. ექიმმა დაგვამშვიდა — გაუვლისო. სხვა მხრივ, ჩვეულებრივი ბავშვი იყო, სკოლაშიც კარგად სწავლობდა, არც ინსტიტუტში სწავლა გასჭირვებია...

**— საწოლთან წყლით სავსე ტაშტს არ უდგამდით?**

— ვცადეთ და ამან ძალიან გააღიზიანა. პატარაობისას ამის გამო ტირილს იწყებდა და სიცხეს აძლევდა. დიდობაში კი გვთხოვდა, არ მიგვემართა მსგავსი ხერხისთვის, რადგან ასე ხელოვნურად როცა ვაღვიძებდით, საშინელი თავის ტკივილები ეწყებოდა ხოლმე და ერთი-ორჯერ ეპილეფსიის მაგვარი შეტევაც ჰქონდა, რაც ექიმებმა ვერ ახსნეს.

**— ექიმები უკურნებელ დაავადებად თვლიან მთვარეულობას?**

— ალბათ, ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ვერავინ დაგვეხმარა, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს გარდა რუსეთშიც გვყავდა, ბალტიისპირეთშიც სამკურნალოდ და არც ექიმბაშები დაგვიკლია.

**ახლა თავად ვასიკოს მოვუსმინოთ:**

— „იქ“ სხვა სამყაროა, რომელიც არ ემორჩილება დედამიწის კანონებს. ჩემისთანების შინაგან არსს მთლიანად მთვარე მართავს თავისი უძლიერესი ენერგეტიკით. სიტყვით ვერ აგიხსნით, რას განვიცდი. დარწმუნებული ვარ, თუ ხელებს გავშლი — უთუოდ გავფრინდები, თანაც ხმები მესმის...

**— რა ხმები?!**

— რა ვიცი, თითქოს ზარები წკრიალებენ, პატარა ბავშვები იცინიან, თან მეძახიან, წამოდი, წამოდიო... მეც ვემორჩილები ამ ხმას, ცნობისმოყვარეობა მიპყრობს... ყოველთვის „ვხედავ“ ვერცხლისფერ ბილიკს და იმ გზაწვრილს მივყვები...

**— ოდესმე გასულხართ ბილიკის მეორე ბოლოში?**

— სამწუხაროდ, ვერა... არც არსებობს ალბათ იმ ბილიკის დასასრული, ისევე, როგორც მთვარეულის რეალური სამყარო არ არსებობს, ყველაფერი გონების შეთხზულია...

**— ეს ძილში გახსოვთ?**

— რა თქმა უნდა, არა!

**— რაიმე უჩვეულოს თუ გაიხსენებთ?!**

— ალბათ ათი წლის ვიქნებოდი, წითელა ბატონები დამემართა. ძალიან მძიმედ ვიყავი. ახლობლებს გამოვუტირებივარ კიდეც. მე კი ისეთ კარგ ადგილას ვიყავი, უკან დაბრუნება არ მინდოდა — ვერცხლისფერ ოთახში ვიწექი და ირგვლივ მოკისკისე ანგელოზები დაფრინავდნენ და მეუბნებოდნენ — „ჩვენ გეძახით ხოლმეო!“ თქვენთან მინდა დავრჩე-მეთქი!. უარი მითხრეს, მთვარეს დედამიწაზე სჭირდები, შენ მისი გაგზავნილი ხარო და ისიც მითხრეს, რომ 92 წლისას მელიან „შინ“...

**— ე.ი. თქვენ იცით, რამდენი წელი უნდა იცოცხლოთ?**

— ასე გამოდის... ისე, მგონი, ერთი წინასწარმეტყველებაც მქონდა... 24 წლისა დავქორწინდი, ძალიან მიყვარდა ჩემი რჩეული. ქორწილის წინა დღეს, არ ვიცი, რა ვნახე, მაგრამ ხმამ მითხრა, მთვარეს არ მოსწონს შენი არჩევანი. ეგ გოგო შენი ბედი არაა, ქორწილზე უარი თქვი, აზრი არა აქვს, ადრე თუ გვიან მაინც დაშორდებით, რადგან შვილები არ მოგეცემათო. არ დავიჯერე და არც გავამხილე, რაც „გავიგონე“, თანაც ქორწილს როგორ ჩავშლიდი?! ოთხი წელი ვცხოვრობდით ერთად და... თუმცა ორთავენი ჯანმრთელები ვიყავით, შვილი არ მოგვეცა. დავშორდით. ის სხვას გაჰყვა და უკვე ორი შვილის დედაა. მეც ვიტოვებ იმედს, რომ „მთვარე ოდესმე მაპოვნინებს ჩემს ნამდვილ ბედს!..“

**— იმ ღამეს რა ხილვამ „გადმოგაფრინათ“ აივნიდან, თანაც ძველით ახალ წელს, რამდენადაც ვიცი, არ ყოფილა სავსე მთვარე?!**

— ჩემთვის სმა არ შეიძლება. ეტყობა, ბევრი მომივიდა... ხილვა კი ჩვეულებრივი იყო, ისევ მეძახდნენ ჩემი ხმაწკრიალა ანგელოზები. ჰაერში დასრიალებდნენ და მეც დარწმუნებული ვიყავი, არ გამიჭირდებოდა მათთან ერთად ფრენა.

**სპეციალისტის კომენტარი:** „რაოდენ სამწუხაროც უნდა იყოს ამის აღიარება, ავადმყოფს მაინც აქვს ფსიქიკაში გადახრა, რასაც თან ჰალუცინაციები ერთვის და იგი ხანგრძლივ მკურნალობას საჭიროებს, იზოლატორსაც კი, რადგან არ არის გამორიცხული, რომ უახლოეს მომავალში მაღალსართულიანი სახლის სახურავზე აიყვანოს ფრენის სურვილმა“.

...რეალობა ასეთია, ანუ ის, რასაც ჩვენი, ჩვეულებრივი მოკვდავების გონებას წვდება, მაგრამ მოდით და ვიყოთ რომანტიკოსები, ცოტა ხნით მაინც დავიჯეროთ მთვარის გამოგზავნილი კაცების და ანგელოზების, რომლებიც იდუმალებით ავსებენ სამყაროს. მაშინ ვინ იცის, რა სასწაულების მოწმენი გავხდებით!

***ინგა ჯაყელი***

# სიკვდილის შემდეგ სული ცოცხლობს



ჰოლანდიელი მეცნიერების აზრით, ტვინის მუშაობის შეწყვეტის (ანუ სიკვდილის) შემდეგ აზროვნება (გონება ანუ სული) განაგრძობს არსებობას. რეინკარნაცია გამოვლილთა მონათხრობით მათ დაასკვნეს, რომ არსებობს სული და იგი უკვდავია. გამოკითხული 344 ადამიანიდან 32% კლინიკური სიკვდილის დროს დიდი ხნის გარდაცვლილებს „შეხვდა“, 31%-მა „გვირაბი“ გაიარა, 24% „სხეულიდან გამოდიოდა“ და საკუთარ თავს გვერდიდან აკვირდებოდა, 23% კაშკაშა სინათლეს ხედავდა, 13% განვლილ ცხოვრებას თავიდან უყურებდა. 8%-მა დაინახა ზღვარი ცოცხალთა და მიცვალებულთა სამყაროს შორის.

მეცნიერები ცდილობდნენ გამოეკვლიათ, როდის გამოსცადეს ეს მდგომარეობა პაციენტებმა, მაშინ, როდესაც მათი ტვინი „გათიშული“ იყო, თუ როდესაც ის კვლავ „ჩაირთო“. დადგინდა, რომ ეს „გათიშულობის“ დროს ხდებოდა. ე.ი. გონება მარადიულია, უკვდავია.

ჰოლანდიელების გამოკვლევებს ბევრი მეცნიერი გამოეხმაურა. რუსი მეცნიერის ანდრეი გნეზდილოვის აზრით, სხვა სამყარო — ჰალუცინაცია არ არის, არც სიკვდილია დასასრული. ეს მხოლოდ გონების მდგომარეობის ცვლილებაა. აზროვნება, გონება სიკვდილის შემდეგ არ ქრება; ზღვარი სხეულსა და სულს შორის მკაფიოა. არსებობს სულ სხვა სამყარო, რომელიც განსხვავებული კანონებით მოქმედებს. ამის ახსნა მეცნიერებს ჯერ არ შეუძლიათ.

ოპერაციის დროს ქალს გული გაუჩერდა. კლინიკური სიკვდილიდან გამოსვლის შემდეგ უცნაური რამ გვიამბო. ნარკოზის შემდეგ გაითიშა, მერე რაღაც ბიძგი იგრძნო და უცებ ნახევრად განათებულ საოპერაციოში აღმოჩნდა, ბურუსში დაინახა სხეული და ქირურგები, რომლებიც ოპერაციას აპირებდნენ, ვიღაცამ დაიყვირა — გული გაჩერდაო. ქალს ძალიან შეეშინდა, მიხვდა, რომ ეს მისი სხეული და მისი გული იყო, მას კი ოჯახის წევრებიც არ გაუფრთხილებია, რომ ოპერაციას იკეთებდა. შინ დედა და შვილი ჰყავდა. ახლობლების დარდმა მსწრაფლ გააქცია სახლში. შვილი თოჯინით თამაშობდა. დედა ქსოვდა. ამ დროს მეზობელი შემოვიდა, კოპლებიანი კაბა ეცვა... ქალი დაწყნარდა, საოპერაციოში დაბრუნდა და გაიგონა, — გული ამუშავდა, ჩქარა, ოპერაცია გავაგრძელოთო.

რასაკვირველია, ექიმი დაინტერესდა ამ ფაქტით. გამოიკითხა და ყველაფერი დაემთხვა ავადმყოფის ნაამბობს.

...აგონიაში მყოფმა ხანში შესულმა ქალმა ექიმს უთხრა, — ეს-ეს არის, ჩემი თავი ვნახე, ინგლისელი ვიყავი. თეთრ კაბაში გამოწყობილი, ყვავილებით ხელში კიბეზე ჩავდიოდიო: ექიმმა ხუმრობით ინგლისურად ჰკითხა, — იცით, თუ არა ინგლისურიო. ქალმა სუფთა ინგლისურით გაუბა საუბარი და... გარდაიცვალა კიდეც. — არადა არ იცოდა თურმე ეს ენა სიცოცხლეში...

## ჩვენ მხოლოდ ბიოლოგიური რობოტები ვართ

**დავით იოსელიანი** — პროფესორი, მოსკოვის ინტერვენციული კარდიოანგიოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის ხელმძღვანელი:

— ოდესღაც მაინტერესებდა, რას გრძნობდა ადამიანი კლინიკური სიკვდილის შემდეგ, მაგრამ ჩემს ავადმყოფებს არაფერი ახსოვდათ. ჩემს თანამშრომლებს კი პაციენტები უყვებოდნენ „გვირაბის“ შესახებ, მაგრამ სხვის მონაყოლს იმეორებდნენ, ამიტომაც გამიქრა ინტერესი. მაგრამ სულის არსებობაში ეჭვი არ შემპარვია და არც მატერიალისტი გავმხდარვარ. პირიქით, დავრწმუნდი, რომ ცხოვრებაში ბევრი რამ არის ჩვენი გონებისთვის ამოუცნობი. აი, მაგალითი ამისა:

ერთხელ საშინელი სიზმარი ვნახე: ჩემმა კოლეგებმა მითხრეს, — კიბო გაქვსო. შევშფოთდი — არავის გაგისინჯივართ და რა იცითმეთქი. თავზარდაცემულს გამეღვიძა. ზუსტად ორ საათში დამირეკეს და შემატყობინეს, რომ ჩემს დას კიბო აღმოაჩნდა. მე არაფერი ვიცოდი, თურმე და მიმალავდა ამ ამბავს.

ყველას აღელვებს კითხვა — ვინ ვართ, საიდან მოვედით და რა გველის, მაგრამ პასუხს ვერ მივიღებთ. ვფიქრობ ადამიანი ბიოლოგიური რობოტია, რომელშიც სული ბუდობს. როგორც კი რობოტი თავის დროს მოჭამს, სული ტოვებს ამ ნატანჯ სხეულს და სხვაში ჩასახლდება. სულის უკვდავების საკითხი უპასუხოდ რჩება, აზროვნების საიდუმლო — ამოუცნობია, მაგრამ რადგან კაცობრიობამ მიზნად დაისახა ამოუცნობის ამოცნობა, აუცილებლად მიაღწევს კიდეც მიზანს.

***კომსომოლსკაია პრავდა №79***

# ხილვა და რწმენა

ჯოშუა ჯენსონი ბარსელონაში მეგობრებს ესტუმრა. მორწმუნე არ იყო, მაგრამ მასპინძლისათვის გული რომ არ დაეწყვიტა, წირვაზე მაინც წაჰყვა.

ჯოშუა გააოგნა მადონას ბაზილიკის სიდიადემ და აკუსტიკამ. არ ესმოდა მოძღვრის ენა, მაგრამ იგრძნო, რომ უსათუოდ უნდა ელოცა უფლის მიმართ. უეცრად მოეჩვენა, მიწას მოსწყდა, ჰაერში დაცურავდა და სული სიმშვიდითა და ბედნიერებით აევსო. თვალები დახუჭა. თითქოს ცისკარი გაიხსნა და თეთრი ღრუბლების თავზე ანგელოზი დაინახა. თვალი რომ გაახილა, მიწაზე იწვა და ხალხი შეწუხებული დაჰყურებდა.

გული წაგივიდაო, — უთხრეს.

რამდენიმე წუთი გასულიყო, მაგრამ ეს დრო ჯოშუას საათად მოეჩვენა.

როცა მეგობრებს უამბო, რაც ნახა, აუხსნეს, — შენი მფარველი ანგელოზი გინახავს და ნიშანი მოუცია, რომ კათოლიკური სარწმუნოება უნდა მიიღოო.

ჯოშუა ასეც მოიქცა.

***ნლო №13***

**„საზალოო-სალაღო“ გვერდის პასუხები**

I. **რებუსი**
მელამ თავისი კუდი მოწმედ მოიყვანაო.

II. სარკე.




# „რეალი“ მეცხრედ გაჩემპიონდა

## ჩემპიონთა ლიგა. ფინალი.

### რეალი – ლევერკუზენი 2:1

**გოლები: რაული 9; ლუსიო 14; ზიდანი 45.**

15 მაისს გლაზგოს „ჰემპდენ პარკზე“ გამართული ფინალის დასრულების ნიშნად შვეიცარიელმა არბიტრმა ურს მაიერმა საფინალო სასტვენი მისცა და ევროპასა და მთელს მსოფლიოში დიდ ფეხბურთში ორკვირიანი შესვენება გამოაცხადა. მაისის მიწურულს კორეა-იაპონიაში პლანეტის უპირველესი საფეხბურთო ფორუმი დაიწყება და ჩემპიონთა ლიგაც დროებით ჩრდილში მოექცევა. მანამდე კი „რეალი“ და მისი ფანები იზეიმებენ. იმ საფინალო სასტვენმა, ზემოთ რომ ვახსენეთ, „სამეფო კლუბის“ მიერ ჩემპიონთა თასის მეცხრედ მოგება დააფიქსირა. უკანასკნელ ხუთ წელიწადში, „რეალმა“ მესამედ მოიგო ევროპის ყველაზე პრესტიჟული საფეხბურთო ჯილდო.





„ჰემპდენ პარკზე“ ზინედინ ზიდანმა მორიგი საფეხბურთო შედევრი შექმნა — ულამაზესი გოლი გაუტანა გერმანელთა მეკარე ბუტს, რამაც საბოლოოდ „რეალის“ გამარჯვება განაპირობა. იმის გადმოცემა, თუ რა ხდებოდა მსაჯის დამატებულ წუთებზე, შეუძლებელია. „ბაიერმა“ „სამეფო კლუბი“ საკუთარ კარს მიაჯაჭვა. სამ-ოთხჯერ გოლი გარდაუვალიც ჩანდა, თუმცა იმ დღეს ფორტუნას „რეალისათვის“ ზურგის შექცევა არ სურდა — ევროპას ღირსეული საკლუბო ჩემპიონი ჰყავს... ასი წლის იუბილე „სამეფო კლუბმა“ მეფურად აღნიშნა...

# ბიელსაც «ხალხის მტერია»?



კლაუდიო კანიჯა

წინა ნომერში გაუწყეთ, რომ ბრაზილიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ლუიშ სკოლარიმ სამუნდიალო შემადგენლობაში რომარიო, ელბერი და ჟარდელი არ შეიყვანა, რის გამოც სამშობლოში „ხალხის მტრად“ მონათლეს. ბრაზილიელთა არგენტინელმა კოლეგამ მარსელო ბიელსამ ახლახან დაასახელა შემადგენლობა და თუ არგენტინამ მსოფლიო ჩემპიონატი ვერ მოიგო, საკითხავია მშვიდობით დაბრუნდება თუ არა ბიელსა სამშობლოში. სამხრეთ ამერიკის საუკეთესო ფეხბურთელი ხუან რომან რიკელმე, მადრიდის „რეალის“ მრისხანე ფორვარდი სანტიაგო სოლარი და „ბარსელონაში“ წლეულს 17 გოლის გამტანი ხავიერ სავიოლა — აი ისინი, ვინც ბიელსამ მსოფლიო ჩემპიონატის მიღმა დატოვა. სამაგიეროდ არგენტინელთა ღირსებას აზიაში წლევანდელი სეზონის აშკარად ჩამგდები გაბრიელ ბატისტუტა და ორმოცს მიტანებული კლაუდიო კანიჯა დაიცავენ. არგენტინელთა სრული შემადგენლობა კი ასე გამოიყურება:

**მეკარეები: ხერმან ბურგოსი** (ატლეტიკო, ესპანეთი), **პაბლო კავალიერო** (სელტა, ესპანეთი), **რობერტო ბონანო** (ბარსელონა, ესპანეთი);

**მცველები: ხოსე ანტონიო შამოტი** (მილანი, იტალია), **ვალტერ სამუელი** (რომა, იტალია), **რობერტო ფაბიან აიალა** (ვალენსია, ესპანეთი), **მაურისიო პოჩეტინიო** (პარი სენ ჟერმენი, საფრანგეთი), **დიეგო პლასენტე** (ლევერკუზენი, გერმანია), **ხუან პაბლო სორინი** (ლაციო, იტალია);

**ნახევარმცველები: ხავიერ ძანეტი** (ინტერი, იტალია), **ხუან სებასტიან ვერონი** (მანჩესტერ იუნაიტედი), **დიეგო პაბლო სიმეონე** (ლაციო), **გუსტავო ლოპესი** (სელტა, ესპანეთი), **კილი გონსალესი** (ვალენსია, ესპანეთი), **პაბლო აიმარი** (ვალენსია,), **მატიას ალმეიდა** (პარმა, იტალია), **მარსელო გალიარდო** (მონაკო), **კლაუდიო ხუსაინი** (რივერ პლეიტი);

**თავდამსხმელები: ერნან კრესპო** (ლაციო), **კლაუდიო ლოპესი** (ლაციო), **გაბრიელ ომარ ბატისტუტა** (რომა, იტალია), **არიელ ორტეგა** (რივერ პლეიტი), **კლაუდიო კანიჯა** (გლაზგო რეინჯერსი).

# ბაჯო აზიურ მატარებელს ჩამორჩა

კიდევ ერთი ფავორიტის, იტალიის ეროვნული ნაკრების შემადგენლობა გახდა ცნობილი. ჯოვანი ტრაპატონიმ არაფრად ჩააგდო რობერტო ბაჯოს მიერ ორი ბრწყინვალედ ჩატარებული სეზონი და ბუდისტი იტალიელი სანაკრებო განაცხადში არ შეიყვანა. „სკუადრა აძურა“ კორეა-იაპონიაში ასეთი შემადგენლობით გაემგზავრება:

**მეკარეები: ჯან ლუიჯი ბუფონი** (იუვენტუსი), **კრისტიან აბიატი** (მილანი), **ფრანჩესკო ტოლდო** (ინტერი).

**მცველები: კრისტიან პანუჩი** (რომა), **პაოლო მალდინი** (მილანი), **ფაბიო კანავარო** (პარმა), **ალესანდრო ნესტა** (ლაციო), **მარკ იულიანო** (იუვენტუსი), **მარკო მატერაცი** (ინტერი).

**ნახევარმცველები: ფრანჩესკო კოკო** (ბარსელონა), **კრისტიანო ძანეტი** (რომა), **ჯენარო გატუზო** (მილანი), **ფრანჩესკო ტოტი** (რომა), **კრისტიანო დონი** (ატალანტა), **ლუიჯი დი ბიაჯო** (ინტერი), **ანჯელო დი ლივიო** (ფიორენტინა), **დამიანო ტომაზი** (რომა), **ჯანლუკა ძამბროტა** (იუვენტუსი).

**თავდამსხმელები: ალესანდრო დელ პიერო** (იუვენტუსი), **ფილიპო ინძაგი** (მილანი), **მარკო დელვეკიო** (რომა), **კრისტიან ვიერი** (ინტერი), **ვინჩენცო მონტელა** (რომა).

# ლობანოვსკის ეპოქა დასრულდა



63 წლისა ხანგრძლივი ავადმყოფობის შედეგად გარდაიცვალა ვალერი ლობანოვსკი, თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი საფეხბურთო მწვრთნელი, წარსულში ბრწყინვალე უკრაინელი ფეხბურთელი. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას — ლობანოვსკიმ ჯერ საბჭოთა და შემდეგ უკრაინულ ფეხბურთში მთელი ეპოქა შექმნა. ლობანოვსკის მიღწევათა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. უბრალოდ, „ფეხბურთის მეფის“ — პელეს სიტყვებს გავიხსენებთ, ვალერი ვასილიჩის მისამართით რომ თქვა 1986 წელს: „ლობანოვსკის ნაკრები XX საუკუნის ფეხბურთს თამაშობსო. ამ კაცმა დაამკვიდრა საბჭოეთში ცნება „ტოტალური ფეხბურთი“. მისი კიევის „დინამო“ კი წლების მანძილზე შიშის ზარს სცემდა საბჭოეთის გუნდებს და არა მარტო მათ. უკანასკნელი სასწაული ლობანოვსკიმ სამიოდე წლის წინ მოახდინა, როცა იმ დროისათვის ყველასათვის უცნობი და მისსავე ხელში აღორძინებული კიევის „დინამო“ კინაღამ ჩემპიონთა ლიგის ფინალში გაიყვანა. ბოლო ხანს უკრაინის ნაკრებშიც წაიმუშავა, უკრაინელებს ახლაც არცთუ უსაფუძვლოდ სჯერათ, რომ ლობანოვსკისათვის ჯანმრთელობას რომ შეეწყო ხელი, უკრაინის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატზეც ითამაშებდა.

16 მაისს ვალერი ლობანოვსკი კიევში დიდი პატივით დაკრძალეს. ცერემონიალს უკრაინის მთელი მთავრობა და ზღვა ხალხი დაესწრო. წინა დღეს კი, გლაზგოში, ჩემპიონთა ლიგის ფინალური მატჩის დაწყებისას, დიდი უკრაინელი მწვრთნელის ხსოვნას მთელი „ჰემპდენ პარკი“ წამოუდგა ფეხზე.

# „ლოკომოტივის“ სტადიონს საფრთხე ემუქრება?

*შარშან 26 მაისს „ლოკომოტივის“ სტადიონის განახლება საზეიმოდ აღინიშნა. ქვეყნის პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ დამოუკიდებელი საქართველოს ათწლიან ისტორიაში ყველაზე გრანდიოზულ მშენებლობადაც კი მონათლა ვაკის არენის რეკონსტრუქცია.*

*ნაკრების მწვრთნელი, ალექსანდრე ჩივაძე ფეხბურთელების თხოვნით „შინდისფერთა“ ყველა საშინაო შეხვედრას მხოლოდ ვაკეში მართავს. მოსკოვის „ლოკომოტივის“ მწვრთნელი, იური სიომინი სტადიონით აღტაცებული დარჩა. მოკლედ, ყველა აღიარებს, რომ რკინიგზის დეპარტამენტის თავმჯდომარემ აკაკი ჩხაიძემ საშვილიშვილო საქმე გააკეთა.*

*თუმცა, მიწისძვრის შემდეგ გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს ვაკის ნაგებობას ბზარები გასჩენოდეს. მცირე მეწარმეთა ასოციაციის პრეზიდენტი* ***ანზორ საკანდელიძე*** *რკინიგზის ხელმძღვანელობას რეკომენდაციებს სთავაზობს:*

— ბატონმა კაკომ უდიდესი საქმე გააკეთა, მაგრამ როგორც ვიცი, მისი წამოწყება ყველამ ანალოგიური გულწრფელობით ვერ აიტაცა. რკინა-ბეტონი კაიროს ქუჩაზე მდებარე ქარხანაში ჩამოისხმებოდა. მათ მაშინვე შევთავაზე ქიმიური დანამატი ბეტონის სიმტკიცის გასაზრდელად, მაგრამ ჩემი რჩევას ყური არ უგდეს. არადა, ცემენტის სიმტკიცის 300-მარკიან მაჩვენებელს სხვანაირად ვერ მივაღწევდით. სტადიონის აშენების შემდეგ მარკიანობა საშენი მასალების ინსტიტუტისა და მშენებლობის სამინისტროს ექსპერტებმა შეამოწმეს და აღმოჩნდა, რომ სიმტკიცის ნორმა სანახევროდ არის მიღწეული. შესაძლოა, დღეს-ხვალ შენობა არ დაზიანდეს, მაგრამ მეშინია, რომ ამ საშვილიშვილო ნაგებობას თვალისთვის უხილავი ბზარები გაუჩნდება, რაც შემდგომ ბეტონის დახეთქის მიზეზი გახდება. თუმცა, გამაგრებითი სამუშაოებით შეიძლება პრობლემის მოგვარება. გამიხარდება, თუკი ამ მშვენიერ ნაგებობას საბოლოოდ მოევლება. ბატონ ჩხაიძეს უკვე მივმართე კიდეც წინადადებით, თუ რა შეიძლება გაკეთდეს.

*რკინიგზის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე,* ***ტარიელ ღვაბერიძე*** *არ იზიარებს ბატონი ანზორის შეშფოთებას და დარწმუნებულია, რომ სტადიონი ხარისხიანად არის აშენებული.*

— არანაირი ბზარები სტადიონს არ გასჩენია და რა მდგომარეობაშიც მიწისძვრამდე იყო, ისევეა ახლაც. უბრალოდ, სტადიონზე მუშები დღემდე იმიტომ ფუსფუსებდნენ, რომ ნაგებობისთვის საბოლოო სახე მიეცათ. გეცოდინებათ, რომ სტადიონთან მალე სპორტული კომპლექსი ამოქმედდება — ეს არის და ეს.

— **და მაინც გამოითქვა ეჭვი, თითქოს რკინა-ბეტონის სიმტკიცე დაგეგმილზე მცირე აღმოჩნდა...**

— მე ასეთ ინფორმაციას არ ვფლობ. სტადიონს იმიტომ არ ვაშენებდით, რომ უხარისხო და მაყურებლისთვის საშიში ყოფილიყო. მერწმუნეთ, „ლოკომოტივის“ სტადიონზე მაყურებელს არანაირი საფრთხე არ ელის. ასეთი საფრთხე რომ ყოფილიყო, ახალ მშენებლობებს კი არ წამოვიწყებდით, არამედ აშენებულს ნორმამდე მივიყვანდით.

*„ლოკომოტივის“ ვიცე-პრეზიდენტთან საუბარი სტადიონის პრობლემებიდან ნელნელა გუნდის უახლოეს გეგმებზე გადავიდა. ვფიქრობ, ჩვენი მკითხველისთვის ესეც არანაკლებ საინტერესო უნდა იყოს:*

— გარდა ბაზისა, დაგეგმილია კორტებისა და თანამედროვე სასტუმროს აშენება. საერთოდ, „ლოკომოტივის“ მშენებლობის დაწყების დღიდან, სერიოზულად ვმუშაობთ გუნდის აღორძინებისთვის. მოსკოვის „ლოკომოტივთან“ პარტნიორობაც სავსებით რეალურია და მალე, ალბათ, გრიგოლეთში ერთობლივ ბაზასაც წამოვჭიმავთ. ძირითადი სამუშაოები უკვე დაწყებულია. ჩვენ გარდა, იქ მომზადების საშუალება სხვა გუნდებსაც ექნებათ. დღეს ქართული გუნდები ჩემპიონატისწინა მზადებას სამშობლოში ველარ ახერხებენ. სამწუხაროდ, აფხაზეთი ჩვენი აღარ არის, ახალაძისა და ლესელიძის ბაზებს ვეღარ ვიყენებთ და ჩვენი დიდი სურვილია, მათ ნაცვლად ქართულ გუნდებს უფრო თანამედროვედ მოწყობილი ბაზა შევთავაზოთ. ამით ისევ ქართული ფეხბურთი მოიგებს.

— **ზაზა ჯანაშია „ლოკომოტივში“ დიდხანს დარჩება?**

— უეფას თასზე გასვლის შემთხვევაში უეჭველად ჩვენთან ითამაშებს.

— **მოსკოვის „ლოკომოტივის“ მეორე მწვრთნელის ჩამოყვანა ხომ არ გადაიფიქრეთ?**

— ჯიშკარიანისა და კოტრიკაძის დუეტი ისე მუშაობს, მათი მოხსნის არავითარი სურვილი არ გვიჩნდება. თუმცა, გუნდის გაძლიერება ნამდვილად გვინდა. არ გამოვრიცხავთ უცხოეთში მოთამაშე ქართველი ფეხბურთელების ჩამოყვანასაც. სხვათა შორის, მცირე ხნის წინ „ლოკომოტივის“ მეორე ქართველი მოთამაშის, ლადო კაკაშვილის ჩამოყვანაზეც გვქონდა საუბარი. რა თქმა უნდა, ტრანსფერი უმთავრესად თვითონ მოთამაშის სურვილზეა დამოკიდებული, მაგრამ ჯერ მაინც არ მინდა მისი ჩამოყვანა გადაწყვეტილად ჩავთვალო.

საერთოდ, მოსკოვის „ლოკომოტივის“ ხელმძღვანელობასთან მშვენიერი ურთიერთობების შედეგად ჩამოვიყვანეთ ზაზა ჯანაშია და მალე კიდევ უფრო საინტერესო ამბებს ველით. სხვათა შორის, გემახსოვრებათ, რომ რუსებს თავის დროზე ჩვენს სტადიონზე სურდათ ევროთასის ერთ-ერთი მატჩის გამართვა. იური სიომინს ისე მოეწონა ჩვენი სტადიონი, მარტში ვიზიტის დროსაც გაიმეორა, რომ თუკი მათი სტადიონის ზამთრამდე აშენება ვერ მოხერხდება, დიდი სიამოვნებით ითამაშებენ თბილისში.

— **სიომინთან სხვა საკითხებზე თუ მოილაპარაკეთ?**

— რაზეც მაშინ ვისაუბრეთ, უკვე გიამბეთ. ვიმეორებ, ახლა ჩვენი მთავარი მიზანი პარტნიორობის განმტკიცებაა.

— **„ლოკომოტივი“ დიდი ხანია წარუმატებლად იბრძვის საქართველოს ჩემპიონობისთვის. ასეთი რამ ყოველთვის გულის აცრუების მიზეზი ხდება. ამდენად, საინტერესოა, „ლოკომოტივის“ ხელმძღვანელებს ფეხბურთზე გული ხომ არ აგცრუებიათ?**

— არავითარ შემთხვევაში. უკვე ოთხი წელია გუნდს ხელი მოვკიდეთ და მიმაჩნია, რომ მას შემდეგ „ლოკომოტივმა“ შედეგებით, ინფრასტრუქტურით, ორგანიზაციით უდიდეს პროგრესს მიაღწია. ეს უნდა გახდეს გაცილებით დიდი წინსვლის საფუძველი, თორემ მხოლოდ საქართველოს მასშტაბით წარმატებით დაკმაყოფილება უგუნურება იქნება. მით უმეტეს, ახლა ჩემპიონობის არაჩვეულებრივი შანსი გაგვიჩნდა და ხელი რატომ უნდა ჩავიქნიოთ? რომც ვერ მოვიპოვოთ პირველობა, ამით არ შეიცვლება გუნდისადმი ჩვენი დამოკიდებულება.

ახლა ჩემპიონატში ვითარება ისე დაიძაბა, როგორც არასდროს და ეს მე ძლიერ მახარებს. რაც მეტი იქნება კონკურენცია, მით უფრო ამაღლდება ქართული ფეხბურთის დონე. მთავარია, ეს ბრძოლა წესიერი კალაპოტით წარიმართოს. ჩვენ ყველანი „დინამოს“ წარმატებებზე ვართ გაზრდილი და არ მიკვირს, რომ დღეს ამ გუნდს ყველაზე მეტი ქომაგი ჰყავს, მაგრამ ჩვენი მიზანია „ლოკომოტივიც“ იმ ლიანდაგზე შევაყენოთ, რომელზეც „დინამო“ ქართულ ფეხბურთს მიუძღოდა წინ.

***ლაშა დუმბაძე***



## საჭადრაკო კლუბი

**„კვირის პალიტრა“ აქვეყნებს საჭადრაკო ამოცანებს, მათი ამოხსნისათვის საჭადრაკო დაფა არ არის აუცილებელი.**

შავების დაშამათება არ უნდა გაგიჭირდეთ (თუ, რა თქმა უნდა, მოინდომებთ).
წინა ამოცანის ამოხსნა: 1. ლd2-a2!

თეთრები იწყებენ და აკეთებენ შამათს **სამ** სვლაში.



## BMW „მინიზე“ მოთხოვნილებას ვერ აუდის...



თავის დროზე ჩვენს მკითხველს ვატყობინებდით, რომ კორპორაცია BMW-მ ბრიტანული „როვერის“ შესყიდვით დიდი ზარალი განიცადა და გადაწყვიტა რამენაირად „თავიდან მოეშორებინა“. თუ შეიძლება ასე ითქვას ლეგენდარულ მარკაზე, რომელმაც სამწუხაროდ, სერიული წარმოების გიგანტებთან კონკურენციას ვერ გაუძლო და გაკოტრდა. ამის შემდეგ, პრესტიჟული იმიჯის გამო, იგი ერთგვარ საჯილდაო ქვად იქცა — სხვადასხვა გიგანტი კორპორაცია ერთმანეთს ეცილებოდა მის დაპატრონებაში, რადგან საავტომობილო შემადგენლობაში ასეთი მარკის ყოლა ნებისმიერი მათგანისთვის საამაყო იყო. სწორედ ასეთ ცდუნებას ვერ გაუძლო თავის დროზე BMW-მ და მიუხედავად უმძიმესი ფინანსური მდგომარეობისა, „როვერი“ მაინც შეიძინა. დიდძალი ინვესტირების და მრავალი მცდელობის მიუხედავად, ფირმა მაინც წამგებიანი რჩებოდა და BMW-მ მისი გაყიდვა გადაწყვიტა. თუმცა, ერთი პირობით: მისი ერთ-ერთი, მსოფლიოში სახელგანთქმული მარკის, „მინის“ წარმოებისა და განვითარების უფლებას იტოვებდა. ამჯერად BMW-ს მენეჯერებს ალღომ არ უმტყუნა — განახლებული „მინი“ იმდენად პოპულარული გახდა, რომ ბავარიელი ავტომშენებლები მის წარმოებას ვერ აუდიან. როგორც ახლახან გაირკვა, BMW-ს კორპორაცია ამ საქმის გაფართოებისთვის 70 მლნ დოლარის ინვესტირებას აპირებს. კონცერნის ხელმძღვანელობა თავის გადაწყვეტილებას იმით ხსნის, რომ პატარა, მცირელიტრაჟიან და მოხდენილი გარეგნობის ავტომობილზე მოთხოვნილება დღითი დღე იზრდება. გასულ წელს 42 ათასი „მინი“ იქნა გამოშვებული, მაშინ, როდესაც 30 ათასის გამოშვებას გეგმავდნენ. უკვე მიმდინარე თვისთვის კი 100 ათასი მოდელია გამოშვებული და გაყიდული. დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში „მინის“ დილერთა ოფისებთან დაკვეთის მსურველთა ლამის 24-საათიანი რიგი გაიმართა, ხოლო იაპონიაში კი რამდენიმე მაღაზია დახურეს კიდეც — მყიდველთა არნახული ტალღის გამო ვაჭრობა შეუძლებელი შეიქნა. ჯერჯერობით ცნობილი არ არის, „მინის“ წარმოებას რა ოდენობით გაზრდიან. თუმცა, BMW-ს მენეჯერთა განცხადებით, მათ ყველანაირი გემოვნების დაკმაყოფილება აქვთ განზრახული — უკვე ივნისიდან სპორტული „მინი“ გამოვა, რომელსაც 1,6ლ მოცულობის, 163 ცხ.ძ სიმძლავრის ძრავა ექნება. მისი ფასი ევროპაში 20 ათას ევროს მიაღწევს.

## „ფერარი“ საერთაშორისო არბიტრაჟის წინაშე

კომპანია „ფერარის“ და მის ავტომრბოლელებს — მიხაელ შუმახერს და რუბენს ბარიკელოს 26 ივნისს საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის სპეციალური არბიტრაჟის წინაშე მოუწევთ თავის მართლება. „ფერარის“ გუნდის ხელმძღვანელობამ უნდა ახსნას, თუ რატომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ფინიშამდე ორი წუთით ადრე მეწყვილეს გზა გერმანელი ავტომრბოლელისთვის დაეთმო. მეგობრის საქციელით გულაჩუყებული შუმახერი კი დაჯილდოების ცერემონიალზე უმაღლესი კვარცხლბეკიდან ჩამოვიდა და რუბენსი თავის ადგილზე დააყენა პრიზით ხელში.

ჯერჯერობით უცნობია, თუ რა სასჯელს დაიმსახურებენ „წითლები“ სიყვარულისა და ერთგულებისათვის. „ფერარის“ გუნდი ამ საკითხზე მომავალ კვირაში გამართავს პრესკონფერენციას.

ანალოგიური ფაქტი 1998 წელსაც მოხდა, როდესაც McLaren-ის ხელმძღვანელობამ დევიდ კულტარდს უბრძანა, ფინიშზე გასვლისას გზა მიკა ჰაკინენისთვის დაეთმო. „FIA“-ს მაშინ რაიმე განსაკუთრებული სანქციებისთვის არ მიუმართავს, თუმცა განაცხადა — ასეთი ქმედებებით შეჯიბრება სანახაობრივ ხარისხს კარგავს და ავტორბოლაზე მოსულ მაყურებელს პატივი უნდა ვცეთო. მაშინდელი გაფრთხილებით, მსგავსი საქციელის გამეორება მკაცრად დაისჯებოდა.

## უკანასკნელი CHRYSLER PROWLER-ი აუქციონზე გაიყიდება



სერიულ წარმოებაში გამოსული CHRYSLER PROWLER-ის უკანასკნელი ეგზემპლარი კრისტის აუქციონზე გაიყიდება. ფინალური ავტომობილი სხვებისგან ძარის უნიკალური გაფორმებით და სალონის მოწყობით გამოირჩევა. უკანასკნელი CHRYSLER PROWLER-ი ჯერ კორპორაცია „კრაისლერის“ მუზეუმში გამოიფინება, შემდეგ კი როკფელერის ცენტრში. აღნიშნული მოდელი ამა წლის 15 თებერვალს ააწყეს დეტროიტში მდებარე „კრაისლერის“ ერთ-ერთ ქარხანაში. მოდელი მკვეთრი ცისფერი ფერით გამოირჩევა. გარდა ამისა, კონსტრუქტორებმა გარკვეულ სიმბოლიკასაც მიმართეს და მასში დიზაინის ის გადაწყვეტილებები გამოიყენეს, რაც ავტომობილის შექმნის საწყის ეტაპზე არსებობდა.

მკითხველს ეხსომება, რომ PROWLER-ის ლეგენდად ქცეული მარკა 1993 წელს, „პლიმუთის“ კომპანიაში გამოჩნდა. თუმცა, მოგვიანებით ამ უკანასკნელმა ძვირფასი მოდელების მწარმოებელი უმრავლესობის ბედი გაიზიარა და გაკოტრდა. მიუხედავად ამისა, მისი ერთ-ერთი როდსტერი, PROWLER-ი იმდენად პოპულარული იყო, რომ „კრაისლერმა“ მისი საკუთარ საავტომობილო გამაში ჩართვა და სერიული წარმოება განიზრახა, რასაც ამ წლის თებერვლამდე დიდი წარმატებით ახერხებდა.

## ქართველ ავტოდიზაინერთან ინტერვიუს ქართული ავტომობილის იდეა მოჰყვა

(დასაწყისი იხ. გვ. 27)

**— ქართულ ავტომობილზე რა აზრის ხართ?**

— რატომაც არა... საქართველოში ბევრი ისეთი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი და საწარმოა, არც ერთი განვითარებული ქვეყანა უარს არ იტყოდა. დღეს ეს ხალხი უხელფასო შვებულებაშია... ამ ეტაპზე ყველა მათგანმა რომ თავისი წვლილი შეიტანოს — გამოგონების თუ რომელიმე კომპონენტის ორიგინალურად დამზადების სახით, ეჭვი არ მეპარება, უნიკალურ შედეგს მივაღწევთ.

**ვანო აფციაური:** სხვათა შორის, რამდენიმე თვის წინ ჩემთან ახალგაზრდა კაცი იყო მოსული, ახალი თაობის სამუხრუჭე სისტემის პროექტი მოიტანა. დღეს იგი „მერსედეს-ბენცის“ კორპორაციაში მუშაობს მის განვითარებაზე...

**ზვიად ციკოლია:** სერიულ წარმოებაზე და საერთაშორისო ავტომრეწველობაში ჩაბმაზე პრეტენზიას არ ვაცხადებთ. ამ ეტაპზე ასეთი, ორიგინალური იდეებით „გაძეძგილი“ მანქანა რომ საერთაშორისო ავტოსალონზე წარვადგინოთ, ხომ წარმოგიდგენიათ, რა ფურორი იქნება...



საქართველოს მთავრობამ ბრინჯის ასაღები კომბაინები იაპონიიდან 70 ათას დოლარად ჩამოიტანა. ქართული კომბაინები კი თურქმენეთმა 25 ათასად იყიდა

მერე კი დაინტერესებული უცხოელი პარტნიორიც გამოჩნდება და საქმეც რეალურად დაიძვრება. შეიძლება, ამ იდეაზე ვინმეს გაეცინოს კიდეც. ჩეხეთში, რუსეთში, უკრაინასა და კიდევ რამდენიმე პოსტსაბჭოურ ქვეყანაში მსოფლიოს წამყვანი ავტოგიგანტები ქარხნებს აშენებენ. მერე, იქ გამოშვებული პროდუქცია ისევ ჩვენ უნდა ვიყიდოთ. თუ ვინმე ჭკვიანი აღმოჩნდება, იქით სამუშაოდ წაიყვანენ. მერე ვიჯდეთ „ბანანის ქვეყანაში“, ვიმათხოვროთ ტრანშები და ვიცინოთ...

**ვანო აფციაური:** რამდენიმე წლის წინ ჩვენს ქარხანაში კომბაინის წარმოება დავნერგეთ. ზოგიერთი ქართველი ჩინოვნიკი მაშინაც იცინოდა. ასე, სიცილ-სიცილში, იაპონური, 125 მილიონიანი კრედიტით იაპონიიდან შემოიტანეს კომბაინები (რატომღაც, ბრინჯის ასაღები). თითოში 70 ათასი დოლარი გადაიხადეს. ჩვენ მიერ საქართველოში დამზადებული კი თურქმენეთს მივყიდეთ 25 ათას დოლარად... ვინ დარჩა გაცინებული, თავად განსაჯეთ...

საუბარში საწარმოს კონსტრუქტორი, **გია ჭიქარიშვილი** ჩაერთო: არა მხოლოდ ეს, ჩვენს საწარმოში უნიკალური ჰიდროტურბინა დავამზადეთ. კვტ.სთ მსოფლიო სტანდარტებით 700 დოლარი ჯდება. ჩვენ კი ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით 250-მდე დავიყვანეთ. ამას ტრაბახით კი არ ვამბობ, უბრალოდ, იმის აღნიშვნა მინდა, რომ საქართველო არავისზე ნაკლები არ არის. აქ ისეთი მანქანა-დანადგარები გვაქვს, რომ ნებისმიერ მეტალს ნებისმიერ ფორმას მივცემთ. ბოლო-ბოლო, თვითმფრინავს ვამზადებდით და მანქანა რა გაგვიხდება?

**ზვიად ციკოლია:** სხვათა შორის, „კვირის პალიტრის“ მეშვეობით ქუთაისის ავტოქარხნიდანაც დამიკავშირდნენ და თანამშრომლობის სურვილი გამოთქვეს. ჩავალთ, იქაურ ტექნიკურ ბაზას ვნახავთ. ამ საწარმოს ავტომშენებლობის უზარმაზარი გამოცდილება აქვს, დარწმუნებული ვარ, ბევრ რამეში ისინიც დაგვეხმარებიან...

ამასობაში ძრავის პროექტის მთავარი ავტორიც შემოგვიერთდა. **რამზან გოიტემიროვი** ფიზიკის მეცნიერებათა დოქტორია.

**— რაში მდგომარეობს თქვენი ნოვაცია?**

— პირველ რიგში უნდა აღვნიშნო, რომ არანაირი სასწაული არ მოგვიხდენია. უბრალოდ, შიგაწვის ძრავის მოქმედება ფიზიკის გარკვეულ, მექანიკურ კანონს დავუქვემდებარეთ. შედეგად, ძრავის ზომები 2-ჯერ შემცირდა, მისი სიმძლავრე კი 1,7ჯერ გაიზარდა. ახალი ძრავა 8-ჯერ უფრო ეკონომიური იქნება. მისი მოქმედების ახალი პრინციპის გამო, ძრავას არ სჭირდება რადიატორი, ვენტილატორი, ზეთი, კარტერი, „პომპა“ და მათთან დაკავშირებული სხვა კომპონენტები. წარმოებისთვის საკმაოდ მარტივია — 24 დასახელების 104 დეტალია საჭირო, რომელთა უმეტესობაც მანქანათმშენებლობაში უკვე გამოიყენება.

**— ძრავამ საერთაშორისო საპატენტო კომისიის და კინემატიკური სტენდის გამოცდები წარმატებით გაიარა, რეალური აგრეგატი მზად როდის იქნება?**

— ალბათ, ამ თვის ბოლოს. 31-ე ქარხნის მაღალკვალიფიციური სპეციალისტების დახმარებით, წინ საკმაოდ სწრაფად მივდივართ. მთავარ კონსულტაციას კი მეცნიერებათა აკადემიის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტი გვიწევს, მისი უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის, პროფესორ ირაკლი ეჯიბიას სახით. ფაქტობრივად, 90% მზად არის, მაგრამ წინასწარ ლაპარაკი მაინც ძნელია. მიუხედავად იმისა, რომ გამოცდების მიხედვით ყველაფერი რიგზეა, როგორც მეცნიერს, რეალური ძრავის ამუშავების შემდეგ მირჩევნია ვიმსჯელო.

**— ქართული ავტომობილის იდეას თქვენც ეთანხმებით?**

— რასაკვირველია. კავკასიას მხოლოდ ტერორიზმის ბუდედ რატომ უნდა იცნობდნენ? სხვათა შორის, ცნობილი ავტოფირმებისგან იყო წინადადებები, გამოგონება იდეის დონეზევე შეეძინათ, თანაც დიდ თანხად, მაგრამ არ დავთანხმდი. ჩემი უცვლელი პირობაა, ძრავა საქართველოში დამზადდეს. ჩემს ხალხს ხომ ძმა აღარ დარჩა... ბოლომდე მხოლოდ ქართველებმა გვიერთგულეს. ავტომობილის აწყობა კი ჩემთვის საუკეთესო ვარიანტია. დღე-ღამეს გავასწორებ, რომ ძრავის აწყობას მოვრჩე. დარწმუნებული ვარ, საერთაშორისო ავტოსალონზე ჩვენ სიტყვას ვიტყვით...

*„კვირის პალიტრა“ მოვლენათა მსვლელობას ქართული ავტომობილის ირგვლივ აუცილებლად შეგატყობინებთ.*

## ახალი „ხოჭოს“ გადახდილი ვერსია წლის ბოლოს გამოჩნდება

კონცერნ „ფოლკსვაგენის“ წარმომადგენლებმა დაადასტურეს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მთელ მსოფლიოში კვლავ პოპულარული „ხოჭო-მანქანის“ კაბრიოლეტი უკვე მიმდინარე წლის ბოლოს გამოჩნდება გასაყიდად. გადახდილ ავტომობილს ფირმა „ქარმანის“ მიერ შემუშავებული რბილი სახურავის კონსტრუქცია ექნება. მასზე მუშაობისას კონსტრუქტორებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს უსაფრთხოების ზომებს — როდესაც ავტომობილი ტრიალდება, კაბრიოლეტის ყველაზე სუსტი და ამასთან, საშიში ადგილი გადასახდელი სახურავია. ამის გამო, „ქარმანის“ კონსტრუქტორებმა პირველ რიგში საქარე მინის საყრდენების გამაგრებაზე იზრუნეს, გარდა ამისა, ძარის შუა ნაწილშიც სპეციალური ფოლადის ძელი იქნა ჩამატებული.

## ახალი „იაგუარი“

დიდი ბრიტანეთის საზოგადოებას მომავალ წელს ახალი, წარმომადგენლობითი კლასის „იაგუარს“ წარუდგენენ. ახალი მოდელი სამი წლის განმავლობაში მზადდებოდა. იგი DEW98-ის ბაზაზეა აგებული, თუმცა, მის დიზაინსა და ტექნიკურ მახასიათებლებში კონსტრუქტორებმა ბევრი სასიკეთო ცვლილებაც შეიტანეს — განსაკუთრებით აღსანიშნავია კომფორტული კაბინეტივით მოწყობილი დიდი სალონი და მისი კომპიუტერული უზრუნველყოფა. ამასთან, ახალი „იაგუარი“ საკმაოდ ძლიერი ძრავებით დაკომპლექტდება — 3,3ლ მოცულობის 250 ცხ.ძ და 4,3ლ V8 400 ც.ხ.ძ სიმძლავრით.

***გვერდი მოამზადა დაჩი გრძელიშვილმა***





აირზენა
საქართველოს ავიახაზები

ავიაკომპანია „აირზენა საქართველოს ავიახაზები“ გთავაზობთ ყოველდღიურ რეისებს ევროპაში და ამ ქალაქების გავლით მსოფლიოს ყველა კუთხეში

მოსკოვი A9-930 – ყოველდღე (გაფრენა 07:30 სთ)

პარიზი A9-627 – ორშაბათი (გაფრენა 05:50 სთ)
პარიზი A9-627 – პარასკევი (გაფრენა 05:50 სთ)

ვენა OS/A9-654 – სამშაბათი (გაფრენა 05:45 სთ)
ვენა A9/OS-681 – ხუთშაბათი (გაფრენა 08:00 სთ)
ვენა OS/A9-654 – შაბათი (გაფრენა 05:45 სთ)
ვენა A9/OS-681 – კვირა (გაფრენა 08:00 სთ)

ფრანკფურტი A9-621 – ორშაბათი (გაფრენა 15:30 სთ)
ფრანკფურტი A9-621 – შაბათი (გაფრენა 15:30 სთ)

თელ-ავივი A9-695 – ორშაბათი (გაფრენა 16:25 სთ)

ათენი A9-693 – სამშაბათი (გაფრენა 23:10 სთ)
ლარნაკა – სამშაბათი (გაფრენა 23:10 სთ)

კიევი A9-657 – პარასკევი (გაფრენა 16:00 სთ)

ინფორმაციისთვის დარეკეთ: ტელ: 387 103; 252-674
ქ. შარტავას ქ. 40, თბილისი 380060, საქართველო


CMYK

# დღესაც შეიძლება გახდე გრაფი მონტე-კრისტო




ინდოეთის სანაპიროსთან ჩაძირული უმდიდრესი ქალაქების საძიებლად ასობით პროფესიონალი მყვინთავი და განძის მაძიებელი გაემგზავრა — რასაკვირველია, ყველას უნდა გრაფი მონტე-კრისტოს მსგავსად გამდიდრება.

სპეციალისტების ცნობით, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში 600 ჩაძირული ქალაქია. ეჭვობენ, რომ ვიღაც-ვიღაცები ჩუმ-ჩუმად უკვე სარგებლობენ წყალქვეშა განძით. ერთ-ერთი ასეთი ქალაქია ლეგენდარული მაჰაბალ-პურამი. აპრილის დასაწყისში შემდგარმა ექსპედიციამ პირველად სამეცნიერო მიზნებით გამოიკვლია ეს ღირსშესანიშნაობა.

ინგლისელი მყვინთავის მონტი ჰოლსის თქმით, სანაპიროდან 1 მილის დაშორებით 20 ფუტის სიღრმეზე მყვინთავებმა ნახეს გრანდიოზული გრანიტის ბლოკები, რომლისგანაც იყო აგებული ქალაქის გალავანი და შენობები, თანაც ძველი ქალაქის ნანგრევები გადაჭიმულია რამდენიმე მილზე.

***ჯენტი***

# ყველაზე ორთოდოქსი იუდეველები უგანდელები არიან

...ასეთი პარადოქსული დასკვნა გააკეთა აშშ-ისრაელის რაბინთა დელეგაციამ უგანდაში ყოფნისას. როგორც გაირკვა, უგანდელი იუდეველები ფეისახის (პასექის) დღესასწაულზე ახლაც სწირავენ მსხვერპლად შინაურ ცხოველებს.

1919 წელს ამ ნეგროიდული ტომის ბელადმა ნებაყოფლობით შეისწავლა იუდაიზმი და თავისი ქვეშევრდომებითურთ ქრისტიანობაზე უარი თქვა. ტომი აბაიუდაია (ასე ეწოდებათ უგანდელ იუდეველებს) იუდეველთა კანონებით უკანასკნელ დრომდე მართლმორწმუნედ არ ითვლებოდა, რადგან მათი მოქცევის რიტუალი წესისამებრ არ ჩატარებულა. ამიტომ სტუმარმა რაბინებმა ეს ნაკლი გამოასწორეს და სოფელ ნაბუგოიაში მოქცევის ცერემონია ჩაატარეს.

***ელ მუნდო***

# დედიკოს ბიჭების ზეიმი



თქვენი 30 წლის „ბიჭუნა" ჯერ კიდევ უმუშევარია? ზარმაცი მეოთხეკურსელი „გოგონა" უნივერსიტეტიდან გარიცხეს? მემკვიდრე მშობლების კისერზეა და თითსაც კი არ ატოკებს, თავი რომ ირჩინოს? ოხვრა და საყვედურები ვერაფერს გიშველით — კეთილი ინებეთ და თვითონვე არჩინეთ საყვარელი შვილები. თუკი გაბედავთ და იუარებთ, სასამართლოს წინაშე წარდგებით. იტალიის საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ამიერიდან მშობლები ვალდებულნი იქნებიან არჩინონ შვილები, მათი ასაკის მიუხედავად. პრეცედენტი მას შემდეგ შეიქმნა, როცა სასამართლომ ვინმე ჯუზეპე ა-ს საჩივარი განიხილა. ჯუზეპე დიდხანს ეცადა თავისი გზააარეული ვაჟი გზაზე დაეყენებინა. უმუშევარ და მუქთახორა მარკოს სასამართლო პროცესზე უამრავი ცნობა ჰქონდა მიტანილი, სადაც დასტურდებოდა, რომ „ცნობის წარმომდგენი საპატიო მიზეზით არსად არ მუშაობს".

სასამართლომ გამოიტანა ვერდიქტი — მამამ შვილს ყოველთვიურად 750 ევრო უნდა უხადოს.

***ეხო პლანეტი №18***

# ინტერნეტს მალე გადაიტანენ

2000 წელს დასავლელი მოქალაქე ინტერნეტში დღეში საშუალოდ 90 წუთს ატარებდა. ახლა ეს დრო 83 წუთამდე შემცირდა. ინტერნეტის ცნობილი პიონერებიც კი აცხადებენ, რომ ქსელი მობეზრდათ, როგორც ძველი გაქუცული ქუდი. ერთდროულად იხურება ბევრი საიტი. მუშტარი ჰყავს მხოლოდ მას, რომელიც დაკავშირებულია პორნოგრაფიასთან.

ამერიკელ ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ ინტერნეტმა ზღვარს მიაღწია და ვერ ეწინააღმდეგება ინფორმაციის ისეთ ძლიერ საშუალებას, როგორიც არის თანამგზავრული და საკაბელო ტელევიზია.

ქსელს ერთადერთი როლიღა შემორჩა — ელექტრონული ფოსტის გაცვლა.

ხალხი აღარ მოგზაურობს საიტით, ვინაიდან გაცილებით საინტერესოა (თანაც მეტად იაფი) და ადვილი სატელევიზიო პულტის ღილაკზე თითის დაჭერა.

ევროპაში ტელევიზია ჯერჯერობით პირველ ადგილზეა. თუმცა, მაგალითად, ინგლისში აღინიშნება რადიოს პოპულარობის მკვეთრი ზრდა. იქ ინტერნეტი მე-5 ადგილზეა, მას უსწრებენ კინო, ჟურნალები, გაზეთები და წიგნები.

***გარდიანი***

# ფაიფურის კბილები ნაგაზისთვის



დანიურ ნაგაზს, სახელად ტაიკოს, ქათქათა ფაიფურის კბილი ჩაუდგეს — რადგან ამ ოპერაციას მსოფლიოში ანალოგი ჯერ არ ჰქონია, ძაღლის პატრონს ერთი კრონიც არ გადაუხდია (წინააღმდეგ შემთხვევაში მას 50.000 კრონის, ანუ 7.000 ევროს გაღება მოუხდებოდა).

უნიკალური ექსპერიმენტის ავტორი ექიმი-სტომატოლოგი ტომ ოლსენია. ყოველწლიურად იგი თავის პაციენტებს დაახლოებით 160 ფაიფურის კბილს უდგამს. ამიტომაც არ გასჭირვებია ნაგაზისთვის ეშვის ჩადგმა, რომელიც ჯერ კიდევ პატარამ დაკარგა. სტომატოლოგის აზრით, მაგარი კბილები პოლიციელთა ძაღლებს უფრო სჭირდებათ, რადგან კბილდაკარგული მეძებარი დამნაშავის დასაჭერად აღარ გამოდგება. გარდა ამისა, სტომატოლოგს უამრავი კლიენტი გაუჩნდება ძაღლების მდიდარი მეპატრონეების სახით.

***ვოკრუგ სვეტა №18***

# ჩიტის მოტანილი ამბები

**ვინ იყო პირველი ხაბაზი.** თურმე, ჯერ კიდევ ძველ იუდეაში ცხვებოდა პური თხელი ბლინების სახით, ეგვიპტეში კი, დაახლოებით 3000 წ.ჩვ.წ.აღ-მდე გამოიგონეს საფუარი, სწორედ მაშინ გაჩნდა პირველი მაღალი პური. სხვათა შორის, მხოლოდ ხორბალი შეიცავს მცენარეულ ცილას, რომლის მეოხებითაც პური ცხვება მაღალი და ფუმფულა, ჰაეროვანი და გემრიელი. ეს თვისებები არ ახასიათებს ჭვავის ფქვილს, ამიტომ მას ხშირად ურევენ ხორბლის ფქვილს. საერთოდ, ბისკვიტები, ნაზუქები და ფუნთუშეული ცხვება ხორბლის, სიმინდის, ბრინჯის, ჭვავისა და შვრიის ფქვილით, მაგრამ სხვადასხვა ქვეყანაში პურს აცხობენ სხვადასხვანაირად. მექსიკაში კვერებს აცხობენ სიმინდის ფქვილით, შოტლანდიაში — შვრიის, შვედეთში — ჭვავის ფქვილით. ზოგიერთ ქვეყანაში პურს უმატებენ მუხუდოს, ზოგან — ბრინჯს, რკოს.

**სად შეიქმნა პირველი კანფეტი?** გათხრების დროს ეგვიპტეში აღმოჩენილ უძველეს ნახატებზე აღბეჭდილია დღევანდელი კანფეტის წინაპრის — ტკბილეულის დამზადების პროცესი. როგორც ირკვევა, იმ დროისთვის უცნობი იყო სუფთა შაქარი და მის ნაცვლად იყენებდნენ თაფლსა და უნაბს, აღმოსავლეთში კი — ნუშსა და ლეღვს. ძველ რომში კაკლისა და ყაყაჩოს თესლს თაფლთან ერთად ადუღებდნენ და ამატებდნენ შირბახტის თესლს, რომელიც ნუგას წააგავდა. როდესაც XVII ს.-ში ევროპაში შემოიტანეს შაქარი, საკონდიტრო საქმე აყვავდა, ფრანგებმა თანდათან მოიგონეს ტკბილეულის ახალ-ახალი რეცეპტები.

**რად სჭირდება ზღარბს ვაშლი?** ყველასათვის ცნობილია გამოსახულება — ზღარბს ეკლებზე წამოცმული ვაშლი მიაქვს. მაგრამ რატომ აკეთებს ამას, თუკი მთელი ზამთრის განმავლობაში უჭმელ-უსმელს სძინავს, ერთეულები თუ უპასუხებენ. თანაც მცენარეულ საკვებს ზღარბები ნაკლებად ეტანებიან, ძირითადად მწერებს, ხვლიკებს და გველებს მიირთმევენ. ვაშლი კი მხოლოდ ჰიგიენისთვის სჭირდებათ. საქმე ის არის, რომ ტყეში სიარულისას ზღარბები ეკლებით ედებიან ბალახს, ტოტებს და სხეულზე უგროვდებათ უამრავი მწერი-პარაზიტი. მათი ნაკბენი ეკლიან ცხოველებს ექავებათ. ამ მწვალებლებისგან თავის დასახსნელად ზღარბებს ეხმარება ვაშლის მჟავე წვენი, რომელიც რწყილებს და ტკიპებს ანადგურებს.

**ფიგუს მუსიკალური დებიუტი.** პორტუგალიის საფეხბურთო ნაკრების მოთამაშის, ლუიშ ფიგუს მუსიკალური დებიუტი, როგორც ამბობენ, ბრწყინვალედ შედგა. ესპანეთის „რეალის" 30 წლის ნახევარმცველმა კოლეგა ჟოაუ პინდუსთან ერთად მონაწილეობა მიიღო სინგლ „მუნდიალის" ჩაწერაში. „მუნდიალი" იაპონიასა და სამხრეთ კორეაში მსოფლიო ჩემპიონატისთვის საგანგებოდ დაიწერა. კლიპი პორტუგალიაში გადაიღეს. მეორე დღეს ყველა გაზეთმა დაბეჭდა შავსათვალიანი და მოდურვარცხნილობიანი ფიგუს ფოტო, რომელსაც მხარს პორტუგალიელი მუსიკოსი პაულო გონელი უმშვენებდა.



**საათი ბავშვის ადგილსამყოფელს დაადგენს.** ინჟინრებმა ბავშვებისთვის შექმნეს საათი, რომელშიც ჩამონტაჟებულია თანამგზავრული სანავიგაციო სისტემა. საათის საშუალებით შესაძლებელია ბავშვის ადგილსამყოფლის დადგენა სპეციალური მიმღების საშუალებით. ასე რომ, მშობლებს შეეძლებათ მუდმივად თვალყური ადევნონ თავიანთ შვილებს.

**22 დღე ტბის თავზე.** ჩინელმა ჯამბაზმა ადილიმ გადაწყვიტა ჯამბაზური გმირობა ჩაიდინოს — ტბა ძინჰაის თავზე 35 მ-ის სიმაღლეზე ბაგირი გაიჭიმება. აკრობატული ოჯახის დავაზების წარმომადგენელი ყოველდღიურად 5-საათიან წარმოდგენებს გამართავს. ღამღამობით მამაცი ადილი საგანგებო მაღლივ ნაგებობაში დაისვენებს. ასე ჯამბაზობაში გაატარებს 22 დღეს ტბის თავზე. ხომ უნდა გაამართლოს 430-წლიანი საგვარეულო ჯამბაზური მემკვიდრეობა?!

**მუსიკა... მავნეა!** ისრაელელი ფსიქოლოგების აზრით, მძღოლები, რომლებიც მანქანის მართვის დროს უსმენენ მუსიკას, თავისდა უნებურად უმატებენ სიჩქარეს და ხშირად ავარიის მსხვერპლნიც ხდებიან. თურმე ამ დროს მათი ყურადღება ქვეითდება და რაც უფრო ხმამაღალი და რიტმულია მუსიკა, მით უფრო უყურადღებონი ხდებიან მძღოლები. ასე რომ, ჯანმრთელობისთვის საშიშად არსებულ ტრადიციულ ფაქტორთა სიას (მობილურზე ლაპარაკი, მოწევა და ა.შ.), სპეციალისტების აზრით, უნდა მიემატოს მუსიკის მოსმენაც.

# დამნაშავეა ბინ ლადენი!

პარიზელებს კარგად ახსოვთ ქალაქისთავის ივ კონტსოტის დანაპირები: ერთ წელიწადში ქუჩებს ძაღლების ფეკალიებისგან გავწმენდთო. წელიწადი გავიდა და პარიზის ქუჩები კვლავ დაუსუფთავებელია. რა თქმა უნდა, მოინახა მთავარი დამნაშავე — ბინ ლადენი და მისი ტერორისტები. კონტსოტის გეგმის მიხედვით, პარიზის ქუჩებში დაიდგა სპეციალური კონტეინერები, რომელშიც ძაღლების მეპატრონეთ სოლიდური ჯარიმის შიშით, მათი ოთხფეხა მეგობრების ექსკრემენტები უნდა ჩაეყარათ. 11 სექტემბრის შემდეგ კი გაჩნდა საშიშროება, რომ კონტეინერებში შესაძლოა ასაფეთქებელი მოწყობილობები ჩაედოთ და ამიტომ სასწრაფოდ აიღეს. მერმა კი გადაწყვიტა, ქალაქის ბიუჯეტიდან დაეფინანსებინა მწმენდელთა ჯგუფები, რომლებიც დილა-საღამოს დააწკრიალებდნენ ქუჩებს. ეს პროცესი ალბათ მანამდე გაგრძელდება, ვიდრე რომელიმე „ფხიზელი თვალი" არ იტყვის, მოვაშოროთ აქაურობას მწმენდავები, რომ ვინმემ მათ შორის ეკოტერორისტი არ ჩანერგოსო.

***ნიუზუიქი***

# მოქეიფე სულები

ინგლისური ლუდხანა „სამეფო შევარდენის" მეპატრონემ, ტერი მეგსმა თავისი ბიზნესი დააზღვია... მოჩვენებებისგან.

მეგსი იმდენად შეაღონა თურმე იდუმალი სტუმრების ვიზიტებმა, რომ სადაზღვევო კომპანია „ულტრაფიოლეტს" მიმართა. ფირმა თანახმაა, ლუდხანის პატრონს აუნაზღაუროს ზარალი იმ შემთხვევაში, თუკი უსულო არსებები მიაყენებენ. მეგსი, ძირითადად, ერთი ბერის სულისგან იზღვევს თავს, რომელიც ღამღამობით მიბრძანდება პაბში თავის მეგობარ სულებთან ერთად და მხიარულად ატარებს დროს. ტერი მეგსი ირწმუნება, ერთხელ თავშიც კი წამითაქესო.

საფოლკის საგრაფოში ტერი მეგსმა ათი წელია, რაც ლუდხანა გახსნა და ამ ხნის მანძილზე ისე შეერყა ნერვები უწმინდურ ძალასთან ბრძოლისაგან, რომ „ულტრაფიოლეტს" 500 გირვანქა სტერლინგს უხდის ყოველთვიურად. სხვათა შორის, ფირმამ კონტრაქტში დააფიქსირა, რომ პაბის მეპატრონე დაზღვევის თანხას მხოლოდ მაშინ მიიღებს, თუ ზარალი სახელდობრ მოქეიფე სულებისგან მიადგება და არა ლუდის ყლურწვით შექეიფიანებული კლიენტებისაგან.

***სტარი №18***

# ჟურნალ „კარუსელის" საფირმო კროსვორდი „კვირის პალიტრისთვის"



**შევსების წესი: უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის უჯრებში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრებში მარლონ ბრანდოს ფრაზას ამოიკითხავთ.**

| კ | ვ | ი | რ | ი | ს | პ | ა | ლ | ი | ტ | რ | ა | შ | ე | ნ | ი | გ | ა | ზ | ე | თ | ი | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| ი | ა | ს | ი | ნ | ი | ს | ო | ვ | გ | ს | ტ | ა | ა | ნ | ა | ა | ნ | ი | ა | ი | ი | ი | უ |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |

**კ.** ნარკოტიკული საშუალება; **ვ.** გერმანიის რესპუბლიკის სახელწოდება 1918-1932 წლებში; **ი.** ჟამთასვლის რომაული ღვთაება, რომელსაც ორი პირისახით გამოსახავდნენ. ერთი წინ იყო მოქცეული, მეორე — უკან; **რ.** რა მდინარე ჩამოდის ონსა და ამბროლაურში; **ი.** მოსკოვის „დინამოს" ლეგენდარული მეკარე; **ს.** ანსამბლი, რომლის მთავარი სოლისტიც კრის ნორმანია; **პ.** ტროას მეფის, პრიამოსის, შვილი, რომელმაც სპარტის მეფის, მენელაოსის ქალიშვილი, მშვენიერი ელენე მოიტაცა, რაც ტროას ომის დაწყების საბაბი გახდა; **ა.** თავისთავად ცხადი ჭეშმარიტება; **ლ.** მდინარე აღმოსავლეთ საქართველოში; **ი.** დონ კიხოტის წოდება; **ტ.** ამერიკის შტატი, სადაც მოკლეს პრეზიდენტი კენედი; **რ.** სია, ნუსხა, ჩამონათვალი; **ა.** ქვითკირის სამარე; **შ.** ყვავილი, რომლის გამოსახულებაც მილედი უინტერს მხარზე დაღად ჰქონდა დასმული; **ე.** ლითონის საჟღარუნებელი; **ნ.** აწ გარდაცვლილი ქართველი მსახიობი მამაკაცი; **ი.** იაპონური დეკორატიული ხელოვნება. ყვავილებითა და ფოთლებით რაიმე გამოსახულების შექმნა; **გ.** გრძელხელება მაიმუნი; **ა.** გამოუწვავი აგური; **ზ.** ნოდარ წულეისკირის ნაწარმოები; **ე.** სახელმწიფო ახლო აღმოსავლეთში; **თ.** პატარა მღრღნელი ცხოველი; **ი.** ფაშიზმის სამშობლო; **ა.** პრივილეგირებული წოდება.

***წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:***

**დ.** დიდგორი; **ა.** ათინათი; **ი.** იმამატი; **ს.** საცივი; **ვ.** ვოინიჩი; **ე.** ექსტაზი; **ნ.** ნეაპოლი; **ე.** ელდარი; **კ.** კლანი; **ვ.** ვასალი; **ი.** იტალია; **რ.** რაჭა; **ი.** ილუზია; **ს.** სარკომა; **პ.** პრიზი; **ა.** აქსიომა; **ლ.** ლუიდორი; **ი.** იასონი; **ტ.** ტოგა; **რ.** რაუნდი; **ა.** ატლანტი; **ს.** სკიპტრა; **თ.** თხუნელა; **ა.** აბსცისა; **ნ.** ნიუტონი; **ე.** ეუსებიო; **რ.** რჯული; **თ.** თორა: **ა.** არიზონა; **დ.** დრაკონი.

გამუქებულ უჯრებში იკითხება: **დიაცისა და საჭურისის გული უსუსურია.**

CMYK

## №19 (293) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

რეიტინგს 823 მკითხველი გამოეხმაურა. 8 ბარათი არასწორად იყო შევსებული. 312-მა ქალმა და 503-მა მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„რომელმა პიროვნებამ დაკარგა ყველაზე დაუმსახურებლად სავარძელი?“**

როგორც შედეგებმა გვიჩვენა, ჩვენი მკითხველების აზრით, თავისი პოსტი ყველაზე დაუმსახურებლად სახელმწიფო ექსმინისტრმა — გია არსენიშვილმა დაკარგა. რესპონდენტთა 40-მა დაუწერა მას მაქსიმალური — 8 ქულა. **6,65** საშუალო ქულით იგი პირველ ადგილზეა.

შემდეგ ადგილზე ლევან ძნელაძეა, საშუალო ქულაა 5,95. მკითხველთა 25 თვლის, რომ საგადასახადო შემოსავლების ყოფილმა მინისტრმა ყველაზე უსამართლოდ დაკარგა მინისტრის პორტფელი.

ზურაბ ჟვანია 5,90 საშუალო ქულით მესამე ადგილზეა. ჟვანიამაც და ლევან ძნელაძემაც ზუსტად ერთნაირი რაოდენობის მინიმალური ქულები (1,23) დაიმსახურეს. უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ ისინი არიან ყველაზე ცოტა მინიმალური ქულების მფლობელნი.

ჩვენი მკითხველების აზრით, აქ ჩამოთვლილ პიროვნებათა შორის სავარძელი ყველაზე დამსახურებულად კახა თარგამაძეს დაუკარგავს — რესპონდენტთა 60-მა დაუწერა მას მინიმალური — 1 ქულა. ამ ნიშნით მეორე ადგილზე №1 ტერორისტად შერაცხული იგორ გიორგაძეა — რესპონდენტთა 28-მა შეაფასა იგი მინიმალური ქულით.

შს ყოფილი მინისტრი კახა თარგამაძე 1,74 საშუალო ქულით სულ ბოლო ადგილზეა.

რესპონდენტ ქალებთან პირველი სამეული ასეთია: 1. გია არსენიშვილი, 2. ზურაბ ჟვანია, 3. ლევან ძნელაძე.




საპრიზოს ზუსტად მხოლოდ ერთი ბარათი-რეიტინგი დაემთხვა. ჩვენი გამარჯვებული თბილისელი **ნაზი არჩვაძეა.**

გამარჯვებულს ვულოცავთ და პრიზის — 100 ლარის მისაღებად ველით რედაქციაში ოთხშაბათს, 22 მაისს, 17 საათზე.

## მკითხველის რეიტინგის შედეგები

**მიიღებთ თუ არა მონაწილეობას ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში?**

**დიახ 58,4%** **არა 21,8%** **არ ვიცი 19,8%**

## №20 (294) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

**„კვირის პალიტრა“** თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

**100 ლარი**

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება **„კვირის პალიტრის“** მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

* საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, მონაწილეობა მიიღოთ *მკითხველის რეიტინგში*.

№20 (294) **საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში ჩააგდეთ ოთხშაბათის, 22 მაისის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 23 მაისის 13 საათამდე.**

© თბილისი

**თემა №20 (294)**
**პოლიტიკოსები**

**თქვენი აზრით, პირველ რიგში რა აღძრავს ხალხში პოლიტიკოსებისადმი ნდობას** (ჩამოთვლილთაგან)**?** დაუწერეთ მას **8** ქულა, მომდევნოს — 7 და ა.შ. 1-მდე.

**№20(294) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი**

| N | | ქულა |
|---|---|---|
| 1 | ორატორული ნიჭი | |
| 2 | ქველმოქმედება | |
| 3 | პოპულიზმი | |
| 4 | სიმტკიცე, პრინციპულობა | |
| 5 | პატიოსნება | |
| 6 | გამოცდილება | |
| 7 | ინტელექტი | |
| 8 | მოხერხებულობა | |

**მკითხველის რეიტინგი**

**თქვენი აზრით, ვინ გახდება მსოფლიო ჩემპიონი ფეხბურთში?**

✓ ______________________

თქვენი სახელი, გვარი ______________________

ქალაქი (რაიონი) ______________________

ასაკი ______________ ტელეფონი ______________

**„კვირის პალიტრის“ ყუთებში მითითებულ დროზე გვიან მოთავსებული ბარათები კონკურსში არ მონაწილეობს**




*რესპონდენტთა 8,7%-მა განაცხადა, რომ არც ერთ პარტიას არ მისცემს ხმას; 11,1%-მა — მიჭირს პასუხის გაცემა/ჯერ არ გადამიწყვეტია; 0,4%-მა — საიდუმლოა. დანარჩენმა 2,2%-მა სხვა პარტიები დაასახელა.*

*ეს მხოლოდ ჩვენი მკითხველების გამოკითხვის შედეგებია, საუკეთესო პარტიას კი, ალბათ, არჩევნები გამოარჩევს.*

*მკითხველის რეიტინგში 728 რესპონდენტი მონაწილეობდა.*

## © · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა ·

*გთავაზობთ თქვენთვის ნაცნობი პიროვნებების ფოტოებს. გთხოვთ, პასუხები გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყველაზე ორიგინალური პასუხები გამოქვეყნდება გაზეთის შემდეგ ნომერში.*

**რას დაარქმევდით?**

______________________

______________________

______________________

______________________

______________________

თქვენი სახელი, გვარი ______________________

ქალაქი (რაიონი) ______________________



**ვაჟა ლორთქიფანიძე, კობა ბუჩუკური, ზურაბ ჟვანია**



**ხათუნა გოგორიშვილი, ჯუმბერ ლომინაძე**

***წინა ნომერში გამოქვეყნებულ „ფოტოპალიტრას“ 158 მკითხველი გამოეხმაურა, მადლობას ვუხდით მათ. ვაქვეყნებთ რამდენიმე ორიგინალურ პასუხს.***

**ჯ.ლ.** — ესე იგი, გაწევ ერთ სათითეს, მიაყოლებ მეორეს, მერე ჰოპ! აბა, რომელშია?
**ხ.გ.** — აი, ამაში!
**ჯ.ლ.** — იმაში კი არა, აგერ მაქვს, მარჯვენა ხელში... (წინასაარჩევნო ვარჯიშები).

***პაატა ჩიქოვანი, სენაკი***

**ხ.გ.** — მიშველე, ჯუმბერ ბიძია, რაღაც ერთი ბიულეტენის გამო სამსახურიდან მაგდებენ.
**ჯ.ლ.** — აწი რა გიშველო, ჩემო ბიძია, ერთხელ გაგივიდა, მეორედ, მესამედ, ახლა კი მთლად თავს გაგივიდა.

***ზ. კვირკველია, თბილისი***

**ჯ.ლ.** მღერის:
მერვე კლასელოო,
გამყალბებელოო...

***ტ. მელიქიძე, თბილისი***

**ხ.გ.** — ბატონო ჯუმბერ, ერთი წუთით თუ შეიძლება, ძალიან მნიშვნელოვანი თხოვნა მაქვს, შეიძლება ითქვას, რომ სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია ჩემთვის!
**ჯ.ლ.** — გისმენ, ხათუნა, თქვი!
**ხ.გ.** — შეიძლება, იმ კანფეტს შევჭამ!

***ვახო, დრანდა***

**ხ.გ.** — ამ ადგილობრივ არჩევნებში მოქკავშირი გაიმარჯვებს.
**ჯ.ლ.** — როგორ, მაგენი ხომ რეგისტრაციაში არ გაატარეს.
**ხ.გ.** — როგორ და მაგათი ბიულეტენები ჯერ კიდევ შარშან ჩავამონტაჟეთ საარჩევნო ყუთებში.

***ქორეთელი, საჩხერე***

**ხ.გ.** — ფეხებს ვერ მომჭამენ!
**ჯ.ლ.** — ვა, კალაბოკი და ფეხები?!

***ქარელი***

**ჯ.ლ.** — ბიძიკო, უფერული ფანქრები გაბაზრებულია, ახლა რა ვქნათ?
**ხ.გ.** — ბ-ნო ჯუმბერ, ილუზიონისტთან ვვარჯიშობდი, შემიძლია თქვენ ბიულეტენის მაგივრად საარჩევნო ყუთში ჩაგიშვათ და გადაგხერხოთ კიდეც.

***ტრისტანი, თბილისი***

**ჯ.ლ.** — გავიგე, თითქოს ამ არჩევნებში სამართლიანობის შემოტანა სურთ.
**ხ.გ.** — ნეტავ ვის უნდა ეს კონტრაბანდა იმ ქვეყანაში, სადაც ის ნაკლებად ფასობს?

***მამუკა ჩხიროძე, სამტრედია***

**ჯ.ლ.** აწვდის ბიულეტენებს და ეუბნება: „ტუგლი, ტუგლი, პატარა გოგო, აჰა ჩაიტკბარუნე პირი!!! (მულტფილმიდან „წუნა და წრუწუნა“)

***„ხენჩო“, თბილისი***

**ხ.გ.** — ბ-ნო ჯუმბერ, რა დიეტას იცავთ, ასეთი გამხდარი რომ ხართ?
**ჯ.ლ.** — დიეტა რად გინდა, ჩემო ხათუნა? აი, რომ მოგხსნიან და პურს ველარ შეჭამ, თავისთავად გახდები.

***თ. ხუციშვილი, თბილისი***

**ჯ.ლ.** — აბა თუ იცი, რასა აქვს ყველაზე დიდი კვერცხი?
**ხ.გ.** — შპილოს!
**ჯ.ლ.** — დაჯექი, ხათუნა, ორი!
**ხ.გ.** — ხო, ხო, ორი, ორი, დიდი, დიდი!

***ალიკო ნადირაშვილი, თბილისი***

## ფოტო განწყობისთვის



— ცოცხალი ჰოთ-დოგი ვარ...

26/V სავსე მთვარე

მაგნიტური დღეა
23/V — 10-დან 12 სთ-მდე

## წინა სკანვორდის პასუხები







## ქართულ წამალ „სალხინოს" გამოაქვს ჩირქი ნებისმიერი რბილი ქსოვილიდან

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები, როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი, გამონადენი, ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმლების არეში, შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია, მიიღეთ წამალი „სალხინო" და მოგიხსნით ამ პრობლემებს. „სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

„სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტი, გასტრიტი, ნეფრიტი, გინგივიტი, სტომატიტი, ბრონქიტი და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. „სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი „სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს — მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ „სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ და რეგისტრირებულია, მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია. იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.


„კვირის პალიტრის" უფასო განცხადების ქვითრით შემოსული განცხადებები გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის" დამატებაში — გაზეთში „სიტყვა და საქმე" (აქ განთავსებული განცხადება „კვირის პალიტრაზე" არანაკლებ ეფექტიანია).
„კვირის პალიტრაში" კი, ქვეყნდება მხოლოდ ფასიანი განცხადების ქვითრით შემოსული განცხადებები. ქვითრები იყიდება საგაზეთო ჯიხურებში (ფასი 4 ლარი — 20 სიტყვა).

„უფასო განცხადების ქვითარი" ჩააგდეთ „კვირის პალიტრისა" და „სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთებში. ყუთები იცლება თბილისში ხუთშაბათობით 13 სთ-დან. მათი განთავსების ადგილებია - თბილისში: მეტროპოლიტენის ყველა სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე; დოლიძის ქუჩის კუთხეში; საბურთალოს ბაზრის შესასვლელთან; ორთაჭალაში - გორგასლის ქუჩაზე (ციხესთან) და ავტოვაგზალთან; მოსკოვის გამზირის ბოლოში; ჩოლოყაშვილის (5 დეკემბრის) ქუჩის ბოლოში; დიდუბის ავტოსადგურთან; დიდ დიღომში:იოანე პეტრიწის ქ. 3 - სურსათის მაღაზის წინ; მე-3 მ/რ-ნი, მე-15 კორპ. წინ - ავტობუსების გაჩერებასთან; დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის გამზ. გადაკვეთაზე, ბანკის წინ, ავტობუსის გაჩერებასთან; დავით აღმაშენებლის გამზ. მუსკომედიის წინ, გაჩერებასთან; ჩიქობავას (საბჭოს) მოედანზე; ზაარბრიუკენის (ვორონცოვის) მოედანზე; ნაძალადევში კი „საქართველოსთან", წერეთლის გამზ. გამოფენის წინ, გაჩერებასთან, „თელასთან" და სტადიონთან; დიდუბეში, „სამთო ქიმიის" გაჩერებასთან; დიღომში - მეგობრობის გამზ. პოლიციასთან, უნივერსამის მიმდებარე გაჩერებასთან; მანქანების ბაზრობის ორივე შესასვლელთან; ვაკეში - კავსაძის ქუჩაზე; ჭავჭავაძის 46 და უნივერსიტეტის I კ.-თან; რუსთაველის 34; ბაგებში - გაჩერებასთან; გამსახურდიას გამზ. - ვ.ფშაველას დასაწყისში; ქავთარაძის ქუჩაზე - იზოტოპების ინსტიტუტთან, ბოლო (უნივერსიტეტის) გაჩერებასთან; ნუცუბიძის ქუჩაზე: II მკრ-ის ასახვევთან და „საქართველოს ბანკთან".

ქალაქებში და რაიონებში: მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ქუთაისი, წყალტუბო, სამტრედია, თერჯოლა, ხონი, აბაშა, სენაკი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, რუსთავი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ბორჯომი, ახალციხე – არსებული „სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთები იცლება ოთხშაბათობით 10 საათიდან. ახმეტასა და დედოფლისწყაროში ყუთები დაიცლება ყოველი თვის ბოლო ხუთშაბათს 10 სთ.-დან. ბოლნისში თვის III კვირის ოთხშაბათს 12 სთ-დან. ჟინვალსა და დუშეთში – თვის III კვირის ოთხშაბათს.

**ყურადღება: „კვირის პალიტრის" (გაზეთის) საფოსტო (საკორესპონდენტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით.©**

### (20) უფასო განცხადების ქვითარი

განცხადების ტექსტი ____________________

სიტყვა და საქმე

გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით)

გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება

№20 ქვითარი „კვირის პალიტრის" ყუთებში ჩააგდეთ 23 მაისის (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე

* * *

რომის ერთ-ერთ ულამაზეს და უცნობილეს ადგილას — ესპანეთის მოედნის კიბეზე დიდი პომპეზურობით ჩატარდა ევროშოკოლადის გამოფენა, რომელზედაც გამოიტანეს 3000 ცალი შოკოლადის კვერცხი. გამოფენის დასრულების შემდეგ კვერცხები ფილებად გადაადნეს და გაყიდეს — თითო 15 ევროდ. ფესტივალი სახელწოდებით „ღმერთების საკვები" მთელი კვირა გაგრძელდა და მსოფლიოში ყველაზე დიდი კვერცხის (6,5 მ სიმაღლე, 3,7 მ დიამეტრი) პრეზენტაციით დასრულდა.




**ფირმა „ბერმუხა"**



ბრტყელი და თუნუქის სახურავების, საძირკვლების და აუზების ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოები ადგილობრივი და უცხოური მასალებით, რესპუბლიკის ტერიტორიაზე. გარანტია 10 წელი.
წერეთლის გამზ. №55, ბინა №53
☎96-06-00; 35-15-05; 899-50-06-50


* * *



ერთი ქალბატონი ეკითხება მეორეს:

— რატომ გადაწყვიტა შენმა დამ კბილის ექიმობა?

— მოსწონს, როცა მამაკაცები პირდაღებულები და თვალებგადმოცვენილები შეჰყურებენ...

* * *



განცხადება: „იყიდება ნერვული სისტემა შესანიშნავ მდგომარეობაში — მომენტალურად იქოქება".


გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.
რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოტანილი მასალების, ფაქტების, ცნობილ პირთა სიზუსტეზე, ასევე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.
მთავარი რედაქტორი ლალი ბუნთაიშვილი
მთ. რედაქტორის მოადგილეები: ნუცა დუმბაძე, გიორგი თევდორაშვილი
სარედაქციო კოლეგია
მის.: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)
ტელ.: რედაქცია: 33-39-54
რეკლამა, ფაქსი: 98-74-44
palitra@access.sanet.ge
www.opentext.ge\kvirispalitra
სარეგისტრაციო ნომერი 1518
„კვირის პალიტრა"©
გამოდის ორშაბათობით
გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში".